COVID 19

ახალი კორონავირუსი და თსუ

2020

2020

ახალი კორონავირუსი და თსუ

თსუ და ახალი რეალობის ქრონიკა

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ეგიდით გავრცელებული ამბები, მოსაზრებები და ისტორიული პარალელებით გაჯერებული პოზიციები ჭრილში – „ახალი კორონავირუსი და თსუ“

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2020

ისტორიული კრებული — „ახალი კორონავირუსი და თსუ“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციამ მოამზადა, რომელიც მოიცავს 2020 წლის მარტიდან — ოქტომბრამდე პერიოდს. ამ პერიოდშია სწორედ საქართველოში გავრცელებული ახალი კორონავირუსი — „კოვიდ-19“. კრებულის შემდგენელთა მიზანია კორონავირუსის გავრცელების პერიოდში თსუ-ის საქმიანობა და მის წიაღში არსებული ინფორმაცია თუ მოსაზრებები, პოზიციები და შეფასებები გააცნოს უნივერსიტეტის ისტორიით, საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ სპეციალისტებს. მსოფლიო პანდემიის გამოწვევებს თუ როგორ უპასუხა თსუ-მ და მის სივრცეში პროფესორ-სპეციალისტთა და სტუდენტთა მხრიდან რა პოზიციები, რეკომენდაციები გამოითქმებოდა — ამის თაობაზეცაა კრებულში, რომელიც ისტორიის სპეციალისტების გარდა, სხვადასხვა სფეროს მკვლევრებსაც და, ზოგადად, საზოგადოების სხვადასხვა ფენას დააინტერესებს. მთავარი მიზანი კი მომავალი თაობისთვის მსოფლიო პანდემიისას უნივერსიტეტზე მრავალმხრივი ცნობების შემონახვაა.

კრებულში აღწერილია დამოკიდებულება, განცდა, ქცევა, დასკვნები, აღქმა, ცვალებადი რეალობა და სრულიად ახალი გამოწვევები იმ ადამიანებისა, რომლებსაც პანდემიის პირობებში მოუხდათ თანაცხოვრება.

იმედია, კრებული შეასრულებს ისტორიული წყაროს, თავისებური დოკუმენტური მასალის მნიშვნელობას სამომავლოდ, რადგან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთგვარი სარკეა, რომელიც ირეკლავს მთელი განათლების სისტემის რეალობას ჩვენს ქვეყანაში.

კრებულის შემდგენელი და რედაქტორი:
ნინო კაკულია

კრებულზე მუშაობდნენ ჟურნალისტები:
მაია ტორაძე
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი

ფოტო-კორესპონდენტი:
ანა ბოლქვაძე

სარედაქციო ჯგუფი:
თამარ ჩიხლაძე
ეკა ბედიაშვილი
მანანა ჯურხაძე

კომპ. უზრუნველყოფა:
მიხეილ თვარაძე

© თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2020 წელი

ISBN 978-9941-13-951-2

სარჩევი

1. თსუ და ახალი რეალობის ქრონიკა 9
2. პანდემიის პერიოდის ამსახველი ფოტოკოლაჟი 29
3. გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ეგიდით გავრცელებული ამბები, მოსაზრებები და ისტორიული პარალელებით გაჯერებული პოზიციები ჭრილში — „ახალი კორონავირუსი და თსუ“
საქართველოს ექიმთა ასოციაცია ცდილობს – ჯანდაცვას კორონავირუსის ტესტებთან დაკავშირებით დაეხმაროს 39
ირანელი სტუდენტი კორონავისრუსთან ბრძოლის ამ ეტაპზე საქართველოს მხრიდან გააზრებულ ნაბიჯებზე საუბრობს 40
სეჯალ კუმარი: ვგრძნობ, რომ აქ უფრო დაცული ვარ! 41
რამდენ ხანს გრძელდებოდა ეპიდემიები საქართველოში — ისტორიული მაგალითები 43
ირმა რატიანი: იმედი მაქვს, არც ახლა გვიღალატებს ისტორიული ალღო! 46
ნინო დურგლიშვილი: ჩვენს სოციალურ უპასუხისმგებლობას შეიძლება ბევრი უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლოს 50
თსუ-ის სტუდენტი, რომელიც „კოვიდ-19“-ით გამოწვეულ ახალ რეჟიმში მყოფთა ერთ დღეს შეცვლის 53
„COVID-19“-ის პირობებში კითხვებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩი პასუხობს 59
თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლაშა საღინაძის პასუხები „კოვიდ 19“-ით გამოწვეულ მოცემულობაზე, მოლოდინებზე და შიშებზე 65
ალექსანდრე ცისკარიძე: ჯერჯერობით უცნობია, ახასიათებს თუ არა „კოვიდ-19“-ს შორეული ნევროლოგიური ხასიათის გართულებები 69
გუგული მაღრაძე: ახალი რუტინის პირობებში მოვძებნოთ ისეთი საქმიანობა, რაც ახალ ფუნქციას გვაპოვნინებს 73
ნინო ჩიქოვანი: ბევრი რამ გადაფასდება და შეიცვლება, თუმცა კულტურის ძირითად მახასიათებლებს ეს არ შეეხება 77
თსუ-ის პროფესორის, აკადემიკოს ლადო პაპავას რეკომენდაციები „კორონომიკური“ კრიზისის ფონზე და პოსტკრიზისული მოლოდინები 80
ელგუჯა მექვაბიშვილი: ჩვენ ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ პანდემიასთან ბრძოლის და პოსტპანდემიურ პერიოდში გასატარებელი ღონისძიებები 85

თამაზ მაღლაკელიძე: დაავადების 50% პანიკაა, ჯანმრთელობის 50% სიმშვიდეა, თმენა — გამოჯანმრთელების დასაწყისი! 90

არასწორია მოსაზრება, რომ „COVID-19“ ხელოვნურად შექმნილი ვირუსია და შესაძლებელია მისი ბიოლოგიურ იარაღად გამოყენება .. 92

ნანული დორეული: საქართველომ პანდემიის პირობებში აჩვენა კონსოლიდაციის მაღალი ხარისხი 97

ფსიქოლოგიური დახმარება სტუდენტებისთვის 99

როგორ „ასამართლებს“ ახალ კორონავირუსს თსუ-ის პროფესორი სტრასბურგიდან 103

თსუ-ის ფიზიკოსი სტუდენტი ახალ დისტანციურ სამსახურში მუშაობის დაწყების შესაძლებლობებს და დეტალებს უმხელს მათ, ვინც სამსახური დაკარგა 105

პანდემიასთან ბრძოლის გეგმა და ეთიკა 109

რომელ არხს ვირჩევთ ინფორმაციის მოსასმენად და რომელს — არა! 112

თსუ სტუდენტური თვითმმართველობა ახალი სასწავლო ფორმატის უკეთ ასათვისებლად სტუდენტებს და პროფესურას ეხმარება 115

სტუდენტური სოციოლოგიური კვლევა — დისტანციური სწავლის ავ-კარგი თსუ-ს მაგალითზე და საკარანტინე ცხოვრების მრავალფეროვნება 117

თსუ — სახლი, რომელშიც მუდამ ვიღაც გელოდება 122

„მდუმარე გაზაფხული“ — არნოლდ გეგეჭკორის თვალსაზრისი 127

შვედეთიდან ქართულ საზოგადოებას პროფესორი ზაალ კოკაია ეხმაურება 135

ფსიქოლოგები გვირჩევენ: ადამიანებმა ცუდი ინფორმაციისგან თავად უნდა დაიცვან თავი, ისევე, როგორც ვირუსისგან იცავენ 137

ქართულ ენაზე ზრუნვის მიზნით ჩატარებული კონკურსების გამარჯვებულები ონლაინ-საჩუქრებით დაჯილდოვდნენ 142

თსუ-ის სტუდენტის თანადგომის მაგალითი აზერბაიჯანის საზღვარზე 151

მედიის პოზიტიური და ნეგატიური გავლენა „კოვიდ-19“-ით გამოწვეულ რეალობაში 153

„თეთრი“ და „შავი“ კორონავირუსის პირობებში 159

თსუ-ის სტუდენტი, რომელიც ყველაზე მძიმე პაციენტებს
უწევს სამედიცინო დახმარებას 163
დამალობანას თამაში ვირუსთან და ახალი გამოსავლის ძიება 167
გალაკტიონი და საქართველოდან სამყაროს გადარჩენის
დღევანდელი მისია — ინესა მერაბიშვილის თვალსაზრისი 173
განათლებული საზოგადოება — სოფოს სამყარო პატარა სვანეთში ... 186
ვირუსები არქეოლოგიაში, ქართული მედიცინის დონე წარსულში
და შიში — არ დავკარგოთ არქეოლოგების ახალი თაობა 189
საკარანტინე პირობებში გართულებული ფსიქიატრიული
პრობლემები და ფსიქიატრის რჩევები 195
რუსუდან ქარსელაძე: საქართველოს სინამდვილეში, ვირუსთან
ბრძოლის მხრივ, ოპტიმიზმის საფუძველი გვაქვს 202
მსოფლიო „ეკონომიკური პანდემია“ და გამოსავალი
საქართველოს მაგალითზე 206
ახალ თაობას სურს — სარკმლის გახსნისას საჭირო მომენტში
სწორ ადგილზე აღმოჩნდეს 211
მსოფლიო პანდემია და ფილოსოფიური ძიებანი 215
გიორგი გოგოლაშვილი: ყოფილა უფრო მძიმე პერიოდებიც
და გადაუტანია უნივერსიტეტს 220
ფსიქოლოგების დახმარება პანდემიის დამთავრების შემდეგ
უფრო გახდება საჭირო 225
რას სთავაზობს მოსწავლეებს, აბიტურიენტებს და ზრდასრულებს
თსუ-ის უწყვეტი განათლების ცენტრი ახალ რეალობაში 230
ეპიდემიურ დაავადებებთან ქცევის წესები ქართულ
ეთნოგრაფიულ პრაქტიკაში 235
ანტიკური ეპოქის ეპიდემიის მწარე გამოცდილება ათენში და
„კოვიდ-19“-ის მითოლოგიზების მოლოდინი —
რისმაგ გორდეზიანის თვალსაზრისი 239
ქეთევან ჭკუასელი: პანდემიის დროს შეღავათის გაწევა
ყველაფერში შეიძლება, გარდა ცოდნისა 243
ფსიქოლოგის კონსულტაცია — როგორ დავუგეგმოთ
ცხოვრება სახლში გამოკეტილ ბავშვებს 248
როგორ აგრძელებენ სწავლას პანდემიამდე გაცვლითი
პროგრამით საზღვარგარეთ წასული სტუდენტები 252

ახალ რეალობაში წარმოდგენილი მცირე სტუდენტური
პროექტებიდან 5 პროექტი დაფინანსდა 254
ახალი ვირუსის გამოცდილება დაასუსტებს თუ გააძლიერებს
ამერიკას მომავალში? — ვასილ კაჭარავას თვალსაზრისი 255
დავით ფრანგიშვილი: პარიზის პასტერის ინსტიტუტის მთელი
პოტენციალი მიმართულია „კოვიდ-19“-თან საბრძოლო
არსენალის შექმნაზე 260
თსუ საბავშვო უნივერსიტეტის პროექტი —
„ზღაპრის ტრანსფორმაცია“ ახალ გმირებს გვაცნობს 264
გლობალიზაცია და პანდემიის ეკონომიკური პრობლემები 266
კვლევაში ასახული დისტანციური სწავლის შედეგები თსუ-ში 276
დამანა მელიქიშვილი: დისტანციური სწავლების შედეგები
ბოლოს გამოჩნდება 285
ვლადიმერ მარგველაშვილი: ასეთ პირობებშიც შესაძლებელი
ყოფილა აქტიურობა 287
დაიგეგმა ონლაინ ტრენინგები აკადემიური პერსონალისთვის
დისტანციური სწავლების პროცესში წამოჭრილ
აქტუალურ თემებზე 291
როგორ დატანჯა მარო მაყაშვილი „ისპანკა“-დ წოდებულმა
სატკივარმა — ისტორიული მეხსიერება 302
ჩვენს უცხოენოვან თანამოქალაქეებს ჯერ კიდევ აქვთ
სახელმწიფო ენის სათანადო დონეზე ფლობის პრობლემა 307
ჯაბა სამუშია: არაორგანიზებული ერი ვერასდროს შექმნის
სახელმწიფოს, კულტურას, თავის ლოკალურ ცივილიზაციას 312
თსუ-ის კანცლერის პასუხები აქტუალურ კითხვებზე 316
მაია ჩიღვინაძე: უმჯობესია გამოცდები საგამოცდო
სივრცეებში ელექტრონულად ჩატარდეს 319
ახალი გარემოება უნივერსიტეტში და პანდემიის კვალი 322
კულტურული და სპორტული წარმატებები პანდემიის პირობებში 328
უნივერსიტეტელი თენგიზ ცერცვაძე და პაატა იმნაძე
2020-ის საპატიო თბილისელებად დასახელდნენ 331
მოვა დრო და გაგვიხსენებთ 335

თსუ და ახალი რეალობის ქრონიკა

* * *

2020 წლის მარტიდან, მას შემდეგ, რაც საქართველოში ახალი კორონავირუსის ინფექციის (Covid-19) გავრცელების საფრთხე გამოიკვეთა, უმაღლესი სასწავლებლები დისტანციური სწავლების და სპეციალური მუშაობის ფორმატზე გადავიდნენ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პანდემიით გამოწვეულ სირთულეებს თავი წარმატებით გაართვა.

გავა წლები და მომავალი თაობები მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოში გავრცელებულ კორონავისრუსზე (Covid-19), როგორც უსიამოვნო და ადამიანთა გარდაცვალების ფაქტების გათვალისწინებით ტრაგიკულ პერიოდად შეფასებულ წარსულზე, ისე ისაუბრებენ. ისტორიას, ალბათ, უნდა დარჩეს აღწერა-შეფასებები იმ პერიოდისა, როდესაც საქართველოში ვირუსი მძვინვარებდა.

რა გამოწვევის წინაშე დადგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი? რა ახალი წესები ამოქმედდა და რა გარემო შეიქმნა მას შემდეგ, რაც ქვეყანაში „კოვიდ-19“-ის გავრცელების საფრთხე გაიზარდა? რა გადაწყვეტილებებით პასუხობდა უნივერსიტეტი ახალ სირთულეებს? რაზე მსჯელობდნენ, რა პოზიციებს გამოხატავდნენ და როგორ შეხვდნენ ცხოვრების ახალ რუტინას უნივერსიტეტის თანამშრომლები, პროფესორები და სტუდენტები? — სწორედ ამ თემატიკაზე წერდა თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტი“ პანდემიის დროს და ელექტრონულად ავრცელებდა ინფორმაციასა თუ სხვადასხვა პოზიციას, აზრს, ხედვას... გაზეთის რედაქციის მიზანია მომავალი თაობებისთვის ამ ისტორიული პერიოდის ასახვა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცხოვრების ახალი რიტმის ჭრილში.

* * *

„რეალობა, რომლის წინაშეც ეპიდსიტუაციამ დაგვაყენა, დიდი გამოწვევაა საგანმანათლებლო სისტემისთვის. თსუ-ში მიმდინარე სემესტრში საბაკალავრო პროგრამაზე 2770 სასწავლო კურსია და ყველაფერს ვაკეთებთ, რომ თითოეული კურსი დაიგეგმოს მისი სპეციფიკის გათვალისწინებით. დიდი მადლობა ყველა პროფესორს, ადმინისტრაციასა და ტექნიკურ პერსონალს ამ დიდი ძალისხმევისთვის და მადლობა სტუდენტებს მოთმინებისა და დახმარების სურვილისათვის. დღეს ყველაზე მეტად გვჭირდება ძალების კონსოლიდაცია და სტუდენტებმა, პროფესორებმა, ფაკულტეტების ადმინისტრაციებმა ერთად უნდა ვისწავლოთ — როგორ გავიაროთ ეს პერიოდი.

23 მარტიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების შერეული ფორმატით დაიწყება სასწავლო პროცესი. მოდელი გულისხმობს სინქრონული და ასინქრონული ელემენტების გამოყენებას. ფაკულტეტების მიხედვით ეს პროცესი განსხვავებული იქნება და სტუდენტებს LMS-ის საშუალებით ფაკულტეტების ადმინისტრაციები დეტალურ ინფორმაციას მიაწვდიან.

პირველ ეტაპზე (23 მარტიდან) უფრო მეტად გამოყენებული იქნება ასინქრონული სწავლების მოდელი, რაც გულის-



თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე
თსუ-ის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში (ISET)

ხმობს LMS-ზე ან Moodle-ზე (ფაკულტეტების არჩევანის შესაბამისად) ვიდეო, აუდიო ან ლექციის ტექსტური ვერსიის ატვირთვას. პლატფორმაზე ასევე აიტვირთება დავალებები და საკითხავი ლიტერატურა.

ამავდროულად, პროფესორები ეტაპობრივად დაიწყებენ სინქრონული ლექციების ჩატარებას.

უნივერსიტეტი აქტიურად აწარმოებს მოლაპარაკებას ინტერნეტპროვაიდერებთან სტუდენტებისთვის შეღავათიანი ინტერნეტპაკეტის შეთავაზების თაობაზე, რის შესახებაც, ასევე, ეცნობებათ სტუდენტებს გადაწყვეტილების მიღებისთანავე.

ამასთან, სტუდენტებს, რომლებსაც არ აქვთ წვდომა ინტერნეტთან ან არ აქვთ შესაბამისი ელექტრონული მოწყობილობები, სააუდიტორიო პროცესის განახლების შემდეგ ლექტორები, ინდივიდუალური გრაფიკის შესაბამისად, დამატებით კონსულტაციებს ჩაუტარებენ. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით კი იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ აქვთ ინტერნეტი, ხელმისაწვდომი იქნება მასალები ბეჭდური ან ელექტრონული სახით ფაკულეტეტებზე.

თსუ-ის სტუდენტებისთვის სრულადაა ხელმისაწვდომი ისეთი საერთაშორისო ელექტრონული ბაზები, როგორებიცაა Elsevier, Scopus, Sciencedirect, EBSCO, Econlit England Journal, Oxford Textbook of Medicine, JSTOR, BioOne; ECD-Library, Cambridge Journals Online, HINARI Health და სხვა. ამასთან, თსუ-ის ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზის გამოყენებით სტუდენტებს 12 000-ზე მეტი წიგნით სარგებლობა შეუძლიათ.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს შეფასების სისტემის გადახედვა და მზადდება ცვლილებების პროექტი. ამ და სხვა დეტალებზე ამომწურავ ინფორმაციას სტუდენტებს ეტაპობრივად მივაწვდით“.

გიორგი შარვაშიძე, თსუ-ის რექტორი
16 მარტი, 2020 წ.

თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ
თენგიზ ცერცვაძეს დაბადების დღე მიულოცა

„თენგიზ ცერცვაძე ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ქმნის ეპოქას, ქვეყნის ისტორიას.

შიდსის ცენტრის ჩამოყალიბება და C ჰეპატიტის ელიმინაციის წარმატებული პროგრამის დანერგვა საქართველოში მის სახელს უკავშირდება.

ამასთან, ის არის ძალიან კარგი მკვლევარი, მასწავლებელი, პროფესორი, ექიმთა მთელი პლეადის აღმზრდელი.

დღეს უკვე მისი სახელი ქვეყანაში ახალ კორონავირუსთან ბრძოლას უკავშირდება.

დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან ერთად მან შეძლო უდიდესი წვლილი შეეტანა ვირუსის გავრცელების პრევენციაში. ამისთვის მას განსაკუთრებული მადლობა უნდა გადავუხადოთ.

საქართველოში აივ/შიდსის სამსახურის ფუძემდებელი, საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის ერთ-ერთი ინიციატორი, ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის გენერალური დირექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი თენგიზ ცერცვაძე დღეს იუბილარია.

ვულოცავ ბატონ თენგიზს და წარმატებებს ვუსურვებ ქვეყნის და ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვაში!“

გიორგი შარვაშიძე, თსუ-ის რექტორი
16 მარტი, 2020 წ.



* * *

პრემიერ-მინისტრთან არსებული უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს ახალი რეკომენდაციების შესაბამისად, არდადეგები 1-ელ აპრილამდე გახანგრძლივდა. სწავლის პროცესის ელექტრონული კომპონენტებით დაწყების თარიღთან დაკავშირებით, დამატებითი ინფორმაცია კვირის ბოლომდე გახდება ცნობილი. ჩვენ აქტიურად ვაგრძელებთ სხვადასხვა კურსის ფარგლებში მასალების, პრეზენტაციების, ვიდეოჩანაწერების ატვირთვას ელექტრონულ მატარებლებზე, მიმდინარეობს მათი ტესტირება. უახლოეს დღეებში დაიწყება სტუდენტების შესაბამის პლატფორმებზე დარეგისტრირება და, პროცესის მომზადების მიზნით, მათ ვიდეოგაკვეთილები და გზამკვლევები დაეგზავნებათ. დამატებითი ინფორმაცია გამოქვეყნდება თსუ-ის ვებგვერდზე, ფეისბუქის გვერდზე, LMS.TU.GE-ზე და, პარალელურად, სტუდენტებს მოკლე ტექსტური შეტყობინება დაეგზავნებათ.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი
11 მარტი, 2020 წ.

* * *

პრემიერ-მინისტრთან არსებული უწყებათაშორისი საბჭოს ახალი გადაწყვეტილებით, ხვალიდან სამარშრუტო ტაქსების მოძრაობა აიკრძალება, რადგან აღნიშნული წარმოადგენს ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან გავრცელების კერას. ქალაქში დარჩება მერიის ტრანსპორტი (ავტობუსები), ისევე, როგორც მეტრო, ამასთან მათ დაევალათ და ექნებათ ვალდებულება — ყოველდღიურად მოახდინონ ტრანსპორტის დეზინფექცია.

თქვენთვის ცნობილია ის გადაწყვეტილებები, რომლებიც თსუ-ის ადმინისტრაციამ ბოლო პერიოდში მიიღო დისტანციური მუშაობის რეჟიმისა და შეღავათიანი გრაფიკის შესახებ, თუმცა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გამო დამატებით გეძლევათ უფლება — მათ, ვისაც უწევს სამსახურში გამოცხადება, ხვალიდან გამოცხადდეთ 11 საათზე, ნაცვლად საშეღავათო 10 საათისა.

დამატებით მინდა ვთხოვო ყველა თანამშრომელს (დარწმუნებული ვარ, ამას ჩემი თხოვნა არც სჭირდება, უბრალოდ, შეიძლება არც ვიცოდეთ, რომ ესა თუ ის ადამიანი სადმე ჩვენს შორიახლოს ცხოვრობს) — ვინც ფლობს ავტომანქანას და უწევს სამსახურში გამოცხადება, გამოვავლინოთ სამოქალაქო პასუხისმგებლობა და ჩვენს მეზობლად მყოფ თანამშრომლებს შევთავაზოთ ტრანსპორტით მომსახურება; (უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებაც დაიწყება ამ მიმართულებით).

ხვალიდან დაიწყება სადეზინფექციო ხსნარების დარიგება თანამშრომლებისთვის (ოთახების მიხედვით), როგორც სასწავლო-ადმინისტრაციულ კორპუსებში, ისე სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში.

ლაშა საღინაძე
თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
12 მარტი, 2020 წ.

* * *

„კორონავირუსთან დაკავშირებით შექმნილი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციების გათვალისწინებით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 12 მარტის №57/02-01, 16 მარტის №61/02-01 და 19 მარტის №67/02-01 ბრძანებების შესაბამისად, უნივერსიტეტში დაწესდა დისტანციური მუშაობის რეჟიმი და შეღავათიანი სამუშაო გრაფიკი, კერძოდ:

1. უნივერსიტეტში დასაქმებული ორსული, ქრონიკული დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის დაავადებები, დიაბეტი, ონკოლოგიური დაავადებები) მქონე ან/და 60 წელზე მეტი ასაკის დასაქმებულები გადავიდნენ დისტანციური მუშაობის რეჟიმზე, გარდა იმ პერსონალისა, რომელთა შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია დისტანციურად (სამუშაო ადგილზე გამოცხადების გარეშე). აღნიშნულ პირებს მიეცეთ უფლება, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, განსაზღვრონ სამუშაო რეჟიმის შეღავათიანი გრაფიკი.

2. დასაქმებულებს, რომელთაც ჰყავთ სკოლამდელი ან სასკოლო (დაწყებითი საფეხურის) ასაკის შვილები, სააღმზრდელო და სასკოლო დაწესებულებებში არდადეგების დასრულებამდე მიეცეთ უფლება, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, განსაზღვრონ სამუშაო რეჟიმის შეღავათიანი გრაფიკი და ნაწილობრივ გადავიდნენ დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გრაფიკის შესაბამისად.

3. წინამდებარე ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული დასაქმებულების გარდა, სხვა დასაქმებულებს უფლება მიეცეთ სამუშაო კვირის განმავლობაში არანაკლებ 2 სამუშაო დღე თავისი უფლებამოვალეობები და ფუნქციები შეასრულონ სრულად დისტანციურად, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიერ შემუშავებული სამუშაო გრაფიკის და ამ გრაფიკით გათვალისწინებული რიგითობის მიხედვით.“

ლაშა საღინაძე

გთხოვთ ყველას, როგორც სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, ისე ნებისმიერ პერსონალს, უზრუნველყოთ აღნიშნული წესის ზედმიწევნით დაცვა იმგვარად, რომ საფრთხე არ დაემუქროს სამსახურის ნორმალურ ფუნქციონირებას.

ლაშა საღინაძე
თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
19 მარტი, 2020 წ.

* * *

თანამშრომელთა საყურადღებოდ!

მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოში არსებული კორონავირუსის ინფექციის (Covid – 19) გავრცელების საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში გეძლევათ მკაცრი რეკომენდაცია: უკიდურესი აუცილებლობის გარდა მაქსიმალურად შეიზღუდოს სამუშაო მივლინებები საზღვარგარეთ და სასწავლო ვიზიტები; აღნიშნული რეკომენდაცია ეხება, ასევე, საშვებულებო ვიზიტებსაც.

განსაზღვრული რისკის მქონე ქვეყნებიდან სამშობლოში დაბრუნებისას პირი ვალდებულია, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტზე დაექვემდებაროს დადგენილი წესით ინტენსიურ შემოწმებას და გაიაროს 14-დღიანი სავალდებულო საკარანტინო ან თვითიზოლაციის პროცედურა.

ამასთან, ამ ეტაპზე განსაკუთრებით რისკის მქონე ქვეყნებია: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, იტალია, ირანი, სამხრეთ კორეა, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი, იაპონია, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, ბელგია, შვედეთი, ნორვეგია, ბაჰრეინი, სინგაპური და ავსტრია.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია
19 მარტი, 2020 წ.

* * *

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში, საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის მიზნით, „საქართველოს ბანკმა“ უნივერსიტეტისთვის Zoom Education-ის ლიცენზია შეიძინა, რაც უნივერსიტეტს მისცემს შესაძლებლობას, აბსოლუტურად ყველა ლექცია თუ სემინარი ზუმში სრულყოფილად ჩაატაროს. ახალი რეალობის გათვალისწინებით, მიგვაჩნია — თსუ-ში ჩვეული აქტიური სასწავლო პროცესი აქტიურად ხორციელდება. უზრუნველვყოფთ, რომ თსუ-ის სტუდენტებმა მიიღონ ისეთივე მაღალი ხარისხის განათლება, როგორც მათ ამას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უკვე საუკუნეზე მეტია აწვდის!

ამასთან, მსურს განვმარტო ის გარემოება, თუ რატომ ვერ შევძელით უფრო ადრე აღნიშნული ლიცენზიის შესყიდვა. სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან განსხვავებით, რომელთაც სჭირდებათ ერთეული ან ათეული ლიცენზია, რაც მათთვის საკმარისია, თსუ-ს სჭირდებოდა

არანაკლებ 500 ლიცენზიის შესყიდვა, რაც მხოლოდ უშუალოდ ზუმთან მოლაპარაკებების გზით იყო შესაძლებელი (საიტიდან 99 ლიცენზიაზე მეტის შესყიდვა არაა შესაძლებელი). აღნიშნულ საქმეში გვერდით დაგვიდგა „საქართველოს ბანკი“ და კომპანია „ორიენტ ლოჯიკი“. მოლაპარაკებები ხანგრძლივი გამოდგა, რადგან, მოგეხსენებათ, ზუმის შესყიდვები საგრძნობლად გაიზარდა პანდემიის პირობებში და მათ სათაო ოფისთან კომუნიკაციას თუ პროდუქტის მოწოდებას 3 კვირამდე დასჭირდა (ცნობისთვის: არცთუ მცირე თანხა იქნა გადახდილი).

თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, თსუ ფლობს 1 წლიან სრულყოფილ 500 ლიცენზიას, რაც საქართველოს მასშტაბით უპრეცენდენტოა! თსუ-მ 23 მარტიდან შეძლო და 21 000-ზე მეტ სტუდენტს შესთავაზა დისტანციური სწავლების რეჟიმი, რისი წარმოდგენაც ბევრისთვის წარმოუდგენელი იყო!

ლაშა საღინაძე, თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
29 მარტი, 2020 წ.
(ინფორმაცია გავრცელდა
სოციალური ქსელის საშუალებით).

დისტანციური სწავლების და საქმის წარმოების დანერგვა — გამოკითხვა თსუ-ში

„COVID-19“-ის პანდემიის გამო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დისტანციურ სწავლებაზე მარტის მეორე ნახევრიდან გადავიდა. თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დისტანციური სწავლების და საქმის წარმოების დანერგვის, მისი დადებითი და უარყოფითი ასპექტების შესწავლის და მასში ჩართული მხარეების ხელშეწყობის მიზნით, გამოკითხვა ჩაატარა. 3-10 აპრილის ონლაინ გამოკითხვაში თსუ-ის შვიდივე ფაკულტეტის სტუდენტები, აკადემიური, ცენტრალური და საფაკულტეტო ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვის ანალიზის შედეგად დასტურდება, რომ სწავლებისთვის გამოყენებულ პლატფორმებს შორის ყველაზე ხშირად სახელდება Zoom პლატფორმა. ლექციების/სემინარების/სამუშაო ჯგუფების/პრაქტიკუმების 100%-ით სინქრონულობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები (70-69%) ზუსტ და საბუნებისმეტყველო და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტებზე გამოვლინდა. გამოკითხულ პროფესორთა 61%-ის თანახმად, სტუდენტთა 75%-ზე მეტი ესწრება ლექციებს. პროფესორთა 94 % აღნიშნავს, რომ სასწავლო კურსით განსაზღვრული სასწავლო მასალის 70%-ზე მეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის.

აკადემიური პერსონალი ინდივიდუალურ მიდგომას მიმართავს იმ სტუდენტებთან, რომლებსაც განსაკუთრებული პრობლემები აქვთ ინტერნეტსა და ელექტრონულ მოწყობილობებთან დაკავშირებით. ასეთ სტუდენტებს პროფესორები ცალკეულ სლაიდებს, ხმოვან ფაილებსა თუ სხვა სასწავლო მასალას პირადად აწვდიან. ასევე სახელდება სხვადასხვა პრობლემური სიტუაციიდან გამოსავლის გზებიც: „რიდერების“ მომზადება, მცირე ჯგუფებად დაყოფა, დოქტორანტების დახმარება და ა.შ.

აკადემიური პერსონალი ელექტრონული სწავლების ფორმატის ეფექტიანობას დადებითად აფასებს. მათი აზრით, ამ პროცესში მნიშვნელოვანი იყო უნივერსიტეტის მიერ გაწეული მხარდაჭერის, ვიდეო-ინსტრუქციებისა და ტუტორიალების როლი. როგორც გამოკითხული პროფესორების 97% აღნიშნავს, მათ უნივერისტეტისგან მიიღეს ვიდეო-ინსტრუქციები, ტუტორიალები, სახელმძღვანელო პრინციპები ელექტრონულ სწავლებასთან დაკავშირებით. აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგად გამოიკვეთა ტრენინგების დამატებით საჭიროება ონლაინ სწავლების მეთოდებსა და წერითი გამოცდის ჩატარებაზე.

გამოკითხვის თანახმად, სტუდენტთა 53% -ს სრული წვდომა აქვს ინტერნეტსა და ელექტრონულ მოწყობილობებზე, 42% აფიქსირებს პასუხს — „მეტ-ნაკლებად“, ხოლო 5% — „არას“. ონლაინლექციაზე დასწრების მაჩვენებლების საერთო სურათი კი შემდეგნაირია: სტუდენტთა უმრავლესობა (36%) 100%-იან დასწრებას აფიქსირებს, ხოლო დასწრების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 20%-ში ვლინდება. სტუდენტების უმრავლესობა (88%) აცხადებს, რომ მათ უნივერსიტეტისგან მიიღეს შესაბამისი ინფორმაცია ელექტრონული პლატფორმების გამოყენების შესახებ. ამასთან, გამოკითხული სტუდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ პროფესორები ეფექტიანად უძღვებიან ონლაინლექციებსა და სემინარებს.

სტუდენტთა ერთი ნაწილი შუალედური გამოცდის შეფასების სხვა ფორმებით (დავალება, პრეზენტაცია, ესე, კაზუსი და ა.შ.) ჩანაცვლებაზე, შექმნილ ვითარებაში ბარიერის შემცირებაზე და დასწრების ქულის კომპონენტის გაუქმებაზე საუბრობს. სტუდენტთა მეორე ნაწილი კი დიდ ჯგუფებში ზეპირი გამოკითხვის სირთულეებზე ამახვილებს ყურადღებას. ისინი ზეპირი გამოკითხვის საშინაო დავალებებით ან ონლაინ ქვიზებით ჩანაცვლების საუკეთესო პრაქტიკასაც უსვამენ ხაზს. სტუდენტების ნაწილი ყურადღებას ამახვილებს კონკრეტული კურსების სწავლებასთან დაკავშირებულ სპეციფიკურ სირთულეებზე. ბუნებრივია, რომ ყველა-

ზე მეტი სიხშირით აღნიშნულ პრობლემაზე ის სტუდენტები საუბრობენ, რომელთა სწავლებაც პრაქტიკულ, ლაბორატორიულ კომპონენტს მოიცავს.

სტუდენტები კმაყოფილი არიან უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ლექტორების ადაპტურობით და მცდელობით, რისი შედეგებიც საუკეთესო პრაქტიკას უახლოვდება. ზოგიერთი სტუდენტი კი მიმდინარე მოვლენების გრძელვადიან დადებით შედეგებსაც უსვამს ხაზს და პანდემიის შემდეგ დისტანციური სწავლების კომპონენტების შენარჩუნების მნიშვნელობაზეც საუბრობს.

ადმინისტრაციის გამოკითხულ თანამშრომელთა და დამხმარე პერსონალის 87% თვლის, რომ დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის დისტანციურად შესრულება შესაძლებელია. ისინი ეფექტიანად ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობებს და ხაზს უსვამენ დისტანციურად სამუშაოს ეფექტიანად შესრულებაში უნივერსიტეტისგან მიღებულ მხარდაჭერას. გამოკითხულთა 89% აღჭურვილია დისტანციური მუშაობისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებებით. დისტაციური მუშაობისთვის გამოყენებულ პლატფორმებს შორის კი ყველაზე ხშირად სახელდება E-mail. თითქმის თანაბარი სიხშირით გამოიყენება სოციალური ქსელები, Zoom და eDocument, დასახელდა სხვა სისტემებიც.

რესპონდენტების ნაწილი დისტანციურად მუშაობის ეფექტიანობის გასაზრდელად მეტი კომუნიკაციის საჭიროებას უსვამს ხაზს, ნაწილი ფუნქციების გამჭვირვალე განაწილებაზე, შესასრულებელი სამუშაოს გეგმის და ვადების შედგენაზე ამახვილებს ყურადღებას. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა პერსონალის კომპიუტერული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების საჭიროებასაც ასახელებს. გამოიკვეთა სწავლის ელექტრონული სისტემის (LMS) გამართულად მუშაობის უზრუნველყოფისა და დამატებითი ფუნქციებით აღჭურვის საჭიროებაც.

თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით გადაწყდა აკადემიური პერსონალის სურვილის გათვალისწინება და

ელექტრონული სწავლების შესახებ ტრენინგების გამართვა, სტუდენტების, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მუდმივი ინფორმირება ტექნიკურ თუ სხვა შინაარსის სიახლეების თაობაზე. ამ სახის რამდენიმე ტრენინგი უკვე გაიმართა, უცხოელ კოლეგებთან მოლაპარაკებების თანახმად კი მაისში დაგეგმილია კიდევ სამი ტრენინგი, რომელიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის კიდევ უფრო უკეთესად წარმართვას.

სტატია მოამზადა თსუ-ის
საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა.

პანდემიის შემდგომი უმაღლესი განათლების გადააზრება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლისა (ISET) და ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებით რიგით მეორე ონლაინ ღონისძიება გაიმართა სადისკუსიო პანელის სერიებიდან, რომლის თემაა: „პანდემიის შემდგომი უმაღლესი განათლების გადააზრება“.

დისკუსიაში მონაწილეობდნენ წამყვანი განათლების საერთაშორისო ექსპერტები, თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მიხეილ ჩხენკელი, ევროპის უმაღლე-



სი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს პრეზიდენტი კარლ დიტრიხი, Magna Charta Observatory-ს პრეზიდენტი საიბოლტ ნორდა, მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორი სამხრეთ კავკასიაში სებასტიან მოლინეუსი. დისკუსიას ISET-ისა და ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი თამარ სულუხია უძღვებოდა.

ექსპერტებმა ისაუბრეს იმ მოვლენებზე, რაც განვითარდა უმაღლესი განათლების სექტორში „COVID-19“ პანდემიის ფონზე: თუ რა გავლენას მოახდენს პანდემია მომავალში; ასევე, თუ რა გრძელვადიანი პერსპექტივებისა და გამოწვევების წინაშე დგანან უნივერსიტეტები და სტუდენტები, აბიტურიენტები; როგორ აისახება პანდემიით გამოწვეული ფინანსური, ეკონომიკური და დემოგრაფიული გავლენები უმაღლესი განათლების სისტემაზე; შეძლებს თუ არა უმაღლესი განათლების სექტორი გარდაქმნასა და შესაძლებლობების გაფართოებას.

მიხეილ ჩხენკელმა ონლაინ სივრცეში შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა: „დიდ მადლობას მოვახსენებ თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლისა (ISET) და ISET-ის კვლევით ინსტიტუტს საინტერესო სადისკუსიო პანელის ორგანიზებისათვის. ვფიქრობ, იგი სასარგებლო და მნიშვნელოვანი იქნება ყველა მონაწილე მხარისათვის. „COVID-19“-ის პანდემიამ მსოფლიო დიდი გამოწვევის წინაშე დააყენა სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, განათლების კუთხით. შექმნილ ვითარებაში, როდესაც მოსწავლეები და სტუდენტები საკლასო ოთახსა და აუდიტორიის მიღმა დარჩნენ, ჩვენი გუნდის მთავარი მიზანი იყო მათთვის განათლების მიღების უწყვეტი პროცესი შეგვენარჩუნებინა. მასწავლებლების, ლექტორების, სამინისტროს, სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლივი ძალისხმევით დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ პანდემიის პერიოდში განათლების სისტემის წინაშე მდგარი გამოწვევები დავძლიეთ და ეს სემესტრი შედგა“.

მინისტრმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ საქართველოს წარმატებას დისტანციური სწავლების დანერგვის

საქმეში საერთაშორისო გამოხმაურებაც მოწმობს. კერძოდ, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციამ (OECD) 2020 წლის ანგარიშში, რომელიც „COVID-19“-ის პანდემიით განათლების სფეროში შექმნილი გამოწვევების დასაძლევად გამოაქვეყნა, 98 ქვეყანას შორის საქართველოს მთავრობის მიერ განათლების მიღების უწყვეტი პროცესის უზრუნველსაყოფად გადადგმული ნაბიჯები ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად შეაფასა. მინისტრმა ხაზი გაუსვა მასწავლებლებისა და უმაღლესი სასწავლებლების ლექტორების ენთუზიაზმსა და შემოქმედებით მიდგომას დისტანციური სწავლების განხორციელების პროცესში და მათ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა.

როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ აღნიშნა, არავის შეეძლო წინასწარ განეჭვრიტა ის სიტუაცია, რაც „COVID-19“-ის პანდემიამ გამოიწვია მთელ მსოფლიოში, ეს იყო შოკი საგანმანათლებლო სისტემისთვის. რექტორის თქმით, ის სირთულეები, რომლის წინაშეც აღმოჩნდა ყველა სფერო, მათ შორის, განათლების სექტორი, დაძლეულია ურთიერთთანადგომით და სოლიდარობით როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო საზოგადოებაში. „პირველ რიგში დახმარება გავუწიეთ

მიხეილ ჩხენკელი და გიორგი შარვაშიძე

იმ სტუდენტებს, რომლებიც გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში იყვნენ. მათ გაეწიათ როგორც სამედიცინო, ისე ფსიქოლოგიური კონსულტაცია, საგარეო უწყების მხარდაჭერით მოხდა მათი დიდი ნაწილის დაბრუნება საქართველოში. ამის გარდა, პირველი ამოცანა და მთავარი გამოწვევა იყო სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა, ასინქრონულ და სინქრონულ ფორმატში და იმ პლატფორმების დახმარებით, რაც თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკას ესაჭიროებოდა“, — განაცხადა რექტორმა. მისივე თქმით, 2770 კურსის სწავლება დისტანციურ რეჟიმში ადმინისტრაციის, აკადემიური პერსონალის და სტუდენტების ერთობლივი ძალისხმევით მოხდა. ამასთან, უნივერსიტეტმა შესთავაზა ყველას თავისუფალი ონლაინ წვდომა სამეცნიერო და კვლევით რესურსებზე, ბიბლიოთეკაზე, შემოიღო ფინანსური შეღავათები საერთო საცხოვრებლით სარგებლობაზე და შეღავათიანი, მოქნილი გადახდის სისტემა სტუდენტებისთვის.

როგორც გიორგი შარვაშიძემ აღნიშნა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მომავალში გაიზიარებს ელექტრონული სწავლების გამოცდილებას, რაც შერეული ფორმატით სასწავლო კურსების შექმნაში გამოადგებათ ლექტორებს.

„ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვისწავლოთ — როგორ ვიცხოვროთ ახალ სამყაროში. სექტემბრიდან სხვა სურათის წინაშე დავდგებით. სავარაუდოდ, შემცირდება ფიზიკური მობილობა, შემცირდება საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა, შესაბამისად, ინტერნაციონალიზაციის სხვა გზებზე უნდა ვიფიქროთ, უნდა შევიმუშავოთ სქემები იმათთვის, ვინც დისტანციურ სწავლებას შეძლებს. უცხოელ კოლეგებთან უნდა ვისაუბროთ ამ საკითხებზე რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე. ეფექტურად უნდა გამოვიყენოთ დაგროვილი გამოცდილება და მეტი რესურსი და ყურადღება უნდა დაეთმოს ღია მეცნიერებას და ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარებას“, — განაცხდა თსუ-ის რექტორმა.

სტატია მოამზადა თსუ-ის
საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა.

განცხადება თსუ-ის თანამშრომლის „covid-19“-ით ინფიცირებასთან დაკავშირებით

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეათე კორპუსის დასუფთავების სამსახურის ერთ-ერთ თანამშრომელს „covid-19“-ით ინფიცირება დაუდასტურდა. დღეისთვის დაზუსტებულია დაინფიცირებული თანამშრომლის პირადი კონტაქტები, დეტალური ინფორმაცია მიეწოდა დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს.

აღსანიშნავია, რომ თსუ-ში სტუდენტები 23 მარტიდან ონლაინ რეჟიმში გადიან სასწავლო პროცესს და ლექციები ტარდება მხოლოდ დისტანციურ ფორმატში. ასევე, დისტანციურ რეჟიმში მუშაობს ადმინისტრაციული პერსონალი (გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როდესაც რამდენიმე თანამშრომელს დროის მცირე მონაკვეთით უწევს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება). შესაბამისად, დაინფიცირებულთან სამსახურეობრივი კონტაქტის რაოდენობა საკმაოდ მცირეა.

დაინფიცირებულთან პირად კონტაქტში მყოფ ყველა თანამშრომელს უტარდებათ PCR ტესტი, ისინი გადაყვანილი არიან თვითიზოლაციაში. ამ ეტაპზე გავრცელების წყარო უნივერსიტეტის თანამშრომელთა შორის არ დადასტურდა.

მეათე კორპუსში კიდევ ერთხელ ჩატარდა სადეზიფექციო სამუშაოები. ამასთან, თსუ სრულად არის უზრუნველყოფილი ვირუსის გავრცელებისა და გადადებისგან დამცავი ყველა საჭირო აღჭურვილობით. ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს სამუშაო და პრაქტიკული სამუშაოებისთვის განკუთვნილი სივრცეების სადეზინფექციო ხსნარებით დამუშავება. ყველა შენობა აღჭურვილია დეზობარიერით, სადეზინფექციო საშუალებებით, ხორციელდება შენობაში შესვლისას თერმოსკრინინგი.

მომხდარი ფაქტის გამო დამატებით გატარდა პრევენციული ზომები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერის ლაშა საღინაძის განცხადებით, „თვითიზოლაციაში იმყოფებიან ინფიცირებულ თანამშრომელთან პირდაპირი კონტაქტის მქონე ორი და ირიბი კონტაქტის მქონე ათი ადამიანი. უშუალოდ ეს ადამიანი სასწავლო კორპუსთან ახლოს ცხოვრობს და ბოლოს უნივერსიტეტის შენობაში 9 დღის უკან იმყოფებოდა. მიმდინარეობს დამატებითი კვლევა დაინფიცირების წყაროს დასადგენად. თუმცა, ამ ეტაპზე, შესაძლებელია დადასტურებით ითქვას, რომ თბილისის სახელმწიფო უნიერსიტეტში წყარო აღმოჩენილი არ არის.

დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს შედგენილი აქვთ სამუშაო გრაფიკი და ისინი კვირაში მხოლოდ ერთი დღით, ისიც მხოლოდ 2-3 საათით გამოცხადდებიან სამსახურში.“

11 ივნისი, 2020 წ.

* * *

თსუ გამოშვება 2020

უნივერსიტეტის ეზოდან 3500 სახელობითი ბუშტის გაშვებით დასრულდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის 2020 წლის კურსდამთავრებულთა გამოშვების საზეიმო ღონისძიება. საქართველოსა და მსოფლიოში შექმნილი ეპიდსიტუაციის გამო ღონისძიების ძირითადი ნაწილი განსხვავებულ — ონლაინფორმატში გაიმართა.

ონლაინ ღონისძიების მსვლელობისას თსუ-ის კურსდამთავრებულებმა ვირტუალური მანტია მოირგეს. კურსდამთავრებულებს უნივერსიტეტის დასრულება თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ, აკადემიური საბჭოს წარმომადგენლებმა, ფაკულტეტების დეკანებმა, საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა, თსუ-ის წარმატებულმა კურსდამთავრებულებმა მიულოცეს. ღონისძიების დასრულებისთანავე თსუ-ის კურ-

სდამთავრებულებს ვებ-გვერდიდან gifme.ge სამახსოვრო ვირტუალური დიპლომების გადმოწერისა და საკუთარ სოციალურ პლატფორმაზე გაზიარების შესაძლებლობა ჰქონდათ.

„ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ნებისმიერი მიზნის მიღწევა, თუ არის სოლიდარობა, გუნდურობის შეგრძნება“, — განაცხადა ონლაინ ღონისძიებაზე თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და მადლობა გადაუხადა ყველა სტუდენტსა და პროფესორს პანდემიის გამო შექმნილ ახალ რეალობაში სწავლისა და სწავლებისთვის.

„მადლობა უნივერსიტეტს იმისათვის, რომ, პანდემიისგან გამოწვეული შეზღუდვების მიუხედავად, შეძლო ეს დღეები ჩვენთვის დასამახსოვრებელი გაეხადა. მიხარია ისიც, რომ ამას საქართველოში პირველად აკეთებს თსუ. ყველა კურსდამთავრებულს წარმატებებს ვუსურვებ!“ — განაცხადა თსუ-ის 2020 წლის მაგისტრატურის კურსდამთავრებულმა მარიამ ტატიშვილმა. ბაკალავრიატის კურსდამთავრებულის ალეკო სამადაშვილის თქმით, „ეს სემესტრი განსხვავებული აღმოჩნდა ყველასთვის, რადგან ყველას მოუწია ონლაინ სწავლებაზე გადასვლა. ეს იყო გამოწვევა სტუდენტებისთვის და პროფესორებისთვის. ერთობლივი ძალისხმევით ეს სემესტრი შედგა“.

საზეიმო ონლაინღონისძიება სხვადასხვა საინტერესო დეტალისგან შედგებოდა: 22 ივლისიდან თსუ პირველ და მეათე (მაღლივ) კორპუსებში რეალური ფოტოზონები მოეწყო, სადაც სტუდენტები სამახსოვრო ფოტოებს იღებდნენ. 31 ივლისს მოსიარულე ქარავანმა თბილისის ქუჩები მოიარა და საზოგადოებას „თსუ გამოშვება 2020“-ის შესახებ ამცნო. თსუ-ის ეზოდან ქარავანი საზეიმოდ გააცილეს დრამერებმა მუსიკის თანხლებით და სტუდენტებმა სკუტერებით.

თსუ-ის კურსდამთავრებულებს უნივერსიტეტის დასრულება საქართველოს ჰიმნით მიულოცა მსოფლიოში ცნობილმა მეცო-სოპრანომ ნინო სურგულაძემ. სპეციალური ვიდეომიმართვით მიულოცა უნივერსიტეტის დამთავრება დიდ ბრიტანეთში მოღვაწე ცნობილმა მომღერალმა ქეთი მელუამ. 2020 წლის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხუ-

რის შვიდივე ფაკულტეტის ყველაზე წარმატებულ კურსდამთავრებულებს სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 22 000-ზე მეტი სტუდენტი სწავლობს, წელს უნივერსიტეტი 3500-მდე სტუდენტმა დაამთავრა.

* * *

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალი სასწავლო წელი დისტანციურად (ონლაინ) დაიწყო.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად წელს (2020) თსუ-ში 5 ათასზე მეტი აბიტურიენტი ჩაირიცხა.

თსუ-ში ჩარიცხულ პირველკურსელთა 46 პროცენტს სახელმწიფო გრანტი აქვს მოპოვებული, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით გრანტის მქონე სტუდენტების 35 პროცენტია.

„ვულოცავ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს სწავლის დაწყებას, განსაკუთრებით 5082 პირველკურსელს. COVID-19-ით გამოწვეული ვითარების გამო, სასწავლო პროცესი აუდიტორიების ნაცვლად დისტანციური მეთოდით გაიმართება. ჩვენ მოვემზადეთ ასეთი სცენარისთვისაც, ამიტომაც უკვე გადავერთეთ ონლაინ სწავლებაზე. ცხადია, იქნება სირთულეებიც, განსაკუთრებით, პირველკურსელთათვის, თუმცა, უნივერსიტეტის პროფესურა და ადმინისტრაცია მზად არის ნებისმიერი სახის დახმარებისთვის. ვიმედოვნებ, რომ მალე ყველაფერი ჩვეულ რიტმში ჩაჯდება. გისურვებთ წარმატებას!“ — ასე მიულოცა ახალი 2020-2021 სასწავლო წლის დაწყება თსუ-ის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ საუნივერსიტეტო საზოგადოებას.

14 სექტემბერი. 2020 წ.

თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში (ISET) აკვირდება ონლაინ სწავლის პროცესს.



თსუ-ის აკადემიური საბჭოს სხდომა ონლაინ ფორმატში.

თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე, თსუ-ის კანცლერი ლაშა საღინაძე და თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი გიორგი ღაღანიძე ფაკულტეტ ზე სტუდენტური სივრცის გახსნის დღეს.

თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნანა მამაგულიშვილი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად სტუდენტური სივრცის გახსნის დღეს.

მისალმების ახალი სტილი პანდემიისას. თსუ-ის კანცლერი ლაშა საღინაძე და კომუნიკაციების კომისიის წევრი ვახტანგ აბაშიძე.

თსუ-ის კანცლერის შეხვედრა თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან თამარ დოლბაიასთან ლექციების ონლაინ რეჟიმში ჩატარების წინ.

თსუ-ის მულტიმედია ცენტრის დირექტორი მარინა სალუქვაძე პროფესორთა ლექციების ვიდეო-გადაღების პროცესს ხელმძღვანელობს.

LCD BRIGHT
LCD PEAKING
AUDIO SELECT
CH1
CH2
CH3
CH4
DISPLAY
PAGE
PUSH
ENTER
SET
DISPLAY
CHECK

თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი თამარ გაგოშიძე ონლაინ ლექციის ჩატარებისას.

თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე თსუ-ის მულტიმედია ცენტრში აკვირდება ლექტორების ჩაწერის პროცესს.



თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი მაია ტორაძე ონლაინ ლექციის ჩატარებისას



თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი ირინე დარჩია ონლაინ ლექციის დროს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უერთდება კამპანიას #დარჩისახლში და ყოველდღიურად სხვადასხვა თაობის, ცნობილი თუ უცნობი მწერლების, თსუ კურსდამთავრებულებისა თუ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროექტებში მონაწილე ახალგაზრდა მწერლების მიერ წლების განმავლობაში შექმნილ მოთხრობებს უნივერსიტეტის მთავარ ფეისბუქ - გვერდზე შემოგთავაზებთ (თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ინიციატივა, რომელიც განხორციელდა).

თსუ-ის თანამშრომლები: ხათუნა ჩუგოშვილი, თამარ გიორგაძე და თინა იზორია

თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე და ღონისძიების წამყვანი ნატა ასათიანი — „თსუ გამოშვება 2020“.

„თსუ გამოშვება 2020“-ის ონლაინ ღონისძიება — უნივერსიტეტის ეზოდან 3500 სახელობითი ბუშტის გაშვების ცერემონია.

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ეგიდით გავრცელებული ამბები, მოსაზრებები და ისტორიული პარალელებით გაჯერებული პოზიციები ჭრილში – „ახალი კორონავირუსი და თსუ“

საქართველოს ექიმთა ასოციაცია ცდილობს – ჯანდაცვას კორონავირუსის ტესტებთან დაკავშირებით დაეხმაროს

გია ლობჟანიძე

საქართველოს ექიმთა ასოციაციამ კორონავირუსის ტესტების ჰუმანიტარულად მოწოდების თხოვნით რამდენიმე ქვეყანას მიმართა.

„ვცდილობთ საქართველოს ჯანდაცვას კორონავირუსის ტესტებთან დაკავშირებით დავეხმაროთ, რამდენიმე მოთხოვნა უკვე გავგზავნეთ და პასუხს ამ დღეებში ველოდებით“, — აცხადებს საქართველოს ექიმთა ასოციაციის თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გია ლობჟანიძე.

კორონავირუსის პანდემიის პირობებში ასოციაციის წევრი მედიკოსები თავისი პროფილით კლინიკებში განაგრძობენ მუშაობას, პარალელურად კონსულტაციებს უწევენ რეგიონებში დასაქმებულ ექიმებს.

„საქართველოს ექიმთა ასოციაციის როგორც დირექტორთა საბჭოს, ასევე რიგითი წევრები მუშაობენ თავისი სპეციალობით, ანუ არიან ფრონტის წინა ხაზზე. ერთმანეთთან კავშირი დისტანციურად გვაქვს. საქართველოში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით მონაცემებს ყოველდღიურად ვუგზავნით მსოფლიოს ექიმთა ასოციაციასა და ევროკავშირის ექიმთა მუდმივმოქმედ კომიტეტს, პარალელურად ისინი გვაწვდიან მათ ხელთ არსებულ უახლეს ინფორმაციას. ხშირად მოგვმართავენ ექიმები და მოსახლეობა კონსულტაციის გაწევის თხოვნით, ძირითადად, რეგიონებიდან. ეს არის ის

ძირითადი საქმიანობა, რითაც ამ ეტაპზე შემოვიფარგლებით“, — აღნიშნა გია ლობჟანიძემ.

მსოფლიო ექიმთა ასოციაცია 1947 წელს დაფუძნდა. საქართველოს ექიმთა ასოციაციას მსოფლიო ექიმთა ასოციაციის წევრი ქვეყნის სტატუსი 2002 წელს ქალაქ ვაშინგტონში გამართულ გენერალურ ასამბლეაზე მიენიჭა. საქართველოს ექიმთა ასოციაცია 2016 წლიდან ევროკავშირის მუდმივმოქმედი კომიტეტის ასოცირებული წევრია.

ესაუბრა ნატო ობოლაძე

ირანელი სტუდენტი კორონავისრუსთან ბრძოლის ამ ეტაპზე საქართველოს მხრიდან გააზრებულ ნაბიჯებზე საუბრობს

უცხოელი სტუდენტი, რომელიც საქართველოში სწავლობს, როგორ უყურებს ახალ გამოწვევაზე (პანდემიაზე) საქართველოს პასუხს? როგორ მოსწონს ახალ ვირუსთან ბრძოლის სტრატეგია? — ამ კითხვებზე გვპასუხობს ირანელი სტუდენტი აქრამ ხოდა დადე, რომელიც თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტზე სწავლობს.

აქრამ ხოდა დადე:

— პანდემიაზე საქართველოს პასუხი მოიცავს ორ ნაწილს: პირველი ნაწილი ეხება ადმინისტრაციულ საკითხებს და მთავრობის რეაგირებას, ხოლო მეორე ნაწილი მოიცავს საზოგადოების რეაგირებას. საქართველოს მთავრობის რეაქციები ახალი კორონავირუსის გავრცელებაზე ნამდვილად გააზრებული იყო. სკოლების და უმაღლესი სასწავლებლების დახურვა და ქვეყნებთან საზღვრების ჩაკეტვა ძალიან დროული ნაბიჯი გახლდათ. შემდეგ გამოცხადდა საგანგებო სიტუაცია და საკარანტინო წესები, რაც ასევე ძალიან საჭირო ღონისძიებად მიმაჩნია მთავრობის მხრიდან. სწორად გააზრებულია ის გადაწყვეტილებაც, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობა შეწყდა და საზოგადოებრივი

თავშეყრის ადგილებში სამზე მეტი ადამიანი არ დაიშვება. თუ გვინდა ამ სერიოზული პანდემიის კონტროლი, ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ წესებს, დავიცვათ ისინი. ვფიქრობ, რომ რეკომენდაციების მკაცრად გათვალისწინება ერთადერთი გზაა კორონავირუსის დასამარცხებლად, რათა შევძლოთ დავუბრუნდეთ ნორმალურ მდგომარეობას.

სამწუხაროდ, ჩემს ქვეყანაში სწორი პრევენციული ზომები დროულად არ მიიღეს. მათ გააგრძელეს ჩინეთთან კომუნიკაცია მას შემდეგაც კი, რაც ეს ქვეყანა ჯანმოს მიერ მაღალი რისკის მქონე ქვეყნად გამოცხადდა. მათ დროულად არ შემოიღეს საკარანტინო ზომები. ყველაფერი დაგვიანებული იყო, რამაც ხელი შეუწყო ვირუსის სწრაფ გავრცელებას.

იმედი მაქვს, რომ არა მარტო ჩემს ქვეყანაში და აქ, საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში ეს პანდემიური ვითარება მალე დასრულდება.

ესაუბრა ანა ბოლქვაძე

სეჯალ კუმარი: ვგრძნობ, რომ აქ უფრო დაცული ვარ!

უცხოელმა სტუდენტმა, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე სწავლობს, ზედმიწევნით იცის ყველა ის რეკომენდაცია, რასაც „კოვიდ-19“-ის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში საქართველოს მთავრობა გასცემს. სეჯალ კუმარი საქართველოში უფრო დაცულად გრძნობს თავს, ვიდრე თავის ქვეყანაში — ინდოეთში, სადაც პანდემიით გარდაცვლილებიც ჰყავთ. ინდოელი სტუდენტი აღფრთოვანებულია საქართველოში უხილავ მტერთან ბრძოლის მეთოდებით და ამბობს, რომ აქაური გარემო ძალიან უსაფრთხო და მშვიდია. კონკრეტულად თავის შთაბეჭდილებებს უცხოელი სტუდენტი გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტს“ უზიარებს.

სეჯალ კუმარი:

— მას მერე, რაც გლობალური გამოწვევის წინაშე დავდექით, რასაც ჰქვია კორონა ვირუსის ინფექცია, ყველა ქყეყანა მთელ ძალისხმევას ხმარობს მის დასამარცხებლად. 2020 წლის 30 მარტისათვის საქართველოში მხოლოდ 100 შემთხვევაა დაინფიცირების, რომელთაგან 18 უკვე გამოჯანმრთელდა და არც ერთი გარდაცვალების შემთხვევა არ არის. სხვა ქვეყნებთან შედარებით აქ გაცილებით უკეთესი სიტუაციაა. საქართველომ დაუყოვნებლივ, კორონავირუსის გამოვლენისთანავე გაატარა საწინააღმდეგო ღონისძიებები პანდემიის შესაჩერებლად, როგორც კი 2 ან 3 შემთხვევა დაფიქსირდა, რაც შთამბეჭდავია. შემოიღეს საკარანტინო რეჟიმი. ჩვენ გამოგვიგზავნეს რამდენიმე საინფორმაციო შეტყობინება, სადაც მითითებულია უსაფრთხოების ზომებზე დაავადების თავიდან ასაცილებლად. შეზღუდულია საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილება. დროულად შეაჩერეს სწავლის პროცესი, დაკეტეს საზღვრები და აკრძალეს საერთაშორისო ფრენები. 21 მარტს გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. ყველა ეს ეფექტური ზომა მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად სერიოზულად მიიჩნია საქართველოს მთავრობამ ეს გამოწვევა. მათ ყველა ღონე იხმარეს იმისთვის, რომ ვირუსის მასობრივად გავრცელებისთვის ხელი შეეშალათ.

სეჯალ კუმარი

მართალი გითხრათ, ვგრძნობ, რომ აქ უფრო დაცული ვარ. სანიტარული ნორმებიც საფუძვლიანადაა დაცული. მთავრობამ აკრძალა საზოგადოებრივი ღონისძიებები, რეგულარულად ასუფთავებენ საზოგადოებრივ ტრანსპორტს, ხდება ყველა შესაძლო ნივთის დეზინფექცია, დაიხურა სავაჭრო ობიექტები მთელი

ქვეყნის მასშტაბით, გარდა სურსათისა და აფთიაქებისა, ფუნქციონირებს, ასევე, ბენზინგასამართი სადგურები, ბანკები და ფოსტა. მთავრობამ შექმნა სპეციალური ვებ გვერდი, რომლითაც სრულყოფილი ინფორმაცია ვრცელდება სახელმწიფოს მიერ გატარებული ზომების შესახებ. აიკრძალა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში შეკრება და მანიფესტაციების გამართვა. ახლა უკვე დაწესდა კომენდანტის საათი — 21 საათიდან დილის 6 საათამდე... საქართველო ბრწყინვალედ გეგმავს და ასრულებს დაავადების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებს. უნივერსიტეტებმა დაიწყეს ონლაინ ლექციების კითხვა, რის შედეგადაც სტუდენტებმა განაახლეს სწავლის პროცესი. თუ ჩვენ შევასრულებთ ყველა რეკომენდაციას, რაც მთავრობამ გასცა, საქართველო მალე დაამარცხებს კორონავირუსს.

ჩემს ქვეყანაში 1117 შემთხვევიდან 101 არის გამოჯანმრთელებული და 32 გარდაცვლილი. დიდი ქვეყნისათვის, როგორიც ინდოეთია, ეს რიცხვი არ არის დიდი. ჩვენი ქვეყნის მთავრობაც ყველა ღონეს მიმართავს ვირუსის შესაჩერებლად და იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება. საქართველოზე, როგორც მაგალითზე, ყველგან მოვყვები.

ესაუბრა ანა ბოლქვაძე

რამდენ ხანს გრძელდებოდა ეპიდემიები საქართველოში — ისტორიული მაგალითები

გვესაუბრება ისტორიკოსი, თსუ-ის პროფესორი გიორგი ოთხმეზური

პანდემიის შემთხვევები, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ყოფილა. მაგალითად, მე-13 საუკუნეში, მონღოლთა ბატონობის პირობებში, გავრცელდა შავი ჭირი. მუცლის სალმობა — ასეთი სახელით იხსენიებდნენ მას. მაშინ, მე-13 საუკუნის 60-იან წლებში, საბედნიეროდ, მან პანდემიის ხა-

სიათი არ მიიღო, მაგრამ წარმოიდგინეთ — რა მდგომარეობა შეიქმნა ჯარში, რომელიც საზღვრისპირა ზოლში იდგა. იქ სანგრები იყო გათხრილი და ქართველი ჯარისკაცები მონღოლებთან ერთად მორიგეობდნენ ამ სასაზღვრო ზოლში. მეფე დავით მეშვიდეს ძე გიორგი 1268 წელს და, შემდეგ უკვე, თავად დავითი 1270 წელს სწორედ იქ დაავადდნენ და ამ შავ ჭირს, მუცლის სალმობას შეეწირნენ.

პანდემიის ხასიათი ჰქონდა ჩვენთან შავი ჭირის აფეთქებას მე-14 საუკუნის შუა ხანებში. ეპიდემია, პერიოდული აფეთქებებით, თითქმის ნახევარი საუკუნე გაგრძელდა (თუ მეტი არა). 1246 წელს ეპიდემია ოქროს ურდოდან გავრცელდა ეგვიპტეში, ევროპაში, მოიცვა ტრაპიზონის იმპერია, შემოაღწია საქართველოშიც. ტრაპიზონელი ისტორიკოსი მიქელ პანარეტოსი წერს, რომ „პანდემია 7 თვე გაგრძელებულა. დაიღუპა ბევრი შვილი და ცოლ-ქმარი, ძმები, დედები და ნათესავები“, ანუ ოჯახები და საგვარეულოები ამოწყვეტილა. დაავადება იქიდან შემოვიდა საქართველოშიც. ცნობილი ლარგვისელი მოღვაწეები იყვნენ მამა-შვილი ავგაროზ და გრიგოლ ბანდაისძეები. 1348 წელს წერს ავგაროზ ბანდაისძე (ხელნაწერზე აქვს მინაწერი გაკეთებული), რომ „დიდი სიკუდილობა იყო საქართველოში“. ჩაცხრებოდა დაავადება და შემდეგ ისევ იფეთქებდა. მე-14 საუკუნის 60-იან წლებში ჰქონდა კიდევ ასეთ აფეთქებას ადგილი და ბაგრატ მეხუთეს მეუღლე — დედოფალი ანა შეეწირა შავ ჭირს. მე-14 საუკუნის 70-იან წლებში ტრაპიზონის იმპერიაში ხელმეორედ იფეთქა დაავადებამ. ტრაპიზონი ჩვენი მომიჯნავე ქვეყანა იყო (ჩვენს წყაროებში არ არის დაფიქსირებული ამის თაობაზე) და გამორიცხულია — დაავადება საქართველოშიც არ შემოჭრილიყო. ამ უბედურების გაგრძელებაა თემურ ლენგის ლაშქრობები საქართველოში. ხომ გაგიგიათ ასეთი გამოთქმა — „უბედურება მარტო არ მოდისო“. თემურ ლენგის ლაშქრობები ხომ მართლაც დიდი უბედურება იყო ჩვენი ქვეყნისთვის, მაგრამ ამას დაერთო 1400 წლის ახლო ხანებში კიდევ ერთი შავი ჭირის ეპიდემიის აფეთქება, რამაც პანდემიის სახე მიიღო. ავგაროზ ბანდაისძის შვილი — გრიგოლ

გიორგი ოთხმეზური

ბანდაისძე 1400 წლის თემურ ლენგის ლაშქრობის მერე წერს (ლარგვისის პარაკლიტონზე აქვს მინაწერი გაკეთებული): „შემდგომად მცირედისა ჟამისა დავრჩი ობოლი ხუთთა ძმათაგან“, ხოლო „ამისსა შემდგომად“ მომიკლა ექვსი შვილი და მეუღლეო, ანუ მთელი მისი ოჯახი შეიწირა შავი ჭირის ეპიდემიამ.

* * *

რაც შეეხება დღევანდელობას, ძალიან დიდი გამოწვევის წინაშე დგას არა მარტო ჩვენი ქვეყანა, არამედ მთელი მსოფლიო. ერთი სასიამოვნო რეალობა გამოიკვეთა ამ ძნელბედობისას. რუსებს აქვთ ასეთი გამოთქმა: „НЕТ ХУДА ВЕЗ ДОВРА“. ძალიან კარგად გამოჩნდა, რომ ჩვენი ხელისუფლება, რომელიც ძალიან ხშირად უსამართლო კრიტიკას იღებდა სხვადასხვა პირების თუ პარტიების მხრიდან (ხშირ შემთხვევაში ყალბი ბრალდებებიც გაისმოდა მათ მიმართ), თურმე არათუ „უნიათო“, არამედ ძალიანაც ქმედუნარიანი ყოფილა. ძალიან სასიხარულოა, რომ ქართველი მედიკოსები ასეთ მაღალპროფესიულ დონეზე ასრულებენ თავის მოვალეობას. ხაზი მინდა გავუსვა იმას, რომ ქართველ მედიკოსთაგან, ვინც ამ პანდემიასთან ბრძოლის სათავეშია, თითქმის

ყველა მათგანს სწორედ საქართველოში აქვს განათლება მიღებული და მთელი თავისი პროფესიული კარიერა საქართველოში აქვს გავლილი. მინდა მოვუწოდო საზოგადოებას და ხელისუფლებასაც, რომ ძალიან კარგი იქნებოდა მადლიერება ჩვენი მესაზღვრეების მიმართაც გამოგვეხატა, როგორც ეს მედიკოსების მიმართ გავაკეთეთ. ისინიც ფრონტის წინა ხაზზე არიან. კარგი იქნება შეიქმნას მედიკოსებისა და მესაზღვრეების წამახალისებელი ფონდი.

ესაუბრა ნინო კაკულია

იმედი მაქვს, არც ახლა გვიღალატებს ისტორიული ალღო!

გვესაუბრება თსუ-ის პროფესორი ირმა რატიანი

— რა პარალელს გაავლებდით 30–40 წლის წინანდელი ქართული საზოგადოების პასუხისმგებლობებსა და დღევანდელ საზოგადოებას შორის? რა არის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები, თქვენი აზრით, ამ ორი საზოგადოებისა?

— პარალელებზე საუბარი, ალბათ, რთულია, გამომდინარე იქიდან, რომ 30-40 წლის წინ ქართულ და მსოფლიო საზოგადოებას სხვადასხვა მიზნები ამოძრავებდა და სხვადასხვა პასუხისმგებლობები აფიქრებდა. მსოფლიო საზოგადოება პოლიტიკური რეჟიმების დამხობის, ჩაკეტილი საზღვრების გახსნისა და ახალი ტექნოლოგიური გამოწვევების წინაშე იდგა, ქართულ საზოგადოებას კი ჯერ კომუნისტური მმართველობისა და რუსული ოკუპაციის დაძლევა, შემდეგ კი — საბჭოეთის დანგრეული იმპერიის უმძიმესი შედეგების გადატანა ელოდა. დღეს სულ სხვაგვარია მსოფლიო. გახსნილი საზღვრები, ტექნოლოგიური რევოლუციები, ადამიანური და ფინანსური რესურსების გლობალიზაცია, ამას-

ირმა რატიანი

თან — ღირებულებათა დევალვაცია, ეკოლოგიური კატასტროფის გაზრდილი ალბათობა. ეს საერთო ტენდენციები მსოფლიო საზოგადოების პასუხისმგებლობების უნიფიცირებასაც უწყობს ხელს. უმთავრესი პასუხისმგებლობა დღეს, როგორც ქართული, ისე მსოფლიო საზოგადოებისა, ალბათ, ღირებულებათა სისტემის გადახედვაა, მით უფრო, დღეს არსებული განსაცდელის პირობებში, როდესაც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში შეაღწია კორონავირუსმა: უამრავი დაავადებული, ხოლო ათასობით ადამიანი გარდაცვლილია. დღეს საზოგადოებას ეძლევა შანსი — გამოავლინოს ისეთი თვისებები, როგორიცაა ჰუმანურობა, სოლიდარობა, თავდადება და, რასაკვირველია, გონიერება. ყველა გადატანილი განსაცდელი ისტორიული გაკვეთილია. ვოცნებობ, რომ მსოფლიო საზოგადოება, ქართულიც მათ შორის, უფრო გონიერი და კეთილშობილი გახდეს. არაფერია ადამიანურ ურთიერთობებზე უფრო ძვირფასი. ყოველ შემთხვევაში, ასე წერდა ეგზიუპერი.

— თქვენი აზრით, როდის იჩენს ხოლმე თავს სოლიდარულობის განცდა და სჭირდება თუ არა ამას ორგანიზება (13 ივნისი, საქველმოქმედო ჯგუფები – დავეხმაროთ მოხუცებს და ა.შ)?

— სოლიდარობის განცდა უცხო არ არის ქართული საზოგადოებისთვის, რომელსაც არაერთი ისტორიული განსაცდელი გადაუტანია. თუმცა, ექსტრემალურ პირობებში სოლიდარობას ნამდვილად ესაჭიროება ორგანიზება და მივესალმები ყველა ინიციატივას, რომელიც მიმართულია იმისკენ, რომ ადამიანებმა სოლიდარობა გამოვუხატოთ ერთმანეთს: დავეხმაროთ მათ, ვისაც არ ძალუძს ან კატეგორიულად ეკრძალება სახლიდან გამოსვლა, ვისაც არა აქვს შემოსავალი, ვინც ებრძვის ქრონიკულ დაავადებას და ა.შ.. კარგის კეთებისკენ მოწოდება დღეს ძალზე მნიშვნელოვანია. ექსტრემალური პირობები ხომ დამატებით შფოთვებსაც აჩენს საზოგადოებაში და, სამწუხაროდ, ბევრი ისეთი დაფარული მანკიერება შეიძლება გამოვლინდეს, რაც ნორმალურ პირობებში არ ვლინდება. ამიტომაც, სოლიდარობისკენ მოწოდება, თუნდაც პირადი მაგალითის ჩვენება, მოწოდება სიმშვიდისკენ, კეთილგონიერებისკენ, სწავლისა და შრომის ტემპის შენარჩუნებისკენ და ბევრი სხვა რამ დიდ დახმარებას გაუწევს ქართულ საზოგადოებას შექმნილ არცთუ მარტივ ვითარებაში.

— ამ გადასახედიდან, როგორ ფიქრობთ, შედგა თუ არა ქართული საზოგადოება?

— ამ ეტაპზე ბევრი რამ უკვე გაკეთდა. საზოგადოებრივი პოზიციის სიმტკიცის, მონდომებისა და ნების გამოხატულების არაერთი მაგალითი შეიძლება მოვიტანოთ. შესანიშნავი მაგალითია დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში. მე თავად ვარ ამ პროცესში ჩართული და ვხედავ, როგორი თავდადებით მუშაობენ ჩემი კოლეგები და როგორი მონდომებულები არიან სტუდენტები! არც სამეცნიერო მუშაობა შეჩერებულა. შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტმა დისტანციურ რეჟიმში სამი უმნიშვნელოვანესი წიგნი მოამ-

ზადა გამოსაცემად და გადასცა კიდეც სტამბას. აღსანიშნავია მასშტაბური კულტურული კამპანია, რომელიც გაიშალა ინტერნეტსივრცეში ქართული თეატრების, მუზეუმების, ფოლკლორის ეროვნული ცენტრისა და სხვა კულტურული დაწესებულებების მიერ. მსგავსი ინიციატივები ნამდვილად ეხმარება სახლებში გამოკეტილ ადამიანებს, რათა არ იგრძნონ სოციალური იზოლაცია და მარტოობა. მე, პირადად, პასუხისმგებელი ვარ სსიპ „შემოქმედებით საქართველოზე" და გარწმუნებთ, რომ ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ ყველა მიმდინარე საკითხი განსაკუთრებული მონდომებითა და ყურადღებით მუშავდება.

ქვეყნის მასშტაბით თითოეული ადმინისტრაციული რგოლის ეფექტური მუშაობა ახლა უაღრესად საჭიროა ქვეყნისთვის. განსაცდელი გადაივლის და საზოგადოებამ რაც შეიძლება სწრაფად უნდა აღიდგინოს ცხოვრების ჩვეული რიტმი. თუმცა, არის კიდევ რაღაც, რაც ჩვენ შეგვიძლია და გვევალება.

ჩვენ შეგვიძლია და ვალდებულნიც ვართ, დავაფასოთ ქართველი მედიკოსების შრომა და თავდადება, რომლებიც ახლა წინა ხაზზე არიან და ძალ-ღონესა და ენერგიას არ იშურებენ ადამიანების სიცოცხლის გადასარჩენად. დავაფასოთ ამ ჭეშმარიტად ღირსეული პროფესიონალების ბრძოლა თითოეული პაციენტისთვის! დავაფასოთ ის ხალხი, ვინც პირბადეებითა და ხელთათმანებით შეხუთული გვემსახურება აფთიაქებსა და სურსათის მაღაზიებში! მედიის წარმომადგენლები! პროფესორ-მასწავლებლები, ვინც ყოველდღიური შრომით ინარჩუნებს სასწავლო პროცესს ქვეყანაში! ტექნიკური მუშაკები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინტერნეტსივრცის გამართულ მუშაობას! ისინი, ვინც ასუფთავებენ ქალაქებს! ისინი, ვინც იცავენ წესრიგს! ისინი, ვისაც საკვები მოაქვთ ჩვენთვის სახლებში!.. დავაფასოთ!

გარდა ამისა... ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ უფრო გონიერები. მოვუსმინოთ, დავუჯეროთ პროფესიონალებს, შევასრულოთ მითითებები...

დავაფასოთ და დავუჯეროთ! ეს არის ჩემი გზავნილი. თავს არ ვდებ ექსპერტობაზე, მაგრამ მგონია, რომ ქართველთა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თვისება არის კონსოლიდაციის გამოვლენა საჭირო, კრიტიკულ მომენტში. იმედი მაქვს, რომ არც ახლა გვიღალატებს ისტორიული ალღო.

ესაუბრა მაია ტორაძე

ნინო დურგლიშვილი: ჩვენს სოციალურ უპასუხისმგებლობას შეიძლება ბევრი უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლოს

გვესაუბრება სოციოლოგი, თსუ-ის პროფესორი ნინო დურგლიშვილი

COVID-19-ის პანდემიამ, გადადების უპრეცედენტო სიჩქარიდან გამომდინარე, არა მხოლოდ ჯანდაცვის სისტემას, არამედ თითქმის ყველა სოციალურ-ეკონომიკურ ინსტიტუტს შეუქმნა საფრთხე. მსგავსი გამოწვევისათვის მზად არ იყო მსოფლიოს არცერთი სახელმწიფო — რეალობა გვიჩვენებს, რომ რეაგირების მექანიზმები დაავადებისა და მისი გავრცელების შედეგების პარალელურად მუშავდება. ასეთ პირობებში სოციალური პასუხისმგებლობა გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. უამრავი ადამიანი მუშაობს დაინფიცირების ძალიან მაღალი რისკის პირობებში, სამწუხაროდ, ბევრი ადამიანი უკვე ემსხვერპლა სხვა ადამიანების ჯანმრთელობაზე ზრუნვას — ეს სწორედ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის შედეგს წარმოადგენს.

თუ გავითვალისწინებთ მედპერსონალისა და ყველა იმ სხვა პროფესიის ადამიანის თავდადებას, რომელიც საკუთარ მოვალეობებს სიცოხლისათვის საშიშ პირობებში მაღალი პროფესიონალიზმით ასრულებს საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირების მიზნით, საქართველო, ამ თვალსაზრისით,

ერთ-ერთ მოწინავე ქვეყნად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ, ვფიქრობ, ეკონომიკური ფაქტორი გამოწვევად რჩება.

„COVID-19“-ის გადადების გზებიდან და სისწრაფიდან გამომდინარე, თითოული ინდივიდის პასუხისმგებლობას თუ უპასუხისმგებლობას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. თუ ინფიცირებულთა რაოდენობა ისე გაიზრდება, რომ შეუძლებელი გახდება მათი იზოლაცია და მკურნალობა, ეს სისტემურ კრიზისს გამოიწვევს ყველა მიმართულებით. ცუდი სცენარის პირობებში არც სოციალური კოლაფსია გამორიცხული. ადამიანთა დიდი ნაწილი დაავადების თუ არა, მისი შედეგების მსხვერპლი აღმოჩნდება. ამის თავიდან აცილება მხოლოდ ინდივიდების დონეზეა შესაძლებელი. თითოეულმა ჩვენგანმა კარგად უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენს სოციალურ უპასუხისმგებლობას შეიძლება ბევრი უდანაშაულო ადამიანი ემსხვერპლოს.

ამ გაგებით, შექმნილი მდგომარეობა ნათლად გვიჩვენებს, რომ ინდივიდისა და საზოგადოების კეთილდღეობა ერთმანეთისაგან განუყოფელია — ვერავინ იგრძნობს თავს უსაფრთხოდ, სანამ საზოგადოებაში დაავადება ვრცელდება; არც ის არის სწორი, თუ ვინმე ფიქრობს, რომ საფრთხეს მხოლოდ საკუთარ თავს უქმნის — დაინფიცირების შემთხვევაში იგი აღმოჩნდება საფრთხის შემცველი ბევრი სხვა ადამიანისათვის, საბოლოოდ კი — მთელი საზოგადოებისათვის.

ამ თვალსაზრისით, საზოგადოების თითოეული წევრის ცნობიერების ასამაღლებლად ყველაზე ეფექტურ გზას წარმოადგენს ადამიანების ოპერატიული და ობიექტური ინფორმირება როგორც არსებული მდგომარეობის, ისე — დაავადებისა და მისი შესაძლო შედეგების შესახებ.

საქართველოში არსებული პოლიტიკური გარემოს გათვალისწინებით, ჩემი აზრით, ასევე მნიშველოვანია იმის დემონსტრირება, რომ დაავადების პრევენციასთან, მისი გავრცელების შეჩერებასთან დაკავშირებული ღონისძიებები ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების საფუძველზე ხორციელდება და პოლიტიკასთან კავშირში არ არის.

ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა

ბიზნეს ჯგუფების სოციალური პასუხისმგებლობა, ისევე, როგორც ინდივიდის შემთხვევაში, საზოგადოების კეთილდღეობასა და გარემოზე ზრუნვას გულისხმობს. სოციალურ პასუხისმგებლობას ბიზნესთან მიმართებაში პანდემიის გარეშეც განსაკუთრებული როლი ენიჭება, რადგან ბიზნესი ხშირად ეკოსისტემაზე, გარემოზე ზემოქმედებასთან არის დაკავშირებული. შესაბამისი დარგების მრავალი მეცნიერი მხარს უჭერს ჰიპოთეზას იმის შესახებ, რომ ეკოსისტემის ცვლილება გენური მუტაციების ერთ-ერთ ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს. ბიზნესის წარმომადგენლებმა, პირველ რიგში, ის უნდა გააცნობიერონ, რომ სოციალური პასუხისმგებლობის უგულებელყოფა მხოლოდ სხვების კი არა, მათი პრობლემაცაა, რადგან ისინიც იმ გარემოში ცხოვრობენ, რომელშიც საზოგადოების სხვა წევრები.

გლობალური მასშტაბით სიტუაცია ისეა გამწვავებული, რომ დაუინტერესებელი მხარე, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. ყველამ და, მათ შორის, ბიზნესმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს პანდემიის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებებში, არა მხოლოდ დაინფიცირებულ, არამედ, ზოგადად, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საჭიროების მქონე ადამიანთა დახმარებაში. და ეს არ არის მხოლოდ კეთილი ნების აქტი:

ა) უშუალოდ დაავადებასთან მიმართებაში არავინ არის დაცული რაიმე დემოგრაფიული პარამეტრის მიხედვით — პანდემია საფრთხეს წარმოადგენს გენდერის, ასაკის, შემოსავლის, საქმიანობის, განათლების, ეთნიკური თვითიდენტობის, რასის და ა.შ. მიუხედავად.

ბ) ბიზნესის შემთხვევაშიც ნარჩუნდება ის საფრთხეები, რომლებსაც დამსაქმებლებთან დაკავშირებით შევეხეთ.

გ) გარდა ამისა, გრძელვადიან პერსპექტივაში ისინი დაკარგავენ მომხმარებლის მნიშვნელოვან ნაწილს, თუ პანდემიის შემდგომ პერიოდში მოსახლეობის დიდი ნაწილი მსყიდველობითუუნარო აღმოჩნდება.

ახლა სწორედ ის სიტუაციაა, როდესაც სხვა ადამიანებზე ზრუნვა საკუთარ თავსა და ბიზნესზე ზრუნვის ტოლფასია.

სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობა

არსებულ რეალობაში სახელმწიფოს მხრიდან სოციალური პასუხისმგებლობა ნიშნავს ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რომლებიც საზოგადოების ყველა ფენის მაქსიმალურ დაცვას უზრუნველყოფს არა მხოლოდ დაავადების, არამედ არსებობისათვის აუცილებელი ყველა ასპექტის გათვალისწინებით. ჯანდაცვა, ცხადია, ნომერ პირველი პრიორიტეტია, მაგრამ მოსახლეობის უზრუნველყოფა საკვებით, საცხოვრებლით, ჰიგიენის დაცვისთვის საჭირო საშუალებებითა და სხვა აუცილებელი პირობებით, არანაკლები მნიშვნელობის ამოცანებს წარმოადგენს. ამავე დროს, შექმნილი სიტუაციის მართვის პარალელურად, მნიშვნელოვანია პოსტპანდემიური პრობლემების გათვალისწინებაც, რაც სახელმწიფოს მხრიდან რელევანტური სტრატეგიების შემუშავებას, ფინანსური და მატერიალური რესურსების უაღრესად ოპტიმალურ მართვას გულისხმობს.

ესაუბრა თამარ დადიანი

თსუ-ის სტუდენტი, რომელიც „კოვიდ-19“-ით გამოწვეულ ახალ რეჟიმში მყოფთა ერთ დღეს შეცვლის

„ამ „დიადი“ ვირუსის ჟამს სახლში მოწყენილი ვიჯექი, როცა ფოსტაზე თსუ-ის გაზეთის რედაქტორისგან წერილი მივიღე. აღმოჩნდა, რომ დისტანციურ სწავლაზე გადასვლის გამო უნივერსიტეტის გაზეთიც დისტანციურ მუშაობაზე გადადის, რაც ნიშნავს, რომ, სამწუხაროდ, გაზეთი დროებ-

დეა ცომაია

ით ვეღარ დაიბეჭდება. თუმცა, ჩვენ ხომ დიდი ხანია, ინდუსტრიულიდან ინფორმაციულ საზოგადოებაზე გადავერთეთ. დღეს კი დისტანციური მასალების, საჭირო ინფორმაციისა და ლიტერატურის მოძიება გაცილებით ხელშესახები და მარტივია, რაც გვაძლევს საშუალებას, ვთქვათ, რომ საგანგებო ვითარებაში მსგავსი სწავლების მეთოდი საკმაოდ ეფექტური და ხელსაყრელი უნდა იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ეს რეალური ურთიერთობების ხიბლს ვერ ჩაანაცვლებს“, — ეს პატარა მესიჯი დაწერა უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოსოფიის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტმა დეა ცომაიამ თსუ-ის სტუდენტებისთვის დაგზავნილ კითხვარებზე ერთ-ერთ პასუხში და გრაფაში — რას მისდევთ? რას ქმნით? რა არის შენი ჰობი? — გვიპასუხა, რომ წერს ჩანახატებს და ხატავს. ეს პასუხი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ დეას პირადად დავკავშირებოდი და მინდა გითხრათ, რომ საოცრად საინტერესო ადამიანს წავაწყდი. გადმომიგზავნა თავისი ჩანახატები და შემდეგ უკვე ნახატები. პირველი, რაც თვალში მომხვდა, მისი ბუნებაა. წერის დროს ხომ მთლიანად იშიფრება ადამიანი, რაც არ უნდა ფანტაზიებით „აფერადოს“ ნაწერი. მივხვდი, რომ ჩვენი დღევანდელი რეალობის პირობებში ჩაუკარგავ და სიცოცხლისთვის საღად მებრძოლ დიდ-პატარა გოგოს მივაგენი, რომლისთვისაც ქართული ფასეულობები ისეთივე ძვირფასია, როგორც მათთვის, ვინც ხშირად ოხრავს — „ეს ახალგაზრდობა როგორი გაიზრდება? რა ეყვარება? რას დააფასებს?“-ო...

ამ კითხვაზე დეას ბუნება პასუხობს მისივე ფანტაზიებით თუ რეალობის აღქმით გაჯერებული ჩანახატის თუნდაც ამ სტრიქონებით: „არ დავიწყებ წინასწარმეტყველებას იმაზე, თუ როგორ დასრულდება ყველაფერი. ადრე დავობლდი და ბებიამ გამზარდა. არასდროს მიგრძნია სიცივე ან სიღარიბე, მაგრამ მხოლოდ მოგონებებით ვსაზრდოობდი. ყოველთვის მქონდა მიზანი, რომ ჩემი მდგომარეობა უკეთესობისკენ შემეცვალა. სახელმწიფო სასწავლებელში ვსწავლობდი, თუმცა ჩემი შემოსავალი მჭირდებოდა, საწყალი ბებიაც მისი პენსიით მარჩენდა და მას მეტად კისერზე ველარ დავაწვებოდი. ერთხელ სასწავლებელში რომ მივდიოდი, ტრავმაის გაჩერებაზე უცნაურ განცხადებას მოვკარი თვალი. მისამართი ჩავინიშნე, დავრეკე და გასაუბრებაზე რომ მივედი, დავინახე ჟანდინის უზარმაზარი და თვალწარმტაცი გალერეა, სადაც ერთი ფრანგული გარეგნობის ქალბატონი შემომეგება. მომესალმა და ღიმილით მითხრა: — მოხვედი? — მივესალმე და ხედით ტკბობა განვაგრძე, მან კი მოწიწებით მითხრა, რომ კვირაში ერთხელ მოლბერტები უნდა გამეწმინდა. არანაირი სამსახური არ მეთაკილებოდა, ამიტომ სიამოვნებით დავთანხმდი. იქ მქონდა საშუალება საათობით მეყურებინა გამოჩენილი მხატვრების ნახატებისთვის, შემეგრძნო ხელოვნების სიღრმეები და მძაფრად დამენახა საკუთარი ყოფა“ (ამონარიდი ჩანახატიდან — „შემოდგომის ნახანძრალი ტყეები“).

მე-10 კლასში იყო, როცა ქართული ენის მასწავლებელმა ბავშვებს სკოლაში მისული განაცხადი წაუკითხა მხატვრული წერის ოლიმპიადასთან დაკავშირებით. „სათაურმა მიმიზიდა და გადავწყვიტე მეცადა წერა... სწორედ ეს ოლიმპიადა იყო გამოწვევა — საკუთარ თავში პატარა მწერალი გამეღვიძებინა“, — გვწერს დეა ცომაია. მოსწონს ფიქრი და კითხვების დასმა, ხშირად არსებულ პრობლემებზეც წერს პატარ-პატარა ჩანახატებს და შემდგომ ამ ყველაფერს მისივე ნახატებით ასურათებს. ხატავს 2 წლიდან. „უსაყვარლესი ბებია მყავდა, ერთად ვისხედით და ყველაფერს წარმოსახვით ვხატავდით. სწავლისა და დროის დეფიციტის გამო დიდ ასაკში ველარ ვუთმობდი ხატვას დროს, თუმცა მე-9 კლას-

ში საოცარი ადამიანი გავიცანი, რომელმაც კვლავ მიბიძგა ხატვისკენ. ჯგუფურ გამოფენებში ბავშვობიდან ვმონაწილეობდი“, — გვწერს დეა. მისი რამდენიმე ნამუშევარი პოლონეთის საგამოფენო ინდუსტრიაშიც გააგზავნეს, შემდეგ, სამგორის გამგეობის ეგიდით, მისი ნახატების გამოფენით ჭირნახულის ქუჩა გაიხსნა, ხოლო პირველი პერსონალური გამოფენა 15 წლის ასაკში ჰქონია. მას მერე მრავალ საერთაშორისო არტ-ღონისძიებასა თუ პროექტშია ჩართული. ამ აქტივობების მიუხედავად, დეა მხოლოდ დღეს გავიცანით. ცხოვრების რიტმის შეცვლასა და „ონლაინ რეჟიმსაც“ ჰქონია თავისი ხიბლი, რადგან სახლში დარჩენილებმა, როგორც იქნა, მოვიცალეთ ადამიანების „დასანახად“ — თურმე, ვინ ყოფილან ისინი?

მუშაობა პირველ კურსზე დაიწყო რადიოში — „საქართველოს ხმა — FM 107.9“. თავდაპირველად სამედიცინო გადაცემის წამყვანი იყო, ახლა კი მისივე საავტორო პოლიტიკურ-ფილოსოფიური და ლიტერატურული გადაცემის — „ლიტერას“ წამყვანია. „ალბათ, ყველას გაუგონია ფრაზა, რომ „თითოეული წარმატების უკან ძლიერი ადამიანები დგანან“. ამიტომ ხშირად ვეუბნები დედას მადლობას, ადამიანს, რომელმაც მისი სამყარო მანდო, რომლის სულის ანარეკლიც ვარ და ურომლისოდაც მე ასეთი არასდროს ვიქნებოდი“, — მწერს დეა.

დარჩით სახლში იმ „ყოველდღიურობის“ დასაბრუნებლად, რომელიც ყველას ასე გვაკლია

ის, რომ ბედნიერები ვყოფილვართ თურმე ამ ახალ კორონავირუსამდე და ბევრ რამეს ვერ ვაცნობიერებდით, ვერ ვგრძნობდით და ვერ ვაფასებდით — ეს განცდები სოციალურ ქსელში ყველა სახის ადამიანთა ნაწერებიდან ჩანს. მომავალი ფილოსოფოსის ხედვაც ჩვენს ამ შეფასებას ემთხვევა: „საგაზაფხულო სემესტრის დადგომას დიდი ენთუზიაზმით ველოდი, რადგან ყოველი ახალი კურსი ახალი გამოწვევის

ანალოგია. თუმცა, გაზაფხულის მოსვლასთან ერთად, ჩვენს ცხოვრებაში ახალმა „პარაზიტმა“ შემოანათა — კორონავირუსის სახით. რთულია, როცა გრძნობ და აანალიზებ, თუ რამხელა საშიშროების წინაშე დგას როგორც მსოფლიო, ასევე შენი ქვეყანა. ასევე, რთულია სახლის რუტინასთან შეგუებაც, რადგან სტუდენტური მოძრავი ცხოვრებიდან ფაქტობრივ კოლაფსში, ანუ უძრაობაში აღმოვჩნდით. ამ დროს ჩვენი ფსიქოლოგია მუდმივ ფიქრსა და დილემაშია, რადგან ჩვენ ეკზისტენციალურ „მე“-ს არ შეუძლია მყოფადი პრობლემის მხედველობის ზონიდან გაქრობა, იგნორირება ან გვერდის ავლა. თუმცა, მეორე მხრივ, დატვირთული რეჟიმის მქონე ადამიანები გაცილებით მეტ დროს ატარებენ ოჯახებთან. ასევე, სოციალურ სივრცეებში გაჩნდა იუმორისტული შარჟები და როგორც ჩარლი ჩაპლინი იტყოდა — „თითოეული დღე დაკარგულია იუმორის გარეშე“.

მე საუკუნო უნივერსიტეტში ვსწავლობ, იქ, სადაც მოღვაწეობდნენ და მოღვაწეობენ: ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ალექსანდრე ერქომაიშვილი, თამაზ გამყრელიძე და სხვა სახელოვანი ადამიანები. ამიტომ, დავსვათ მარტივი კითხვა, რა არის ჩვენთვის უნივერსიტეტი? — ეს არის პატარა სახელმწიფო დიდში, ცოდნის სახლი და ურთიერთობა, სივრცე, სადაც სტუდენტები ლექციაზე ახლის შემეცნების იმედით მიდიან; ასევე, ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება, აზრობრივი გარდატეხების სათავე, პოლემიკისა და დებატების წარმოების სივრცე, თანაც ისე, რომ მხარეები სწორ და ადეკვატურ პოზიციას იცავდნენ და ადგილი, სადაც ინდივიდი — პროფესიულად შემდგარ „პიროვნებად“ უნდა გარდაიქმნას.

სიმართლე გითხრათ, ამ დისტანციურ სწავლასაც შევეჩვიე. რაღაც დოზით კარგია, რადგან მუდმივად სადღაც არ გეჩქარება... თუმცა მიჭირს, რადგან ცოცხალ პოლემიკასა და ემოციებს ვარ მოწყურებული. ჩემი ლექტორები მომენატრა ძალიან, მათთან ურთიერთობა ცალკე სიამოვნებაა. ჩვენ ახლა ბევრი დრო გვაქვს იმაზე საფიქრელად, თუ რა იყო მანამ, რა არის ახლა ან რა იქნება შემდგომ, ამიტომ ეპიდემიის

ჩავლასთან ერთად, ვფიქრობ, თითოეული სტუდენტი უფრო მეტად დააფასებს უნივერსიტეტს, მის საქმიანობასა და რეალურ ურთიერთობებს, რომელიც ჩვენი ცხოვრების თანმდევია. დარჩით სახლში იმ „ყოველდღიურობის“ დასაბრუნებლად, რომელიც ყველას ასე გვაკლია!“ — ეს მონოლოგი იმ დიდ-პატარა გოგოს ეკუთვნის, რომელსაც, შეიძლება, ადრე ბევრჯერ გასჭირვებია, მაგრამ არ დაუწუწუნია; სტუდენტობის ასაკშივე მუშაობის დაწყება სცადა, თანაც თავიდან დიდი არჩევანისა და ტუჩის ამრეზის გარეშე — მას ხომ არაფრის კეთება არ ეთაკილება. რამდენჯერაც სულიერად გაუჭირდა, დაჯდა და წერა, მოიმარჯვა ხელში ფანქარი და ხატა — მან ეს ყველაფერი შექმნა! და არა დაანგრია, დაანაკუწა, გადაადგო, გაიბერა... დღეს იცის, თავისი წარმატებისთვის მადლობა ვის უთხრას... „ბოდიშს“ ხშირად არ ამბობს, რადგან, ალბათ, ცოტა დაუშავებია შესაბამისი სიტყვის სათქმელად... დღევანდელ რთულ დროს, როცა თვითიზოლაციიდან და კარანტინიდან უპასუხისმგებლო ზოგიერთი ადამიანი გამორბის, სახლში მობილიზებულ დეას თავისი დღის განრიგი აქვს და მართავს ემოციებს — ვის მიესალმოს, ვის გამოეპასუხოს, ვის რა უთხრას შორიდან... შორიდანაც ეს ადამიანი იმ ციცინათელასავით ჩანს, რომელიც ადგილ-ადგილ სიბნელეს ანათებს... ეს შედარებაც მისმა ფრაზებმა მათქმევინა, რომელიც პასუხად მივიღე კითხვაზე — ფილოსოფია და ღმერთი — ამ თემასაც ხომ არ შეავლე თვალი მსოფლიოსთვის ამ დიდი განსაცდელის ჟამს-თქო და მან მიპასუხა: „მსგავს კითხვაზე პასუხს თავს ვარიდებ ხოლმე, თუმცა მოკლედ გიპასუხებთ. ალბათ, საკმაოდ კარგად აღნიშნა არტურ შოპენჰაუერმა, რომ „რელიგია ციცინათელას ჰგავს: იმისთვის, რომ გაანათონ, მათ სიბნელე სჭირდებათ“. ხშირად კი ამ სიბნელიდან გამოსავალი საკუთარ ცნობიერში იმ რწმენის აღმოჩენაა, რომელიც ადამიანის სულს ეფინება, გონებას ხსნის და ნებისმიერ დაბრკოლებასთან ბრძოლის ალტერნატივას უჩენს“.

ავტორი: ნინო კაკულია

„COVID-19“-ის პირობებში გააქტუალურებულ კითხვებს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ნუნუ მიცკევიჩი პასუხობს

როგორ გავიუმჯობესოთ იმუნიტეტი

— როგორ პასუხობს იმუნური სისტემა ახალი ტიპის ვირუსს?

— დღეს მსოფლიოში შექმნილმა სიტუაციამ ერთობ გააფართოვა საზოგადოების ზოგადი ცოდნა ვირუსებისა და იმუნიტეტის შესახებ. რაც შეეხება იგივე საკითხების სპეციფიურ ცოდნას, ზუსტად ამის ძიებაშია დღეს კაცობრიობა. სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების სხვადასხვა დარგში დაგროვილი სამეცნიერო მიღწევები, ის თეორიული თუ პრაქტიკული მტკიცებულებები, რაც კონკრეტულად ვირუსოლოგიასა და იმუნოლოგიაში ასე ჭარბადაა წარმოდგენილი, არ აღმოჩნდა საკმარისი მიკროსამყაროს ახალ გლობალურ შემოტევასთან გასამკლავებლად. ინფექციების მიმართ იმუნური პასუხის შესახებ დაგროვილი თეორიული ცოდნა, დიდწილად, უკვე გადატანილია პრაქტიკულ მედიცინაში. ამის საუკეთესო დასტურია ვაქცინაციის მიღწევები, რამაც კაცობრიობა არაერთხელ დაიცვა სხვადასხვა გადამდები დაავადებებისგან. დღესაც ახალი ვაქცინის მოლოდინშია მსოფლიო.

მანამდე კი თითოეული ჩვენგანი ჩვენი იმუნური სისტემის იმედად ვართ, რომელიც ფხიზლად დგას ჩვენი ჯანმრთელობის სადარაჯოზე და მისი არსენალი გადანაწილებულია სხვადასხვა საგუშაგოებზე. ჩვენი ორგანიზმის პირველი დაცვის ხაზი — კანი და ლორწოვანი გარსები (ფიზიკურ-ქიმიური ბარიერი), იმუნური სისტემის ცენტრალური და პერიფერიული ორგანოები, ქსოვილები, უჯრედები კოორდინირებულად მოქმედებენ; ქმნიან და აძლიერებენ ორგანიზმის თავდაცვის უნარს. მათი ფუნქციაა ზუსტად შეიცნონ შემოჭრილი მტერი — ახალი ვირუსი, შეისწავლონ და გამოიმუშაონ მასთან

ნუნუ მიცკევიჩი, თსუ-ის პროფესორი

საბრძოლველი, ზუსტად მორგებული, მაღალსპეციფიური იარაღი — უჯრედებისა და ცილების სახით; ასევე, შეინახონ ცოდნა ამ ვირუსის შესახებ, რათა განმეორებითი შემოჭრის შემთხვევაში ადვილად შეძლონ გამკლავება და მომზადებული, დაცული დაახვედრონ ორგანიზმი. იმუნური სისტემის მიერ შექმნილი თავდაცვის ერთ-ერთი მზა იარაღია ვირუსის ცალკეული კომპონენტების საწინააღმდეგოდ გამომუშავებული ანტისხეულები, რომელიც რჩება ორგანიზმში და მათი არსებობა მიგვანიშნებს გადატანილ ინფექციაზე. იმის შესახებ, თუ რა ინტენსივობით და ხანგრძლივობით ინარჩუნებს ორგანიზმი ანტივირუსულ იმუნიტეტს „COVID-19“-ის შემთხვევაში, ჯერ სარწმუნო კვლევები არ გვაქვს. ადამიანებში აღწერილი რეინფიცირების რამდენიმე შემთხვევა არ დასტურდება ექსპერიმენტულ ცხოველებზე (მაიმუნებზე) ჩატარებული კვლევებით.

როგორც მოგეხსენებათ, 21-ე საუკუნეში კორონავირუსის ორი ეპიდემიაა აღწერილი 2002 და 2012 წლებში (სამხრეთ ჩინეთსა და საუდის არაბეთში), სადაც გამოჯანმრთელების მაჩვენებელი არ იყო მაღალი და გადადებაც დაბალი იყო,

არცერთ შემთხვევაში დაავადების გავრცელებას პანდემიის სახე არ მიუღია. 2019 წლის დეკემბერში ჩინეთში (ქ.უჰანი) გამოვლენილი „COVID-19“ არის ადამიანის ახალი კორონავირუსული ინფექცია, რომლის შესახებაც, სამწუხაროდ, დღეს ჯერ ბევრი რამ კიდევ არ ვიცით. 2020 წლის 11 მარტს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ დაავადების გავრცელება პანდემიად გამოაცხადა.

იმედია, ძალიან ჩქარა იმუნური სისტემის გამარჯვებით დასრულდება ახალ კორონავირუსთან ბრძოლაც და შეჯამებულ ეპიდმაჩვენებლებს დაესმება წერტილი მსოფლიო მასშტაბით. და რაც მთავარია, გამოჯანმრთელების მაჩვენებლის მიხედვით, სტატისტიკა მკვეთრად დადებითი იქნება მდგრადი ანტივირუსული იმუნიტეტის ჩამოყალიბებით.

— რა შემთხვევების და დაავადებების დროს ქვეითდება იმუნიტეტი? ან კი როგორ გავიუმჯობესოთ იმუნიტეტი? — საინტერესოა თქვენი რეკომენდაციები...

— იმუნური სისტემა საკმაოდ მგრძნობიარეა და მისი მაჩვენებლები რეაგირებენ როგორც გარეგან, ასევე შინაგან ზემოქმედებაზე. ის ინტეგრალურ რეგულაციაშია ნერვულ და ენდოკრინულ სისტემებთან. იმუნური სისტემის არასრულფასოვან ფუნქციონირებას იმუნოდეფიციტს უწოდებენ. ის გამოწვეულია იმუნური სისტემის რომელიმე კომპონენტის ან მისი პროდუქტის დეფექტით. მიზეზი შესაძლოა იყოს თანდაყოლილი, რაც, უმეტესად, გენეტიკურ დარღვევებთან ასოცირდება და, სამწუხაროდ, ადრეულ ასაკშივე მაღალი ლეტალობით ხასიათდება. ასევე, აღწერილია შეძენილი, ანუ მეორადი იმუნოდეფიციტები, რაც გამოწვეულია სიცოცხლის განმავლობაში დაბადების შემდგომი დარღვევებით და სხვადასხვა დაავადებების განვითარების მიზეზი ხდება. ყველაზე ხშირია იმუნოდეფიციტური მდგომარეობები, რომლის გარდამავალი ხასიათი, ძირითადად, ნორმისკენაა შექცევადი.

იმუნიტეტის დაქვეითებას იწვევს ორგანიზმისთვის არაასასურველი ზემოქმედებები: სტრესი, არასრულფასოვანი კვება, ქიმიო და სხივური თერაპია, ხანდაზმულობა, გადატა-

ნილი ინფექციები და სხვ. წელიწადის დროთა მონაცვლეობა ასევე გავლენას ახდენს ორგანიზმის რესურსულ მარაგზე. გაზაფხული ცოცხალი ბუნებისთვის ერთგვარი გამოღვიძების პერიოდია და ადამიანის ორგანიზმიც ყველა საჭირო ძალის მობილიზაციას ახდენს. იმუნური სისტემის გამართული მუშაობისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სრულფასოვანი კვების სახით ორგანიზმისთვის მთავარი საშენი მასალის — ცილოვანი პროდუქტების, მიკროელემენტებისა და ვიტამინების მიწოდება; ასევე, ფიზიკური გამაჯანსაღებელი ვარჯიშის სისტემატურად შესრულება. იმუნოდეფიციტის მიზეზი შესაძლოა გახდეს ნებისმიერი სახის სტრესი, ემოციური თუ ფიზიკური გადაღლა, რაც დამცავი სისტემის დასუსტებას და იმუნიტეტის დაქვეითებას იწვევს.

წლევანდელი წლის აკადემიურ წლად გამოცხადების არანაირი აუცილებლობა არ არსებობს

— ბევრ სტუდენტს აინტერესებს, ხომ არ გამოცხადდება წლევანდელი წელი აკადემიურ წლად და რა იქნება თქვენი, როგორც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის, განმარტება ამასთან დაკავშირებით?

— ქვეყნის მთავარი საზრუნავი, მოგეხსენებათ, თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობაა. შესაბამისად, განათლების სისტემამ მხარი დაუჭირა ერთიან პოლიტიკას და შეაჩერა სასწავლო პროცესის ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობა, რითაც უზრუნველვყავით მოსახლეობის ნაწილის იზოლაციის შესაძლებლობა და, შესაბამისად, გაძლიერდა ინფიცირების პრევენცია. განათლების სისტემას მუშაობა არ შეუჩერებია, სწავლების პროცესი გადავიდა ალტერნატიულ რეჟიმში. დისტანციური სწავლება და მასთან დაკავშირებული გარკვეული სირთულეები ერთიანი გამოწვევაა გლობალურად განათლების სისტემისთვის. ეს ნათლად ჩანს წამყვანი ქვეყნების მაგალითებზეც. ჩენი მხრიდან ყოველდღიურად

ხდება სწავლის ხარისხზე ზრუნვა, ჩვენ პროცესების გამართულობაზე ვმუშაობთ და, შესაბამისად, დღეს ჩვენს ქვეყანაში სასწავლო წლის აკადემიურ წლად გამოცხადების არა თუ აუცილებლობა, საჭიროებაც არ დგას ამ ეტაპზე.

— რა ინფორმაცია გაქვთ — როგორ მიდის დისტანციური სწავლა/სწავლების პროცესი?

— დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის აუცილებლობა მყისიერად დადგა საგანმანათლებლო სივრცის წინაშე, რაც, ბუნებრივია, სერიოზული გამოწვევა აღმოჩნდა განათლების სისტემის ყველა საფეხურისათვის. განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მუდმივ კომუნიკაციაშია უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან, ინფორმირებულია სასწავლო პროცესის გამართულობისთვის აუცილებელი საჭიროებების შესახებ და აწვდის მათ შესაბამის რეკომენდაციებს. მიუხედავად მცირე პერიოდისა, რაც ახალ რეალობაში გვიწევს ცხოვრება და საქმიანობა, ქვეყნის მასშტაბით, ინტენსიური მუშაობა ჩატარდა დისტანციური სწავლების გასამართად. დღეის მდგომარეობით, უკვე შეგვიძლია, გარკვეულწილად, შეჯამებული სურათი გაგიზიაროთ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმრავლესობამ მნიშვნელოვნად მოკლე დროში წარმატებით გაართვა თავი დისტანციური კომუნიკაციის მოწესრიგებას, შერჩეული პლატფორმების გამართულად ამუშავებას. რაც შეეხება სწავლა/სწავლებას, მოგეხსენებათ, ეს პროცესი მხოლოდ მასალის მიწოდებას არ გულისხმობს და, შესაბამისად, ჩვენ უკვე აქტიურად ვმუშაობთ განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრთან ერთად, რათა შეფასების ნაწილში გარკვეული ერთიანი მიდგომა იყოს შემუშავებული, სტუდენტისგან უკუკავშირი იყოს გაძლიერებული და პროცესი გახდეს კიდევ უფრო ინტერაქტიული.

გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ რეალურ დროში გვიწევს ამ პროცესების დალაგება, მართვა, მონიტორინგი და, შესაბამისად, ყველა მონაწილე რგოლი ვითავისებთ — თუ რა სირთულეების წინაშე დგას სისტემა და გაგებით ვეკიდებით არსებულ მოცემულობას, ასევე, პარალელურად, ვმუშაობთ

ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით. აღსანიშნავია, რომ დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის და დანერგვის პროცესი არის სოლიდარული, მხარდაჭერილია როგორც პიროვნულ დონეზე — სტუდენტებისა და ლექტორების მხრიდან, ასევე ინსტიტუციურ დონეზე — უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან. გვაქვს, აგრეთვე, ინსტიტუციათაშორისი თანამშრომლობის არაერთი მაგალითი უნივერსიტეტებს შორის ტექნიკური გამართულობის მხარდაჭერის კუთხით.

— უმაღლესში ჩაბარების მსურველი აბიტურიენტებისთვის როგორ ჩატარდება გამოცდები და რა მოლოდინები უნდა ჰქონდეთ აბიტურიენტებს? (ხომ არ გაუქმდება გამოცდები და რამდენად ექნებათ მიღება უმაღლეს სასწავლებლებს ახალი სემესტრიდან (სექტემბრიდან)?

— გამოცდების ჩატარებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები გეგმიურად მიმდინარეობს. ამ ეტაპზე გამოცდების ჩატარების ვადების ცვლილება არ განიხილება. როგორც მოგეხსენებათ, გახანგრძლივდა გამოცდებზე მონაწილეობის მსურველთა რეგისტრაციის ვადები 30 აპრილის ჩათვლით და ეს ეხება როგორც ერთიან ეროვნულ გამოცდებს, ასევე, საერთო სამაგისტრო გამოცდებს და სტუდენტთა საგრანტო კონკურსს. რეგისტრაციის ვადის გახანგრძლივება არ აისახება გამოცდების ჩატარების თარიღზე. იმედს ვიტოვებთ, რომ ზაფხულისთვის ეპიდემიოლოგიური მდგომარეობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გლობალურად გაუმჯობესებული იქნება და მომავალი სასწავლო წლის მისაღები გამოცდები დაგეგმილ ვადებში ჩატარდება.

დასასრულს ვიტყვი, რომ დღეს კიდევ ერთხელ დადასტურდა ხარისხიანი განათლებისა და სამეცნიერო მიღწევებზე დაფუძნებული ცოდნის საჭიროება და მისი მნიშვნელობა კაცობრიობის ხვალინდელი დღისთვის.

ყველას გისურვებთ ჯანმრთელობას, სიმხნევეს და, რაც მთავარია, მდგრად იმუნიტეტს!

ესაუბრა ნინო კაკულია

თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ლაშა საღინაძის პასუხები „კოვიდ 19“-ით გამოწვეულ მოცემულობაზე, მოლოდინებზე და შიშებზე

— როგორ შეხვდნენ დისტანციურ სწავლა/სწავლების ახალ პროცესს სტუდენტები და პროფესორები? ხომ არ გამოიკვეთა სირთულეები?

— რა თქმა უნდა, აღნიშნული პროცესი გარკვეულ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ეს, გარკვეულწილად, ბევრისთვის სიახლეს წარმოადგენდა და ადაპტაციისთვის გარკვეული პერიოდი დასჭირდათ. აღნიშნულის შესამსუბუქებლად უამრავი ტრენინგი ჩატარდა, გაკეთდა ვიდეო ტუტორიალები, რათა, როგორც აკადემიურ პერსონალს, ისე სტუდენტებს, გაადვილებოდათ ადაპტაცია. დისტანციური სწავლებისთვის უნივერსიტეტში ვიყენებთ (სინქრონული სწავლებისთვის) Zoom-ის აპლიკაციას, ასევე, Moodle-ს და LMS-ს.

— რას გვეტყვით თსუ-ის მხრიდან წამოწყებულ სხვადასხვა ინიციატივაზე? ვგულისხმობ ფსიქოლოგიური კონსულტაციების გაწევის ინიცირებას, რომელიც ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ეგიდით ხორციელდება; ასევე ცნობილია მედიცინის ფაკულტეტის არაქართულენოვანი სტუდენტების მოხალისეებად წასვლის ფაქტი მარნეულის რეგიონში; გარდა ამისა, სტუდენტურმა თვითმმართველობამ სტუდენტებს და პროფესურას დახმარება შესთავაზა დისტანციური სწავლის რეჟიმში გადასვლისას წარმოქმნილი პრობლემების პარალელურად... ამ ინიციატივების აღსრულებაზე რა ინფორმაციას ფლობთ?

— ჩვენ უნივერსიტეტის ფეისბუქგვერდის მეშვეობით თქვენს კითხვაში დასმულ თემებზე განვაცხადეთ. შესაბამისად, რა თქმა უნდა, ყველა ამ თემაზე ინფორმაციას ვფლობთ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ კრიზისულ ვითარებაში უნივერსიტეტმა თავისი რესურსები მაქსიმალურად გამოიყენოს და დაეხმაროს მათ, ვისაც ეს სჭირდება. დამე-

ლაშა საღინაძე

თანხმებით, თსუ-ს უამრავი ამგვარი რესურსი გააჩნია. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა ჩვენს აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს ამ მხარდაჭერისთვის!

— რომელი პლატფორმები გამოიყენება ელექტრონული სასწავლო პროცესის განხორციელებისას? რამდენად კარგად მუშაობს სისტემა?

— ამ კითხვაზე პასუხი პირველი კითხვისას გავეცი. რაც შეეხება სისტემის სრულყოფილად მუშაობას, როგორც უკვე აღვნიშნე, გარკვეული მიმართულებით ბევრისთვის ახალი იყო ელექტრონული სწავლების პლატფორმებთან მუშაობა, თუმცა შეთავაზებული სერვისების შემდგომ, ვფიქრობ, პროცესი სრულყოფილთან ახლოსაა და უახლოეს მომავალში უკვე სრულყოფილ სახეს მიიღებს.

— მიუხედავად იმისა, რომ თსუ-ის ადმინისტრაციამ განმარტა, რომ სასწავლო პროცესი არ შეჩერდება, ზოგიერთ სტუდენტს მაინც აქვს კითხვა — შეიძლება თუ არა, რომ სწავლა გადაიდოს და წელი აკადემიურ წლად გამოცხადდეს? (რამდენადაც ვიცი, სტუდენტების პეტიციაც კი შეიქმნა შესაბამისი მოთხოვნებით)...

— აღნიშნული საკითხი არ განიხილება. მესმის და კიდევ ერთხელ განვმეორდები, რომ ბევრისთვის ეს პროცესი ახალია, მაგრამ დიდი იმედი გვაქვს, რომ უახლოეს პერიოდში პროცესი სრულყოფილ სახეს მიიღებს.

— როგორ წარიმართება საგამოცდო პროცესი? თუ არის გამოკვეთილი სტრატეგია...

— ამ ეტაპზე გვიჭირს ამაზე საუბარი, თუმცა დიდი ალბათობით შუალედური გამოცდები ამ სემესტრში გაუქმდება, თუმცა ეს პრობლემას არ წარმოადგენს და ახალი შეფასების სისტემის შეთავაზება მოხდება სტუდენტებისთვის.

— რაც შეეხება სპეციფიკურ საგნებს, რომლებიც გულისხმობს, მაგალითად, ლაბორატორიულ მუშაობას ან პრაქტიკულ სწავლებებს, როგორ რეგულირდება ეს საკითხი?

— ამ მიმართულებით ფაკულტეტები აქტიურად მუშაობენ. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ ლაბორატორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტები სასწავლო პერიოდის ბოლოსკენ არის გადატანილი. იმედს ვიქონიებთ, საქართველოსა და მსოფლიოში ეს კრიზისული ვითარება მალე დასტაბილურდება და სააუდიტორიო მეცადინეობების დაწყების საშუალება მალე მოგვეცემა.

— როგორც სემესტრის დაწყებამდე განაცხადეთ, უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა აპირებდა პროფესურისთვის და შემდეგ ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის ხელფასების მომატებას. ამ ახალი კორონავირუსის პირობებში გაჩენილი მოსალოდნელი ეკონომიკური კრიზისის ფონზე შეჩერდება თუ არა ამ მხრივ თქვენი ინიციატივების განხორციელება?

— აკადემიური პერსონალისთვის და დაბალი ანაზღაურების მქონე ტექნიკური პერსონალისთვის ანაზღაურების ზრდა უკვე განხორციელდა მარტის თვიდან. ამ მიმართულებით, ამ ეტაპზე, გეგმა უცვლელია და სექტემბრიდან ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალსაც მოემატება ანაზღაურება.

— რამდენად ემუქრება უნივერსიტეტის პროფესორებსა და ადმინისტრაციას ხელფასების პირიქით შემცირება?

— აღნიშნული საფრთხე უნივერსიტეტის პერსონალს არ ემუქრება.

— ეკონომიკური კრიზისის პირობებში ხომ არ გადახედავთ სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდის გრაფიკს? რა პრობლემებია მოსალოდნელი ამ მხრივ?

— ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წლებია, რაც სტუდენტებს აქვთ სწავლის საფასურის ეტაპობრივი გადახდის შესაძლებლობა. თუკი სტუდენტს აქვს გარკვეული სახის სოციალური პრობლემა, მას შეუძლია წერილობით მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და ინდივიდუალურად შეათანხმოს სასწავლო სემესტრის დასრულებამდე საფასურის გადახდის გრაფიკი. ინდივიდუალური გრაფიკი სტუდენტის შესაძლებლობებზე იქნება მორგებული და შექმნილ ვითარებაში მნიშვნელოვან შეღავათს გაუწევს მას. განცხადებების გაგზავნა შესაძლებელია ელექტრონულადაც.

— რას ეტყოდით თქვენს თანამშრომლებს დასამშვიდებლად? (თქვენც არანაკლებ შეგიძლიათ ფსიქოლოგიური დახმარების გაწევა მათთვის, თუნდაც, ამ ინტერვიუს საშუალებით)...

— პირველ რიგში, ყველას დიდი მადლობა მინდა გადავუხადო, რომ ამ კრიზისულ და არაორდინალურ ვითარებაში ყველა ყველაფერს ცდილობს იმისათვის, რომ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესი სრულყოფილად წარიმართოს დისტანციურ რეჟიმში. ამასთან, მინდა, დავამშვიდო ისინი და ვუთხრა, რომ თუ ყველა რჩევას, რასაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია და საქართველოს შესაბამისი უწყებები გასცემენ, პირნათლად შევასრულებთ, არანაირი საფრთხე არ გვემუქრება. იმედს ვიტოვებ, რომ სულ მალე ყველა სტანდარტულ სამუშაო რეჟიმს დაუბუნდება (დისტანციურიდან საოფისე მდგომარეობაში). რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, უდიდეს უმრავლესობას ძალიან მოენატრა უნივერსიტეტის კედლები და სამსახურში სტაბილურად სიარული. სულ მალე უფრო ძლიერები დავბრუნდებით!

ესაუბრა ნატო ობოლაძე

ჯერ-ჯეროობით უცნობია, ახასიათებს თუ არა „კოვიდ-19“-ს შორეული ნევროლოგიური ხასიათის გართულებები

გვესაუბრება ექიმი-ნევროლოგი, თსუ-ის პროფესორი, აკადემია ევროპეას წევრი ალექსანდრე ცისკარიძე

— ახალი კორონავირუსის საქართველოში გავრცელების პარალელურად რამდენად გაიზარდა ნევროლოგიური პრობლემებით მოქალაქეთა მომართვიანობა და, ზოგადად, როგორია ამ პრობლემის მიმართ ნევროლოგის ხედვა?

— ამთავითვე მინდა განვმარტო, ნევროლოგიური პრობლემები ჩვენს საზოგადოებაში ხშირად ეშლებათ ხოლმე ფსიქოლოგიურ და ნერვული სისტემის ფუნქციური დარღვევებით გამოვლენილ პრობლემებში. მკაცრი და უფრო კორექტული დეფინიციით, ნევროლოგიური პრობლემა დაკავშირებულია ნერვული სისტემის (როგორც ცენტრალური, ისე პერიფერიული) ორგანულ დაავადებებთან, რაც პანდემიების დროს და, ზოგადად, ინფექციური დაავადებების მაღალი გავრცელების შემთხვევაში შეიძლება უფრო ხშირად შეგხვდეს. ახალი კორონავირუსი ძალიან მძლავრი ვირუსია და ნეგატიურ გავლენას ახდენს სხვადასხვა ორგანოებზე, მათ შორის, სავარაუდოდ, ნერვულ სისტემაზეც. ამჟამად არსებული ინფორმაციით, ნერვულ სისტემაზე ისეთი პირდაპირი ზემოქმედება, როგორიც სხვა ვირუსებს (რომელთაც ჩვენ

ალექსანდრე ცისკარიძე

ნეიროტროპულ ვირუსებს ვუწოდებთ) შეიძლება ახასიათებდეს, „კოვიდ 19“-ის კლინიკურ სურათში, პრაქტიკულად, არ გვხვდება. შეგახსენებთ, რომ სწორედ ნეიროტროპული ვირუსები იწვევს ნერვული სისტემის ისეთ დაავადებებს, როგორიცაა მენინგიტი (ტვინის გარსების ანთება), ენცეფალიტი (ანთებითი პროცესი უშუალოდ ტვინის ნივთიერებაში), ნეიროპათიები (პერიფერიული ნერვების ანთებითი პროცესი). ანუ შეიძლება ითქვას, რომ ახალი კორონავირუსი ნეიროტროპული ვირუსია, თუმცა მყარი დასკვნების გამოტანა, ამ ეტაპზე, ნაადრევია, ვინაიდან სულ რაღაც 3 თვეა, რაც კაცობრიობა დადგა ამ უხილავი მტრის წინაშე. შესაბამისად, ახალი ვირუსის ბიოლოგიური ქცევა ჯერ არ არის ბოლომდე შესწავლილი და გაგვიჭირდება იმის განსაზღვრა, ახასიათებს თუ არა „კოვიდ-19“-ს შორეული ნევროლოგიური ხასიათის გართულებები. იმედია, რომ ეს ასე არ იქნება. მეორე საკითხია უაღრესად მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური პრობლემები, რაც, ზოგადად, ეპიდემიებს, პანდემიებს მოაქვს. მაგალითად, განვიხილოთ კარანტინში ან თვითიზოლაციაში მყოფი ადამიანის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რაც გამოწვეულია სტრესული და არაორდინარული სიტუაციით, ინფექციის მიმართ შიშით (შფოთვა როგორც საკუთარ ჯანმრთელობაზე, ისე ახლობლისაზე და ასე შემდეგ). ცხადია, ეს ყოველივე ადამიანის ემოციურ სფეროში იწვევს სერიოზულ ცვლილებებს.

რაც შეეხება მომართვიანობას, მომართვიანობის თვალსაზრისით ამჟამად საინტერესო კანონზომიერება ვლინდება. ამ წუთში ჩვენ ვართ სოციალური დისტანცირების ეტაპზე და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია მაქსიმალურად შევამციროთ ერთმანეთთან ურთიერთობის ხანგრძლივობა. საუბარია პირისპირ ურთიერთობაზე, ვინაიდან ფიზიკური კონტაქტი, გარკვეულწილად, ეპიდემიოლოგიური სიტუაციის გაუარესების ერთ-ერთი სერიოზული მიზეზი შეიძლება იყოს. ამიტომ იმ რეკომენდაციის გათვალისწინებით, რომ უნდა ვიყოთ სახლში და თავი უნდა ავარიდოთ პირისპირ კონტაქტს, პაციენტების კლინიკებში მომართვიანობა მნიშ-

ვნელოვნად დაკლებულია (ცხადია, თუ საქმე არ ეხება ურგენტულ სიტუაციებს). შესაბამისად, ძალიან გაიზარდა სატელეფონო და ონლაინ კონსულტაციებზე მოთხოვნა და ამ ჭრილში თუ შევხედავთ, მომართვიანობამაც მოიმატა.

სატელეფონო რეკომენდაციებს კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით გავცემთ. ზოგიერთ პაციენტს, მაგალითად, ვისაც ქრონიკული ნევროლოგიური დაავადება აქვს, აინტერესებს — როგორ უნდა მოიქცეს ასეთ სიტუაციაში? გააგრძელოს თუ არა ის წამლები, რომლებსაც იღებს? როგორი დღის რეჟიმი უნდა ქონდეს? როგორ მოიქცეს იმ შემთხვევაში, თუ იგი შეამჩნევს ინფექციისთვის დამახასიათებელ სიმპტომებს? — ასეთი შეკითხვები არცთუ იშვიათია და ჩვენც ყოველთვის ვცდილობთ, რომ ადეკვატურად ვუპასუხოთ ჩვენს პაციენტებს. პერიოდულად გვისვამენ კითხვებს — კორონავირუსული ეპიდემიის შემთხვევაში რამდენად უსაფრთხოა ისეთი პრეპარატების გამოყენება, რომელთაც ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ ხმარობენ (ეს იქნება არტერიული წნევის სამკურნალო პრეპარატები, სიცხის დამწევი თუ ტკივილგამაყუჩებელი აბები და ასე შემდეგ). ეს კითხვა ლოგიკურია, რადგან არსებობს თეორიული მოსაზრებები, რომ ზოგიერთმა პრეპარატმა შესაძლებელია ხელი შეუწყოს ინფექციის უფრო აქტიურად გავრცელებასა თუ კლინიკურ გამოვლინებას. უმრავლეს შემთვევებში, ასეთი თეორიული მსჯელობები არ არის გამყარებული შესაბამისი კლინიკური მონაცემებით, ამიტომ, უმეტესწილად, რეკომენდაციები უცვლელია მაღალი არტერიული წნევის, შაქრიანი დიაბეტის, გულის და ნერვული სისტემის სხვადასხვა პათოლოგიების, აგრეთვე სხვა ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებისთვის. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ პაციენტმა ზედმიწევნით ზუსტად გააგრძელოს ის მკურნალობა, რაც მას ექიმის მიერ დანიშნული აქვს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მას, ასევე ექიმის შეხედულებისამებრ, არ შეეცვლება მკურნალობა. მკურნალობის ცვლილების შესახებ კითხვით პაციენტმა ისევ თავის მკურნალ ექიმს უნდა მიმართოს და მისგან მიიღოს პასუხი. ამას ძალიან დიდი მნიშვნე-

ლობა აქვს და ჩვენ ვცდილობთ, რომ ჩვენს პაციენტებს კარგად განვუმარტოთ ეს საკითხი.

გარდა ამისა, ნებისმიერი ექიმი ვალდებულია გარკვეულ ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევდეს პაციენტს. იგულისხმება პაციენტის მიმართ ემპათიის გამოხატვა, მისი პრობლემების გაზიარება, გამხნევება, მხარდაჭერა... ასეთ შემთხვევებში, არა მხოლოდ ნევროლოგი, არა მხოლოდ ფსიქიატრი ან ფსიქოლოგი, არამედ თუნდაც ინფექციონისტი, თერაპევტი, გადაუდებელი და კრიტიკული დახმარების სპეციალისტი, რომელთაც უშუალოდ უხდებათ ამგვარ პაციენტებთან ურთიერთობა, ვალდებულია — შეუქმნას პაციენტს პოზიტიური განწყობა და გაჯანსაღების მოტივაცია, აუმაღლოს ოპტიმიზმი, რაც აუცილებელია ნებისმიერ დაავადებასთან ბრძოლისას. თუ ავადმყოფი არ არის დარწმუნებული, რომ დაავადებას დაამარცხებს, ცხადია, მას გაუჭირდება სნეულებასთან გამკლავება, მითუმეტეს, ისეთი დაავადებისა, როგორიც კორონავირუსული ინფექციაა, რომლის ეპიდემიასაც იმთავითვე თან სდევს მძიმე ფსიქოლოგიური ფონი, პესიმიზმი და ფრუსტრაცია საზოგადოებაში. დარწმუნებული ვარ, ჩვენი ექიმების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ რომ ასეთ მზრუნველობას იჩენს თავისი პაციენტის მიმართ, რაც აგრერიგ გვჭირდება დღევანდელ სიტუაციაში. საბოლოოდ კი დარწმუნებული ვარ, რომ კომპეტენტური სამედიცინო პერსონალის და მაღალი თვითშეგნების მქონე საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევით მოვახერხებთ 21-ე საუკუნის ამ უდიდეს გამოწვევასთან გამკლავებას.

ესაუბრა ნინო კაკულია

გუგული მაღრაძე: ახალი რუტინის პირობებში მოვძებნოთ ისეთი საქმიანობა, რაც ახალ ფუნქციას გვაპოვნინებს

გვესაუბრება თსუ-ის პროფესორი, თსუ-ის კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი გუგული მაღრაძე

— ქალბატონო გუგული, რას ითვალისწინებს კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტის მიერ ფსიქოლოგიური დახმარების ცხელი ხაზის ამუშავება? რა ტიპის დახმარებას უწევთ მსურველებს?

— ფსიქოლოგიური დახმარების ცხელი ხაზი თსუ-ის კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტისა და დამოუკიდებელ ფსიქოთერაპევტთა თანამშრომლობით ამუშავდა. ჩვენი მიზანია, ვუპასუხოთ „COVID-19"-ის პანდემიის პირობებში ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხით არსებულ გამოწვევებს. ეპიდემია თავისთავად ჩვენს ფიზიკურ ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს, თუმცა ეს ვითარება უფრო ბევრ ადამიანს აყენებს ფსიქიკური ჯანმრთელობის გამოწვევების წინაშე. გარდა იმ ადამიანებისა, ვისაც უშუალოდ შეეხო ვირუსთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკები (კარანტინში და თვითიზოლაციაში მყოფი ადამიანები, სამედიცინო პერსონალი, ვირუსის მატარებელი ადამიანები და მათი ოჯახის წევრები), ფსიქოლოგიური გამოწვევები ბევრად უფრო ფართო ჯგუფს დაუდგა — ესენია რისკ ჯგუფის ქვეშ მყოფი ადამიანები, მოწყვლადი ჯგუფები, ისინი, ვინც საგანგებო მდგომარეობის გამო განიცდიან სტრესს და შფოთვას და, ზოგადად, ისინი, ვისთვისაც ეს ვითარება ემოციურად რთული გასამკლავებელია.

ჩვენი გუნდი სერტიფიცირებული, გამოცდილი ფსიქოთერაპევტებისგან შედგება, რომელთა კვალიფიკაცია საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებს და ამ სტანდარტების დაცვით მუშაობენ. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია, რაც შესაძლებლობას გვაძლევს მოსახლეობას მაღალი ხარისხის

გუგული მაღრაძე

ფსიქოლოგიური მომსახურება შევთავაზოთ. როდესაც ადამიანი ცხელ ხაზზე გვიკავშირდება, მას გაესაუბრება კვალიფიციური ფსიქოთერაპევტი, რომელიც ერთჯერადად ნახევარი საათის განმავლობაში კონსულტაციას გაუწევს დღევანდელი ვითარებით გამოწვეული ემოციური და ფსიქოლოგიური სირთულეების შესახებ. მოსახლეობას ორი გზით შეუძლია ჩვენთან დაკავშირება: სატელეფონო ზარი და სკაიპ ზარი. ეს საშუალებას გვაძლევს, მოვიცვათ თითქმის ყველა ადამიანი, ვისაც ჩვენი სერვისის საჭიროება აქვს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.

— რამდენად მნიშვნელოვანია კონსულტაციების შეთავაზება იმ ადამიანებისთვის, რომლებიც, პანდემიის პირობებში, სახლებში (ან კარანტინში) აღმოჩნდნენ?

— თვითიზოლაცია და კარანტინი, სოციალური დისტანცია თავისთავად მხარდაჭერის მნიშვნელოვან რესურსს — ადამიანურ კონტაქტს — გვაკლებს. იზოლაცია ფსიქოლოგიურად რთულად გადასატანია, მით უმეტეს, როდესაც ამას გაურკვევლობა ემატება. ადამიანმა არ იცის — რა რეალობის წინაშე აღმოჩნდება რამდენიმე დღის შემდეგ, რამდენად დაცულია მისი ჯანმრთელობა და სიცოცხლე. ამ პირობებში ძალიან მნიშვნელოვანია მხარდაჭერის სისტემის არსებობა, რაც ადამიანს ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის საშუალებას მისცემს.

ფსიქოთერაპია ძვირადღირებული სერვისია, რომლის შესაძლებლობა ფსიქიკური ჯანმრთელობის საჭიროებების მქონე ადამიანებს ყოველთვის არ აქვთ. პანდემიის პირობებ-

ში მანამდე არსებული საჭიროებები კიდევ უფრო მძაფრდება. ამ ადამიანებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია უფასო სერვისების არსებობა და ხელმისაწვდომობა.

დაბოლოს, რაც, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია. დღევანდელი მდგომარეობა შეიძლება ტრავმის რანგში განვიხილოთ. სადიაგნოსტიკო კრიტერიუმებში ტრავმა განისაზღვრება — როგორც სიცოცხლისთვის საშიში საფრთხის გამოცდილება, როდესაც თავად ადამიანს ან მის ახლობლებს საფრთხე ემუქრება, ან, სულაც, როდესაც ადამიანი ცოცხლად ან მედიის საშუალებით სხვისი ტრაგედიის მოწმე ხდება. შესაბამისად, ამ გამოცდილების დასაწყისშივე მხარდაჭერის არსებობა შემდგომი ფსიქოლოგიური სირთულეების მნიშვნელოვანი პრევენცია შეიძლება იყოს.

— რა გამოიკვეთა ახალი მომსახურების პირობებში? რა ჩივილები აქვს საზოგადოებას?

— ჩვენს ცხელ ხაზზე სხვადასხვა საჭიროებების მქონე ადამიანები გვიკავშირდებიან. ეს შეიძლება იყოს კითხვები ჯანმრთელობის სირთულეების მქონე ოჯახის წევრთან სწორი მიდგომის გამოსაძებნად, თვითიზოლაციასთან დაკავშირებული მომატებული შფოთვა და სტრესი, ზოგადი ემოციური ფონით გამოწვეული პანიკური შეტევები და ა.შ.

— რა რჩევებს მისცემდით ადამიანებს? როგორ დაძლიონ სახლში დარჩენით გამოწვეული სტრესი? როგორ მოიქცნენ, რა აკეთონ, რომ მათი ენერგეტიკული და შრომითი მაჩვენებლები არ შესუსტდეს?

— ამ კუთხით რამდენიმე სასარგებლო რამ შეგვიძლია გავაკეთოთ: შინ დარჩენამ ჩვენი რუტინა სერიოზულად შეცვალა. ამასთან მორგება მთავარი გამოწვევაა. სწორედ ახალი რუტინის შემუშავება არის კარგი საფუძველი სიტუაციასთან მოსარგებად. შევეცადოთ, შევიმუშავოთ ჩვენი რეჟიმი, რომელიც მაქსიმალურად მრავალფეროვანი იქნება: კვების და ძილის რეჟიმი, ვარჯიში, სამუშაო საათები და დრო დასვენებისთვის, საკუთარ თავზე ზრუნვისთვის გამოყოფილი დრო (რელაქსაცია, მუსიკის მოსმენა, ნებისმიერი რამ, რაც ჩვენს გონებას შფოთვისგან განტვირთავს).

არ დაგვავიწყდეს სოციალური კონტაქტები — ტექნოლოგია გვაძლევს საშუალებას იზოლირებულად არ ვიგრძნოთ თავი. დავუკავშირდეთ ჩვენს ახლობლებს სხვადასხვა ქალაქებსა და ქვეყნებში, გავუზიაროთ ჩვენი გამოცდილება. შიშის და შფოთვის გაზიარებაც კი ძალიან მნიშვნელოვანია. ამით ჩვენც მხარდაჭერას ვიღებთ და მეორე ადამიანს ვეუბნებით, რომ ის მარტო არ არის, რომ სხვებიც ასე გრძნობენ თავს.

ნუ დავუთმობთ ახალი ამბების წაკითხვას და ყურებას ძალიან დიდ დროს, განსაკუთრებით ისეთი ამბების, რომლებიც ჩვენს შფოთვას ზრდის. სიახლეებს დღის გარკვეულ მონაკვეთში გავეცნოთ. მოვიძიოთ ფაქტები და ვიყოთ ინფორმირებული, მაგრამ სტრესის მომტანი ინფორმაციის ზედმეტი ნაკადი შევზღუდოთ.

მოვძებნოთ ისეთი საქმიანობა, რაც ახალ ფუნქციას გვაპოვნინებს — ონლაინ დახმარება იმ სფეროში, რაშიც ცოდნა და გამოცდილება გვაქვს, მოხალისეობა და ა.შ.

დაბოლოს, დავინახოთ დადებითიც ამ ყველაფერში. ჩვენ გვაქვს მეტი დრო ოჯახის წევრებთან გასატარებლად. ვსწავლობთ მუშაობის და განათლების ახალ მეთოდებს, ვხედავთ სიკეთის და თანადგომის უამრავ მაგალითს. ალბათ, თითოეულ ჩვენგანს შეგვიძლია დავასახელოთ რამდენიმე დადებითი რამ, რაც ამ მდგომარეობამ მოგვიტანა.

ესაუბრა მაია ტორაძე

ნინო ჩიქოვანი: ბევრი რამ გადაფასდება და შეიცვლება, თუმცა კულტურის ძირითად მახასიათებლებს ეს არ შეეხება

გვესაუბრება თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კულტურის კვლევების სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი ნინო ჩიქოვანი:

— ვირუსმა, რომელიც მსოფლიოს თავს დაატყდა, სრულიად შეცვალა ჩვენი ცხოვრების წესი. სულ რომ სადღაც გვეჩქარებოდა, ტრანსპორტის დაგვიანებაზე და საცობებზე ვწუწუნებდით, მანქანებით გადატვირთულ ქუჩებში მოძრაობისათვის ხელსაყრელ დროს ვარჩევდით და სუნთქვა გვიჭირდა ჰაერის დაბინძურების გამო, ახლა, ძირითადად, შინ ვართ. ვისაც გაგვიმართლა და, ჩვენი საქმიანობიდან გამომდინარე, უქმად და უსახსროდ (ჯერ) არ დავრჩით, ვცდილობთ, მოვერგოთ შეზღუდვებს და ახალ შესაძლებლობებს. ზოგი ურჩობს, ზოგი შიშობს, ზოგი სიმშვიდეს ინარჩუნებს — გარეგნულად მაინც, ნაწილი საფრთხეს სოფელში ემალება, სხვები უცხო ქვეყანაში დარჩნენ და სამშობლოში დაბრუნებას ცდილობენ. ყველა ველოდებით ახალ ინფორმაციას დაავადებულთა და განკურნებულთა შესახებ, მარტო საქართველოდან კი არა — მსოფლიოდან. ეჭვით და იმედით განვიხილავთ სამედიცინო სიახლეებს, ვკამათობთ, ვმსჯელობთ. მოკლედ, ყველაფერი ძალიან სწრაფად შეიცვალა.

მოულოდნელ, სწრაფ, მკვეთრ და წარმოუდგენელ ცვლილებას, რომელიც უეცრად ატყდება თავს საზოგადოებას და ძირეულად ცვლის მისი ცხოვრების წესს, მეცნიერები კოლექტიურ ან კულტურულ ტრავმას უწოდებენ. ადამიანები და საზოგადოებები ამგვარი ცვლილებისათვის მზად არ არიან. ჩნდება ბევრი კითხვა, რომელთა ნაწილი ცხოვრების ფუნდამენტურ პრინციპებს შეეხება. იწყება გამოსავლის ძიება, რასაც დრო სჭირდება. როგორც წესი, ტრავმა, ბოლოს და ბოლოს, დაიძლევა, თუმცა ღრმა კვალს ტოვებს ადამიანთა ცნობიერებაში.

ნინო ჩიქოვანი

ყველაზე პესიმისტურად განწყობილნიც კი დარწმუნებული არიან, რომ ეს პანდემიაც როდესმე დასრულდება, შეიძლება არც ძალიან გვიან, ან იმაზე გვიან, ვიდრე ვისურვებდით. რა იქნება მერე? როგორც ხშირად წერენ, მსოფლიო აღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც აქამდე იყო. ძნელია თქმა, როგორ სახეს მიიღებს იგი. ამ გამოცდილებამ ბევრი რამ დაგვანახა, მაგალითად, პოლიტიკის, ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში არსებული პრობლემები. მაგრამ ეს ჩემი კომპეტენციის სფერო არ არის. რაც შეეხება კულტურას: მკაფიოდ დავინახეთ, რა მჭიდროდ ვართ დაკავშირებული ერთმანეთთან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის ადამიანები, როგორ გვიჭირს ცალ-ცალკე პრობლემებთან გამკლავება და რამდენად აუცილებელია ერთმანეთის დახმარება — გამოცდილების გაზიარების თუ ფიზიკური თანადგომის თვალსაზრისით. ჩვენს კულტურაში, ჩვენს საზოგადოებაში არსებული პრობლემებიც გამოვლინდა — ის, რომ დიდ დროს ვანდომებთ ვითარების სერიოზულობის გაცნობიერებას.

საზოგადოების არცთუ უმნიშვნელო ნაწილს სჯერა, რომ არც ვირუსი და არც მისით გამოწვეული შეზღუდვა მას არ

ეხება; რომ პასუხისმგებლობა აკისრია სხვას — ყველას, მის გარდა; ან კიდევ — რომ ყველაფერი „სადღაც“ უჩვენოდ წყდება და მაინც ვერაფერს შევცვლით; ისიც დავინახეთ, რომ სტერეოტიპები ჯერ კიდევ სერიოზულად უშლის ხელს ჩვენში სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას და ამ მხრივ სერიოზული მუშაობა გვმართებს ბევრი სხვადასხვა მიმართულებით (მათ შორის, უპირველესად, განათლების სფეროს წარმომადგენლებს).

ამავე დროს, არანაკლებად გამოჩნდა ის მახასიათებლები, რომლებითაც ვამაყობთ: თანადგომის უნარი, სოლიდარობის განცდა, საქმისადმი სერიოზული და მაღალპროფესიული მიდგომა, მათი დახმარების სურვილი, ვისაც ძალიან უჭირს, უფრო სწორად — არა მარტო სურვილი, არამედ დახმარების ფორმისა და საშუალებების მოძებნა-გამოყენებაც. ერთი მხრივ, სოციალური დისტანციის დაცვის აუცილებლობა, უშუალო კონტაქტებზე უარის თქმა გაგვიჭირდა, მეორე მხრივ, ჩვენი ოჯახურ-ნათესაური და მეგობრულ-მეზობლური კავშირების სიმტკიცე, ახლობლების იმედი, მათთვის შფოთვისა და წუხილის, სიყვარულისა და მონატრების გაზიარების, ერთმანეთის გამხნევების შესაძლებლობა სერიოზულად გვეხმარება სირთულეებთან გამკლავებაში. უჩვეულო ვითარებამ ჩვენს საქმეში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების ახალი შესაძლებლობებიც დაგვანახა. მაგალითად, თავდაპირველად ცოტა დაგვაფრთხო სრულად დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის აუცილებლობამ, მაგრამ როცა დავიწყეთ, აღმოჩნდა, რომ ბევრი რამ მომავალშიც (როცა ყველაფერი გადაივლის და ჩვეულებრივ რეჟიმს დავუბრუნდებით) შეიძლება მშვენივრად გამოვიყენოთ.

შეიცვლება ჩვენი კულტურა? ვფიქრობ, არსებითად—არა! როგორც კულტურის ერთი ცნობილი მკვლევარი გეერტ ჰოფსტედე აღნიშნავდა, კულტურული ცვლილებები ზედაპირზე ბობოქრობს, კულტურის ღრმა შრეები კი გაცილებით მდგრადია. კულტურები მუდმივად განიცდის ცვლილებას, მაგრამ მისი ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც საზოგადოების ცხოვრების მთავარ საკითხებს განსაზღვრავს და

რომელსაც ჰოფსტედე „სოციალური თამაშის კრებულს“ უწოდებს, თაობიდან თაობას გადაეცემა და კულტურათა შორის განსხვავებათა შენარჩუნებას განაპირობებს. ალბათ, ამჯერადაც, ისევე, როგორც ბევრჯერ ადრე, სხვადასხვა განსაცდელის — ომების, რევოლუციების, ტერორისტული აქტების, ბუნებრივი თუ ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფების — შემდეგ ბევრი რამ გადაფასდება და შეიცვლება, თუმცა, ვფიქრობ, კულტურის ძირითად მახასიათებლებს ეს არ შეეხება.

მოამზადა მაია ტორაძემ

თსუ-ის პროფესორის, აკადემიკოს ლადო პაპავას რეკომენდაციები „კორონომიკური“ კრიზისის ფონზე და პოსტკრიზისული მოლოდინები

— თქვენ ბრძანეთ, რომ ახალი კორონავირუსის მსოფლიოში გავრცელების გამო მოსალოდნელია „ეკონომიკური პანდემია“. რა არის თქვენი, როგორც ეკონომისტის, რეკომენდაციები?

— პირველ რიგში, რომ ვისაუბროთ ამ კრიზისზე, აუცილებელია გავერკვეთ მის არსში, რადგან ეს კრიზისი თვისებრივად განსხვავებულია, ვიდრე ნებისმიერი წინა ეკონომიკური კრიზისი. მაგალითად, ცნობილი ეკონომიკური გლობალური კრიზისი, რომელიც 2008-2009 წლებში იყო, ჩაისახა ეკონომიკაში, ანუ საფუძველი თავად ეკონომიკა იყო, ამიტომ ეკონომისტებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილი გახლდათ კრიზისის გამომწვევი მიზეზები და, შესაბამისად, მათ იცოდნენ — როგორ უნდა ემოქმედათ მის წინააღმდეგ. რაც შეეხება ამ ახალ კრიზისს, ამის საფუძველი ეკონომიკაში არ ძევს, ამის საფუძველია მედიცინა და სანამ მედიცინა კონკრეტულ იარაღს არ შექმნის ამ ახალი კორონავირუსის დასამარცხებლად,

ვლადიმერ პაპავა

ეკონომისტების საქმიანობა მანამდე შეზღუდული იქნება. ჩვენ არ ვიცით, რამდენი ხანი დასჭირდება მედიცინას სამკურნალო პრეპარატის ან საპროფილაქტიკო ვაქცინის შესაქმნელად. მედიკოსებისგან მსმენია, რომ არ იციან კორონავირუსი როგორ განვითარდება, აღმავალი იქნება თუ დაღმავალი მისი ტრენდი — ეს არავინ იცის, ამიტომ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეკომომიკა, ამ ეტაპზე, მედიცინის მძევალია. სწორედ ამ მოვლენის შესაფასებლად პროფესორმა შრილანკიდან აჯით დე ალვისმა შექმნა ასეთი ტერმინი — „კორონომიკა“, რაც არის ორი ტერმინის — კორონას და ეკონომიკის გაერთიანება. „კორონომიკა“ იმით არის საინტერესო, რომ ის განსაზღვრავს — როგორი უნდა იყოს ეკონომიკა ამ პანდემიის პირობებში და პანდემიის შემდეგ. დღეს ეკონომისტები მსჯელობენ იმაზე, თუ რა ინსტრუმენტებით შეიძლება უშველონ ეკონომიკას. ეს ინსტრუმენტები, როგორც გითხარით, არის 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის დროს გამოყენებული ინსტრუმენტები. იქვე, საკმაოდ სახელოვან ეკონომისტთა მეორე ჯგუფი აკეთებს ასეთ დასკვნას, რომ ძველი მეთოდები პრაქტიკულად არაფერში არ გამოდგება ან დიდად ვერ გამოდგება, რადგან ეს კრიზისი პრინციპულად განსხვავებულია. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, დღეს მნიშვნელობა აქვს, გავმიჯნოთ — ერთი მხრივ, რა უნდა გავაკეთოთ პანდემიის პირობებში (მსოფლიომ, ცალკეულმა ქვეყანამ და, მათ შორის, საქართველომ) და, მეორე მხრივ, რა უნდა გაკეთდეს პოსტკრიზისულ პერიოდში. როცა სახლი იწვის, პირველ რიგში, უნდა იფიქრო იმაზე — როგორ ჩააქრო ხანძარი და გადაარჩინო რაც შეიძლება სახლის დიდი ნაწილი. ეს სულ სხვა ქმედებაა, ხოლო როცა სახლის ნაწილს გადაარჩენ, მერე უნდა გაიაზრო — როგორ უნდა აღადგინო და გააკეთო უკეთესი სახლი. დაახლოებით იგივე მდგომარე-

ობაში ვართ ჩვენ, ეკონომისტები. ზემოთ ვთქვი და ვიმეორებ, რომ ეკონომისტებს ახალი იარაღი, ახალი ინსტრუმენტები ამ პრობლემის დასაძლევად არ აქვთ. ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, დღეს რასაც აკეთებს საქართველოს მთავრობა, მას ორივე ხელით მივესალმები და მხარს ვუჭერ, რადგან ეს არის სწორედ იმის მცდელობა, რომ რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიადგეს ქვეყნის ეკონომიკას. ამის საფუძველია ყოველდღიური თავდადებული ზრუნვა იმაზე, რომ რაც შეიძლება შევზღუდოთ კორონავირუსის გავრცელების მასშტაბი. თუ ეს მაქსიმალურად შეიზღუდება, ეკონომიკასაც ნაკლები ზიანი მიადგება. რა უნდა გაკეთდეს შემდგომ? როგორი საგადასახადო შეღავათები უნდა იქნას მიღებული? სად არის საჭირო სუბსიდირება სხვადასხვა სფეროების ფეხზე დასაყენებლად? — ეს არის ცალკე პოსტკრიზისული პროგრამა.

გითხარით, რომ მთავრობის გადადგმულ ნაბიჯებს დადებითად ვაფასებ, მაგრამ, იმავე დროს, კრიტიკას ვერ უძლებს საქართველოს ეროვნული ბანკის ქმედებები, რომელიც თავიდანვე მოლოდინის რეჟიმზე იყო გადასული. მან მხოლოდ ბოლო დღეებში გამოიჩინა აქტიურობა (როგორც იტყვიან,

„სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს“), მაგრამ ვთვლი, რომ ეს ერთობ დაგვიანებულია. მათ არ აქვთ სწორი ხედვა. ის რომ ხმა ამოიღეს, გამოჩდნენ ტელეეთერებში, კომენტარებს აკეთებენ და თქვეს, რომ სავალუტო რეზერვების ხარჯვას დავიწყებთო — ეს ყველაფერი სწორია, მაგრამ დაგვიანებულია. ბევრად ნაკლები ზიანი მიადგებოდა ჩვენს სავალუტო ბაზარს და მთლიანად საქართველოს ეკონომიკას, ისინი რომ დროზე ამოქმედებულიყვნენ. არ ვიცი, რის გამოა ასე? იმის გამო, რომ არ ყოფნით პროფესიონალიზმი, თუ არ ყოფნით გამბედაობა, ან არც ერთი და არც მეორე — არ ვიცი. მათმა დაგვიანებამ ჩვენს სავალუტო ბაზარზე გამოიწვია არნახული მოვლენები. წარმოიდგინეთ ის ქვეყნები, სადაც ბევრად უფრო უარესი მდგომარეობაა კორონავირუსის ეპიდემიური სიტუაციის გამო, მათი ეროვნული ვალუტები ისე არ გაუფასურებულა, როგორც საქართველოსი, სადაც პანდემია არ არის ისეთი მასშტაბური, როგორც, თუნდაც, ჩვენს მეზობელ ქვეყნებში. მაშ რა ხდება? იმ ქვეყნებში ხალხს შიში არ აქვს? იმათი ვალუტა ისე ძლიერ არ უფასურდება, ჩვენთან კი რა ხდება? შეიძლება ერთ დღეს ლარი უფასურდებოდეს 21 თეთრით, ხოლო ორი დღის მერე უცებ მყარდებოდეს 19 თეთრით?! ეს არ არის ლარის მერყეობა, ეს სერიოზული ნახტომებია, რომელიც აზიანებს როგორც სავალუტო ბაზარს, ისე აზიანებს მთელ ეკონომიკას. თანაც ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ შესაძლოა მავანმა და მავანმა ხელიც კი მოითბო ხალხის გაჭირვებაზე, რაც სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან გამოკვლევის საგანი უნდა გახდეს.

იმ რეჟიმში, რა რეჟიმშიც არიან ჩვენი მედიკოსები, ბატონები ამირან გამყრელიძე, პაატა იმნაძე, თენგიზ ცერცვაძე, მარინა ეზუგბაია, მარინა ენდელაძე და მთელი სამედიცინო საზოგადოება (თბილისში იქნება თუ რეგიონებში), რომლებიც ინფორმაციას პრაქტიკულად უწყვეტად აწვდიან მოსახლეობას, ასეთ რეჟიმში უნდა ჩამდგარიყო საქართველოს ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობაც. მისასალმებელია მთავრობის მეთაურის და მთავრობის წევრების (მთავრობის ეკონომიკური გუნდის, საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა,

თავდაცვის მინისტრების და მათი მოადგილეების) საჯარო აქტიურობაც. გავიმეორებ, ასეთ რეჟიმში უნდა ყოფილიყო საქართველოს ეროვნული ბანკიც, მაგრამ მან ხელები დაიბანა, ამჯობინა დუმილი და ამ დუმილით ძალიან დიდი ზიანი მიაყენა ლარს. აუცილებელია, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას ჰქონოდა კომუნიკაცია ბიზნესთან და საზოგადოებასთან.

უნდა ვიცოდეთ, დღეს ლარის გაუფასურება არის გარდაუვალი პროცესი. ლარი აუცილებლად უნდა გაუფასურდეს, სხვანაირად არ შეიძლება, მაგრამ ცუდია, როდესაც ადგილი აქვს დიდ ნახტომებს. ეს დიდი ნახტომები ანგრევს ჩვენს სავალუტო ბაზარს და ქმნის დამატებით სირთულეებს. ასეთ ვითარებაში ეროვნული ბანკის ქმედება ძალიან ემსგავსება საბოტაჟს. ვფიქრობ, როდესაც ქვეყანაში არის შემოღებული საგანგებო მდგომარეობა, ქვეყნის პირველ პირს, პრემიერ მინისტრს აქვს ყველა ინსტრუმენტი იმისთვის, რომ ეროვნული ბანკის მიმართ გატარებულ იქნას შესაბამისი ზომები. ეს არის დღეს საქართველოს ეკონომიკის ყველაზე სუსტი რგოლი. ამას არ სჭირდება არანაირი პროგრამა, საჭიროა სავალუტო ბაზარზე ცეცხლის ჩაქრობა და არა უაზროდ რეზერვების ხარჯვა, არამედ გონივრული ხარჯვა. ის, ვისაც ამის უნარი არ აქვს, ყველა ამ ადამიანის პასუხისმგებლობის საკითხი აუცილებლად უნდა დაისვას.

რაც შეეხება თავად ანტიკრიზისულ პროგრამას, ვფიქრობ, გამოყენებული უნდა იქნას ყველა ის ინსტრუმენტი, რომელიც ტრადიციულად გამოიყენება კრიზისების დროს, მაგრამ ამას ვერ გამოვიყენებთ დღეს. დღეს საჭიროა მინიმალური დანახარჯები, მინიმალური ზარალი ეკონომიკისთვის, ეპიდემიის დასრულება, ხოლო შემდეგ უკვე, ამ ზარალიდან გამომდინარე, უწინარეს ყოვლისა, იმ სექტორების სტიმულირება, რომელიც განავითარებენ ქვეყნის ეკონომიკას. დღეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა, ძირითადად, ჩამოკიდებულია ტურიზმზე, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ეს მოდელი არის მცდარი. აუცილებელია ქვეყანაში შემუშავდეს და განხორციელდეს ინდუსტრიული პოლიტიკა. აუცილებელია

ქვეყანამ ერთხელ და სამუდამოდ აიღოს გეზი ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შესაქმნელად, მაგრამ ეს თემები უკვე პოსტკრიზისული თემებია. ეს თემები დღეს ვერ განხორციელდება, რადგან ჩვენ ვიმყოფებით „კორონომიკური“ კრიზისის პერიოდში.

ელგუჯა მექვაბიშვილი: ჩვენ ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ პანდემიასთან ბრძოლის და პოსტპანდემიურ პერიოდში გასატარებელი ღონისძიებები

პანდემიამ მკვეთრად შეარყია მსოფლიოს საზოგადოებების ყოველდღიური სოციალური და ეკონომიკური შაბლონები. ეკონომისტებმა ყურადღება გაამახვილეს მის ეკონომიკურ გავლენაზე და იმაზე, თუ რა უნდა გააკეთონ ცენტრალურმა ბანკებმა და მთავრობებმა, როგორც მიწოდების, ისე მოთხოვნილების ერთდროულად უჩვეულო მოშლის საპასუხოდ. ექსპერტების აზრით, კორონავირუსული პანდემიის შედეგები „ძალიან სერიოზული“ იქნება. კორონავირუსის გავრცელება ყველაზე დიდ დარტყმას მიაყენებს მცირე და საშუალო ბიზნესს და ის შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს ამ სექტორისთვის. კორონავირუსის გავრცელების შედეგებმა შეიძლება სერიოზული საფრთხე შეუქმნას გლობალური ეკონომიკის სტაბილურობას, რომელიც, რა თქმა უნდა, გავლენას იქონიებს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკაზე. ამდენად, ვირუსთან ბრძოლასთან ერთად, მნიშვნელოვანია, მოვახდინოთ საქართველოს ეკონომიკისთვის საფრთხეების იდენტიფიცირება და, სხვადასხვა არასასურველი სცენარის განვითარების შემთხვევებში, მისი სწორად და ეფექტიანად მართვა.

თუ რა გავლენას ახდენს „COVID 19“ გლობალურ ეკონომიკაზე, რა საფრთხეების ქვეშ აყენებს ის განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკასა და რა შედეგებამდე შეიძლება მიგ-

ვიყვანოს მისმა გავრცელებამ, ამის შესახებ გვესაუბრება თსუ-ის პროფესორი ელგუჯა მექვაბიშვილი.

— რა გველის კორონავირუსის უფრო ფართოდ გავრცელების შემთხვევაში და რა გამოწვევების წინაშე დადგება მსოფლიო ეკონომიკა?

— უკვე აშკარაა, რომ კორონავირუსის გავლენა გლობალურ ეკონომიკაზე იქნება ძალიან მძიმე. სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩნდა ახალი ცნება — „კორონომიკური კრიზისი", რომელიც სწორედ ამ ფაქტს გამოხატავს. გლობალურ ეკონომიკაში ამჟამად მიმდინარე პროცესებს ეკონომისტები ხშირად ადარებენ 2008-2009 წლების გლობალურ ფინანსურ კრიზისს. თუმცა, ჩემი აზრით, ასეთი შედარება მთლად კორექტული არ არის. ჯერ ერთი, გლობალური რეცესია, რომელიც უკვე დაიწყო, განპირობებულია გარეგანი ფაქტორით — კორონავირუსის პანდემიით. რაც შეეხება გლობალურ ფინანსურ კრიზისს, მას შინაგანი მიზეზი ჰქონდა — თანამედროვე ეკონომიკური სისტემის ყველაზე სწრაფადგანვითარებად ფინანსურ სექტორში გაჩენილი მწვავე პრობლემები. კრიზისის გამშვებ მექანიზმს კი წარმოადგენდა ფინანსურ ბაზრებზე მეორადი ფასიანი ქაღალდების, ანუ დერივატივე-

ბის ჭარბი მიწოდება. მეორე, კორონავირუსით გამოწვეული კრიზისი გამოვლინდა გლობალური მიწოდების და გლობალური მოთხოვნის ერთდროულ შემცირებაში, რაც განსაკუთრებით დაძაბავს სიტუაციას და გააძნელებს კრიზისიდან გამოსვლას. საბოლოო ანგარიშით, გლობალური მთლიანი პროდუქტის ზრდის ტემპი ნავარაუდები 3.2%-დან 0.4%-მდე შემცირდება. შესაძლებელია კიდევ უფრო მეტი კლებაც, უმუშევრობის საგრძნობი გაზრდა, შემოსავლების მტკივნეული შემცირება და ა.შ. ექსპერტთა მოსაზრებით, კორონავირუსისგან მიყენებულმა ზარალმა მხოლოდ აშშ-ში შესაძლებელია 4 ტრლნ აშშ დოლარს მიაღწიოს, რაც გაცილებით მეტია გლობალური ფინანსური კრიზისის მიერ მიყენებულ ზარალზე. აშშ და ჩინეთი გლობალური ეკონომიკის ორი მთავარი „გამწევი ძალაა". ჩინეთის ეკონომიკას კორონაკრიზისმა უკვე მიაყენა ძლიერი დარტმა. როგორც ვარაუდობენ, დაავადების ეპიცენტრი აშშ-ში გადაინაცვლებს და მწვავე რეცესიას წარმოშობს. ამ პირობებში მსოფლიოში ეკონომიკური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება გარდაუვალია.

საქართველო შეზღუდული რესურსების მქონე ღია ეკონომიკის ქვეყანაა. ამ ორ მოცემულობას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ, პირველი — გამორიცხულია გლობალურ ეკონომიკაში შექმნილმა მძიმე სიტუაციამ ზეგავლენა არ იქონიოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაზე და მეორე — სამწუხაროდ, კრიზისთან ბრძოლის და პოსტკრიზისულ პერიოდში ეკონომიკის გამოცოცხლებისთვის აუცილებელი ჩვენი ფინანსური და მატერიალური რესურსები აშკარად არასაკმარისია და ახლოსაც ვერ მივა მდიდარი ქვეყნების რესურსებთან. ასე მაგალითად, აშშ-ს მთავრობამ ანტიკრიზისულ ღონისძიებებზე უკვე გამოჰყო 2 ტრლნ აშშ დოლარი, რაც, სხვათა შორის, 2.5-ჯერ აღემატება გლობალური ფინანსური კრიზისის დასაძლევად თავის დროზე გამოყოფილ თანხას. ევროკავშირი გამოყოფს 1 ტრლნ ევროს, დიდი ბრიტანეთი — 250 მლრდ გირვანქა სტერლინგს და ა.შ.

ამრიგად, კორონავირუსით გამოწვეული რეცესია გლობალურ ეკონომიკაში იქნება ღრმა, ძალიან მწვავე და მისგან

გამოსვლას დიდი ძალისხმევა და ხანგრძლივი დრო დასჭირდება.

— როგორი უნდა იყოს პანდემიის წინააღმდეგ სახელმწიფოს მიერ გასატარებელი ღონისძიებები?

— კორონავირუსი მეტ-ნაკლები ზომის ზარალს მიაყენებს ეროვნული მეურნეობის ყველა დარგს, განსაკუთრებით კი ტურიზმს. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ტურიზმის სფერო საქართველოში წარმოადგენდა უცხოური ვალუტის შემოდინების ლიდერს, ცხადი გახდება, რომ ტურიზმის ჩავარდნას ექნება მულტიპლიკაციური ეფექტი. ეს განსაკუთრებით მძიმედ იმოქმედებს (თუ უცხოური ვალუტის შემოდინების სხვა წყაროები არ გამოიძებნა) ლარის კურსზე. ასევე მოსალოდნელია ერთობლივი მოთხოვნის მნიშვნელოვანი შემცირება, რაც ვაჭრობის სფეროზეც იქონიებს ნეგატიურ გავლენას და ა.შ.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა უფრო აქტიურად უნდა იმოქმედოს, მათ შორის, სავალუტო რეზერვების გამოყენების მიმართულებით. შექმნილი საგანგებო სიტუაციის ფონზე უნდა გამკაცრდეს კონტროლი კომერციული ბანკების საქმიანობაზე, პირველ რიგში, სავალუტო ბაზრებთან მიმართებით. თავიდან უნდა იქნას აცილებული სპეკულაციის ნებისმიერი მცდელობა. აუცილებელია მთავრობისა და ეროვნული ბანკის საქმიანობის მეტი კოორდინაცია. უნდა გვახსოვდეს, რომ ეროვნული ბანკის განკარგულებაში არსებული ინსტრუმენტები არ იქნება საკმარისი გრძელვადიან და საშუალოვადიან პერიოდებში სიტუაციის დასარეგულირებლად, თუკი საგრძნობლად არ მოწესრიგდა მთავრობის საბიუჯეტო პოლიტიკა.

საერთოდ, კორონავირუსის პანდემიასთან და მის ეკონომიკურ შედეგებთან დაკავშირებით ჩვენ ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ პანდემიასთან ბრძოლის და პოსტპანდემიურ პერიოდში გასატარებელი ღონისძიებები. მიმდინარე ეტაპზე დღის წესრიგში დგას ორი ეგზისტენციური ამოცანა: ა) პროცესის შეჩერება, კორონავირუსით დაავადებული ადამიანებისათვის სათანადო სამედიცინო დახმარების გაწევა,

რასაც, საბედნიეროდ, ჯერჯერობით წარმატებით ართმევს თავს ჩვენი ჯანდაცვის სისტემა და ბ) მოსახლეობის, განსაკუთრებით მისი ყველაზე შეჭირვებული ნაწილის თუნდაც მინიმალურ ფარგლებში საარსებო საშუალებებით უზრუნველყოფა. ორივე ამოცანა ურთულესია და მთავრობის აქტიურ ეფექტიან მოქმედებას მოითხოვს. სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები და ექსპერტები ბევრ იდეას სთავაზობენ როგორც მთავრობას, ისე საზოგადოებას. ჩვენი აზრით, მოცემულ ეტაპზე ყველაზე მნიშვნელოვანია საგანგებო ანტიკრიზისული გეგმა, რომელიც უკვე უნდა შემუშავებულიყო და მიწოდებოდა საზოგადოებას. ამ გეგმის ღერძი უნდა გახდეს საგანგებო ანტიკრიზისული სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც გაითვალისწინებს ხარჯვითი ნაწილის არსებით პერეორიენტაციას ზემოაღნიშნული ორი ამოცანის გადასაწყვეტად. უკვე აღვნიშნეთ, რომ ჩვენი შიდა რესურსებით ამ უმძიმესი პრობლემის გამკლავება შეუძლებელია. ამიტომ აუცილებელია მთავრობამ ინტენსიური მოლაპარაკება წარმართოს სხვადასხვა საფინანსო ინსტიტუტებთან შესაბამისი ფინანსური მხარდაჭერის მისაღებად. რა თქმა უნდა, მხოლოდ მთავრობის ძალისხმევა არ იქნება საკმარისი საბოლოო შედეგის მისაღწევად. არანაკლებ მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი სოლიდარობა. თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობა და კანონმორჩილება არის თავდაცვისა და გადარჩენის ყველაზე ეფექტიანი იარაღი.

— როგორ ფიქრობთ, სახელმწიფომ რა კონტრზომები უნდა განახორციელოს, რათა ისედაც მძიმე სოციალური ფონი კიდევ უფრო არ დამძიმდეს?

— სოციალური ფონი ქვეყანაში უკვე მძიმეა და, ალბათ, კიდევ უფრო დამძიმდება. ამ პირობებში აუცილებელია სახელმწიფომ თავის თავზე მთლიანად აიღოს გაჭირვებაში ჩავარდნილი მოსახლეობის სოციალური დაცვის ფუნქცია. გამოყენებული უნდა იქნას სხვადასხვა მექანიზმი: მოსახლეობისთვის ვაუჩერების დარიგება, რათა უმუშევრად დარჩენილ ადამიანებს არ შეუწყდეს წყლის, გაზის, ელექტროენერგიის მიწოდება; სამუშაოდან იძულებითი მოცდენების

ნაწილობრივი კომპენსაცია; მარტოხელა და ღრმად მოხუცებული პენსიონერი მოქალაქეებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მომსახურების დროული მიწოდება და სხვა.

ესაუბრა თამარ დადიანი

თამაზ მაღლაკელიძე: დაავადების 50% პანიკაა, ჯანმრთელობის 50% სიმშვიდეა, თმენა — გამოჯანმრთელების დასაწყისი!

ახალი კორონავირუსი მოხუცებს „გამიზნულად“ არ ერჩის. ამას, მედიის საშუალებით, ასაკოვანი ინფიცირებული ადამიანების გამოჯანმრთელების შესახებ არაერთხელ გაჟღერებული ინფორმაციაც ადასტურებს. ძლიერი იმუნიტეტი და ნაკლები ქრონიკული დაავადება მაღალ ბრძოლისუნარიან ორგანიზმს უდრის, რაც, ჯერჯერობით, კორონავირუსის წინააღმდეგ ერთ-ერთ მთავარ „ვაქცინად“ ითვლება. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რესპირატორულ დაავადებებთან ბრძოლის გლობალური ალიანსის აღმოსავლეთ ევროპის კოორდინატორი, ჩაფიძის გულის ცენტრის პულომონოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, თსუ-ის პროფესორი თამაზ მაღლაკელიძე კორონავირუსის პანდემიისას რისკ-ჯგუფების მახასიათებლებს განმარტავს.

გვესაუბრება თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის
პროფესორი თამაზ მაღლაკელიძე

ბავშვებს იმუნიტეტის მაღალი ზღურბლი აქვთ, შესაბამისად, კორონავირუსით ინფიცირების იმდენად დაბალი სტატისტიკაა, რომ შეიძლება ითქვას — პრაქტიკულად არ ემართებათ. მოხუცებს ქრონიკული დაავადებები აქვთ, მაგალითად, 80 წლის ასაკში, დაახლოებით, 7 ან 8 თანმხლები დაავადება. ამ ფონზე იმუნიტეტი დაძაბუნებულია. კორო-

თამაზ მაღლაკელიძე

ნავირუსით ინფიცირების შემთხვევაში მათი მდგომარეობა უფრო მძიმდება და რთულად მიმდინარეობს. „COVID-19“-ით ინფიცირდებიან ახალგაზრდებიც. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში, რატომღაც, ეს მაჩვენებელი სხვა ქვეყნებთან შედარებით მეტია, რაც, ვფიქრობ, განპირობებულია სხეულის მასის მაღალი ინდექსით გამოწვეული დაავადებებით — ჰიპოვენტილაციის სინდრომი, რესპირატორული პრობლემები... 30-35 წლის ახალგაზრდებსაც შეიძლება ჰქონდეს თანმხლები დაავადებები – გულის იშემიური სინდრომი, ათეროსკლეროზი, სისხლძარღვების შევიწროება... ახალი კორონავირუსი გულსაც ერჩის, აავადებს გულის კუნთს და იწვევს ანთებას; რისკ-ჯგუფს მიეკუთვნება ფილტვის ქრონიკული დაავადებები, მაგალითად, ბრონქიალური ასთმა, რა დროსაც პაციენტმა უნდა განაგრძოს დანიშნული მკურნალობა. რისკ-ფაქტორია ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებები, მწეველობა, რადგან იმუნიტეტი უფრო დაქვეითებულია, ჰაერგამტარი გზები შევიწროვებულია, ასევე სისხლძარღვებიც, ჰაერის ნაკადის მიწოდება შეზღუდულია, შესაბამისად, ასეთ პაციენტებზე ვირუსი უფრო მეტად მოქმედებს. ზოგადი სტატისტიკით, ვირუსი 80-

83%-ში მსუბუქად მიმდინარეობს, 15%-ში — მძიმედ, 5%-ში — ძალიან მძიმედ. სწორედ ამ 5%-ში აღინიშნება სხვადასხვა თანმხლები ქრონიკული დაავადებები, დაბალი იმუნიტეტი.

რჩევები ასეთია: ადამიანები პანიკაში არ უნდა ჩავარდნენ, რადგან ნათქვამია — „დაავადების 50% პანიკაა, ჯანმრთელობის 50% სიმშვიდეა, თმენა — გამოჯანმრთელების დასაწყისი“. ყველამ უნდა გაითვალისწინოს ჩვენი ექსპერტების მიერ მოწოდებული რჩევები, დავიცვათ იზოლაცია, მოვერიდოთ ხალხმრავალ ადგილებში ყოფნას, რადგან ეს ვირუსი შეხებით გადადის. განსაკუთრებით ქრონიკული დაავადებების მქონე ადამიანები მოერიდონ გარეთ გასვლას. მწეველებს ვურჩევდი — თავი დაანებონ თამბაქოს მოხმარებას. აქტიურად მიმდინარეობს ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინაზე მუშაობა, ადამიანები იმუშავებენ იმუნიტეტსაც. შესაბამისად, პანდემია დაძლევადია.

ესაუბრა ნატო ობოლაძე

არასწორია მოსაზრება, რომ „COVID-19“ ხელოვნურად შექმნილი ვირუსია და შესაძლებელია მისი ბიოლოგიურ იარაღად გამოყენება

გვესაუბრება ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის ეპიდემიოლოგი, აივ ინფექცია/შიდსის მკურნალობის პროგრამის სუბ-მენეჯერი, თსუ-ის ინფექციურ დაავადებათა და კლინიკური იმუნოლოგიის კათედრის ასისტენტ-პროფესორი ***აკაკი აბუთიძე:***

— ახლად აღმოჩენილი კორონავირუსი „SARS-CoV-2“ არის კორონავირუსების ახალი სახეობა, რომელიც ადრე არ იყო გამოვლენილი ადამიანებში. პირველად ეს ვირუსი 2019 წლის დეკემბერში ჩინეთში, ჰუბეის პროვინციაში დაფიქსირ-

აკაკი აბუთიძე

და. ჯანდაცვის სპეციალისტების შეშფოთებას იწვევს ამ ვირუსის შესახებ მწირი ინფორმაცია და ის, რომ მას აქვს პოტენციალი — გამოიწვიოს რესპირაციული სისტემის მძიმე დაავადება.

აღსანიშნავია, რომ „COVID-19“-ის გადაცემა ხდება ცხოველისგან ადამიანზე. ასევე შესაძლებელია ადამიანისგან ადამიანზე გადაცემაც. „SARS-CoV-2“-ის გადაცემა მოხდა ცხოველისგან ადამიანზე. ინფექციის პირველადი წყარო ჯერჯერობით უცნობია (სავარაუდოდ, რეზერვუარი არის ცხოველი. შესაძლოა, იყოს ღამურა, ხოლო შუალედური რეზერვუარი — პანგოლინი). დადასტურდა „COVID-19“-ის ადამიანისგან ადამიანზე გადაცემა.

„COVID-19“-ის გადაცემა ხდება წვეთოვანი და კონტაქტური გზით. შემთხვევათა უმრავლესობა ინფიცირდება სიმპტომურ პაციენტებთან მჭიდრო კონტაქტით. ინფექციის წყარო შესაძლოა ასევე იყოს ასიმპტომური ინფექციით პაციენტიც. დახურულ სივრცეებში დიდი ხნით ყოფნისას ადამიანების ინფიცირება შესაძლოა მოხდეს ასევე აეროზოლითაც. შესადარებლად განვიხილოთ კორონავირუსებით გამოწვეული ეპიდემიები:

მძიმე მწვავე რესპირაციული სინდრომი (SARS)

პირველად გამოვლინდა 2002 წელს სამხრეთ ჩინეთში. დაფიქსირდა სულ 8,098 დადასტურებული შემთხვევა; გარდაიცვალა 774 პაციენტი (ლეტალობა – 10%).

შუა აღმოსავლეთის რესპირაციული სინდრომი (MERS)

პირველად გამოვლინდა 2012 წელს საუდის არაბეთში. დაფიქსირდა სულ 2,494 დადასტურებული შემთხვევა; გარდაიცვალა 858 პაციენტი (ლეტალობა – 34%).

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექცია (COVID-19)

პირველად გამოვლინდა 2019 წლის დეკემბერში ქ. უჰანში, ჩინეთში. 2020 წლის 3 აპრილისთვის დაფიქსირდა **1,018,948** დადასტურებული შემთხვევა. გარდაიცვალა **53,179** პაციენტი (ლეტალობა – 5.2%).

ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციით „COVID-19“-ით შეიძლება ნებისმიერი ასაკის ადამიანი დაინფიცირდეს. თუმცა, დაავადების გართულების უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან ხანშიშესული ადამიანები, ასევე, ის პირები, რომელთაც აქვთ სერიოზული ქრონიკული დაავადებები, როგორიცაა გულ-სისხლძარღვთა დაავადებები (არტერიული ჰიპერტენზია, გულის იშემიური დაავადება და სხვ.), ბრონქული ასთმა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, შაქრიანი დიაბეტი, მეტაბოლური სინდრომი და სხვ.

ჩინეთის და სხვა ქვეყნების მაგალითზე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმოს) მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის მიხედვით, „COVID-19“-ით გამოწვეული სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (14%-ზე მეტი) აღინიშნება, ძირითადად, 80 წელს გადაცილებულებისთვის. ქალებთან შედარებით, მამაკაცებში „COVID-19“-ით გამოწვეული სიკვდილობის უფრო მაღალი მაჩვენებელი, შესაძლოა, განპირობებული იყოს მამაკაცებში თამბაქოს ჭარბი მოხმარებით და ასევე ქრონიკული დაავადებების უფრო მაღალი სიხშირით, რომლებიც ზრდიან „COVID-19“-ის გართულებების რისკებს.

უნდა აღინიშნოს, რომ „COVID-19“-ს არ ახასიათებს რაიმე უჩვეულო, აუხსნელი სიმპტომი. „COVID-19“-ის დროს ვითარდება არასპეციფიკური სიმპტომები, რომლებიც ახასიათებს რესპირაციული სისტემის ინფექციების უმრავლესობას.

„COVID-19“-ის კლინიკური სიმპტომები: ცხელება — 88%; მშრალი ხველა – 68%; დაღლილობა – 38%; სველი ხველა – 33%; ყნოსვის დაქვეითება — 15-30%; ქოშინი – 19%; ლეიკოპენია/ლიმფოპენია; მიალგია/ართრალგია — 15%; ყელის ტკივილი — 14%; თავის ტკივილი -14%; შემცივნება — 11%; თირკმლის ფუნქციის დაქვეითება; დიარეა; ცხვირის გაჭედვა — 5%; გულისრევა/ღებინება — 5%.

ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციას მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოშიც მოსახლეობაში შიში და პანიკა ახლავს თან. მოსახლეობის ემოციები ახლად აღმოცენებულ ინფექციურ დაავადებებზე ხშირად გადაჭარბებულია და ეს, შესაძლოა, საზიანოც კი იყოს. პირველ რიგში, მოსახლეობამ უნდა გააცნობიეროს, რომ ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექცია „COVID-19“ არ არის ფატალური (მომაკვდინებელი) დაავადება.

საზოგადოებაში ვრცელდება ის ინფორმაციაც, რომ ახალი კორონავირუსი „SARS-CoV-2“ თითქოსდა ხელოვნურად შექმნილი ვირუსია და შესაძლებელია მისი ბიოლოგიურ იარაღად გამოყენება. ეს არასწორია. ბიოლოგიურ იარაღად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ისეთი ინფექციური დაავადების გამომწვევები, რომლებიც ძალიან ადვილად (მაგ. ჰაეროვანი გზით, აგრეთვე გადამტანების — მწერების, ფეხსახსრიანების საშუალებით) გადაეცემა ადამიანისგან ადამიანს, მოკლე დროში აინფიცირებენ მოსახლეობის დიდ ნაწილს და ახასიათებთ ძალიან მაღალი ლეტალობა. აქედან გამომდინარე, „SARS-CoV-2“-ით გამოწვეული ინფექცია — „COVID-19“-ის ბიოლოგიურ იარაღად ვერ იქნება გამოყენებული, ვინაიდან ის ვრცელდება წვეთოვანი და კონტაქტური გზით და ისიც 1-2 მეტრის დისტანციაზე და არ ვრცელდება ჰაეროვანი გზით. აგრეთვე „COVID-19“-ს არ აქვს ლეტალობის მაღალი მაჩვენებელი.

მსოფლიო პანდემიები

კაცობრიობის ისტორიას არაერთი ინფექციური დაავადების პანდემია ახსოვს. ყველაზე მასშტაბური მსოფლიო პანდემიები გახლავთ:

შავი ჭირი („შავი სიკვდილი“) — კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე გამანადგურებელი პანდემია. დაავადება, სავარაუდოდ, აღმოცენდა ცენტრალურ ან აღმოსავლეთ აზიაში, საიდანაც აბრეშუმის გზით 1343 წელს მიაღწია ყირიმს და შემდეგ გავრცელდა მთელს ევროპაში. 1347-1351 წლებში ევრაზიაში შავ ჭირს შეეწირა 75-200 მილიონი ადამიანის სოცოცხლე. მთლიანობაში შავ ჭირს ევროპის მოსახლეობის 30%-დან 60%-მდე ემსხვერპლა.

ყვავილი — ყვავილმა უდიდესი ზიანი მოუტანა მსოფლიო მოსახლეობას. მე-18 საუკუნეში ყვავილით ყოველწლიურად ევროპაში, დაახლოებით, 400 000 ადამიანი კვდებოდა. ყვავილით ინფიცირებულებში ლეტალობის მაჩვენებელი შეადგენდა 20-60%-ს (მათ შორის 80%-ს ინფიცირებულ ბავშვებს შორის). მე-20 საუკუნეში მსოფლიოში ყვავილმა შეიწირა 300-500 მილიონი ადამიანის სიცოცხლე. მე-19-მე-20 საუკუნეებში ჩატარებული წარმატებული ვაქცინაციის შედეგად ჯანმომ 1979 წელს ოფიციალურად გამოაცხადა ყვავილის ერადიკაცია (აღმოფხვრა) მსოფლიოში.

ქოლერა. ყოველწლიურად ქოლერით ავადდება 3-5 მილიონი ადამიანი და მათგან კვდება 58,000-130,000. ბოლო 200 წლის მანძილზე მსოფლიოში აღინიშნა ქოლერის შვიდი პანდემია. მე-19 საუკუნემდე, სავარაუდოდ, ქოლერით მსოფლიოში კვდებოდა ათობით მილიონი ადამიანი. მარტო რუსეთში 1847-1851 წლებში ქოლერით 1 მილიონზე მეტი ადამიანი გარდაიცვალა. 1900-1920 წლებში ინდოეთში ქოლერას შეეწირა 8 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე. ქოლერის ბოლო ეპიდემია განვითარდა 2010 წელს ჰაიტიზე მიწისძვრის დროს, რომელმაც 2010 წლიდან 2015 წლამდე ჰაიტიზე დააინფიცირა 700 000 ადამიანი, რომელთაგან 9 000 გარდაიცვალა.

ესპანური გრიპი („ისპანკა“) — ცნობილია აგრეთვე, როგორც 1918 წლის პანდემიური გრიპი. ეს იყო სასიკვდილო გრიპის პანდემია. 1918-1920 წლებში „ისპანკით“ დაავადდა 500 მილიონი ადამიანი (იმდროინდელი მსოფლიო მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედი) და გარდაიცვალა დაახლოებით 17-50 მილიონი (ზოგიერთი წყაროს მიხედვით 100 მილიონი) ადამიანი.

ესაუბრა თამარ დადიანი

საქართველომ პანდემიის პირობებში აჩვენა კონსოლიდაციის მაღალი ხარისხი

გვესაუბრება თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მენციერებათა ფაკულტეტის ბიოლოგიის მიმართულების პროფესორი ნანული დორეული

— რა პარალელს გაავლებდით 30-40 წლის წინანდელი ქართული საზოგადოების პასუხისმგებლობებსა და დღევანდელ საზოგადოებას შორის — რა არის მათ შორის საერთო და განმასხვავებელი?

— კრიზისულ პერიოდში საზოგადოება ყოველთვის თავის სიმაღლეზე დგება ხოლმე და, საკუთარ პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით, სწორ გადაწყვეტილებებს იღებს. ვფიქრობ, მან დღესაც იპოვა ძალა და, პასუხისმგებლობებთან ერთად, სოლიდარულობის საოცარი უნარი აჩვენა. ამას, ცხადია, ხელს უწყობს ტექნოლოგიების განვითარება და ინფორმირებულობის მაღალი დონე, რომელმაც საზოგადოების გაერთიანებასა და თანადგომაში თავისი წვლილი შეიტანა. 30-40 წლის წინანდელი საზოგადოებაც არ იყო სოლიდარულობას მოკლებული. სწორედ იმ საზოგადოებამ შეძლო დამოუკიდებლობის მოპოვება და ერთი მიზნისთვის გაერთიანება, მაგრამ დღეს მეტად ინფორმირებული და მაღალი სა-

მოქალაქო განათლების ეპოქაა და, ცხადია, საერთო საქმის და მიზნისათვის გაერთიანებაც ადვილია.

ისე მოხდა, რომ მე 90-იან წლებში აქ არ ვიყავი. გერმანიიდან ვადევნებდი თვალს თბილისში მიმდინარე მოვლენებს. მახსენდება, ერთ დღეს ჩემი ფრანგი კოლეგა როგორ წუხდა, რომ მაღაზიაში ის შოკოლადი ვერ იპოვა, რომელიც მას უნდოდა; მე კი ვპასუხობდი, რომ ეს არაა პრობლემა, პრობლემა ისაა, რომ ექვსი დღეა საქართველოში შუქი, გაზი, წყალი არ არის. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და დღეს სწორედ ის თაობაა საზოგადოების ძირითადი ძალა, რომელიც იმ წლებში დაიბადა. ეს სხვა თაობაა, რომელსაც სხვა იმუნიტეტი გამოჰყვა, რომელმაც ჩვენც კი შეგვცვალა და რაღაც საკითხები სხვაგვარად დაგვანახა. ის აღარ დაუშვებს იმას, რაც იმ 90-იან წლებში გამოვიარეთ. ვფიქრობ, ეს არის ამ ქვეყნის ყველაზე დიდი იმედი. მე ორი შვილი მეზრდება და მინდა, რომ ისინი უფრო ძლიერები იყვნენ, ვიდრე მე ვიყავი. მთავარია, მათ მივცეთ იმის საშუალება, რომ აკეთონ თავისთვის, ჩვენთვის და თუნდაც ჩვენი უფროსი თაობისთვის საქმე, რომელიც ქვეყანას წაადგება.

ძალიან ამაყი ვარ, რომ საქართველომ პანდემიის პირობებში აჩვენა კონსოლიდაციის მაღალი ხარისხი, რომ ადამიანებმა იზოლაციის ამ რთულ პერიოდშიც მოძებნეს ერთმანეთი და გაერთიანდნენ. დავრჩეთ სახლში და ერთმანეთს შორიდან მოვესიყვარულოთ – ესეც ერთგვარი კონსოლიდაციაა.

— როგორ შეაფასებთ ამ გადასახედიდან — შედგა თუ არა ქართული საზოგადოება დამოუკიდებლობის და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრებისთვის ბრძოლის პროცესში?

— რა თქმა უნდა, შედგა! 90-იანი წლების თაობა მიხვდა, რომ შვილებთან ურთიერთობაში მეტი პასუხისმგებლობა უნდა გამოიჩინოს. დღეს ჩვენ ყველა ვცდილობთ, რომ უფრო შემდგარი და მართალი ვიყოთ საკუთარი თავისა და სხვების წინაშე. შედეგად, რაც წინა საუკუნეში თითქოს მისაღები და ნორმალური იყო, ახლა აღარ არის, რომ შვილს საგანი კი არ უნდა ჩაუწყოს, არამედ გადაუხადოს და ასწავლოს, რადგან

ცოდნა არის გადარჩენის საშუალება. თავის მხრივ, სახელმწიფოც ხვდება, რომ ყველაზე დიდი თანხა განათლებაში უნდა დააბანდოს. მაგალითად, კორონავირუსის გამკლავების თვალსაზრისით, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ვართ შედარებით უკეთ მდგომარეობაში, რომ მთავრობამ მოუსმინა პროფესიონალებს.

მოდით, ვუსმინოთ პროფესიონალებს და აღვზარდოთ მომავალი თაობა, მივცეთ მათ გეზი და ჩვენ ნამდვილად გადავრჩებით. განათლებული და შემდგარი თაობა დამოუკიდებელი თაობაა და ეს თაობა შეძლებს, რომ გამოიყვანოს ქვეყანა ნებისმიერი კრიზისიდან.

ფსიქოლოგიური დახმარება სტუდენტებისთვის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, სტუდენტებისთვის უფასო ფსიქოლოგიური მომსახურების სერვისის მიწოდება სპეციალისტთა ჯგუფმა ორგანიზაციიდან — ა(ა)იპ „ერთად ერთისთვის“ — 2019 წლის მარტიდან დაიწყო და წელიწადზე მეტია აქტიურად გრძელდება. ორგანიზაციის გუნდი დაკომპლექტებულია ფსიქოლოგიის დარგის მაგისტრებითა და დოქტორანტებით. მისი წევრების გამოცდილება მრავალმხრივია და ისეთ მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობასაც მოიცავს, როგორიცაა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, მათი მშობლები და ზრდასრული შშმ პირები, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლები, მიგრანტები, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირები, აგრეთვე, ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები; აქვთ რეგიონებში მცხოვრებ და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებთან მუშაობისა და ურთიერთობის გამოცდილება.

ა(ა)იპ „ერთად ერთისთვის“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთანაც თანამშრომლობს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის ფარგლებში და სწორედ ამიტომ მოხვდა ეს ორგანიზაცია ჩვენი ინტერესის სფეროში.

COVID-19-ის გავრცელებამდე და მის პერიოდში ორგანიზაცია „ერთად ერთისთვის“ სრულწლოვან პირებს ონლაინ დახმარებას, კონსულტაციასა და თერაპიას უწევს. ამ დროისთვის, სერვისით 100-ზე მეტმა სტუდენტმა ისარგებლა. ფსიქლოგთა ამ ჯგუფს ჩვენ დავუსვით კითხვები, რა კითხვებიც გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციაში სტუდენტების მხრიდან შემოვიდა. ამ კითხვებზე ფსიქოლოგთა ჯგუფის წარმომადგენლების პასუხები სწორედ რომ ფსიქოლოგიური კონსულტაციის გაწევის ჭრილშია.

როგორ უნდა მოიქცნენ შეყვარებულები, რომლებიც დროებით ცალ-ცალკე ცხოვრობენ?

— სტუდენტები, რომლებთანაც გაზეთი სხვადასხვა კითხვარს აწარმოებს, მოგვმართავენ კითხით, რაც ზოგიერ მათგანს აწუხებს. მაგალითად, ჩვენთან შემოსულია ასეთი კითხვა: როგორ უნდა მოიქცნენ შეყვარებულები ასეთ დროს, როცა სახლებში არიან ცალცალკე და ამის ნიადაგზე დეპრესიული ფონი აქვთ, აქვთ შფოთვა, განშორებით გამოწვეული უიმედობის განცდა... რა სახის რჩევები შეიძლება მათ შევთავაზოთ?

— დღესდღეობით მსოფლიოში შექმნილი ვითარების გამო ადამიანთა უმეტესობას უწევს საყვარელი ადამიანებისგან შორს ყოფნა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, შფოთვის, დეპრესიული ფონის, უიმედობის თუ სხვა გრძნობების გამოწვევა. შეყვარებულებს შეუძლიათ, მიუხედავად ფიზიკურად ცალ-ცალკე ყოფნისა, ჰქონდეთ ხშირი კომუნიკაცია — ონლაინ ჩართვები ერთმანეთთან, შეუძლიათ დაგეგმონ სხვადასხვა ერთობლივი აქტივობა, მაგალითად: ერთდრო-

ულად ერთი ფილმის ყურება, ერთად ონლაინ რაიმე სახის თამაში, ვარჯიში და ა.შ. მთავარია, ახსოვდეთ, რომ ეს დროებითი მოვლენაა და შეუძლიათ ეს მდგომარეობა ერთმანეთის სხვა კუთხით გასაცნობად გამოიყენონ.

როგორ უნდა დაძლიოთ შფოთვა, თუკი დაკარგეთ სამსახური

— მოგვმართავენ სტუდენტები, რომლებმაც დაკარგეს სამსახური. ამის ნიადაგზე მათ ფსიქოლოგიურადაც და მორალურადაც ძალიან გაუჭირდათ. რისი გაკეთება შეგვიძლია ასეთი სტუდენტების გასამხნევებლად?

— სამსახურის დაკარგვა ყოველი ჩვენგანისთვის მტკივნეული საკითხია. გვახსოვდეს, რომ ამის მიზეზი მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებია და არა საკუთარი თავი. შესაბამისად, როდესაც ჩვეულ რიტმს დავუბრუნდებით, ისევ შევძლებთ სამსახურების შოვნას. მანამდე კი შეგვიძლია ეს პერიოდი თვითგანვითარებას მოვახმაროთ, რაც ფორს-მაჟორის დასრულების შემდეგ კიდევ უფრო გაზრდის სამსახურის შოვნის ალბათობას. ფინანსური პრობლემების მოსაგვარებლად შეიძლება ალტერნატივებზე ფიქრი — ონლაინ სამსახურების მოძიება, ახლობელი ადამიანების მხარდაჭერის ძიება და სხვ.

რა სახის ფილმებს უნდა უყუროს საზოგადოებამ?

— რა სახის ფილმებს უნდა უყუროს საზოგადოებამ, რათა ამ რთულ დროს არ განვითარდეს დეპრესია, შფოთვა?

— მთავარია ფილმები არ იწვევდეს ისეთ ემოციებს, როგორიცაა შფოთვა, შიში, სევდა და ა.შ. არ იყოს საშინელებათა ჟანრის, რაიმე კატასტროფებზე, ძალადობაზე. სასურველია, ფილმები იყოს პოზიტიური, დადებითი ემოციებით დატვირთული. ზოგადად, ვიცით, რომ გარემო ფაქტორები დიდ გავლენას ახდენს ჩვენს ემოციებზე. შესაბამისად, ფილმები იქნება თუ ახალი ამბები, მთავარია არ იყოს დამთრგუნველი. სასურველია, პანდემიის ან ნეგატიური ემოციების შემცველ

ინფორმაციას მოუსმინოთ დღეში ერთხელ ან ორჯერ, დღის პირველ მონაკვეთში; საღამო — ძილის წინა პერიოდი — არ დავიტვირთოთ უარყოფითი ემოციებით.

რამდენად დაძლეულია სტიგმა?

— რამდენად დაძლეულია სტიგმა, რომ საჭიროებისამებრ მოგმართონ ფსიქოლოგიური დახმარების აღმოსაჩენად?

— ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკის თანახმად, ცხოვრების ამა თუ იმ ეტაპზე, 4-დან ყოველ 1 ადამიანს შესაძლოა ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სირთულე შეექმნას. არსებული მოთხოვნის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ მსგავსი სტიგმა უფრო მეტად ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა სტუდენტებთან არის დაძლეული. ის ადამიანები, რომლებიც მომართავენ ფსიქოლოგს, ასე თუ ისე, უკვე აცნობიერებენ, რომ აქვთ საჭიროება და ეძებენ შესაბამის დახმარებას. ზოგადად, საზოგადოებაში ჯერ კიდევ მრავალი მიმართულებით არის ცნობიერება ასამაღლებელი, მათ შორის — რა მდგომარეობისას რომელ სპეციალისტს უნდა მივმართოთ, რას აკეთებს ფსიქოლოგი და ა.შ. იმისათვის, რომ შეგვეძლოს ამ საკითხზე მსჯელობა, უფრო სიღრმისეული კვლევის ჩატარება და ფართო საზოგადოების შეხედულებების შესწავლაა საჭირო.

როგორ ავირიდოთ თავიდან უიმედობის განცდა?

— როგორ უნდა მივუდგეთ სტუდენტებსა და პროფესორებს, რათა მათ უიმედობის განცდები არ დაეუფლოთ ამ სიტუაციაში? რა შეგვიძლია გაზეთის პირობებში მათ შევთავაზოთ?

— ნეგატიური განცდები, მათ შორის, უიმედობა ან სხვა რამ ბუნებრივი ემოციებია, რომელიც, შესაძლოა, მსგავს სიტუაციაში გაჩნდეს. გვახსოვდეს, რომ ეს დროებითი მდგომარეობაა, შესაძლებლობის ფარგლებში გავაგრძელოთ საქ-

მის კეთება, გვქონდეს დღის რუტინა, ზომიერად გავეცნოთ მხოლოდ სანდო წყაროებს. შევინარჩუნოთ ახლობლებთან ურთიერთობები, ვეცადოთ შეძლებისდაგვარად მხარდაჭერა აღმოვუჩინოთ სხვებს, ვიმოქმედოთ „აქ და ამჟამად" პრინციპით, მაგრამ გვქონდეს მომავლის პოზიტიური ხედვა; დავუთმოთ დრო თვითგანვითარებას, ახალი უნარების ათვისებას და ა.შ.. კიდევ ერთხელ, გვახსოვდეს, რომ ეს დროებითი მოვლენაა, რომელიც გადაივლის!

რესპონდენტები: თანადამფუძნებლები —
იზა კობიაშვილი, მაია გოგოლაძე.

ესაუბრა ნინო კაკულია

როგორ „ასამართლებს" ახალ კორონავირუსს თსუ-ის პროფესორი სტრასბურგიდან

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე საქართველოდან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი ლადო ჭანტურია „კოვიდ-19"-ის პანდემიით დამდგარ რეალობას სტრასბურგის მაგალითით გვაცნობს. თსუ-ის პროფესორი ემზადება დისტანციური სწავლის პროცესში ჩართვისთვის და ამბობს, რომ „ეს ის შემთხვევაა, როცა სახლში დარჩენით დიდი სიკეთის და კარგი საქმის გაკეთება შეიძლება".

ბლიც-ინტერვიუ ლადო ჭანტურიასთან

— რა ვითარებაა თქვენთან ახალი კორონავირუსის გავრცელების თვალსაზრისით?

— 12 მარტის შემდეგ სტრასბურგში ყველაფერი დაიკეტა, ისევე, როგორც მთელს საფრანგეთში. ქალაქი დაცარიელდა. ქუჩებში მოძრაობა თითქმის აღარ არის. ძნელი დასაჯერე-

ლადო ჭანტურია

ბელია სიცოცხლით სავსე ამ ქალაქში დაკეტილი პარკები, ცარიელი ქუჩები, მოედნები, სკვერები, მაგრამ მოსახლეობა ამას გაგებით და მშვიდად ხვდება. ქუჩაში გასასვლელად სავალდებულოა სპეციალური ფორმულარის შევსება.

— როგორ მუშაობთ ამ ეტაპზე?

— მართალია, ადამიანის უფლებათა სასამართლოს შენობა დაკეტილია, მაგრამ მუშაობა მაინც გრძელდება. პროექტების განხილვა მიმდინარეობს და გადაწყვეტილებების მიღებაც ხდება ონლაინ რეჟიმში. შეიძლება ითქვას, რომ საქმიანობა არ შეწყვეტილა.

— რას ამბობენ თქვენთან საქართველოში ვირუსის გავრცელებაზე ქართული მთავრობის რეაგირების ხარისხზე?

— კოლეგები ერთმანეთს ვუზიარებთ ინფორმაციას სხვადასხვა ქვეყანაში არსებული ვითარების თაობაზე. საქართველოში გატარებულმა ღონისძიებებმა, როგორც ჩანს, დადებითი შედეგი გამოიღო, რაც უდავოდ იმსახურებს ქებას.

— როგორც თსუ-ის პროფესორი, თუ ჩაერთეთ დისტანციური სწავლის რეჟიმში?

— ვემზადები დისტანციური სწავლის რეჟიმისთვის, რადგან ჩემი კურსი მოგვიანებით იწყება.

— რას ნიშნავს თქვენთვის ამ რთულ დროს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და სოლიდარობა?

— ამ უაღრესად რთულ ვითარებაში ყველაზე დიდი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და სოლიდარობა არის სახლში დარჩენა, სპეციალისტების რეკომენდაციებისა და დაწესებული შეზღუდვების მკაცრად დაცვა. ეს ის შემთხვევაა, როცა ნაკლები აქტიურობით დიდი სიკეთის და კარგი საქმის გაკეთება შეიძლება. იმედი მაქვს, რომ ეს ყველაფერი დადებით შედეგებს გამოიღებს და ცხოვრება მალე ისევ ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდება.

ესაუბრა ნინო კაკულია

თსუ-ის ფიზიკოსი სტუდენტი ახალ დისტანციურ სამსახურში მუშაობის დაწყების შესაძლებლობებს და დეტალებს უმხელს მათ, ვინც სამსახური დაკარგა

ახალი კორონავირუსით გამოწვეულმა რეალობამ (სხვადასხვა მიზეზის გათვალისწინებით) საზოგადოების გარკვეულ ნაწილს, მათ შორის, სტუდენტებსაც დააკარგვინა სამსახური. ეს პრობლემა რამდენი ხნის განმავლობაში გაგრძელდება პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ჯერ არავინ იცის. თსუ-ის გაზეთის რედაქციამ სტუდენტური გამოკითხვებისას მიაგნო თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების მე-4 კურსის სტუდენტს მამუკა გოგუაძეს, რომელმაც დისტანციური მუშაობის საკუთარი წარმატებული გამოცდილება გაგვიზიარა და

სტუდენტებისთვის დასახმარებლად (რათა მათ შეძლონ ამ რთულ პერიოდში ფულის ონლაინ გამომუშავება) გამოგვიგზავნა ინფორმაცია თანდართული ისნტრუქციით — როგორ შეიძლება ახალ დისტანციურ სამსახურს მივაგნოთ? როგორ გამოვიმუშაოთ ფული და რა უნარებს უნდა ვფლობდეთ ამისთვის? — ამ კითხვებზე პასუხები, რჩევები და რეკომენდაციები მოცემულია მამუკა გუგუაძის მიერ გამოგზავნილ საინფორმაციო წერილში ყველა საჭირო აქცენტით.

როგორ ვიშოვოთ ფული ონლაინ?

კორონავირუსის გამო აქტუალური გახდა დისტანციური მუშაობა. მინდა გაგიზიაროთ ჩემი გამოცდილება იმის შესახებ, თუ როგორ შეგიძლიათ იმუშაოთ სახლიდან და გამოიმუშაოთ ფული ონლაინ.

მე ვარ მამუკა გოგუაძე — თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების სტუდენტი. სწავლის პარალელურად უკვე 3 წელზე მეტია დისტანციურად ვმუშაობ Financer.com -ზე.

Financer.com არის სრულად დისტანციური (სრულად ციფრული) კომპანია, რომელიც აერთიანებს 40 თანამშრომლისგან შემდგარ გუნდს და ოპერირებს მსოფლიოს 26 ქვეყანაში, მათ შორის, ერთ-ერთია საქართველო. გუნდში ვართ ციფრული მარკეტინგის სპეციალისტები, დეველოპერები, პროექტების მენეჯერები, ადმინისტრაციული მენეჯერი.

ჩვენი სათაო ოფისიც ვირტუალურია. ერთმანეთთან საკომუნიკაციოდ აქტიურად ვიყენებთ slack-ს და ძალიან კარგად გვაქვს მორგებული 26-ვე ქვეყნის სამუშაო პროცესზე.

რაც შეეხება ერთმანეთის რეალურ ცხოვრებაში გაცნობას, წელიწადში 2-ჯერ ვაწყობთ ერთ თვიან team building-ს და მთელი გუნდი ვიკრიბებით — თან ვისვენებთ, თან ვმუშაობთ ყველა ერთად.

ეს ყველაფერი ერთი შეხედვით საოცნებო სამსახურს ჰგავს არა? რეალურად კი არც ისე რთულია მსგავსი სამსახურის მოძებნა, თუ აქტიურად დაიწყებთ მუშაობას freelancing-ის პლატფორმებზე. მინდა გაგიზიაროთ ჩემი გამოცდილება, როგორ დავიწყე ონლაინ მუშაობა და ამ რთულ პერიოდში (კორონავირუსის დროს) შეძლოთ ფულის შოვნა ინტერნეტით.

გახდით Freelancer და იმუშავეთ ნებისმიერ დროს ნებისმიერი ადგილიდან

როდესაც პირველ კურსზე ვიყავი, დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ როგორ მეშოვა ფული ონლაინ, რათა სწავლის პარალელურად მქონოდა საკუთარი შემოსავალი. აქტიურად ვკითხულობდი რჩევებს ფორუმებზე, რათა გამეგო — რა არხები და პლატფორმები არსებობდა ამისთვის. ერთ-ერთ სტატიაში მივაგენი Upwork.com-ს, სადაც კომპანიები და ფიზიკური პირები დებენ საკუთარ მოკლევადიან და გრძელვადიან პროექტებს, შესასრულებელ დავალებებს, ფრილანსერებს კი შეუძლიათ, გამოეხმაურონ და გააკეთონ ესა თუ ის პროექტი შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ.

მინდა გითხრათ, რომ ნებისმიერს შეგიძლიათ, დარეგისტრირდეთ upwork.com-ზე, გამოაქვეყნოთ თქვენი პროფილი და დაიწყოთ პროექტებზე მუშაობა. რაც მთავარია, მარტივად იპოვით პროექტს, თუ შეგიძლიათ:

- ვებ-გვერდის შექმნა
- ციფრული მარკეტინგი: Facebook, SEO, Google ad..
- საინტერესო სტატიების წერა
- ვიდეოების, სურათების დამუშავება
- დოკუმენტების ფორმატირება
- სხვადასხვა ენაზე თარგმნა

დარეგისტრირდით, იპოვეთ თქვენს უნარებზე მორგებული სამუშაო და გამოიმუშავეთ თანხა სახლიდან! მართლაც, ტექნოლოგიებს თუ ფეხს აუწყობთ, შეამჩნევთ, რომ ჩვენ გარშემო ფულის შოვნის უსასრულოდ ბევრი შესაძლებლო-

ბა არსებობს. შეგიძლიათ გახდეთ თვითდასაქმებული (ე.წ. Freelancer) და ეცადოთ გამოიმუშაოთ მეტი თანხა ან მოძებნოთ მსგავსი შესაძლებლობები ისევ და ისევ ონლაინ პლატფორმებით.

3 მთავარი რჩევა დამწყებთათვის

1. არ გამოეხმაუროთ ყველა პროექტს, გამოეხმაურეთ მხოლოდ ისეთებს, რომელთა გაკეთებაც შეგიძლიათ, რადგან თუ ვერ შეასრულებთ საქმეს, დამქირავებელი ცუდ შეფასებას დაგიწერთ. დამსაქმებლის შეფასებას კი დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი პროექტების აღებისას, ამიტომ აღებული საქმის შესასრულებლად მაქსიმუმი გააკეთეთ.
2. კარგად წაიკითხეთ სამუშაოს აღწერა და გამოხმაურება დაწერეთ კონკრეტული მოთხოვნებიდან გამომდინარე. თუ არის პროექტი IT სფეროდან, ხაზი გაუსვით თქვენს უნარებსა და გამოცდილებას ამ სფეროში; აღწერეთ თქვენ მიერ აქამდე შესრულებული პროექტები; თუ გაქვთ მაგალითი, თვალსაჩინოებისთვის გაუგზავნეთ. ხშირად სამუშაოს მაძიებლები აკოპირებენ თავიანთ რეზიუმეებს და ყველას ერთსა და იმავე რეზიუმეს უგზავნიან, რაც, ცხადია, არასწორია, რადგან დამსაქმებელი ხვდება, რომ თქვენ მიერ გაგზავნილი ინფორმაცია არის შაბლონური და არ არის მის პროექტზე მორგებული.
3. შექმენით პორთფოლიო — ახალდარეგისტრირებული ფრილანსერები თავდაპირველად, როგორც წესი, ფრილანსერები იმაზე უფრო დაბალი ანაზღაურებით მუშაობენ, ვიდრე რეალურად მათი უნარები და შესრულებული სამუშაო ღირს. ამის მიზეზი კი არის პორთფოლიოს შექმნა. მათ პროფილზე არ ფიქსირდება აქამდე შესრულებული პროექტები და, შესაბამისად, დამსაქმებელს უჭირს ენდოს ისეთ ფრილანსერს, რომელსაც არასდროს აუღია პროექტი, ანუ არ აქვს სხვა დამსაქმებლის მიერ დაწერილი შეფასება და არ იცის, რამდენად სანდოა.

ეს იმიტომ ხდება, რომ პირველი პროექტის აღება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რათა სამომავლოდ სხვა დამქირავებლებს გაუჩნდეთ ნდობა და თქვენს პროფილზე ნახონ, რომ კარგად შეასრულეთ წინა პროექტები. ამიტომ, გირჩევთ, რომ პირველ პროექტებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოთ, დააგროვოთ წარმატებული პროექტები, თუნდაც იმაზე იაფი გადაგიხადონ, ვიდრე თვლით, რომ ღირს თქვენი სამუშაო. დასაწყისში ცოტა რთული იქნება პროექტების აღება, თუმცა არ უნდა დანებდეთ და ყოველი შემდეგი პროექტის აღება ბევრად გაგიმარტივდებათ.

* * *

იმედი მაქვს, დაგეხმარებათ ჩემი რჩევები! თუ დამატებითი კითხვები გექნებათ ან რჩევა დაგჭირდებათ, შეგიძლიათ, მიპოვოთ სოციალურ ქსელში (https://www.facebook.com/M.goguadze3.14) და მომწეროთ.

მადლობა თსუ გაზეთს, რომ მომცა თქვენთან შეხმიანების და რეკომენდაციების გაწევის საშუალება!

გისურვებთ წარმატებებს!

ესაუბრა ნინო კაკულია

პანდემიასთან ბრძოლის გეგმა და ეთიკა

გვესაუბრება თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ნინო ჩიხლაძე

— ახალი კორონავირუსით ინფიცირებულთა რაოდენობა ცნობილია, მაგრამ მათი ვინაობა — გასაიდუმლოებული. ეს საიდუმლო საზოგადოებაში არაერთ კითხვას აღძრავს. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მოითხოვს მათი ვინაობის, მისამართის და ასაკის გამხელას. მსგავსი მოთხოვნა მარტივად აიხსნება: ადამიანებს ეშინიათ ვირუსის და უნდათ

დისტანცია დაიცვან ყველასგან, ვინც კი ინფიცირებულებს უკავშირდება. თუმცა პაციენტების ვინაობის საიდუმლოდ შენახვა პიროვნების თავისუფლების უზენაეს უფლებას უკავშირდება – პირადი ცხოვრების საიდუმლოს. რატომ არ შეიძლება სახელების გამხელა და რა ოქროს შუალედი უნდა მოიძებნოს საზოგადოების მოთხოვნასა და ექიმის მხრიდან ეთიკის დაცვას შორის?

— პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ თანამედროვე საზოგადოებაში ეპიდემიებთან დაკავშირებული შეზღუდვები, მათ შორის, კარანტინის გამოცხადება წარმოქმნის კონფლიქტს ადამიანის უფლებებსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის საჭიროებებს შორის. საერთაშორისო დონეზე არსებობს სახელმძღვანელო პრინციპები, მათ შორის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები, რომლის თანახმად, ნებისმიერ ქვეყანაში პანდემიასთან ბრძოლის გეგმა და გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს ეთიკურ პრინციპებს და საზოგადოებაში არსებულ ღირებულებებს. რაც შეეხება უშუალოდ თქვენს კითხვას, არა მხოლოდ ეთიკური პრინციპებით, არამედ საქართველოს კანონმდებლობით არის განსაზღვრული პაციენტის პირადი ცხოვრების კონფიდენციალობა და ხელშეუხებლობა. სამედიცინო პერსონალი ვალდებულია დაიცვას პაციენტის შესახებ მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობა არა მხოლოდ პაციენტის სიცოცხლეში, არამედ მისი გარდაცვალების შემდგომაც კი.

— რა შემთხვევაში არის მიზანშეწონილი დაინფიცირებულთა ვინაობის გამხელა?

— კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება დასაშვებია იმ შემთხვევაში, როდესაც პაციენტისგან მიღებულია თანხმობა ან ინფორმაციის გაუმჟღავნელობა საფრთხეს უქმნის მესამე პირის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას. დაინფიცირებული პირის ვინაობის გამხელის საჭიროება საზოგადოებისთვის სხვა ადამიანებისთვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების კუთხით, ქვეყანაში დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების ფონზე, დღეს არ არსე-

ბობს. კორონავირუსის (COVID-19) პირველი შემთხვევის გამოვლენიდან დღემდე მთავრობა, ჯანდაცვის სამინისტრო, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი, ექიმები — თითოეული ეს რგოლი საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში და ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავს ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების, საზოგადოების და თითოეული პაციენტის ჯანმრთელობაზე.

— რას უნდა განსაზღვრავდეს ეთიკის გაიდლაინები ექიმებისთვის?

— ექიმის უზენაესი მოვალეობაა პაციენტზე და მის ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ექიმები თავიანთი პროფესიული მოვალეობის შესრულებას აგრძელებენ რთულ ეპიდემიოლოგიურ სიტუაციებშიც. საზოგადოების მხრიდანაც გონივრული და კანონიერი მოლოდინია, რომ ექიმები იზრუნებენ მათ ჯანმრთელობაზე. გაიდლაინი და კანონმდებლობა არ ავალდებულებს ექიმს გააგრძელოს საქმიანობა საკუთარი სიცოცხლის და ჯანმრთელობის საფრთხის ქვეშ, მაგრამ ასეთი გარემოებების დროს ექიმი ხელმძღვანელობს მისი პირადი მორალური ვალდებულებით და აგრძელებს პაციენტზე ზრუნვას არაპროპორციულად გაზრდილი რისკის ქვეშ, ფსიქოლოგიური დაძაბულობის ფონზე „საზოგადოებასთან დადებული ხელშეკრულებისთვის". საზოგადოებაში ხომ არ არსებობს სხვა სექტორი, რომელიც შეძლებს ეპიდემიების აფეთქების დროს უმკურნალოს დაინფიცირებულ პაციენტს ან ჩაატაროს ეპიდემიოლოგიური კვლევები. ეს გარემოება კიდევ უფრო ამძაფრებს ექიმების, ეპიდემიოლოგების, ყველა სხვა სამედიცინო პერსონალის მორალურ ვალდებულებას. ამ პირობებში იზრდება სახელმწიფოს და სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა — მაქსიმალურად შეამცირონ სამედიცინო პერსონალისთვის რისკები, სათანადოდ უზრუნველყონ სამედიცინო პერსონალის ინფორმირება, დაცვა, მხარდაჭერა, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შექმნა.

— პამდემიის დროს შეიძლება საჭირო გახდეს პიროვნების თავისუფლების შეზღუდვა. რა უნდა გააკეთოს სახელმწი-

ფომ იმისთვის, რომ შესაძლო შეზღუდვებმა არ გამოიწვიოს საზოგადოების მხრიდან უკმაყოფილება და პროტესტი?

— იმ შემთხვევაში, თუ პანდემიის დროს პროცესების დაგეგმვა და მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება და, მათ შორის, პიროვნების თავისუფლების შეზღუდვა ეფუძნება ეთიკურ პრინციპებს და ღირებულებებს, მიმდინარე პროცესები არის ლეგიტიმური და ეფექტური, რაც, თავის მხრივ, საზოგადოებისგან ნდობის და ნებაყოფლობითი თანამშრომლობის საფუძველი უნდა იყოს და არა უკმაყოფილების ან პროტესტის.

ვსარგებლობ შემთხვევით და დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თსუ საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ეპიდემიოლოგიის კათედრის გამგეს, პროფესორ პაატა იმნაძეს და თსუ ინფექციურ დაავადებათა კათედრის გამგეს, პროფესორ თენგიზ ცერცვაძეს, ასევე, მათ არაჩვეულებრივ გუნდს საქართველოში COVID-19 ვირუსის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში აქტიური მონაწილეობისთვის და მნიშვნელოვანი წვლილისთვის.

ესაუბრა თამარ დადიანი

რომელ არხს ვირჩევთ ინფორმაციის მოსასმენად და რომელს — არა!

დღის ახალ რუტინაზე გვესაუბრება თსუ-ის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი ნინო ჭალაგანიძე

—როგორ ართმევს ქართული ჟურნალისტიკა თავს „კოვიდ-19“-ის თაობაზე ინფორმაციის გაშუქებას?

— ვფიქრობ, რომ მიმდინარე მოვლენებმა კიდევ ერთხელ ცხადად დაგვანახა, რომ ჩვენი პროფესია მეტად საჭირო და არსებითია საზოგადოებისთვის. ვისარგებლებ შემთხვე-

ნინო ჭალაგანიძე

ვით და პატივისცემას დავუდასტურებ ყველა კოლეგას, ვინც ამ რთულ და დაძაბულ ვითარებაში, რისკის ფასად, საზოგადოების ინფორმირებისთვის შრომობს. მართალი, გადამოწმებული, დაბალანსებული ინფორმაცია დაცულობასა და უსაფრთხოებას ნიშნავს. აქვე აუცილებლად აღვნიშნავ, რომ ჟურნალისტებთან ერთად, განათლების სფეროშიც ისეთივე კვალიფიციური სპეციალისტები გვყავს, როგორც ჯანდაცვის სექტორში. შესანიშნავია საზოგადოებრივი მაუწყებლისა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთობლივი ინიციატივა — „ტელესკოლა“. ასეთი შრომითა და მობილიზებით ბევრი დიდი ქვეყნის მაღალბიუჯეტიანი მედია ვერ დაიკვეხნის.

— თავად რომელ სატელევიზიო არხს ირჩევთ, როცა გინდათ ინფორმაციის მოსმენა ამ რთულ პერიოდში?

— ჩემი, ასე ვთქვათ, იერარქია მაქვს: საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხით ვიწყებ ხოლმე, ტრადიციულად, და თუ ეთერში იმ მომენტში არ იქნა ახალი ამბების გამოშვება, მერე „იმედზე“ ვრთავ. ასევე, ვეყრდნობი და ვენდობი ციფრული მედიის მონაცემებსაც, უპირატესად, IPM-ს.

— რომელ სატელევიზიო არხს უცხადებთ ბოიკოტს, რათა არ დაითრგუნოთ?

— ბოიკოტს არცერთს არ ვუცხადებ. ჟურნალისტის მხრიდან ეს სწორი არ იქნებოდა. თუმცა, გამოცდილებიდან გამომდინარე, სანდოობის თვალსაზრისით, არ ვარ „მთავარის“, „ფორმულასა“ და, ბოლო დროს, „ტვ პირველის“ მაყურებელი.

— სახლში გამოკეტვის პირობებში რას საქმიანობთ?

— სახლში გამოკეტილს, გაცილებით მეტი საქმე მაქვს, ვიდრე ოდესმე. ვწერ საკითხავ მასალებს თითოეული ლექციისთვის. მაქსიმალურად ვცდილობ, სტუდენტებს გავუიოლო ისედაც მძიმე პერიოდი. ასევე, დისტანციურად ვეწევი ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების საქმიანობის ადმინისტრირებას; პარალელურად, ვმუშაობ ახალ დოკუმენტურ ფილმზე და ოჯახის საქმესაც რა გამოლევს: ბავშვის მეცადინეობით დაწყებული და ყველაფერი დანარჩენი, რისი კეთებაც, სტანდარტულად, დიასახლისს უწევს.

— როგორ გაართვით თავი დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის პროცესს?

— როგორც სტუდენტებისთვის, ისე პროფესორ-მასწავლებლებისთვის გამოწვევა იყო სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადასვლა. გამომდინარე იქიდან, რომ მე, წლებია, მულტიმედია ტექნოლოგიებში ვმუშაობ, თსუ-ის E-learning-ის პლატფორმაც წლების წინ მქონდა ნაცადი და გამოყენებული, ნაკლებად გამიჭირდა, თუმცა ერთია ჰიბრიდული სწავლება, რაც აუდიტორიაში მუშაობის პარალელურად ითვალისწინებს დამხმარე დისტანციური ხელსაწყოების გამოყენებას და მეორე, როდესაც სტუდენტს მხოლოდ ეკრანიდან იცნობ. მაინც მგონია, რომ ჩემმა კოლეგებმა და მეც გავართვით თავი ამ რთულ საქმეს, პასუხისმგებლობით მოვეკიდეთ და უკვე ახალი გამოცდილებაც დავაგროვეთ. მთავარი შემფასებელი კი მაინც სტუდენტია.

— რა არის პოზიტიური და რა — უარყოფითი ემოციის აღმძვრელი ახალი დღის რუტინის პირობებში?

— უარყოფითია გაურკვევლობაში ყოფნა: რა იქნება, რამდენ ხანს გასტანს? — ამაზე ფიქრი. უდიდესი ემოციური დატვირთვაა მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებზე დაკვირვება. არ მინდა დრამატიზება, მაგრამ გონიერი ადამიანი ხედავს, თუ როგორ იცვლება მის ირგვლივ არსებული რეალობა. ვფიქრობ, მსოფლიო აღარასოდეს იქნება ისეთი, როგორიც „კოვიდ-19“-ის გამოჩენამდე იყო. მთავარია, რომ

„კორონას გაკვეთილებმა“ რაღაც გვასწავლოს და უკეთესობისკენ შეგვცვალოს.

რაც შეეხება პოზიტიურს: ნებსით თუ უნებლიედ, მეტი დრო გამოგვითავისუფლდა ოჯახის წევრებთან კონტაქტისთვის, მათზე ზრუნვისთვის. და კიდევ — ვერ წარმოიდგენთ, რამხელა კმაყოფილებას მანიჭებს თითოეული ჩაწერილი ლექციის შემდგომ იმაზე დაფიქრება, რომ სასარგებლო საქმე მოვილიე. ჟამიანობის შედეგი იქნება ლექციების სრული ვიდეოციკლი საგნების მიხედვით, რაც მშვიდობიან პერიოდშიც ძალიან გამოგვადგება.

თსუ სტუდენტური თვითმმართველობა ახალი სასწავლო ფორმატის უკეთ ასათვისებლად სტუდენტებს და პროფესურას ეხმარება

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა სტუდენტებს სასწავლო მასალების ასლების გადაღებას უფასოდ სთავაზობს. ახალი ინიციატივის განხორციელება დისტანციური სწავლების მოდელზე გადასვლისთანავე დაიწყო. სტუდენტურმა თვითმმართველობამ ონლაინ ლექციების ჩასაწერად დახმარება აკადემიურ პერსონალსაც შესთავაზა.

„საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ ჩვენი სამუშაო გრაფიკი შეიცვალა, ახლა სტუდენტები სოციალური ქსელის საშუალებით გვიკავშირდებიან და შესაბამის დახმარებას ვუწევთ. რამდენიმე პროფესორს უკვე დავეხმარეთ, რომ ახალ სასწავლო ფორმატს უკეთ მორგებოდნენ. ჩვენთვის ახლა პრიორიტეტულია მაქსიმალური კომუნიკაცია ფაკულტეტებთან და სტუდენტებთან იმისათვის, რომ აკადემიურმა პერსონალმა ონლაინ რეჟიმში თავისი საქმიანობა ეფექტიანად წარმართოს. სტუდენტებთან მუდმივ კავშირში ვართ, პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში ადმინისტრაციის შესაბამის დეპარტამენტს ვუკავშირდებით.

შოთა კეჟერაშვილი

აქტიურად ვმონაწილეობთ ფაკულტეტების საბჭოების სამუშაო პროცესში. განვიხილეთ შეფასების ახალი კრიტერიუმები, რიგ ფაკულტეტებზე ფინალური გამოცდის შეფასების ქულამ აიწია და 40-ის ნაცვლად 50, 60 ან 70 შეადგინა. შესაბამისად, დაიკლო დასწრებისა და აქტივობის ქულებმა.

გვქონდა შემთხვევები, როდესაც სტუდენტები გვიკავშირდებოდნენ და გვეუბნებოდნენ, რომ მათ არ აქვთ წვდომა ინტერნეტთან ან კომპიუტერთან. იმ რესურსიდან გამომდინარე, რაც უნივერსიტეტს აქვს, მაქსიმალურად ვცდილობთ დახმარებას, თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ თსუ-ს ახლა იმის შესაძლებლობა არ აქვს, რომ სტუდენტები ტექნიკით უზრუნველყოს“, — აცხადებს თსუ სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი შოთა კეჟერაშვილი.

ესაუბრა ნატო ობოლაძე

სტუდენტური სოციოლოგიური კვლევა — დისტანციური სწავლის ავ-კარგი თსუ-ს მაგალითზე და საკარანტინე ცხოვრების მრავალფეროვნება

სტატია ეძღვნება თსუ-ის სოციოლოგ სტუდენტს მაგდა რუხაძეს

2019 წლის დეკემბერში თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტი მაგდა რუხაძე სოციოლოგიური ნაშრომებისა და კონფერენციებში მონაწილეობის გამო საუკეთესო მეცნიერ სტუდენტად დაასახელა. მისი კვლევა — „ადრეული ქორწინება, როგორც ბარიერი ახალგაზრდების განათლებისა და კარიერული წინსვლისთვის“ — ქ. რომში გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე იყო წარდგენილი. ამ კვლევასთან ერთად მაგდა რუხაძის მეორე ნაშრომიც — „ქართველი ახალგაზრდების მიერ სხეულის ხატის აღქმა“ — ინგლისურენოვან რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნდა. სწორედ მაშინ გაიცნო საუნივერსიტეტო საზოგადოებამ მაგდა უნივერსიტეტის მთავარი ფეისბუქგვერდის საშუალებით.

მას შემდეგ, რაც მსოფლიო და, მათ შორის, საქართველო ახალი კორონავირუსის პანდემიის გამო ცხოვრების ახალ დღის წესრიგზე გადავიდა და საზოგადოების დიდი ნაწილი, ვირუსის გავრცელების შიშის გამო, სახლში ჩაიკეტა, სოციოლოგიის მიმართულების წარმატებულ სტუდენტს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ სახელით დავუკავშირდი. ჩემი თხოვნა იყო — მაგდას პატარა სოციალოგიური კვლევა ჩაეტარებინა იმასთან დაკავშირებით, თუ რა აქტივობებით არიან დაკავებულები თსუ-ის სტუდენტები საკარანტინე პირობებში? როგორ ჩაერთვნენ ისინი დისტანციური სწავლის პროცესში? რას აკეთებენ სახლში და რა უჭირთ, როგორ ერთობიან? მაგდა რუხაძემ თხოვნა უშურველად შეგვისრულა და გამოგვიგზავნა მის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები.

მაგდა რუხაძე

„საკარანტინე პირობების სტუდენტებზე ზეგავლენის დასადგენად შევადგინე კვლევის ინსტრუმენტი, რომლის მიხედვითაც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის 50 სტუდენტთან ჩავატარე ონლაინ გამოკითხვა. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ სტუდენტები განიცდიან ინტერაქციის ნაკლებობას, თუმცა, ამის მიუხედავად, მათ გამოუჩნდათ ბევრი თავისუფალი დრო და შეუძლიათ ეს დრო ნაყოფიერად გამოიყენონ სხვადასხვა აქტივობების შესასრულებლად. სტუდენტების უმეტესობისთვის ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლა არ აღმოჩნდა ძალიან რთული, თუმცა ეს მათთვის სიახლეს წარმოადგენდა. მათივე თქმით, თავიდან გაუჭირდათ სხვადასხვა პლატფორმების გამოყენება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, გარკვეულწილად, პრობლემას წარმოადგენდა პროგრამის არასათანადო ფუნქციონირება (გადატვირთვა), რის გამოც ხარვეზები არის სალექციო მასალის აღქმის მხრივ. ამის გამო, ზოგიერთი მათგანი თვლის, რომ აუდიტორიებში ლექციების ან სემინარების ჩატარება ბევრად ეფექტიანი იყო. სტუდენტები სასწავლო მასალებს ონლაინ ლექციების, ვიდეო ჩანაწერებისა და სალექციო მასალების კომბინაციის საშუალებით იღებენ. ძირითადად სარგებლობენ შემდეგი პლატფორმებით: LMS, E-learning და Zoom. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ლექტორები სალექცო კვირების მიხედვით პრაქტიკულ დავალებებს დროულად აგზავნიან, ძირითადად, LMS-ის საშუალებით; დისკუსია შეძლებისდაგვარად ტარდება Zoom-ის საშუალებით, ხოლო რეკომენდაციებს აქტიურად გასცემენ სოციალური

ქსელებისა და უნივერსიტეტის ონლაინ ფოსტის საშუალებით. სტუდენტები თვლიან, რომ ონლაინ ლექციებზე ბევრად ნაკლები დრო ეხარჯებათ, რადგანაც არ უწევთ გადაადგილება სატრანსპორტო საშულებებით; ამასთან, Zoom-ში შედარებით ნაკლები დროა განსაზღვრული ვიდეო შეხვედრისთვის. სტუდენტებისთვის, მეტნაკლებად, მისაღებია ონლაინ სწავლება, მითუმეტეს, მსოფლიოში არსებული მოვლენების გამო, თუმცა უპირატესობას პირისპირ კომუნიკაციასა და სააუდიტორიო მეცადინეობებს ანიჭებენ. სასწავლო პროცესის გარდა, სტუდენტები დაკავებულები არიან სხვადასხვა ჰობით, ამასთან ტექნოლოგიებს მეგობრებთან თუ ახლობლებთან კომუნიკაციისთვის იყენებენ. ისინი, ძირითადად, კითხულობენ სხვადასხვა ლიტერატურას (მხატვრული, პროფესიული და ა.შ.), უყურებენ ფილმებს, ცდილობენ შეისწავლონ ენები საიტების გამოყენებით, ზოგიერთმა შეძლო დრო დაეთმო კულინარიისთვის, რასაც აქამდე ვერ ახერხებდა. ასევე, სტუდენტების ნაწილი ცდილობს დაკავდეს ფიზიკური აქტივობებით“, — ასეთი გახლავთ სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტის მაგდა რუხაძის მიერ მოწოდებული მცირედი სოციოლოგიური კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნები.

პირადად მაგდას სხვადასხვა უცხოური უნივერსიტეტების მიერ მიწოდებული ონლაინ სასწავლო კურსები არაერთხელ გაუვლია, მაგრამ ონლაინ სწავლების აქტიურად გამოყენების გამოცდილება აქამდე არ ჰქონდა. „ყველაფრის მიუხედავად, ადვილად შევეგუე არსებულ სიტუაციას. ისევე, როგორც ჩემს მეგობრებს, მეც მქონდა გარკვეული პროლემები Zoom-ის ტექნიკურ შეფერხებებთან დაკავშირებით, დრო დასჭირდა ბაზების გამართვასაც, მაგრამ ვთვლი, რომ ფაკულტეტის კოორდინატორებმა შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად მოგვაწოდეს ინფორმაცია სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით“, — ამბობს მაგდა.

წარმატება მოიტანა ნდობამ და სრულიად მინდობამ მისთვის საყვარელი პროფესორებისადმი. ამ დამოკიდებულებას მაგდა არ მალავს და აღნიშნავს, რომ სოციოლოგიის მიმარ-

თულებაზე ჩარიცხვამ მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებთან ურთიერთობის შესაძლებლობა მისცა. „მათგან შევიძინე გამოცდილება და ცოდნა სოციოლოგიის, სოციალური თეორიების, მეცნიერების, კვლევის, ეთიკის, თანამედროვე ტენდენციების შესახებ. მომეცა წვდომა სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურაზე. ამასთან, გამოვიმუშავე და გავიუმჯობესე პრაქტიკული, ანალიტიკური, საჯარო გამოსვლის უნარები“, — აცხადებს 2019 წლის საუკეთესო მეცნიერად დასახელებული სტუდენტი.

სხვა უნარი — ფერების განსხვავებული აღქმა

ის, რომ ნიჭიერი ადამიანის ყოველი საქციელი გადამდებია, ამ მოტივით ვირჩევთ მაგდას და გვინდა, რომ სხვა სტუდენტებმაც გამოავლინონ დაფარული თუ მათთვისვე ხილული ნიჭი — ამის დანახვა კი ჩვენი მოვალეობაა, რადგან ყველა ადამიანს სჭირდება „აღმოჩენა“, პიროვნული სევდის თუ სიხარულის თანაზიარება, წარმატებისთვის ჯილდო, თუნდაც ეს სიტყვით იყოს გამოხატული. ნათქვამია, „წარმატებაც ისეთივე ტვირთია, როგორც ხორციო“, რადგან ადამიანთა მოდგმას ჰყავს ზოგიც უნიჭო და შურით აღსავსე „ცხოვრების მონები“, რაც არ უნდა უსიამოვნო იყოს ეს რეალობა, რასაც ვერ შეცვლი... ამიტომაც, წარმატების გზაზე ვიღაც გეღობება, გავიწროებს, გმალავს და შენც ზიანდები... სწორედ „სხვათა და სხვათა“ მსგავსი მიდგომის საწინააღმდეგო კამპანიის მომხრე ვარ, მით უფრო ახალგაზრდების მისამართით, რომლებიც ახლა იწყებენ ბრძოლას თვითდამკვიდრებისთვის რეალურ, არც თუ ისე უეკლო სამყაროში... გვინდა, გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ეგიდით შევეხიდოთ მათ — არ იგრძნონ ცხოვრების თანმდევი იმედგაცრუებები... ეს მონოლოგი მოიტანა მაგდას სხვა კუთხით აღმოჩენამ, გარდა იმისა, რომ მასზე, როგორც წარმატებულ სტუდენტზე, უკვე ვისაუბრეთ... კიდევ რა ინტერესები აქვს? რას მისდევს? — ამ კითხვებმა გაგვიყვანა მხატვარზე, მელომანზე, მოწესრიგებულ ახალგაზრდაზე, რომელიც თურმე თავისი ხელით სამკაულებსაც აკეთებს.

ხატვა 5 წლიდან დაიწყო. დადიოდა ხატვის წრეზე — „ელენე ახვლედიანის სახელობის სამხატვრო გალერეაში“. მონაწილეობა აქვს მიღებული უამრავ საერთაშორისო თუ ადგილობრივ გამოფენაში. „ბავშვობიდან ფერების განსხვავებული აღქმა მქონდა, ვეცნობოდი სხვადასხვა ენციკლოპედიებს ხელოვნების შესახებ. ხატვა და ფერები ყოველთვის მაძლევდა ჩემი განწყობის გადმოცემის შესაძლებლობას. ჩემი ინსპირაციის წყარო განსაკუთრებით იმპრესიონისტები და რენესანსის პერიოდის მხატვრობაა, რომელთა ნამუშევრები იტალიის, საფრანგეთის, ესპანეთის და ამსტერდამის მუზეუმებში მაქვს ნანახი. განსაკუთრებით მიყვარს პორტრეტების, ნატურმორტებისა და პეიზაჟების ხატვა. შევქმენი საკუთარი არტ-გვერდი (https://www.instagram.com/art-of-magda/), სადაც ჩემს უკანასკნელ ნამუშევრებს ვათავსებ. მომავალში ვაპირებ შეკვეთების მიღებასაც“, — გვწერს მაგდა გაზეთის ეგიდით გაგზავნილ კითხვარებში.

სიმღერის გამოცდილებამ (მხოლოდ საგუნდო კლასიკურ და ხალხურ ნაწარმოებებს ასრულებდა) კარგ მუსიკალურ მსმენელადაც ჩამოაყალიბა. 2019 წლიდან აგროვებს მუსიკალურ ალბომებსაც. საკუთარი ხელით გაკეთებული აქვს ბროშების „სამოთხის ჩიტების“ ხაზი. „მომავალში ვაპირებ ჩემი ნამუშევრების გაყიდვას, მას შემდეგ, რაც ჩემი არტ-გვერდი უფრო გაფართოვდება“, — გვწერს მაგდა და დისტანციურ დიალოგში იმასაც ამბობს, რომ კიდევ უფრო მეტი იდეების რეალიზება სურს.

კონტაქტი შედგა. უდიდესი სიამოვნების განცდები აღძრა ფაკულტეტზე წარმატებულ სტუდენტად აღიარებული მაგდა რუხაძის პიროვნებაში სხვა ნიჭის ამოტივტივებამაც და მიხარია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეძლო ამ ადამიანისთვის ცხოვრების სიკეთე, წარმატების ხიბლი და მადლობის მადლი ეჩვენებინა. ცხოვრების რთულ გზაზე მაგდასთვის ეს, ალბათ, უკან მოსახედი კარგი მაგალითი და წინ დადებული კარგი გამოცდილებაა.

ავტორი: ნინო კაკულია

თსუ — სახლი, რომელშიც მუდამ ვიღაც გელოდება...

„ვარდისფერი ქუჩიდან მაქვს შენთვის მოკითხვა, მე შენ მჭირდები...“ — ნინი თურმანიძე ასე მოგვესალმა, როდესაც გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ეგიდით კითხვა გავუგზავნეთ თსუ-ის სტუდენტს — რით შეგვიძლია გაგამხნეოთ? აღმოჩნდა, რომ ადამიანების უმეტესობა, „კოვიდ-19“-ით გამოწვეულ ემოციურად გადატვირთულ გარემოში კიდევ უფრო მეტად ითხოვს თვითრეალიზებისთვის საშუალებების შეთავაზებას, რადგან ჩაკეტილ სივრცეში ყოფნისას გამოთავისუფლებული დიდი დროს ათვისება გჭირდება იმ შიშის დაძლევის პარალელურად, თუ როგორ დახარჯო შენი ენერგია? რაზე გადაერთო? რა უნდა აკეთო იმისთვის, რომ უარყოფით ემოციებს სძლიო და მაინც შექმნა რაღაც ამ რთული მოცემულობის მიუხედავად... ალბათ, ასე ფიქრობდა ნინი, როდესაც შევეხმიანეთ და დავტვირთეთ გაგზავნილ შეკითხვებზე პასუხების გაცემის დავალებით. სტუდენტმა სიხარულით მიიღო ჩვენი შეთავაზება — ბევრისთვის ამ დამზაფვრელ დროს ხომ დიდი მადლია ფიქრების, ემოციების გაზიარება და იმის გააზრება — რომ სოციალური ურთიერთობები კვლავაც გრძელდება...

ნინო თურმანიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფილოლოგიის სპეციალობაზე სწავლობს. უკვე მეორე კურსზეა. თვლის, რომ უნივერსიტეტმა მისცა ძალიან დიდი შესაძლებლობა — დაენახა საკუთარ თავში ჩამოყალიბებული და გაზრდილი ადამიანი, რომელიც არ უნდა გაჩერდეს თავისი მიზნების და ოცნებების ასახდენად. „ძალიან დიდი შესაძლებლობაა ისიც, როცა უნივერსიტეტი მეორე პროფესიას გარჩევინებს — მაინორად კულტურის კვლევებზე ვსწავლობ. ეს ფაკულტეტიც საინტერესოა და ზოგადი ცოდნის ამაღლებაში მეხმარება, შემძინა ბევრი მეგობარი, რომლებიც ცდილობენ ჩემს წარმატებას შეუწყონ ხელი, ერთად ვმეცადინეობთ, ვათენებთ ღამეებს გამოცდებისთვის, ერთად ვარჩევთ საჭირო სა-

ნინი თურმანიძე

კითხებს, ვცვლით ცოდნას. ჩვენ ერთმანეთის კონკურენტები ვართ, თუმცა ამ ფაკულტეტზე ეს არ იგრძნობა. თსუ ცოდნის ტაძარია — ბევრი სიახლით, სტუდენტებზე მორგებული გარემოთი და ახალი ურთიერთობებით სავსე. ესაა სახლი, რომელშიც მუდამ ვიღაც გელოდება“, — გვწერს ნინი.

ნინო თურმანიძეს ყველაზე უკეთ ჩანახატების წერა გამოსდის და ეს მისი უნარი კიდევ უფრო გვაკავშირებს მასთან. ყველაზე მიმზიდველი კი მისი ფილოსოფიური შეფასებებია — თუ რაში ეხმარება მას, როგორ პიროვნებას, წერა? „ემოციური ბავშვი ვიყავი, ხშირად ბუტიაც და ძალიან მომწონდა ჩემი გრძნობების ფურცლებზე გადატანა, ვწერდი დაუსრულებლად სამყაროზე და ადამიანებზე... თავისუფალ თემებს და ლექსებს მაწერინებდა ქართული ენის პედაგოგი ღონისძიებებისთვის. მეხუთე კლასში ვიყავი, როცა მოთხრობა დამაწერინეს ობოლ გოგონაზე და მაშინ პირველი ხარისხის დიპლომი მივიღე. დღემდე ვწერ ჩემთვის, ყოველთვის მაშინებდა ხალხის აზრი (ეს პირველი შემთხვევაა, როცა გავბედე თქვენთან გამოხმაურება). როცა მიჭირს სულიერად, ვწერ ბევრს და ვცდილობ — ჩემს თავში დაკარგული ადამიანი წამოვაყენო, ავდგე, რადგან შეცდომებზე სწავლობს ადამიანი...“, — ასე აზროვნებს ნინი, რომელსაც ცხოვრებისეული საკუთარი პრინციპებით ზოგჯერ დიდ ადამიანებზე მეტად შეუძლია, რომ გვასწავლოს — როგორ უნდა იპოვო ადამიანმა შენი ნიშა, რათა დაცემულიც კი ადგე და თავაწეულმა გაიარო იმ ფიქრით, რომ შენ შენს ქვეყანას რაღაცით მაინც არგე... „ისტორიას სახელი რომ დაუტოვო, სულ არაა საჭირო — ცნობილი იყო, უბრალოდ ადამიანებს თავი უნდა

შეაყვარო, უნდა იყო წრფელი და არ უნდა გიწევდეს თამაში. თუ ადამიანებს შენს სიყვარულს ასწავლი, ჩემი აზრით, შენს მოსვლას ამ ქყვეყნად ფასი აქვს. ყოველი დღე გამოცდაა შენი... არ ვიცი, სახელი დარჩება თუ არა ისტორიას — ეს მეასე ხარისხოვანია, თუმცა სიყვარული და უანგარო ბედნიერება, რომელსაც ადამიანებისგან ვიღებ, აუცილებლად იტყვის ყველაფერს. მინდა, სწორი გზით და უფლის სიყვარულით ვიცხოვროთ ადამიანებმა, მეტი სიყვარული და ნაკლები შური იყოს ჩვენში, მეტი რწმენა და იმედი. იმედი იმის, რომ გადავრჩებით!" — აქეთ გვამხნევებს ნინი და გვიხარია, რომ ის დიდ-პატარა ქალი უნდა გავაცნოთ საზოგადოებას, რომელიც, ასეთ დროს, ბევრისთვის მისაბაძ მაგალითად იქცევა ხოლმე... მისი ნააზრევი და ამჟამინდელი ქმედება (ის არ ჩერდება!) ნამდვილად გვაძლევს იმის საფუძველს, რომ სწორედ ნინი თურმანიძის დამოკიდებულებები, აღქმები და სულიერი სამყარო გავუზიაროთ ყველას დამშვიდებისთვის და იმედიანობისთვის...

ისტორიას კი მართლაც შემოვუნახავთ მის ჩანახატს, რომელშიც ნინიმ ფანტაზია და რეალობა ერთმანეთს შეუზავა ახალი კორონავირუსით გამოწვეული მოცემულობისას.

იმედს არ ვკარგავ, რომ ჩემს „კორონა ქალაქში" მზე ისევ სხვანაირად გაანათებს

(ნინი თურმანიძის ჩანახატი)

ალბათ დაგინახავთ პატარა, მეოცნებე გოგონა ვარდისფერი ქუჩიდან, სარკმლიდან გადმოკიდებული და ფიქრებით გატაცებული აგატას წიგნებით... ის არც გამომძიებელია ან რამე სხვა, რომელსაც მოსწონს ქუჩაში მოსიარულე ადამიანების ყურება, როგორც ქუჩებში მოზუზუნე მანქანების თვალიერება. აკვირდება ადამიანების ბედნიერ და მოწყენილ სახეებს, უყვარს წვიმაში სეირნობა, კლასიკური მუსიკა და ახალი გამოწვევები, პლედში გახვევა და აივანზე ჭიქა ღვინით გამოთრობა, დაუსრულებლად წერა ადამიანებსა და

სამყაროზე... პატარა ბავშვივით გიჟდება ფერადი ბამბის ქულაზე, რომელსაც ბაბუ გზად ჩამოატარებს ხოლმე. მას საკუთარი ყვავილების მაღაზია ექნება, იმუშავებს პრესაში. იფიქრებ, ზედმეტად მეოცნებეაო. ჰო, მეოცნებეა, ყველამ იცის ამ ქუჩაზე...

დღეს მისი ვარდისფერი ქუჩა დაცარიელდა, მზისფერი ქუჩა „კაციჭამია“ სენმა შეიპყრო, ქალაქში კომენდანტის საათი გამოცხადდა... ახსოვს ის დღე, ვირუსმა ყველაფერი რომ შეცვალა, ერთნაირად არია და გააფერმკრთალა უწინდელი დღეები. დაიკეტა სავაჭრო ცენტრები, გადაიდო სწავლაც... წამლისა და საკვების მოსაპოვებლად დაუსრულებელი რიგები, შეშინებული ლურჯ პირბადიანი ადამიანები... უწინდელ მზიან ქალაქს „კორონა ქალაქი“ შეარქვა, ფერადსა და ნათელ ქვეყანას ოცნება წაართვა, ხალხს — იმედი, ადამიანებს — მეგობრები... და მეოცნებე გოგო სადაა? — ის არ კარგავს იმედს, რომ ყველა ფერი ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება. ხალხი აღარ იცინის, ქუჩებმაც მოიწყინეს, მისი სახლიდან ფერადი ცისარტყელა არ მოჩანს და ვერც ბაბუას ამჩნევს, „ბამბის ნაყინს“ რომ გაიძახის ხოლმე, ვერ ხედავს ბავშებს, რომლებიც ამ ქუჩას სიხალასით აავსებდნენ ხოლმე. ეს გოგო გაიზარდა, მაგრამ მაინც ერთობა ბავშვური თამაშებით. ეჰ, რა კარგი ყოფილა დახუჭობანა... ენატრება მეგობრები, ბიბლიოთეკა და მისი საყვარელი ადგილი, ის შოკოლადის კრუასანი, რომელსაც, ხშირად, უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში მიირთმევს ყავასთან ერთად, ცოცხალი ურთიერთობები და ადამიანების გაბედნიერება. გადაწითლებული ცხრილით პირველი კორპუსიდან მეხუთეში დაუღლელად მორბენალს ხედავენ ხოლმე... უყვარს სიცოცხლე, ის არ ჩერდება. ძნელია წერო იმაზე, თუ რას განიცდი. დიახ, მასაც შენსავით უნდა დარჩენა...

ჰეი, სალამი! ჰო, ჰო, შენ გეუბნები! მე ნინი ვარ ვარდისფერი ქუჩიდან. მჯერა, ყველაფერი გაივლის, მინდა, ისევ იცინო და ამ ვითარებას ცოტათი პოზიტიურად შეხედო... ჩემი ცხოვრებაც აირია, ვერც საყვარელ ადგილებში მივდივარ, ვერც მონატრებულ ადამიანებს ვნახულობ, რომლებიც და-

უსრულებლად მენატრებიან. ვირუსმა პანიკური შიში გამოიწვია ჩემში-თქო, ვერ ვიტყვი. ვფიქრობ, ასეთ დღეებშიც შეიძლება გამოსავლის პოვნა. ბავშვობიდან თავისუფლად და ლაღად ვურთიერთობ ადამიანებთან, ყველაზე მეტად საყვარელი ადამიანების სითბო და ჩახუტება დამაკლდა. კორონამ დედამიწა შემოაბრუნა, საათმაც წაღმა დაიწყო ტრიალი, მოვხვდი ბუფერულ ზონაში, სადაც მხოლოდ სიცარიელეს ვხედავ, ვერც უნივერსიტეტში დავდივარ. დარწმუნებული ვარ, შენც ჩემსავით მოგბეზრდა ოთხკედელში გამოკეტვა. მშობლებმა ჩემი სოფელში გაშვება გადაწყვიტეს, აქ შედარებით უსაფრთხოდ ვარ, ვუვლი ჩემს საყვარელ პაპას, ვანებივრებ გემრიელი კერძებით, ვიცი, რომ ბედნიერია. „დიდი სახლის პატარა დიასახლისობაც“ შევითავსე, ვიცლი სწავლისთვისაც, აქტიურად ჩავერთე ონლაინ სწავლებაში და ვმეცადინეობ ყოველდღე. სიმართლე გითხრა, სისტემა ნამდვილად სწრაფად და გამართულად მუშაობს, თუმცა, სავსე და ახმაურებულ უნივერსიტეტს არაფერი შეედრება. ჰო, კიდევ ერთი ჩვევა უნდა გაგანდო, არ მიყვარს უსწავლელად დაძინება, კონსპექტების რიგი, მაღლივის საგამოცდო ციებ-ცხელება და ამოღამებული თვალებით სიარული. არ მიყვარს ტელევიზორის ყურება, ვთვლი — წიგნების კითხვა უფრო პროდუქტიულია, ზედმეტ პანიკაში გვაგდებენ საინფორმაციოები. ვირუსმა ჩამიშალა გერმანიაში წასვლის გეგმებიც... იმედს არ ვკარგავ, რომ ჩემს „კორონა ქალაქში“ მზე ისევ სხვანაირად გაანათებს, ნაცრისფერი დღეები ფერადი და კაშკაშა დღეებით ჩანაცვლდება, ისევ დავსველდები წვიმიან ქუჩებში, ისევ დავინახავ სიყვარულით შეპყრობილ მოსეირნე წყვილებს, თავისუფლად გავშლი ხელებს, დავიჭერ ხალხის კეთილ მზერას, რომელიც თვალებში ვარსკვლავებს ამითამაშებენ. ჰო, ამ ვირუსმა ბევრ რამეზე დამაფიქრა, ცოტაც დამასევდიანა...

თუ ამას კითხულობ, მინდა იცოდე, რომ მეც შენსავით მარტოსულად ვგრძნობ თავს. ნეტა ჩემი დასნეულებული ქალაქი მალე განიკურნება? ხომ იცი, სასწაულები ხდება, მთავარია შენც ჩემსავით დაიჯერო. მე ხშირად ვუყურებ ვარსკვლავებს

და ბევრს ვფიქრობ ყველაზე, ამიტომ მჭირდება შენი ღიმილიც, ეს ჯაჭვი რომ არ დაირღვეს. დარჩი სახლში ცოტახნით, ესეც მალე გაივლის... „რწმენა ნუგეშად რომ არ გვქონდეს, ცხოვრება მეტად მწუხარე იქნებოდა“, მალე ქუჩები კვლავინდებურად ახმაურდება, მალე ერთმანეთს ჩავეხუტებით...

ავტორი: ნინო კაკულია

„მდუმარე გაზაფხული“

გვესაუბრება თსუ-ის პროფესორი, ბიოლოგი არნოლდ გეგეჭკორი

— დედამიწის თანამედროვე ორგანულ სამყაროში გაერთიანებული არის 6 სამეფო: ვირუსები, ბაქტერიები, ერთუჯრედიანი ბირთვიანები, მრავალუჯრედიანებიდან — სოკოები, მცენარეები და ცხოველები. სტუდენტებს ჩვენ „ვუხატავთ“ ამ 6 სამეფოს პორტრეტს, როგორც იტყვიან ხოლმე — ვინ ვინ არის. ამ შემთხვევაში, ცხადია, ვიწყებთ ვირუსებით. ტერმინი „ვირუსი" არის ბერძნული წარმომავლობის. „ვირა“ — შხამს ნიშნავს და, შესატყვისად, მსგავსი ტერმინი სტუდენტებში იწვევს გარკვეულ ინტრიგას, რატომ ეწოდება 6 სამეფოდან ერთ-ერთს შხამი (შხამიანი). ჩვენ სტუდენტებს ვუხსნით, რომ ვირუსი, დღევანდელი გაგებით, ყოფილი ბაქტერიაა, რომელმაც პარაზიტიზმის გამო, თავის დროზე დაკარგა უჯრედი. ეს არის რაღაც „ჯოხისებური,“ ფრიად თავისებური არსება, რომელიც ცოცხალი ორგანიზმის გარეშე მკვდარია, არ გააჩნია სიცოცხლისთვის დამახასიათებელი ორი არსებითი ნიშანი — ნივთიერებათა ცვლა და გამრავლება, შესაბამისად, ამიტომ იმყოფება ესოდენ ღრმა ლატენტურ მდგომარეობაში. იმ შემთხვევაში, თუ ის პატრონ ნებისმიერ ორგანიზმში — ერთუჯრედიანსა თუ მრავალუჯრედიანში მოხვდება (ბაქტერიაში, ერთუჯრედიან ბირთვიანში თუ მრა-

არნოლდ გეგეჭკორი

ვალუჯრედიანში, ადამიანის ჩათვლით), მაშინ ის იწყებს გუგულის პრინციპით მოქმედებას. იცით, ალბათ, გუგული პარაზიტი ფრინველია, კვერცხს დებს სხვა ფრინველის ბუდეში, ასე აჩეკინებს და აზრდევინებს თავის მართვეს. ზუსტად ასე იქცევა ვირუსი – შეიჭრება პატრონი ორგანიზმის უჯრედში და მის გენომს საკუთარი გენომით აიძულებს, აკეთებინოს მისთვის სასარგებლო, ნაკლული ცილები. ამას, ჩვეულებრივ, სჭირდება სამი-ოთხი დღის ინკუბაცია. ამ ხნის განმავლობაში ის მრავლდება, ტოვებს ორგანიზმს. მისი შხამიანობა ორგვარი სიმპტომით გამოიხატება. პირველი, როდესაც ის იჭრება ორგანიზმში, არსებობს მასში და სიცოცხლის ორ დამახასიათებელ თვისებას იძენს — ნივთიერებათა ცვლასა და გამრავლებას. ამ შემთხვევაში მისი ცხოველმყოფელობა უარყოფითად მოქმედებს ადამიანზე, მაგრამ პათოლოგია განსაკუთრებით გამოხატულია მას შემდეგ, რაც ვირუსი, 3-4 დღის შემდეგ, ტოვებს პატრონ ორგანიზმს და ერთდროულად პატრონს უტოვებს თავისთვის საჭირო ცილებს. სწორედ ეს უცხო ცილებია პატრონი ორგანიზმისათვის „შხამი.“ საქმე ის არის, რომ ევოლუციურად ვირუსის პატრონ ნებისმიერ ორგანიზმს თავისი ცილები გააჩნია, ვირუსმა კი შექმნა და დაუტოვა პატრონისთვის უცხო ცილები. სწორედ ამაში გამოიხატება ის სიმპტომები, რომელიც ჩვენ ვიცით გრიპის ან ნებისმიერი ვირუსული დაავადების შემთხვევაში.

ვირუსული დაავადებები, კორონავირუსის გარდა, ყოველთვის გარკვეულ საზღვრებში ავლენდა პათოლოგიებს. ცხადია, თუ ადამიანი ავადმყოფია, მასზე პათოლოგია გაცილებით ნეგატიურად ისახება. შედეგად, ზოგ ადამიანს მეტი მკურნალობა სჭირდება, ზოგს – ნაკლები. ამასთან, გააჩნია, თუ რა შტამის არის ვირუსი. ვირუსს სახეობას ვერ უწოდ-

ებენ, განსხვავებით სხვა ორგანიზმისგან, რადგან ძალიან ადვილად იცვლის გენომს და თუ ახლა, ამ წუთში, ერთია, ხვალ შეიძლება სხვა გახდეს. ამიტომაც ვერ აღწერენ მათ, როგორც სახეობებს.

რით განსხვავდება „COVID-19“ სხვა ვირუსებისაგან? ეს ვირუსი ატიპიურია იმდენად, რამდენადაც ორი-სამი კვირა შეუძლია იყოს პატრონ ორგანიზმში, ნაცვლად სხვა ვირუსთა სამი-ოთხი დღისა.

რით არის გამოხატული კორონავირუსის შესატყვისი დაავადება-პათოლოგია? მას ახასიათებს რა ორი-სამი კვირის ინკუბაცია, საწყის საფეხურზე ის ნაკლებ რეაქციას იწვევს პატრონ ორგანიზმში, ე.ი. ფარულია, ლატენტურია. ეს ვირუსი სახის ორგანოებიდან ლორწოვანი გარსით იჭრება ადამიანის რესპირატულ ორგანოებში (იჭრება, ძირითადად, პირის ღრუს, ცხვირის ნესტოების და, განსაკუთრებით, თვალის არეებიდან). როდესაც ფილტვებში მოხვდება, იქაც ატიპიურობას ამჟღავნებს, რადგან, სხვა ვირუსებისგან განსხვავებით, მთლიანად ფილტვების ნებისმიერ უბანს აზიანებს და მხოლოდ ამის შემდეგ ტოვებს ორგანიზმს. შედეგად, ადამიანს სუნთქვა ეკვრება, რადგან ჟანგბადს ვეღარ იღებს, ამიტომ იხრჩობა და პროცესიც ლეტალური შედეგით მთავრდება. ეს არის ამ ვირუსის განსაკუთრებულობა, რასაც დღეს პანდემიის ხასიათი მიეცა.

ბევრი ლაპარაკია ამ ვირუსის წარმოშობაზე – საიდან წარმოიშვა ასეთი ატიპიური, არაორდინალური ფორმა ვირუსისა? ეს დადგენილია, მიაგნეს წყაროს. ამ ვირუსის სახელწოდება, როგორც ითქვა, არის „COVID-19“, ადრე ცნობილი იყო ამავე ვირუსის სხვა ფორმა — „COVID-17“. ეს არის გენმოდიფიცირებული ფორმა, რომელიც ახლა პათოლოგიის თვალთახედვით მხოლოდ ადამიანზეა სპეციალიზებული. გვახსოვს, ადრე იყო ქათმის გრიპი, ღორის გრიპი და სხვა ვირუსული დაავადებები. უნდა ითქვას, რომ ყველაფერი ეს ტროპიკული აზიიდან მოდის.

ჩვენ ვიცით სხვა პათოლოგიების გამომწვევი პარაზიტებიც, რომლებიც სპეციალიზებულები არიან მხოლოდ ადამი-

ანის ორგანიზმში, მაგალითად, ღორის სოლიტერი, რომელიც წვრილ ნაწლავში პარაზიტობს და ადამიანს უქმნის პრობლემას (თვითდაინვაზირების შემთხვევაში აზიანებს თავის ტვინსაც); ასკარიდა, რომელიც ასევე ადამიანის წვრილ ნაწლავში ბინადრობს, მაგრამ მისი ლარვა ადამიანის ხორხისკენ გადაადგილებისას (ჟანგბადის მისაღებად) მექანიკურად აზიანებს ადამიანის მთელ რიგ შინაგან ორგანოს. არის მთელი რიგი ორგანიზმი, რომლებიც ცხოველურ ორგანიზმებსა და ადამიანშიც გვხვდება. ასეთ შემთხვევაში, პირველი პატრონი ორგანიზმი, მაგალითად, რომელიმე გარეული ან შინაგანი ჩლოქოსანი ცხოველი იმთავითვე იმუნირებულია პარაზიტის მიმართ, განსხვავებით ადამიანისაგან. მსგავს შემთხვევას ვხვდებით კორონავირუსის შემთხვევაშიაც. როგორც ითქვა, მისი ძირითადი, პირველადი პატრონი ორგანიზმი ღამურაა. ეს უკანასკნელიც ვირუსთან იმუნირებულია. როდესაც ადამიანი ბაზრობაზე ნაყიდ ასეთ ცხოველებს ყიდულობს, ორმაგი რისკია: პირველი, ნაყიდი პროდუქტი იმთავითვე შეიცავს მავნე პარაზიტებს, მითუმეტეს, ბაზრობაზე გამოტანილი ნედლი პროდუქტი სხვადასხვა მწერებითა და სხვა უხერხემლო ორგანიზმებით დამატებით ინფიცირდებიან. მსგავს შემთხვევას შეიძლება ჰქონოდა ადგილი ჩინეთის შესატყვისი პროვინციის ბაზრობაზე. მაგრამ, გავიმეორებ, რომ კორონავირუსის ატიპიურობა ბადებს ეჭვს, რომ მისი გენომი, ესოდენ რეზისტენტული, ხელოვნურად არის სინთეზირებული და, ამდენად, ფრიად აგრესიული. დადგენილია, რომ „COVID-17“ ღამურების ვირუსია. ღამურების მრავალსახეობა არსებობს. მაგალითად, ტროპიკული ღამურები სხვა სახეობებს მიეკუთვნებიან და მოზრდილი სხეულიც გააჩნიათ (40-70 სმ.-ს აღწევს). სწორედ ასეთ ღამურებს, სხვა გარეულ ცხოველებთან ერთად, იყენებენ საკვებად.

ჩინეთის ზოგიერთ პროვინციაში, გასული საუკუნის 50-იან წლებში, იყო შიმშილიანობის წლები, როდესაც, სტატისტიკის მიხედვით, 30 მილიონამდე ადამიანი ამოწყდა. ამ პერიოდში ადამიანები იძულებული იყვნენ ნებისმიერი გარეული ცხოველით ეკვებათ — ეს იქნებოდა ტროპიკების მახრჩობელა

გველები, ღამურები თუ სხვა. ასე გამოიკვებეს და გადაირ-ჩინეს თავი. შემდეგ წვრილმა ბიზნესმა დაიწყო იმ გარეული ცხოველების ხელოვნურად მოშენება, რომელსაც შიმში-ლობის წლებში საკვებად იყენებდნენ და გაიტანეს ბაზარ-ზე. ვირუსის მატარებელი ორგანიზმი გინდა ხელოვნურად გამრავლებული შეგიტანია ბაზარზე და გინდა ბუნებრივად მონადირებული, ის ინფექციის მატარებელია და, ხშირად, თერმულადაც რომ დაამუშავო, ვირუსის შემთხვევაში, ვერ გაანადგურებ (ძალიან რეზისტენტულია). ამიტომ ის, ვინც მიირთმევს, ინფიცირდება.

„COVID-17“ ადამიანზე ლოკალურად მოქმედებდა, ფილ-ტვების მთლიან მოცულობას არ აზიანებდა და, შესაბამისად, ლეტალური შედეგით არ მთავრდებოდა. „COVID-19“, რო-გორც ითქვა, სულ სხვა შემთხვევაა, შესაბამისად სწორედ ამ-იტომ გაჩნდა ეჭვი, რომ მისი ხელოვნურად შექმნილი გენომი უნდა გამოყენებული ყოფილიყო ბიოლოგიური ომისათვის. მსგავსი ვირუსი შეიძლება განათავსონ ყუმბარის მსგავს იარ-აღში. ბირთვული იარაღისა არ იყოს, მსგავსი ბიოლოგიური იარაღი კაცობრიობისთვის დიდი საფრთხის შემცველია...

...ასეა თუ ისე, კორონავირუსისგან გამოწვეულმა ადამიან-თა დაავადებამ პანდემიის ხასიათი მიიღო. რამდენადაც პა-რადოქსულად არ უნდა ჟღერდეს, 21-ე საუკუნეში უხილავი მტერი კაცობრიობას უდიდეს პრობლემას უქმნის. უკვე ფიქ-სირდება პირველადი, მეორეული, მესამეული, მეოთხეული გადაცემები, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანები ერთმანეთს აინფიცირებენ და ყველაფერი ეს ისეთი სწრაფი ტემპით მიმ-დინარეობს, რომ ეს დაავადება ემსგავსება შუა საუკუნეების ბაქტერიების მიერ გამოწვეულ შავ ჭირსა და ტიფს. როგორც ცნობილია, ამ დროს ქალაქები და ქვეყნები თითქმის იცლე-ბოდა მოსახლეობისგან. გასათვალისწინებელია, რომ მაშინ მოლეკულური ბიოლოგია და გენეტიკა არ იყო განვითარე-ბული. ამჟამად უკვე არსებობს ტექნოლოგიური ნოვაციები თვით ამ აგრესიული ვირუსის დასამარცხებლად.

აქვე უნდა ითქვას, რომ მეცნიერების მხრიდან დაუშვებე-ლია ჭარბი ოპტიმიზმი. შავი ჭირისა და ქოლერას დროს არ

იცოდნენ ბაქტერიის გადამტანი კვებითი ჯაჭვი. მაგალითად, ბაქტერიის მატარებელია მასზე იმუნირებული მღრღნელი — ვირთხა, გადამტანია ტრანსმისიული ორგანიზმი — რწყილი. რწყილი კბენს ვირთხას, ამოწოვს სისხლს და მექანიკურად გადააქვს (ამ პროცესს ჰქვია ტრანსმისია) მისგან შავი ჭირის გამავრცელებელი ბაქტერია. შემდეგ, თუ რწყილი — ჰემატოფაგი — კბენს ადამიანს, მასში გადააქვს მავნე ბაქტერია. სწორედ ეს მექანიზმი — კვებითი ჯაჭვი — არ იცოდნენ თუნდაც 100 წლის წინათ. ამდენად, ადამიანის არაიმუნირებული ორგანიზმი ხდებოდა მსხვერპლი, რასაც საქართველოში „ჟამიანობას“ უწოდებდნენ (გაიხსენეთ ხევსურეთის ე.წ. „ანატორის“ მაგალითი; იქ ნაპოვნი ნებაყოფლობით შესული, დაინფიცირებული მომაკვდავი ადამიანების ჩონჩხი). ადრე ადგილი ჰქონდა ლოცვა-კურთხევას, ტანსაცმლის დაწვას, ცეცხლის კვამლზე ტანსაცმლის გატარებას და სხვა მრავალს ხერხს.

უნივერსიტეტში ვკითხულობ სიცოცხლის ოთხი მილიარდი წლის ისტორიას. ადამიანი ჯერ არ არსებობდა, მაგრამ ნამარხი ჩონჩხების მიხედვით დადგენილია, რომ ვირუსულ თუ ბაქტერიულ ორგანიზმებს შორეულ გეოლოგიურ წარსულში ცხოველთა არაერთი სახეობა უმსხვერპლია. სამწუხაროდ, ამჟამად სწორედ ამ კონტექსტში კორონავირუსსაც ჩავრთავ ჩემს სალექციო კურსში, რადგან შედეგებმა პრეისტორიულ მასშტაბებს მიაღწია. ასაკოვანი გახლავართ, ომიანობის პერიოდი ბუნდოვნად მახსოვს. მაშინ ყუმბარები ჩვენთან არ ჩამოუყრიათ, მაგრამ დიდი გაჭირვება იყო. მრავლდებოდნენ სხვადასხვა სისხლისმწოველი (ჰემატოფაგი) მწერები: ბაღლინჯო, რწყილი და ტილიც, რადგან ომიანობისას ჰიგიენას ძნელად იცავენ. ბებიაჩემი საპონს თავისი ხელით აკეთებდა, მაგრამ ლეტალურობის მსგავსი მასშტაბი არ ყოფილა. ჩვენ არ მოვსწრებივართ შავ ჭირს და ჟამიანობის სხვა გამოვლინებებს. ამიტომაა სწორედ პარადოქსი, რომ მეცნიერების თანამედროვე განვითარების პირობებში ვირუსული ორგანიზმი დაემუქრა კაცობრიობის ყოფნა-არყოფნას.

არსებითი არის ის, რომ ქვეყნებმა, რომელთაც დიდი სამეცნიერო ტექნოლოგია გააჩნიათ, გამოყვეს კოლოსალური თანხები, რათა რაც შეიძლება სწრაფად შეიქმნას სათანადო ვაქცინები. ჩემი ღრმა რწმენით, ახლო მომავალში ეს პრობლემა დადებითად უნდა გადაწყდეს. მთავარია, რომ მეცნიერება ახლოს არის სათანადო გენომის გაშიფვრასთან (არის მოსაზრება, რომ მსგავსი გენომი გაშიფრულია).

* * *

...საჭიროდ ვთვლი თემიდან ერთ ასეთ გადახვევას: ამერიკელმა ბიოლოგმა და მწერალმა რეიჩელ კარსონმა 1963 წელს გამოსცა წიგნი სათაურით — „მდუმარე გაზაფხული“. ამ წიგნში ხაზგასმულია, რომ 1948 წელს სინთეზირდა ქიმიური ნივთიერება აბრევიატურით — „დდტ“. მის შემქმნელს, შვეიცარიელ პაულ მიულერს ნობელის პრემია მიანიჭეს (ჩემმა თაობამ ძალიან კარგად იცის ეს პრეპარატი). „დდტ“ ანადგურებდა მავნე მწერებს, თუმცა სასარგებლო მწერებიც იღუპებოდა. მოსავლიანობა 20-25%-ით გაიზარდა. მიუხედავად ამისა, რეიჩელ კარსონმა განგაში ატეხა, რადგან მეცნიერებმა ვერ გაითვალისწინეს არსებითი რამ: როგორც ითქვა, ბუნებაში სასარგებლო ორგანიზმებსაც ანადგურებდა. გარდა ამისა, ეს პრეპარატი იმდენად მდგრადი აღმოჩნდა, რომ ნიადაგში არ იშლებოდა, შესაბამისად, მცენარე ნიადაგიდან ფესვებით იწოვდა ამ ნივთიერებას, ჭურჭლოვანი სისტემით თავს იყრიდა ნაყოფში, რომელსაც ადამიანი მიირთმევდა და ტოქსიკური ნივთიერება მასში თანდათანობით გროვდებოდა. ასეთი გზით, კორონავირუსისგან განსხვავებით, ტოქსიკური ნივთიერება ადამიანს მაშინვე არ ანადგურებდა, არამედ თანდათანობით უარყოფითად მოქმედებდა მის ჯანმრთელობაზე.

აღმოჩნდა, რომ „დდტ“ არც ხერხემლიან ნადირ-ფრინველს ინდობდა, მაგალითად, ფრინველებს, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში სათანადო მცენარეებით იკვებებოდნენ. „დდტ“ მათ ორგანიზმში ხვდებოდა. ეს გამოიხატებოდა მათ მიერ დადებული კვერცხების თხელ-

ნაჭუჭიანობაში. თხელი ნაჭუჭი ვერ უზრუნველყოფდა მომავალი ორგანიზმის — წიწილას ან მართვეს გამოჩეკას (შთამომავლობა არასრულყოფილი იჩეკებოდა ან საერთოდ არ იჩეკებოდა). აღსანიშნავია, რომ „დდტ“ — მდგრადი ქიმიური ნივთიერება — მდინარეებს ნიადაგიდან გაჰქონდათ ზღვებში, შესაბამისად, მსოფლიო ოკეანეში. სინთეზირებიდან ათი წლის შემდეგ, „დდტ“ ანტარქტიკაში აღმოაჩნდათ, ერთი მხრივ, პინგვინებს, მეორე მხრივ, ჩრდილოეთ ნახევარსფეროს პოლარულ წრეში ჩრდილოეთის ირმებს. პრაქტიკულად, ამ ნივთიერებამ დაანაგვიანა მთელი პლანეტა. სწორედ ამაზე დაწერა რეიჩელ კარსონმა აღნიშნული წიგნი. ეს ნაშრომი ყუმბარასავით გასკდა. საქმე ის არის, რომ „დდტ“-ზე მომუშავე კონცერნები, რომლებიც მილიონობით და მილიარდობით ფულს აკეთებდნენ, ცხადია, დაუპირისპირდნენ ქალბატონს და მოკვლასაც უპირებდნენ. რეიჩელ კარსონის წიგნი პრეზიდენტ კენედის ყურამდეც მივიდა. მან გულდასმით წაიკითხა წიგნი, დაავალა სენატორებსა და კონგრესმენებს — შექმნილიყო ჯგუფი, ჩატარებულიყო ექსპერიმენტები. ბრძანება განხორციელდა და ქალბატონი მეცნიერი სრულიად მართალი აღმოჩნდა. რეიჩელ კარსონი მოესწრო თავის გამართლებას და სათანადო აღიარებასაც. სწორედ ამიტომ, მისი სახელი 60-იან წლებში მთელმა მსოფლიომ გაიგო. კარსონმა გაიმარჯვა უდიდესი კონცერნების ბოსებზე, რომლებმაც, ბოლოს და ბოლოს, კენედიც კი იმსხვერპლეს. დღეს რომ მქონდეს დრო, გამოვცემდი ნაშრომს, რომელსაც დავარქმევდი — „მდუმარე გაზაფხული მეორე,“ თუმცა, როგორც ხედავთ, ეს მეორე, დღევანდელი „მდუმარე გაზაფხული“ გაცილებით აგრესიულია, ვიდრე ის პირველი...

ღრმად მჯერა, რომ გამალებულ შეიარაღებაზე გადასული ზესახელმწიფოები გაითვალისწინებენ ცოცხალი ორგანიზმებით შექმნილ პოტენციურ უმწვავეს პრობლემებს და შეიარაღებისგან გამოთავისუფლებული თანხები ადამიანთა კეთილდღეობას მოხმარდება.

შვედეთიდან ქართულ საზოგადოებას პროფესორი ზაალ კოკაია ეხმაურება

— რა ვითარებაა თქვენთან ახალი კორონავირუსის გავრცელების თვალსაზრისით?

— დღევანდელი მონაცემებით, შვედეთში არის 10 100-ზე მეტი დადასტურებული ინფიცირებული პაციენტი, 900-მდე ინფიცირებული პაციენტი გარდაიცვალა, ხოლო გამოჯანმრთელებულთა რაოდენობა შეადგენს თითქმის 400-ს. თუმცა, ეს მონაცემები, გარდაცვლილთა რიცხვის გარდა, ბევრს არაფერს ამბობს, რადგანაც ხშირად ტესტირება იმ პაციენტებშიც კი არ ხდება, ვისაც აშკარად გამოკვეთილი სიმპტომები აქვთ. მხოლოდ მძიმე მდგომარეობაში მყოფ და მაღალი რისკის ჯგუფის პაციენტებს უტარდება ტესტირება. მეზობელი სკანდინავიური ქვეყნებისგან განსხვავებით, შვედეთში საგანგებო მდგომარეობა არ გამოცხადებულა. დაწყებითი სკოლები და ბაღები, ასევე, მაღაზიები და ყველა სხვა დაწესებულება ღიაა. უნივერსიტეტები არ დახურულა, მხოლოდ ლექციები ტარდება დისტანციურად. თუმცა რეკომენდირებულია, რომ ვისაც შეუძლია — სახლიდან იმუშაოს და არ მივიდეს სამსახურში. რაც შეეხება ხანდაზმულ მოსახლეობას, ანუ 70 წელს გადაცილებულ მოქალაქეებს, მათ ურჩევენ, რომ საერთოდ არ გამოვიდნენ სახლიდან. ამ ბოლო დროს, ასევე, შემოვიდა სოციალური დისტანცირების რეკომენდაცია და იკრძალება 50 ადამიანზე მეტის თავშეყრა.

— იმყოფებით თუ არა თქვენც სახლში და როგორია ცხოვრების დღის წესრიგის ახალი რუტინა?

— მე, ძირითადად, სახლში ვარ და თითქმის მთელი დღე კომპიუტერით ვმუშაობ. სახლიდან ვატარებ დისტანციურ შეხვედრებს და ლექციებს zoom-ის გამოყენებით, ყოველკვირეული ლაბორატორიის სხდომებს და სემინარებს. მოკლედ, ყველა შეხვედრას zoom-ით ან სკაიპით ვმართავთ. ხანდახან მივდივარ ლაბორატორიაში, სადაც ექსპერიმენტები გრძელდება, მაგრამ რაც კი შეიძლება სახლიდან გაკეთდეს, მაგალითად, სტატიებზე მუშაობა, პუბლიკაციების კითხვა

ზაალ კოკაია

და მეცადინეობა, მონაცემების დამუშავება და ა.შ., შინ ვმუშაობ. დოქტორანტები და პოსტდოკები ყველაფერს სახლიდან აკეთებენ. ასევე, ლაბორატორიაში ყოფნისას ვცდილობთ — დავიცვათ დისტანცია და ერთმანეთთან ახლოს არ ვიყოთ.

— რაზე და როგორ მუშაობთ ამ ეტაპზე?

— პრინციპში, ის პროექტები, რაზეც ადრე ვმუშაობდით, გრძელდება. ახლის დაწყებას ვერიდებით, სანამ უფრო მეტი არ გვეცოდინება — თუ როგორ განვითარდება მოვლენები. ჩვენი კვლევები დამოკიდებულია ცხოველურ თუ უჯრედულ ექსპერიმენტებზე და მრავალ ბიოსამედიცინო რეაგენტზე. ამიტომ, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ექსპერიმენტებისთვის საჭირო მასალის მოწოდებაში შეფერხება არ გვექნება. ჯერ-ჯერობით ყველაფერი კარგადაა...

— როგორც თსუ-ის პროფესორი, თუ ჩაერთეთ დისტანციური სწავლის რეჟიმში?

— უკვე მქონდა სატესტო ჩართვა zoom-ით მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტებთან და დავიწყეთ კურსი — „პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება“, ხოლო მომდევნო კვირისთვის ვგეგმავთ აკადემიური კომუნიკაციის კურსის დაწყებას, ასევე, მედიცინის ფაკულტეტის დოქტორანტებისთვის.

— რას ნიშნავს თქვენთვის ამ რთულ დროს მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და სოლიდარობა? როგორ შეეხმიანებით ქართულ საზოგადოებას?

— მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და სოლიდარობა არა მხოლოდ ახლა, ყოველთვის მნიშვნელოვანია და ამას არ უნდა ჰქონდეს კამპანიური ხასიათი. თუმცა, არსებულ პირობებში ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ქართულ

საზოგადოებას მინდა ვუთხრა, რომ ცხოვრება გრძელდება, ყველაფერი კარგად იქნება და კორონას მსგავსი კატაკლიზმები ვერაფერს დაგვაკლებს. მჯერა, რომ რაც არ გვკლავს, გვაძლიერებს და ამ კრიზისიდან საქართველო, როგორც ქვეყანა, უფრო გაძლიერებული და გამოცდილი გამოვა. რა თქმა უნდა, ბევრი ეკონომიკური და სოციალური პრობლემა გვექნება, მაგრამ მწამს, რომ ყველაფერს დავძლევთ. ამაზე გაცილებით დიდი კატაკლიზმები და გაჭირვება დაგვიძლევია. მთავარია, არასდროს დავნებდეთ, შეუძლებელი არაფერია!

ესაუბრა ნინო კაკულია

ფსიქოლოგები გვირჩევენ: ადამიანებმა ცუდი ინფორმაციისგან თავად უნდა დაიცვან თავი, ისევე, როგორც ვირუსისგან იცავენ

ფსიქოლოგებისთვის თუკი ადრე ფოკუს-ჯგუფების შექმნა და ექსპერიმენტირება იყო საჭირო საზოგადოების ფსიქოლოგიური მდგომარეობის გასაანალიზებლად, რათა შემდგომში ადეკვატური რჩევები და რეკომენდაციები მიეცათ მოსახლეობისთვის, ახლა ადამიანების განწყობები და ფსიქოლოგიური მდგომარეობა ხელის გულზე დევს. სოციალური ქსელების საშუალებით ფსიქოლოგები უკვე მარტივად იკვლევენ — ვის რა უჭირს? რა პრობლემები იკვეთება? რა ქცევას მიმართავენ ადამიანები სტრესულ ვითარებაში და რაზე ჩივიან? — ამ გზითაც იკვლევს ამჟამად ფსიქოლოგიური ლაბორატორია „Z“ საზოგადოებაზე პანდემიის გავლენას. „სოციალურ ქსელში გამოხატული ადამიანების ქცევა უკვე მარტივად აღირიცხება — ზედმეტი აქტიურობა ან სრული პასიურობა, უძილობა, იუმორი დილის 5 საათზე და ა.შ. — ყველა მათგანი ქცევაა და ძალიან საინტერესო მასალაა ხელის გულზე გადაშლილი“, — ამბობენ ფსიქოლოგები. მოკლედ, რამდენად გამწვავდა საზოგადოებაში ფსიქოლოგიური პრობლემები და როგორ დავიცვათ ჩვენი ფსიქოლოგიური


ზურა მხეიძე

კეთილდღეობა? — ამ თემაზე გვესაუბრებიან ლაბორატორია „Z“-ს დამფუძნებელი ფსიქოლოგები ზურა მხეიძე და მარიამ კვარაცხელია.

„მთავარი ფაქტორი, რომელიც პანდემიასთან დაკავშირებულ ვითარებას თან ახლავს, გაურკვევლობის შეგრძნებაა. ადამიანებმა არ იციან — რა ქცევას მიმართონ, შედეგად ყალიბდება ნევროტული მდგომარეობა. ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად ადამიანები სხვადასხვა მეთოდს მიმართავენ. საზოგადოებაზე ცალსახად ნეგატიურ გავლენას ახდენს პანდემიის შესახებ ჭარბად მიღებული ინფორმაცია, რომელიც ე.წ. საბრძოლო მდგომარეობას აღძრავს, რაც ავტომატურად ნიშნავს დიდი ენერგიის მობილიზებას და ამიტომაც არის საზოგადოებაში უძილობის პროცენტული მაჩვენებელი გაზრდილი — ეს შემიძლია გითხრათ წინასწარ მიმდინარე კვლევის შედეგებზე დაყრდნობით“, — ამბობს ფსიქოლოგი მარიამ კვარაცხელია.

კითხვაზე — რამდენად შესაძლებელია, რომ ეპიდემიამ საზოგადოების ფსიქიკურ ჯანმრთელობას ფიზიკურ ჯანმრთელობაზე ბევრად მეტი ზიანი მოუტანოს? ფსიქოლოგი ზურა მხეიძე გვპასუხობს: „მუდმივად სტრესული მდგომარეობა და შფოთვა ავტომატურად იწვევს იმუნიტეტის დაქვეითებას. ადამიანი უფრო მოწყვლადი ხდება ინფექციური დაავადებების მიმართ. ერთის მხრივ, არის ვირუსი, რომელიც ასე თუ ისე მაინც ლოკალიზებულია და თუ სახლში იქნებით და ყველა რეკომენდაციას დაიცავთ, ვირუსს აიცილებთ და, მეორეს მხრივ, არის ინფორმაცია ვირუსის შესახებ, რომელსაც ყოველ დღე ღებულობთ ტელეეკრანებიდან. ის ცენტრალურ ადგილს იკავებს თქვენს აზროვნებაში და, შესაბამისად, დესტრუქციულად მოქმედებს“.

როგორც სპეციალისტები ამბობენ, მედიიდან მუდმივ რეჟიმში პანდემიის შესახებ მოწოდებული სიახლეები ნეგატიურ გავლენას ახდენს ადამიანების ფსიქიკაზე. მაშ, სად გადის ზღვარი, ამ შემთხვევაში, ზომიერებასა და საზოგადოების ინფორმირების აუცილებლობას შორის? — ამ კითხვაზე ფსიქოლოგ ზურა მხეიძეს ასეთი რეკომენდაცია აქვს: „მედიას ვერაფერს ვერ მოვუხერხებთ რამდენიმე პრინციპის გამო: ჟურნალისტები ნახვისა და გაყიდვების კონტექსტში მუშაობენ. რაც მეტმა წაიკითხა და ნახა, ჟურნალისტისთვის უფრო კარგია. მათ ძალიან კარგად იციან, რომ ნეგატიური და საშიში ინფორმაციები უფრო ნახვადი და გაყიდვადია. ჟურნალისტის ფორმულაა — ცუდი ამბავი მისთვის კარგია. სიამაყით კი ამბობენ ხოლმე, რომ ჩვენ მოვალეობას ვასრულებთო, მაგრამ მოვალეობას კი არ ასრულებენ, გაყიდვაზე მუშაობენ. აქ საუბარია იმაზე, რომ თვითონ ადამიანებმა ინფორმაციისგან დაიცვან თავი ისევე, როგორც ვირუსისგან იცავენ. მთავარია, ინფორმაცია არ მიიღონ ჭარბად. გასაგებია, რომ ვირუსის გავრცელების მიმართ ყველას დიდი ინტერესი გვაქვს, მაგრამ საკმარისია დღეში ორჯერ ინფორმაციის მიღება და არ არის საჭირო ყოველწუთიერ რეჟიმში ვისმინოთ. ასევე, არ არის საჭირო ერთი და იგივე სიახლის ყველა არხზე მოსმენა. საკმარისია ამოარჩიო ერთი-ორი და სიახლეები ამ ტელეარხისგან მიიღო“.

ყველაზე მეტად რა იწვევს ადამიანებში შფოთვის მატებას? — როგორც ფსიქოლოგი მარიამ კვარაცხელია ამბობს, დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ ადამიანები ძალიან განსხვავებულ საშუალებებს მიმართავენ შფოთვის შესამსუბუქებლად, პასუხები ასეთია: „თუ საკმარისი მარაგი მექნებოდა, არ ვინერვიულებდი“, „რომ ვიცოდე, როდის დამთავრდება პანდემია, ბევრად მშვიდად ვიქნებოდი“, — შემამსუბუქებელი ცვლადები ადამიანების მატერიალური შესაძლებლობის მდგომარეობის მიხედვით მერყეობს. ბევრს ჰქონდა მედიიდან პოზიტიური ინფორმაციის მიღების მოთხოვნა და თხოვნა – სიახლეების ნაკლები სიმძაფრით გაჟღერების თაობაზე. შიშის საფუძველიც განსხვავებულია სოციალური ჯგუფების

მიხედვით. მატერიალურად შეძლებულ ადამიანებს მეტი აქცენტი გადატანილი აქვთ ჯანმრთელობაზე, რადგან გარკვეული მარაგი აქვთ. ვისაც უფრო მეტად ეხება ეკონომიკური კრიზისი, მას საკვების შეძენის პრობლემა უძლიერებს შიშს. მსგავსი ფაქტორების მიხედვით ვარირებს ეს პრობლემატიკა სხვადასხვა ჯგუფებში“.

რა გზით შეიძლება „მოერიონ“ ადამიანები საკუთარ თავს გაძლიერებული შფოთვის დროს? — კითხვას ფსიქოლოგი ზურა მხეიძე პასუხობს: „აუცილებელია, ყოველი დღე დავგეგმოთ. ყველაფრის დაგეგმვა შეიძლება არაფრის კეთების დროსაც კი... მაგალითად, დაგეგმეთ, რომ უყუროთ კომედიას ოჯახთან ერთად და ეს აუცილებლად გააკეთეთ, დროს გაიყვანთ ისე, როგორც თქვენ გსურთ და შედეგად აუცილებლად მიიღებთ უკუეფექტს. ბევრ ადამიანს უთქვამს, რომ სახლში ბევრი რამის გაკეთება სურს, მაგრამ დრო არ აქვს... ახლა დრო საკმარისია, ამიტომ მთელი ეს დრო შეიძლება გამოიყენონ ყველა იმ საქმისთვის, რისთვისაც აქამდე დრო არ რჩებოდათ — წიგნის კითხვისთვის, ფილმის ყურებისთვის, ბავშვებთან ურთიერთობისთვის... თუ ყოველ დღეს პროდუქტიულად გამოვიყენებთ, შფოთვაც აღარ იქნება“.

აზიანებს თუ არა სოციალური ქსელის მომხმარებლებს ქსელში გავრცელებული ესა თუ ის პოსტი და არსებობს თუ არა მათთვის ერთგვარი ფსიქოლოგიური თვითდახმარების ბერკეტი? — ასეთია ჩვენი შეკითხვა, რომელზეც ფსიქოლოგი ზურა მხეიძე გვპასუხობს: „ადამიანი, როდესაც მას აქვს შფოთვა, სხვისთვის საკუთარი ემოციების გაზიარებით შფოთვის ხარისხს ამცირებს. თუმცა, არის მეორე ვარიანტიც, რომ შფოთვა შეიძლება გადამდები გახდეს. პანიკის მექანიზმი პრინციპში ასე მუშაობს, თუ არ გვექნება ე.წ. ფილტრი, რომელიც ნიშნავს, რომ მოწოდებული ინფორმაცია აღვიქვათ ინტერპრეტაციით, ანუ გავაანალიზო — რამდენად გააზვიადა მოწოდებული ინფორმაცია ამ ადამიანმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს დამაზიანებელი გახდება. საერთოდ, ადამიანებს აქვთ ინფორმაციის მიმართ შიდა განწყობა, უფრო მეტი მიმღებლობა აქვს იმ სიახლეების მიმართ, რომე-

ლიც მისთვის მისაღებია. მაგალითად, ორი ინფორმაცია რომ გავავრცელოთ – 1. კორონავირუსი ჩვეულებრივი გრიპია და აზვიადებენ, ხალხს აგიჟებენ. 2. კორონავირუსი ძალიან საშიში ვირუსია და ეკონომიკური მდგომარეობა რთულია. — ორივე ამ ამბავს თავისი მიმღები ეყოლება, რომელიც თავისი პოზიციის გასამტკიცებლად არგუმენტებს იპოვის“.

ფსიქოლოგი მარიამ კვარაცხელია კი თვლის, რომ არ იქნება სწორი, ამ სიტუაციაში ადამიანებს თავშეკავებისკენ მოვუწოდოთ: „მაშინ, ჩვენ ხელოვნურად უნდა დავბლოკოთ ემოციები. ამიტომ ვთვლი, ყველა პოსტი, თუ ის საკუთარი თავის გამოხატვის შესაძლებლობაა, კარგია და თერაპიული ეფექტი აქვს ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც ახლა სტრესში იმყოფება“, — ამბობს ფსიქოლოგი.

კონკრეტულად, რა საკითხებია დღეს ყველაზე აქტუალური კვლევისთვის? — როგორც ფსიქოლოგი ზურა მხეიძე აცხადებს, ყველაფერი აქტუალურია, მათ შორის: როგორ შუქდება პანდემია სხვადასხვა ქვეყნის მედიის საშუალებით, ადამიანების ერთ სივრცეში დიდხანს ჩაკეტვა და ა.შ. „ჩინეთზე წავიკითხე და არ გამოვრიცხავ ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობების გაუარესების ფაქტების ზრდასაც, განსაკუთრებით, თუ მათ არ აქვთ პირადი სივრცე. როგორც ვირუსის გავრცელებას ელოდებოდნენ, დაახლოებით, 4-დან 8 კვირის ფარგლებში, დაახლოებით იმავე დროის განმავლობაშია მოსალოდნელი ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობების გართულება“, — ამბობს ფსიქოლოგი.

როგორ შეიცვლება საზოგადოება პანდემიის შემდეგ? — ამ კითხვაზეც ფსიქოლოგებს სხვადასხვა პასუხი აქვთ. მარიამ კვარაცხელია თვლის, რომ უსაფრთხოების თემა წამოიწევს წინ, რადგან, საბოლოო ჯამში, მსოფლიო მიხვდა, რომ ეკონომიკა ჯანმრთელობის უსაფრთხოებაზე დგას. ზურა მხეიძის პასუხი კი ასეთია: „ღირებულებით ნაწილში, შეიძლება, რაღაც ცვლილებები მოხდეს, მაგალითად, ჰიგიენური ჩვევები დარჩება გაორმაგებულად და ეს ისედაც კარგია. ქცევის ჩვევად ჩამოსაყალიბებლად, დაახლოებით, 64-68 ზედიზედ გამეორებაა საჭირო და ახლა ზუსტად ეგ პერიოდია. ვფიქრობ,

მისალმებაც უფრო კორექტული გახდება. კრიზისიც დროს გარკვეული ხედვები და დამოკიდებულება იცვლება. დავაკვირდეთ — სხვადასხვა ქვეყნები რას აკეთებენ. აღმოაჩინეს, რომ სასუნთქი აპარატების დეფიციტი იყო და დაიწყეს წარმოება, ანუ ქვეყნები ისეთ რესურსსაც შეიძენენ, რომ მომავალში მსგავს სიტუაციაში ნაკლები პრობლემები შეხვდეთ. საქართველოში ეკონომიკაზე თქვეს, რომ ძირითად აქცენტს ტურიზმზე აღარ გააკეთებენ, რადგან ტურიზმი ძალიან დაზარალდება. ვფიქრობ, რომ პანდემიის შემდეგ, რაღაც დროის განმავლობაში, ინტენსიური მიმოსვლა არ იქნება. თუმცა, მეორე მხრივ, განვითარდება შიდა ტურიზმი“.

ესაუბრა ნატო ობოლაძე

ქართულ ენაზე ზრუნვის მიზნით ჩატარებული კონკურსების გამარჯვებულები ონლაინ-საჩუქრებით დაჯილდოვდნენ

რა შუაშია თოვლის ბაბუა და სიტყვა — მახალი?

გაეცანით „ახალ“ ქართულ სიტყვას — მახალი. ამ სიტყვას ქ. თბილისის 94-ე საჯარო სკოლის მოსწავლემ (პედაგოგი ზაირა გამყრელიძე) ეთერ მაისურაძემ მიაგნო. სულხან-საბას „სიტყვის კონას“, ახალი მექართულე ახალგაზრდების წყალობით, „ენაში დაბრუნებული სიტყვების“ ლექსიკონიც შეიძლება შეემატოს და ამ საერო საქმის წამოწყების სათავე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიის ცენტრია. ცენტრმა უკვე ყველასთვის ნაცნობი კამპანიისა თუ მოძრაობის — „არა ბარბარიზმებს!“ — ფარგლებში 2019 წლის ოქტომბერში გამოაცხადა ორი კონკურსი სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის: „შექმენი შენი ტერმინი“ და „დააბრუნე ენაში შენი სიტყვა“. ამა წლის 15 მარტს საკონკურსო ჟიურიმ

თინათინ მარგალიტაძე

(ჟიურის შემადგენლობაში შევიდნენ თსუ ლექსიკოგრაფიის ცენტრის რედაქტორები: თინათინ მარგალიტაძე, გელა ხუნდაძე, მაია დავლიანიძე და გიორგი მელაძე) მიიღო კონკურსანტების მიერ მომზადებული მასალები და გამოავლინა ორივე კონკურსის გამარჯვებულები.

ენაში დაბრუნების თუ გააქტიურების კანდიდატი ქართული სიტყვის აღმოჩენა და გათავისება იმდენად საშვილიშვილო საქმეა ქართული ენის გამდიდრების თვალსაზრისით, რომ ლექსიკოგრაფიის ცენტრმა მის მიერ ჩატარებული კონკურსების შედეგად გამოვლენილი გამარჯვებულების გამოცხადება თუ დაჯილდოება 14 აპრილს, ქართული ენის დღეს გადაწყვიტა, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კონკურსში ჩაბმული ახალგაზრდების ქართული საქმის სიკეთეს. ეს გამარჯვებულები ენაში დასაბრუნებელი ქართული სიტყვების და უცხო ტერმინთა ქართული შესატყვისების შერჩევის ავტორები არიან.

მაშ ასე, გაცოცხლებული ქართული სიტყვის — მახალის — თაობაზე კონკურსში („დააბრუნე ენაში შენი სიტყვა“) გამარჯვებული ქ. თბილისის 94-ე საჯარო სკოლის მოსწავლე

ეთერ მაისურაძე თავის განმარტებას გვთავაზობს: „მე შევარჩიე სიტყვა ხურჯინი, რომელიც დღემდე ქართული მეგონა და პირადად ჩემთვის ზღაპრებსა და თოვლის ბაბუასთან ასოცირდებოდა. ძალიან დამწყდა გული, როდესაც სულხანსაბას ლექსიკონში გადავაწყდი ამ სიტყვას და შევიტყვე, რომ იგი სპარსულიდან სესხების გზით ყოფილა შემოსული. ჩემთვის გაუგებარია, რამ განაპირობა ამ სიტყვის სესხება მაშინ, როდესაც გვქონია შესანიშნავი სიტყვა — მახალი. რაც ყველაზე მთავარია, მახალი ქართულია, მას ჩვენი წინაპრები იყენებდნენ და მსურს, ჩვენს მეტყველებაშიც დაბრუნდეს იგი. რადგან ხურჯინი და თოვლის ბაბუა ჩემთვის ასოცირდებოდა იმედთან, მოლოდინსა და სიხარულთან, ახლაც იმედს გამოვთქვამ, ამ შესანიშნავი კონკურსის წყალობით, ეს სიტყვა დაბრუნდება ჩვენს ენაში, დამკვიდრდება და გაამართლებს ჩემს მოლოდინს!“ — ასე მიმართა საკონკურსო ჟიურის წევრებს სკოლის მოსწავლემ. კომისიამ მოიწონა ეთერ მაისურაძის მიერ შეთავაზებული სიტყვა და იგი შეიტანა დიდ ინგლისურ-ქართულ ონლაინ-ლექსიკონში ინგლისური სიტყვის saddle-bag მეორე ქართულ ეკვივალენტად ხურჯინის გვერდით.

ასე რომ, ეთერის მიერ შემოთავაზებული, ენაში დაბრუნებისა და გააქტიურების კანდიდატია სიტყვა — **მახალი**.

ნეკერი — ჩემთვის ეს სიტყვა იმედთან ასოცირდება

2019 წლის დეკემბერში კონკურსის — „დააბრუნე ენაში შენი სიტყვა“ — მონაწილე სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები დაესწრნენ მარჯორი უორდროპის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციას, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა. ამ დღეს ლექსიკოგრაფიის ცენტრმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა მარჯორი უორდროპის მიერ შედგენილი მცირე ინგლისურ-ქართული ლექსიკონი, რომელმაც წარმოაჩინა ვეფხისტყაოსნის მთარგმნელის საოცრად ფაქიზი დამოკიდებულება ქართული სიტყვისადმი. კონფერენციიდან, სადაც უნივერსი-

ტეტის პროფესორთა მხრიდან არაერთი ამაღელვებელი და პატრიოტული მოხსენება გაჟღერდა, გავიხსენებთ პროფესორ მანანა რუსეიშვილის გამოსვლას: „მარჯორი საქართველოს პირველად 1894 წლის დეკემბერში ეწვია. ერთი თვით ადრე, 27 ოქტომბერს მარჯორიმ წერილი გაუგზავნა საქართველოში მყოფ ძმას — ოლივერს: „ჩემი ქართული ბიბლიოთეკა ივსება! ჩემი მუშაობა კი უფრო შინაარსიანი გახდება, თუ საქართველოში ჩამოვალ. არ ვიცი, რატომ არ შემიძლია საქართველოს გარდა სხვა რამეზე ვიფიქრო და ვილაპარაკო. მიხარია, რომ შენ მანდ იმყოფები, მაგრამ, ოჰ, ნეტავ მეც ვიყო შენთან ერთად! ახლა ჩემი ორი სიყვარული ერთმანეთის გვერდითაა: შენ და საქართველო!“ — მარჯორის ეს წერილი თსუ-ში გამართულ კონფერენციაზე პროფესორმა მანანა რუსეიშვილმა გააჟღერა. ასეთი არაერთი ძვირფასი მოგონების შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ კონფერენციაზე დამსწრე ახალგაზრდებს გაღვიძებოდათ საკუთარი წვლილის შეტანის სურვილი ქართულ საქმეში და შედეგიც გამოიკვეთა: კონკურსზე დარეგისტრირდნენ: ქ. თბილისის 21-ე, 24-ე,



28-ე, 30-ე, 94-ე, 99-ე, 161-ე, ქ. ფოთის მე-6, მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ფარის საჯარო სკოლების მოსწავლეები; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, კავკასიის უნივერსიტეტისა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტები. მიმდინარე წლის იანვარში კონკურსანტებთან გაიმართა სამუშაო შეხვედრები და კონსულტაციები კონკურსის პირობებთან დაკავშირებით და მათ გადაეცათ საკონკურსო დავალება.

და აი, კონკურსის გზით აღმოჩენილი და „გააქტიურებული“ კიდევ ერთი ქართული სიტყვა — ნეკერი. მისი მაძიებელი და აღმომჩენი ქ. თბილისის 94-ე საჯარო სკოლის მოსწავლე (პედაგოგი ზაირა გამყრელიძე) მარიამ სიბაშვილია.

„მე ვარ მე-11 კლასის მოსწავლე და დიდი სურვილი მაქვს, მცირეოდენი წვლილი მაინც შევიტანო ჩემი მშობლიური ენის განვითარებაში. ამისთვის გამოვიყენე სულხან-საბა ორბელიანის ქართული ენის პირველი განმარტებითი ლექსიკონი და ავირჩიე სიტყვა — ნეკერი. ნეკერი ქართული სიტყვაა და, საბას განმარტებით, ნიშნავს „ხის კუკურს, ზამთარ წარმოჩენილს“, ანუ ზამთარში გამოსულ კვირტს. ჩემი აზრით, ეს სიტყვა კეთილხმოვანია, სასიამოვნოდ წარმოსათქმელი, თუმცა მხოლოდ ამის გამო არ ამირჩევია იგი ჩვენს ენაში დასაბრუნებლად. ჩემთვის ეს სიტყვა იმედთან ასოცირდება. იმ ჟამთან, როდესაც ყოველგვარი იმედი გადაწურულია და უეცრად გამობრწყინდება იმედის ვარსკვლავი, როგორც ზამთარში გამოსული კვირტი — ნეკერი“, — ასე მიმართა წერილით კიდევ ერთმა მოსწავლემ, მარიამ სიბაშვილმა საკონკურსო კომისიას. კომისიამ მოიწონა მარიამის შეთავაზება. ნეკერი შეტანილია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში შემდეგი მნიშვნელობით — კვირტებიანი ხის ნორჩი ტოტი. ამავე მნიშვნელობით შეიტანა ეს სიტყვა საკონკურსო კომისიამ დიდ ინგლისურ-ქართულ ონლაინ-ლექსიკონში ინგლისური სიტყვის sprout ერთ-ერთ ქართულ ეკვივალენტად.

მოკლედ რომ ვთქვათ, მარიამის მიერ ენაში დაბრუნებისა და გააქტიურების კანდიდატია სიტყვა — **ნეკერი**.

რას შეიძლება ვუწოდოთ თემსაკვეთი?

უცხო სიტყვათა ქართულ ენაში დამკვიდრების პრობლემაზე არაერთი კამპანია სწორედ თსუ-ის ლექსიკოგრაფიის ცენტრის ინიციატივაა და აქციის — „არა ბარბარიზმებს“ ფარგლებში არაერთი ღონისძიება ჩატარდა. სწორედ ამ საქმის გაგრძელებაა კონკურსი — „შექმენი შენი ტერმინი“. საკონკურსო კომისიამ (ჟიურის შემადგენლობაში შევიდნენ თსუ ლექსიკოგრაფიის ცენტრის რედაქტორები: თინათინ მარგალიტაძე, გელა ხუნდაძე, მაია დავლიანიძე და გიორგი მელაძე) გამარჯვებულები გამოავლინა და ქართული ენისთვის საშური საქმის თვალსაჩინოებისთვის ის სიტყვები „გაააშავა“, რომელთა გამოყენებაც ქართულად საუბრისას ამიერიდან მაინც აღარ შეგვეფერება.

გაეცანით ქართული ენის შემბღალავი სიტყვის — „ჰეშტეგი“ ახალ ქართულ ეკვივალენტს — **თემსაკვეთი**.

როგორც ლექსიკოგრაფიის ცენტრის ხელმძღვანელი თინათინ მარგალიტაძე განმარტავს: „ქ. თბილისის 28-ე საჯარო სკოლის (პედაგოგი თეა გიორგაძე) მოსწავლემ მარიამ რამაზაშვილმა იმუშავა ტერმინზე — ჰეშტეგი, გამოიკვლია ეს ტერმინი და შემოგვთავაზა მისი ქართული ეკვივალენტი — **თემსაკვეთი**“.

„**ჰეშტეგი** — დიეზით წამძღვარებული საკვანძო სიტყვა ან ფრაზაა, რომელიც სოციალურ ქსელებში გამოიყენება და კონკრეტულ თემასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღმოჩენას ამარტივებს. სიტყვას ან ფრაზას, თემის გამოსაკვეთ ნიშნულს, რითაც სოციალურ ქსელში გაბნეულ ინფორმაციათა ქაოსში ორიენტაციას ახდენთ, ათასიდან ერთს პოულობთ, საკუთარ ინტერესებზე მორგებულს და თანაც სწრაფად და მარტივად, თემსაკვეთი შეიძლება ეწოდოს“, — წერს მარიამი საკონკურსო კომისიას. საკონკურსო ჟიურიმ მოიწონა მარიამ რამაზაშვილის მიერ დამოუკიდებლად შექმნილი ტერმინი და იგი შეიტანა როგორც დიდ ინგლისურ-ქართულ ონლაინ-ლექსიკონში (www.dict.ge), ისე ინგლისურ-ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონში (http://techdict.ge).

რით შევცვალოთ სიტყვა — სკრინსეივერი?

კონკურსში — „შექმენი შენი ტერმინი“ — მეორე გამარჯვებულია მესტიის მუნიციპალიტეტის სოფ. ფარის საჯარო სკოლის მოსწავლე (პედაგოგი ანა ჭაჭუა) მარიამ ნარსავიძე. როგორც თინათინ მარგალიტაძე განმარტავს: „მარიამმა იმუშავა ტერმინზე — screensaver სკრინსეივერი. კონკურსანტს გამოწვლილვით შეუსწავლია ტერმინი და მის ქართულ ეკვივალენტად რეკომენდაციას უწევს ტერმინს ეკრანმზოგი (პროგრამა). აღნიშნული ტერმინი იძებნება ქართულ ინტერნეტ-სივრცეში ეკრანის დამცავ პროგრამასთან და სკრინსეივერთან ერთად, თუმცა კონკურსანტი დამაჯერებლად ამტკიცებს სწორედ ტერმინის — ეკრანმზოგი პროგრამა — მიზანშეწონილობას“.

„ვფიქრობ, ყურადღება უნდა გავამახვილოთ ამ ტერმინით აღნიშნული კომპიუტერული პროგრამის ფუნქციაზე. Screensaver პროგრამა იცავს ეკრანს, უფრო სწორად ზოგავს კომპიუტერის კვების ელემენტის სიცოცხლისუნარიანობას. ქართული შესატყვისი — „ეკრანის დამცავი“, გარკვეულწილად, შესაძლოა მიჩნეულ იქნეს ეკრანის დამცავ სპეციალურ გარსად, რაც თანამედროვე ფართოეკრანიან მობილურ ტელეფონებს, პლანშეტებს თუ სხვა ელექტრონულ მოწყობილობებს მექანიკური დაზიანებისგან იცავს. ტერმინის შინაარსიდან გამომდინარე, ვფიქრობ, ადეკვატური თარგმანია — „ეკრანმზოგი პროგრამა“, რომელშიც მოიზრება ეკრანის არა მექანიკური დაზიანებისგან დაცვა, არამედ მოწყობილობის ფუნქციონირების გახანგრძლივება კვების ელემენტის ხარჯვის შემცირებით“, — მარიამ ნარსავიძის მიერ წარმოდგენილი ეს ანალიზი საკონკურსო ჟიურიმ მოიწონა და ტერმინი — ეკრანმზოგი — შეიტანა როგორც დიდ ინგლისურ-ქართულ ონლაინ-ლექსიკონში, ისე ინლისურ-ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონში.

ლექსიკონებში ასახული ახალი სიტყვა — მაუსის თვალი

კონკურსში — „შექმენი შენი ტერმინი“ — მესამე გამარჯვებულია კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტი საბა კუკავა. როგორც თინათინ მარგალიტაძე ამბობს: „საბამ საკონკურსოდ რამდენიმე ტერმინი შეისწავლა, თუმცა მათგან საკონკურსო ჟიურიმ ორი ტერმინი გამოყო: scroll wheel და scrolling. პირველი ტერმინისთვის კონკურსანტმა შემოგვთავაზა — მაუსის თვალი. ეს ტერმინი იძებნება ქართულ ინტერნეტსივრცეში, მაგრამ კონკურსანტმა კარგად დაასაბუთა მისი უპირატესობა. თვალი ამ ტერმინში, ცხადია, ბორბალს აღნიშნავს და არა ადამიანის თვალს (მაგ. ორთვალა, ორთვლიანი). კონკურსანტმა საინტერესო ვერსიები შემოგვთავაზა ტერმინითვის scrolling“.

„Scrolling – სკროლინგი ნიშნავს ინტერნეტ ვებ-გვერდების ან დოკუმენტებისა და მასალების აშლა/ჩამოშლას. შეიძლება ითქვას აწევა/ჩამოწევა. „სკროლინგი“ ასევე ნიშნავს ინტერნეტ მასალებისათვის თვალის გადავლებას ანუ დათვალიერებას“ — ეს განმარტება საკონკურსო კომისიამ მოიწონა და როგორც დიდ ინგლისურ-ქართულ ონლაინ-ლექსიკონში, ასევე ინგლისურ-ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონში შეიტანა ტერმინი — მაუსის თვალი. სკროლინგის ქართულ ეკვივალენტად კი მიიღო და ლექსიკონებში შეიტანა — ეკრანზე ტექსტის/ გამოსახულების **აწევა** ან **ჩამოწევა, აწევ-ჩამოწევა, აწევ-ჩამოწევით თვალიერება.**

* * *

როგორ ლექსიკოგრაფიის ცენტრის ხელმძღვანელი თინათინ მარგალიტაძე ჩვენთან საუბარში ამბობს: „გამარჯვებულებს შორისაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გივი ჯანიბეგაშვილი, რომელმაც ორივე კონკურსისთვის მოამზადა მასალა. საკონკურსო ჟიურის განსაკუთრებით მოეწონა მისი მსჯელობა საკუთარი შემოთავაზებული ტერმინისა და სიტყვის შესახებ. კონკურსანტის

მსჯელობა ორივე შემთხვევაში გამოირჩევა ლოგიკურობით, აზრის მწყობრად გადმოცემის უნარით. მიუხედავად იმისა, რომ მისი შემოთავაზებები ამჯერად არ ასახულა ჩვენს ლექსიკონებში, ვფიქრობთ, კარგი იქნება, თუ გივი გააგრძელებს მუშაობას ტერმინოლოგიაზე და ჩვენი მომავალი კონკურსების აქტიური მონაწილე იქნება“.

ონლაინ საჩუქრები გამარჯვებულებს

მსოფლიო პანდემიის გამო და, შესაბამისად, საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელებით გამოწვეულ რეალობაში კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტმა ვერ მოახერხა ტრადიციული ღონისძიების გამართვა ქართული ენის დღეს, რათა გამარჯვებული კონკურსანტები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საზეიმოდ დაეჯილდოებინა. სწორედ ამიტომ, საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით, გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ ონლაინ-საჩუქრებით და მათ გადაეცათ უვადო ხელმოწერები დიდ ინგლისურ-ქართულ ონლაინ-ლექსიკონზე www.dict.ge.

„კონკურსები — „შექმენი შენი ტერმინი“ და „დააბრუნე ენაში შენი სიტყვა“ არ იყო ერთჯერადი კონკურსები. ისინი ყოველ წელს გამოცხადდება და იმედი გვაქვს, მომდევნო წლებში უფრო მეტ მონაწილეს მოიზიდავს,“ — აცხადებს ლექსიკოგრაფიის ცენტრის ხელმძღვანელი თინათინ მარგალიტაძე.

იმედია, 14 აპრილი, ქართული ენის დღე მომავალში აღარასოდეს იქნება „გადაფარული“ საზოგადოებისთვის და თავად ქვეყნისთვის სტრესის შემცველი ინფორმაციებით „კოვიდ 19“-ზე და ისეთ ქართულ საქმეს, რაც თსუ ლექსიკოგრაფიის ცენტრის წამოწყებაა, უფრო მასშტაბური განხილვის, მომავალში კი სათანადო დაფასების შესაძლებლობა მიეცემა.

მოამზადა ნინო კაკულიამ

თსუ-ის სტუდენტის თანადგომის მაგალითი აზერბაიჯანის საზღვარზე

თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი გიორგი გაგუა, რომელიც, ამავე დროს, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტი და ევროპის ნევროლოგთა აკადემიის სტუდენტური წევრია, ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციისთვის აზერბაიჯანის საზღვარზე სამუშაოდ წავიდა. მისი მოვალეობაა საზღვარზე გადმოსული ყველა პირის გასინჯვა და მათთვის შესაბამისი შემდგომი მოქმედების განსაზღვრა. გიორგი გაგუა თვლის, რომ ამ რთულ პერიოდში სახელმწიფოს გვერდით უნდა დაუდგე და რითაც შეგიძლია, უნდა აღმოუჩინო დახმარება. გიორგი გაგუას ბევრ თანატოლთან აქვს მიმოწერა და თითოეულის შესახებ ფლობს ინფორმაციას — როგორ ართმევენ ახალგაზრდები თავს „კოვიდ-19“-ით გამოწვეული ცხოვრების ახალ წესრიგს.

გვესაუბრება თსუ-ის სტუდენტი გიორგი გაგუა

— რა გამოწვევების წინაშე დადგნენ ახალგაზრდები ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით, რა პრობლემები გამოეკვეთათ და როგორ ართმევენ თავს ამ პერიოდს?

გიორგი გაგუა

— გამოწვევები არა მხოლოდ ახალგაზრდებს, არამედ მთელ მსოფლიოს აქვს ახალი კორონავირუსით გამოწვეულ მოცემულობაში და, რა თქმა უნდა, ახალგაზრდებსაც. მათ მოუწიათ დისტანციურ სწავლაზე გადასვლა, რამაც ზოგიერთ ახალგაზრდაში პროტესტი გამოიწვია. მაგალითად, შე-

იქმნა პეტიცია, სადაც ისინი მოითხოვენ, რომ მიმდინარე წელი აკადემიურ წლად გამოცხადდეს, ვინაიდან ზოგიერთი ეფექტურად ვერ ერთვება ამ საგანმანათლებლო პროცესში. ბევრი აღნიშნავს, რომ მათ ხარისხიანი განათლების მისაღებად სხვადასხვა ფაქტორი უშლის ხელს. ჩემი გადმოსახედიდან, ვინც თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტიდან ვართ, შემიძლია ვთქვა, რომ აბსოლუტურად უპრობლემოდ, ძველებურად წარიმართა ონლაინ კურსი ლექცია-სემინარების პრინციპით. დღეს ჩვეულებრივად დავწერეთ შუალედურიც, როგორც რეალურად ვწერდით და, საერთოდ, დიდ პრობლემად არ მიმაჩნია ეს ონლაინ სწავლება. გარდა ამისა, ზოგიერთმა სტუდენტმა, რომლებიც საკუთარი სამსახურიდან შემოსავლით იხდიდნენ სწავლის საფასურს და საცხოვრებლის თანხას, სამსახური დაკარგეს ან შეუჩერდათ შემოსავალი და ესეც დამატებითი გამოწვევაა ახალგაზრდებისთვის.

— რამდენადაც ვიცი, აზერბაიჯანის საზღვართან მოხალისედ წახვედი. რა მოვალეობა გაკისრია?

— ჩვენ საზღვარზე ყველა შემოსულ ადამიანს რისკის გამოსავლენად ვიკვლევთ. ფეხით მოსიარულეებისთვის დადგენილი გრაფიკია და მხოლოდ დილის ცხრა საათიდან თორმეტ საათამდე შემოდიან (უკვე რამდენიმე დღეა, რაც ეს მიმოსვლაც შეწყდა). ყველა მაშინვე კარანტინში გადადის. ძალიან ბევრი მანქანა მოძრაობს, მათ შორის, სატვირთო მანქანებიც. სატვირთო მანქანის ყველა მძღოლი ეპიდემიოლოგიურ ზედამხედველობას გადის. ვუზომავთ სიცხეს და თუ საეჭვო პაციენტია, ვაყოვნებთ. შემდეგ, თუ გამოვლინდება სიცხე ან სხვა სიმპტომი, რაც ახასიათებს ახალ კორონავირუსს, მაშინვე კარანტინის რეჟიმში ვათავსებთ ან ვაბრუნებთ უკან ქვეყანაში, საიდანაც ჩამოვიდა (საქართველოს მოქალაქე ყველა მიდის კარანტინში, ვინც უცხოელია, ყველა ბრუნდება უკან). თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სატვირთო მანქანების მძღოლებს ნაკლები შემხებლობა აქვთ ადამიანებთან, ისინი უბრალოდ გაივლიან ჩვენს გზას და მიდიან სხვა ქვეყანაში, ნაკლებად სახიფათონი არიან, მაგრამ მაინც ხდება მათი შეფასება რისკის გასანეიტრალებლად. ძალიან რთუ-

ლია, ასევე, უსიმპტომო პაციენტის გამოვლენა საზღვარზე. ამას სპეციალური მოწყობილობა სჭირდება. (დღესდღეობით, „COVID-19“-ის ლაბორატორიული დიაგნოსტიკის ოქროს სტანდარტს პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (პჯრ) მეთოდი წარმოადგენს. ამ მეთოდის მგრძნობელობა ძალიან მაღალია, ხორციელდება მაღალტექნოლოგიურ ლაბორატორიებში. „SARS-CoV-2“-ზე პჯრ ტესტირება საქართველოში ხელმისაწვდომია. პჯრ მეთოდის გარდა, „COVID-19“-ის ლაბორატორიული დიაგნოსტიკა, ასევე, შესაძლებელია იმუნოფერმენტული ანალიზის და/ან სწრაფი მარტივი მეთოდის გამოყენებით. ამ უკანასკნელი მეთოდების საშუალებით შესაძლებელია განისაზღვროს „SARS-CoV-2“-ის საწინააღმდეგო IgM და IgG სისხლში ან „SARS-CoV-2“-ის ანტიგენი ზემო სასუნთქი გზებიდან აღებულ ნაცხში.) ამ მეთოდისთვის გამოიყენება ზემოსასუნთქი გზებიდან (ნაზოფარინგეალური და ოროფარინგეალური), ისე ქვემო სასუნთქი გზებიდან (ამოღებული ნახველი, ენდოტრაქეული ლავაჟი) მიღებული მასალები.

ესაუბრა ნინო კაკულია

მედიის პოზიტიური და ნეგატიური გავლენა „კოვიდ-19“-ით გამოწვეულ რეალობაში

ახალი კორონავირუსის პირობებში სახლში გამოკეტილი საზოგადოების ნაწილს დეპრესია და შფოთვა დაეუფლა. ფსიქოლოგები გვირჩევენ, რომ სასურველია პანდემიის შესახებ ან ნეგატიური ემოციების შემცველ ნებისმიერ ინფორმაციას მოვუსმინოთ დღეში ერთხელ ან ორჯერ, დღის პირველ მონაკვეთში. საღამო კი — ძილის წინა პერიოდი — არ უნდა დავტვირთოთ უარყოფითი ემოციებით. სწორედ ამ პრობლემას ეხმიანება მედიაფსიქოლოგი, თსუ-ის პროფესორი მარიამ გერსამია, რომელიც ამ რთულ პერიოდში მედიის პოზიტიურ და ნეგატიურ გავლენებს სწავლობს.

გვესაუბრება მედიაფსიქოლოგი, თსუ-ის პროფესორი მარიამ გერსამია

— რა გავლენას ახდენს მედია საზოგადოებაზე ახალი კორონავირუსით გამოწვეული რეალობის ფონზე?

— მედიის გავლენა საზოგადოებაზე მედიის გაჩენისთანავე თვალშისაცემი იყო. ყოველი ახალი მედიუმის გამოჩენას თავისი ძლევამოსილების ფაზა ახლდა. მაგალითად, როცა გაჩნდა რადიო, საზოგადოებაში იყო ისეთი განცდა და მოლოდინი, რომ რადიოს შეუძლია სასწაულების მოხდენა. ჩვენ გვახსოვს მაგალითები, როდესაც რადიო გადაცემებმა მასიური პანიკაც კი გამოიწვია (1938 წელს ორსონ უილსის რადიო წარმოდგენა აშშ-ზე მარსიანელების თავდასხმაზე). ხალხმა მაშინ დაიჯერა, რომ ეს მართლა ხდებოდა. ტელევიზიის გაჩენისთანავეც იგივე განწყობა გაჩნდა, რომ ტელევიზიას შეუძლია სასწაულების მოხდენა. ახლა იმავეს ვამბობთ ინტერნეტთან, სოციალურ ქსელებთან მიმართებითაც. ეს ტექნოლოგიური ეიფორია მაინც ფრაგმენტულია და ადამიანი ეჩვევა მედიაეფექტებს, შესაბამისად, უფრო კრიტიკულად განიხილავს მთ და ზეგავლენა კლებულობს, ტექნოლოგიების გავლენაც რუტინული ხდება. მედიის გავლენა უფრო მეტად შესწავლილია მისი ნეგატიური ფენომენის კუთხით. რამდენად შეუძლია მას აგრესიის და ძალადობის გამოწვევა? რამდენად შეუძლია პანიკის დათესვა, რადგან ეს უფრო თვალში საცემია. თუმცა მკვლევრები ბოლო დროს ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ თუ მედიას შეუძლია ანტისოციალური ქცევების გამოწვევა, მედიას, ასევე, შეუძლია გამოიწვიოს პროსოციალური ქცევებიც და ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. ჟურნალისტიკათ-

მარიამ გერსამია

მცოდნეებმა, მედიაფსიქოლოგებმაც მიაქციეს ყურადღება და შეთანხმდნენ იმაზე, რომ, რა თქმა უნდა, ჟურნალისტის მთავარი ფუნქციაა პრობლემის დაფიქსირება და რეალობის (და არა ფსევდორეალობის) ასახვა, მაგრამ, ამასთანავე, მან უნდა შემოგვთავაზოს პრობლემიდან გამოსავლის გზაც და არ უნდა დაგვტოვოს მარტო პრობლემის პირისპირ. ანუ ჟურნალისტმა უნდა გვაჩვენოს ქცევის მოდელები — როგორ ვიმოქმედოთ გარკვეული პრობლემის არსებობის დროს. ამ კუთხით ძალიან საინტერესოა, რაც ხდება, თუნდაც, ახალ კორონავირუსთან მიმართებაში. გავიხსენოთ ის, რომ როცა გასულ საუკუნეში დაიწყო საზოგადოებრივი აზრის კვლევები მედიასთან მიმართებით, ამ კვლევებმა აჩვენა, რომ სენსაციურ თუ ნეგატიურ ამბებს, სადაც მკვლელობაზე, სენსაციაზე, სკანდალებზე და კრიმინალზეა საუბარი, უფრო მეტი მაყურებელი ჰყავს. ეს მედიამ იმდენად გაითავისა, რომ ტოპ-ნიუსებად ირჩევს სენსაციაზე ორიენტირებულ ამბებს, თუნდაც, ეს ერთი დღის სენსაცია იყოს. იგივე სურვილი და სხვა რეალობა გაჩნდა ახლა, როდესაც საქმე ეხება პანდემიას, ეს აღარ არის ფრაგმენტული (ერთი დღის) გაშუქება, ანუ უკვე მესამე კვირაა, მთელი სატელევიზიო დღის წესრიგი აგებულია ამ თემის გაშუქებაზე, რომელიც, ცალსახად და სამწუხაროდ, უფრო მეტად ნეგატივით არის დატვირთული. ეს, გარკვეულწილად, გამოწვევაა მაყურებლისთვისაც და ჟურნალისტებისთვისაც. ჟურნალისტებმა ამ კრიზისულ სიტუაციაში თითქოს სწრაფად გაიარეს ტრენინგი, თუ როგორ უნდა გააშუქონ ასეთი ამბები.

გამოწვევა ისიცაა, რომ მედია ყოველდღიურ ამბებად, როგორც წესი, აშუქებს პოლიტიკას, ეკონომიკას, საპარლამენტო ცხოვრებას, სოციალურ თემატიკას, კულტურას და საერთაშორისო ამბებს... მეცნიერება მას აინტერესებს მხოლოდ აღმოჩენის კუთხით — ვთქვათ, კიბოს წამალი გამოიგონეს, კორონავირუსის ვაქცინა აღმოაჩინეს და ა.შ. — აი, მსგავს თემებს აშუქებენ იმიტომ, რომ ის სენსაციას შეიცავს (როგორც წესი, პოზიტიურს). დღეს კი, რეალობიდან გამომდინარე, აბსოლუტურად სხვა პატერნს და მოცემულობას ვხედავთ. ჩვენ

ვუყურებთ ჟურნალისტებს (ყველა მათგანი არა, მაგრამ გამოჩნდნენ უკვე ასეთი ჟურნალისტები და ეს მისასალმებელია), რომლებიც საფუძვლიანად ემზადებიან პროფესიონალებთან, მეცნიერებთან, სპეციალისტებთან ინტერვიუსთვის და მათ უსვამენ, მათ შორის, ისეთ კითხვებსაც, როგორიცაა — როგორ მიმდინარეობს კვლევები? რა ეტაპზე არის ვაქცინის შექმნის პროცესი? რომელი წამალი რა ეტაპზე როგორ მოქმედებს და, აქედან გამომდინარე, ჩვენ, მაყურებლებმაც, არა მარტო გავიგეთ ახალი ტერმინოლოგია კვლევების შესახებ და, შესაბამისად, ავიმაღლეთ ცნობიერება, არამედ ამ ახალი ამბების რუტინაშიც ვართ ჩართული. ანუ, ჩვენ სამეცნიერო ამბებს „დისქავერის“ არხიდან კი არ ვგებულობთ, მიმდინარე ახალ ამბებში ვეცნობით მიმდინარე კვლევებს და ყველას გვსურს, რომ ეს გრძელი ამბავი პოზიტიურად დამთავრდეს. დღევანდელი მოვლენების სამეცნიერო კუთხით გაშუქების ეს ფორმა (მთელი მსოფლიო მთელი დღე მხოლოდ მეცნიერებაზე და მედიცინაზე საუბრობს), მინდა გითხრათ, მსოფლიო მედიის ისტორიაში პირველი შემთხვევაა. პოლიტიკაც და ეკონომიკაც იქცა ამ თემის კონტექსტი.

— რას ურჩევდით ჟურნალისტებს კრიზისების გაშუქებისას და რას ურჩევთ მაყურებელს?

— ჩვენ ვხედავთ ჟურნალისტებს, რომლებიც დღესაც ისევ სკანდალზე ორიენტირებულები არიან, რითაც, რა თქმა უნდა, პანიკის დათესვა შეიძლება მოხდეს და ეს არ არის სწორი მიდგომა ასეთ სიტუაციაში. მედიამ უფრო მეტი უნდა ისაუბროს იმაზე, როგორ უნდა ვიმოქმედოთ ჩვენ. საუბარია იმაზე, როგორ მიაწოდოს მედიამ მეტი ინფორმაცია ადამიანებს, რათა მათ თავი იგრძნონ დაცულად. მედიას დღესაც შეუძლია გააგრძელოს ისევ და ისევ სკანდალებზე ორიენტირება და მიყვეს ძველ პატენტს (რაც უფრო სკანდალურია ინფორმაცია, მით უფრო ყურებადია), თუმცა, ამ შემთხვევაში, მაყურებელი მაინც გააკეთებს არჩევანს თავის სასიკეთოდ. „თავის სასიკეთოდ“ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი ეძებს გამოსავალს და მედიაც უნდა გადავიდეს იმ ფაზაში, როცა ეკრანიდან რაციონალურად გვესაუბრებიან პანდემიის თემაზე

და გვთავაზობენ სწორ მოდელებს. სამწუხაროდ, სოციალურ ქსელში და მედიითაც ვხედავთ, რომ „ნახვების“ და რეიტინგებისთვის ვრცელდება ყალბი ახალი ამბები (ე.წ. ფეიკ ნიუსები) სენსაციის ეფექტით, მაგალითად ვაქცინის ან წამლის გამოგონებაზე და ეს ამბები ცალსახად დეზინფორმაციის კატეგორიაში ხვდება.

საინტერესოა დავაკვირდეთ — როგორ (შე)იცვლება მაყურებლის მედია-არჩევანი და ქცევა, რაც რეიტინგებზეც აისახება. მაყურებლის მიმართ მთავარი რჩევა არის — შევარჩიოთ სანდო წყაროები. ყველაფრის ტირაჟირება და ყველაფრის მოსმენა თუ გაზიარება ფეისბუქზე შეიძლება ძალიან ნეგატიურად აისახოს თავად ადამიანების ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. სჯობს, სკეპტიკურად და კრიტიკულად შევხედოთ სენსაციებს და სკანდალებს, ვიდრე უპირობოდ დავიჯეროთ. ასევე, სასურველია ლიმიტირებულად მოვუსმინოთ, იგივე, ახალ ამბებს, მაგალითად, დილას ან საღამოს, რათა მივიღოთ ინფორმაცია და ის რეკომედაციები, რაც ვირუსთან არის დაკავშირებული, ოღონდ მივიღოთ ეს ინფორმაცია კვალიფიციური ადამიანებისგან. ჩვენ შეგვიძლია არჩევანი გავაკეთოთ და უფრო მეტად ვუყუროთ ისეთ არხებს, რომლებიც უფრო რაციონალურად უდგებიან საკითხს, ჩვენს ინფორმირებაზე ზრუნავენ და არა ჩვენი ემოციების მანიპულაციას აგრძელებენ. საერთოდ, პოზიტივისკენ მიდრეკილება ადამიანს უფრო მეტი აქვს. ჩვენ ყველას გვინდა, რომ ეს ყველაფერი მალე დასრულდეს, გაჩნდეს მეტი ინფორმაცია მეტი გამოჯანმრთელებულის შესახებ, მოვისმინოთ „გადარჩენის ისტორიები“, ისტორიები — თუ როგორ ეხმარებიან ადამიანები ერთმანეთს, არიან სოლიდარულები და ფიქრობენ და მოქმედებენ გადარჩენისთვის. ამიტომ ჟურნალისტებიც გამოწვევის წინაშე დგანან. არჩევანი აღარ არსებობს — თუ რა გააშუქონ. „კორონავირუსის ამბის“ გარდა არაფერი ხდება. ყველაფერი ამ ამბის გარშემოა. არჩევანი არის — როგორ გააშუქონ ეს ამბები? ერთის მხრივ, მათ მაყურებლის შენარჩუნება სურთ, მაგრამ მეორე მხარეს დევს ამის „ფასი“, რასაც რეიტინგებიც გამოაჩენს. საინტერესო იქნება ამაზე

დაკვირვებაც. როგორც არასდროს, ისე ჩანს სწორედ ახლა სანდო და კვალიფიციური მედიის და ჟურნალისტის როლი.

— სად არის გამოსავალი?

— მწვავე კითხვების დასმა, პრობლემაზე საუბარი ჟურნალისტის მოვალეობაა, მაგრამ, ამავე დროს, მთავარი, რაც ამ კითხვების უკან უნდა იყოს, ესაა — მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ საზოგადოებას იმისთვის, რომ თავს დაცულად გრძნობდეს. ჩვენი თვითმიზანი არ შეიძლება იყოს ადამიანი (მათ შორის რესპონდენტის) წყობიდან გამოყვანა და მაყურებლის ემოციაზე თამაში. ჩვენ ყველას გვაქვს ემოციური განწყობა ამ თემებთან მიმართებით, ოღონდ ტელევიზორს ვრთავთ იმიტომ, რომ გავიგოთ ახალი ამბავი. თუ რესპონდენტი ვერ აკონტროლებს თავის ემოციებს — ეს ცუდია, მაგრამ ასევე ცუდი საყურებელია, როცა ვხედავთ, რომ ჟურნალისტი აჰყვა ემოციებს და პანიკაშია. ახლა, ჩვენ ყველას გვსურს — ვნახოთ მობილიზებული ადამიანები, რომლებიც გვემსახურებიან და გვაწვდიან გადამოწმებულ ინფორმაციას. თუ მე აღმოვაჩენ, რომ ის ინფორმაცია, რომელიც ჟურნალისტმა მომაწოდა, სიმართლეს არ შეესაბამება, რა თქმა უნდა, ის ბრაზი, რომელიც პანდემიით გამოწვეული სტრესის დროს არსებობს, შეიძლება მივმართო ამ ჟურნალისტისკენ. ეს ბრაზი შეიძლება მივმართო პოლიტიკოსის ან ინსტიტუციის მიმართაც, ამიტომ მათი პასუხისმგებლობა და ტვირთი მედიაში გამოჩენისას დიდია. ჩვენ ყველამ გამოვიარეთ შიშის, რეალობის არმიღების, უსუსურობის განცდის ეტაპი, რაც სტრესის თანმდევია. ამასთან ბრაზიც შემდეგი ეტაპია და ჩვენ შეიძლება გავბრაზდეთ ჟურნალისტზე, პოლიტიკოსზე ან ინსტიტუციაზე. ბრაზის მერე მოდის მოქმედება და მედიასთან მიმართებით ეს შეიძლება იყოს სხვა არხზე გადართვა; პოლიტიკოსებთან მიმართებით — ნდობის შემცირება. ამიტომ პოლიტიკოსებმაც და ჟურნალისტებმაც უნდა იფიქრონ, პირველ რიგში, მაყურებელზე და თავის პოზიტიურ როლზე ამ პროცესში ჩვენს დასახმარებლად.

დაბოლოს, ჩემი რჩევა იქნება — ვუყუროთ მთავარ საინფორმაციო გამოშვებას ან დილას, ან საღამოს, რათა გავი-

გოთ — რა ხდება? ოღონდ, ჩვენ თვითონ ავარჩიოთ სანდო წყაროები და გავარჩიოთ — რომელი რესპონდენტია სანდო მისი პროფესიონალიზმიდან და პროცესებში ჩართულობის ხარისხიდან გამომდინარე. თუ ვხედავთ, რომ პანიკას იწვევს მედია, სჯობს გამოვრთოთ ტელევიზორი და უბრალოდ რაციონალურად გავიაზროთ — რა ხდება ჩვენს გარშემო? ჩვენ, ერთის მხრივ, უნდა მივიღოთ ის რეალობა, რომელიც არის და გავარჩიოთ ის ფსევდო-რეალობისგან (მათ შორის, შესაძლოა მედიის მიერ მოწოდებულისგან). ჩვენ ეს შეგვიძლია, რადგან ამ რეალობაში ვცხოვრობთ და მასზე ჩვენი ქცევებითაც ვახდენთ გავლენას. მედიაში კი სჯობს ვიხილოთ სასარგებლო ქცევის მოდელები. ამასთან, შიში ერთია და სიფრთხილე მეორე, რომელიც შეგვიძლია ჩვენ გამოვიჩინოთ, მათ შორის, ჩვენს ქცევებთან მიმართებით, რათა ტელევიზიასთან სულ მიჯაჭვულებიც არ ვიყოთ. გვახსოვდეს, არჩევანი ჩვენს ხელშია, საზოგადოებრივ დღის წესრიგს ისევ ჩვენ ვქმნით და ეს კარგია, მათ შორის, მედიისთვისაც!

ესაუბრა ნინო კაკულია

„თეთრი“ და „შავი“ კორონავირუსის პირობებში

თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორებმა, ქართული საზოგადოებისთვის უკვე კარგად ნაცნობმა და საყვარელმა ექიმებმა — თენგიზ ცერცვაძემ და პაატა იმნაძემ თავიანთი მოქმედებებით, პანდემიასთან ბრძოლის ამ ეტაპზე, უნივერსიტეტის იმიჯს ბევრი შემატეს. გამოჩნდა სხვა დადებითი ტენდენციებიც, რაც გვაფიქრებინებს, რომ „კოვიდ-19“-მა და სახლში გამოკეტვამ ჩვენს ცხოვრებაში კარგიც მოიტანა. პოზიტიურად ფიქრი და აზროვნება ახლა გამოსავალია ყველა ჩვენგანისთვის, რათა უარყოფითმა ემოციებმა არ გვძლიოს და შიშისა და პანიკის მორევში არ გადავეშვათ. დღევანდელ მოცემულობაში სწორედ რომ დადებით მხარე-

ზე გვესაუბრება მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, რაც ერთგვარი გამხნევებაა და თანადგომა, რომ მხოლოდ ცუდზე არ ვიფიქროთ. მაშ ასე, გავაანალიზოთ ცხოვრების ახალი შემოთავაზებები და ახალი რუტინა, რაც გვაძლიერებს.

გვესაუბრება თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი
დიმიტრი კორძაია

— ახალი კორონავირუსი ისეთი გამოწვევა აღმოჩნდა, რომელმაც მსოფლიო შეცვალა. ჩვენს დროში, ასე მსოფლიო რამეს შეეცვალოს, აქამდე, მსგავსი პრეცედენტი არ გვქონია. ეკონომიკა გაჩერდა, სწავლის სისტემა შეიცვალა, ადამიანთა ურთიერთობები გადაეწყო. მაგრამ ყველაფერშია „თეთრი“ და „შავი“. რაღაც დადებითიც ხომ არ აღმოაჩნდა არსებულ მოცემულობას ჩვენი ცხოვრების წესისა და მენტალობისთვის? ჩვენი სამშობლოსთვის? ჩვენი უნივერსიტეტისთვის?

ვფიქრობ, საქართველოში დადგა დრო, როცა უნდა გადავაფასოთ არსებული ვითარება და მისგან დამკვიდრებული ცხოვრების წესი. ამ ბოლო დროს გათითოკაცებულ, მოკინკლავე საზოგადოებას, ერსა და ბერს ერთად მოუწია დადგომა. ეს ცუდი არ არის, თანაც ამ ერთობის საჭიროებაც და გამოხატულებაც მკვეთრად იზრდება. ოჯახის წევრებს „მოუხდათ“ ერთმანეთთან უფრო მეტი და ხანგრძლივი ურთიერთობა. მახსოვს, ბაბუაჩემის ტიტე კორძაიას შეგონება, რომელიც, მოგვიანებით, ზუსტად გაიმეორა ჩემმა მასწავლებელმა, შესანიშნავმა მეცნიერმა და სამაგალითო მოქალაქემ, პროფესორმა შალვა თოიძემ — ოჯახისთვის აუცილებელია ერთად სადილობა ან ვახშმობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაბიჯ-ნაბიჯ, ნელ-ნელა იკარგება ერთი იმ რაღაცთაგანი, რასაც ეფუძნება ოჯახური ცხოვრებაო. ამბობენ, ჩინეთში ორთვიანი იძულებითი კარანტინის შემდეგ განქორწინების რიცხვმა იმატა, რადგან ადამიანებმა გამუდმებით ერთად ყოფნისას ერთმანეთის ბევრი ცუდი თვისება „აღმოაჩინესო“. მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მგონია, რომ

დიმიტრი კორძაია

საქართველოში ეს არ გველის; პირიქით, ვირუსი ოჯახების ერთი იდეის გარშემო გაერთიანებას, ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებლობის გაძლიერებას შეუწყობს ხელს; მინიმუმ, ამ თვისებების, ოჯახური სიყვარულის და ერთობის გამოცდას მოგვიწყობს, თანაც ისე, ყველა გამოსაცდელს მოუნდეს და ეამაყებოდეს ამ გამოცდის წარმატებით ჩაბარება.

წარმოიდგინეთ, ვირუსის გავრცელებამ უნივერსიტეტსაც შემატა რაღაც დადებითი. ბევრმა გადახედა თავისი ცოდნის ბანკს (პროფესურაზე მაქვს ლაპარაკი), რადგან საჭირო გახდა სალექციო ტექსტების ელექტრონული ვერსიების დადება და გაზიარება. ამან განაპირობა საკუთარ თავზე მუშაობის გაძლიერების, გადასაცემი მასალის დახვეწის და გამრავალფეროვნების აუცილებლობა, რაც, ვთვლი, რომ კარგია. მეორე მხრივ, მოხდა სტუდენტების მობილიზება — ისინი იძულებულნი გახდნენ, სწავლისთვის საჭირო ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებების ინტენსიური გამოყენებისთვის მოსამზადებლად ეზრუნათ, ახალი უნარები გამოემუშავებინათ. ადმინისტრაციულ რგოლებსაც დასჭირდათ ახალ გარემოსთან ადაპტაციის უმოკლესი და ეფექტური გზების

მოძიება. ეს ყოველივე მომავალში ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის და, საერთოდ, საუნივერსიტეტო ცხოვრების გაძლიერებასაც და გამრავალფეროვნებასაც.

პროფესურის ნაწილს გამოუჩნდა დრო მეტი სამეცნიერო მუშაობისთვის (დავაზუსტებ, ე.წ. საბიბლიოთეკო სამეცნიერო მუშაობისთვის, რადგან ცხადია, საველე და ლაბორატორიული სამუშაოები შეწყვეტილია). დარგში ახალი ნაშრომების გასაცნობად ან ახალი ნაშრომის შესაქმნელად თითქოსდა მეტი დრო გაჩნდა, თუნდაც მიმოსვლის დროის ეკონომიის ხარჯზე.

ამდენად, ვირუსის გავრცელების პირობებში სახლში დარჩენის კამპანიამ უნივერსიტეტისთვის გარკვეული დადებითი მომენტები შექმნა, თუმცა, ცხადია, ეს „დადებითობა“ დროში ლიმიტირებულია. სრულფასოვანი საუნივერსიტეტო (და საერთოდ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო) ცხოვრების რაც შეიძლება მალე განახლება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა — პლანეტარული ამოცანა.

ის ფაქტი, რომ დღეს მთელი ქვეყნის მოსახლეობა სამედიცინო საზოგადოებას იმედის თვალით შესცქერის, მნიშვნელოვნად ზრდის თსუ მედიცინის ფაკულტეტის პასუხისმგებლობას, ზრდის მოთხოვნებს სამედიცინო განათლების მიმართ. ჩემთვის ფრიად საამაყოა, რომ კორონავირუსთან ბრძოლის ავანგარდში ასეთი შემართებით და პროფესიონალიზმით მდგარი ექიმები — თენგიზ ცერცვაძე და პაატა იმნაძე უნივერსიტეტელები არიან, ჩვენი ფაკულტეტის პროფესორები. ისინი ინფექციურ სნეულებათა და კლინიკური იმუნოლოგიის და საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და ეპიდემიოლოგიის კათედრებს ხელმძღვანელობენ. ყველასთვის ცნობილი ინფექციონისტი — მარინა ენდელაძეც ჩვენთან მოწვეული ლექტორის სტატუსით კითხულობს ლექციებს. ამრიგად, იმ ადამიანთა შორის, რომელთა გარშემოც დაირაზმა მთელი ერი, წამყვანი პოზიციები უკავიათ უნივერსიტეტელებს, ჩვენი ფაკულტეტის წარმომადგენლებს. ამ ადამიანთა წარმატებული მოღვაწეობა ზრდის სამედიცინო საზოგადოების მიმართ ქვეყნის მოსახლეობის პატივისცე-

მას, ზრდის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის პრესტიჟს და მისადმი ნდობას.

ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, ფაკულტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან კორონავირუსთან ბრძოლის ფონდში გადაირიცხა 25 000 ლარი. ფაკულტეტის ადმინისტრაციაში შემოდის პროფესორების წერილები, რომელთაც სურთ კუთვნილი ხელფასების გადარიცხვა აღნიშნულ ფონდში. ეს პროფესორ გიორგი გალდავას ინიციატივა გახლდათ, რომელსაც ბევრმა მისმა კოლეგამ დაუჭირა მხარი.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც ყოველთვის, საქვეყნო გამოწვევას შემართებით ხვდება, მათ შორის, მედიცინის ფაკულტეტიც, რომელიც ყველა თავისი რესურსით საქვეყნო საქმის მკეთებელთა რიგებშია ჩამდგარი.

ესაუბრა ნინო კაკულია

თსუ-ის სტუდენტი, რომელიც ყველაზე მძიმე პაციენტებს უწევს სამედიცინო დახმარებას

თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის მე-5 კურსის სტუდენტი, აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სახელობის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების კლინიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირაკლი მოდებაძე თსსუ პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში ექთნის ფუნქციებს ასრულებს და ყველაზე მძიმე პაციენტებს უწევს სამედიცინო დახმარებას. „ამჟამად ამ საუნივერსიტეტო კლინიკის კრიტიკული მედიცინის დეპარტამენტში ვმუშაობ. საქართველოში ახალი კორონავირუსის დაფიქსირებიდან რამდენიმე დღეში ჩვენი კლინიკა შეირჩა ამ ინფექციით დაინფიცირებული პაციენტების მისაღებად და დღემდე ყველაზე მძიმე პაციენტებს ვუწევთ სამედიცინო დახმარებას. ჩვენმა გუნდმა ამ მოკლე დროში შეძლო რამდენიმე სიცოცხლის გადარჩენა და მჯე-

ირაკლი მოდებაძე

რა, რომ ამ უხილავ მტერთან ბრძოლაში ჩვენ გავიმარჯვებთ. მეამაყება, რომ ამ გუნდის წევრი ვარ და ჩემი მცირედი წვლილი შემაქვს ვირუსთან ბრძოლაში“, — ამბობს თსუ-ის სტუდენტი ირაკლი მოდებაძე.

მაშინ, როდესაც საქართველოში ახალი კორონავირუსის პირველი შემთხვევა დაფიქსირდა, იმ დროს უნივერსიტეტში სწავლა განახლებული არ იყო და ამიტომ ირაკლი საკმაოდ რთულ სამუშაო რეჟიმს დათანხმდა. მას ყოველ მეორე დღეს 24 საათიანი მუშაობა უწევდა. მას შემდეგ, რაც თსუ-ში ონლაინ პლატფორმების საშუალებით სასწავლო პროცესი განახლდა, ირაკლიმ სამუშაო რეჟიმი სწავლის პროცესს შეუთავსა და შედარებით მისი სამუშაო დღეებიც შემცირდა — ასეთი გრაფიკის თაობაზე ირაკლისგან ვიგებთ, რომელიც იმასაც აღნიშნავს, რომ დისტანციური სწავლება საკმაოდ მაღალი ხარისხით მიმდინარეობს და გამოყოფს უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მზაობას ამ მხრივ.

„წილად მხვდა — ვყოფილიყავი იმ დიდი ოჯახის წევრი, რასაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჰქვია. უნივერსიტეტმა, პირველ რიგში, მომცა მაღალი ხარისხის საუნივერსიტეტო განათლება. პირველი კურსიდან მოყოლებული, შესაძლებლობა მაქვს, მონაწილეობა მივიღო სხვადასხვა სახის სამეცნიერო კვლევებში, რაც ახლის ძიების და კვლევის სურვილს კიდევ უფრო გმატებს. ხუთი წელია თსუ ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. მან მომცა საკუთარი თავის პოვნის, განვითარების და თვითრეალიზების სა-

შუალება“, — ამბობს მომავალი ექიმი. იგი თავის კარიერას სწორედ მედიცინას უკავშირებს და ავლენს დიდ ინტერესს კრიტიკული მედიცინის მიმართ, რაშიც, როგორც ამბობს, მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილებაც გამოადგება. „ეს დარგი საკმაოდ დიდ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მზაობას მოითხოვს, ამიტომ „კოვიდ-19“-ის პირობებში დღევანდელი გამოწვევაც, ვფიქრობ, ჩემთვის დიდ გამოცდილებად იქცევა“, — აღნიშნავს ირაკლი.

როგორია პირადი დაკვირვების შედეგად გამოტანილი დასკვნები და რა გამოცდილება დაგროვდა ახალი კორონავირუსით დაავადებულ პაციენტებთან ურთიერთობისას? — ირაკლი მოდებაძე კონკრეტულ კითხვებზე გვპასუხობს:

— როგორ გრძნობენ თავს „COVID-19“-ით დაინფიცირებული პაციენტები?

— კლინიკაში ყველა პირობაა შექმნილი „COVID-19“-ით დაავადებული პაციენტების მკურნალობისთვის. რეანიმაციულ განყოფილებაში პაციენტების მდგომარეობა, რა თქმა უნდა, მძიმეა, თუმცა რამდენიმე გამარჯვებას მივაღწიეთ. ახლაც ჩართული ვართ ამ ბრძოლაში და იმედია, ეს ბრძოლა სიცოცხლის გამარჯვებით დასრულდება.

— რამდენად რთული დაავადებაა და რამდენად ხშირია გართულებები შენი პირადი დაკვირვებით?

— „COVID-19“-ის გადაცემა ხდება წვეთოვანი და კონტაქტური გზით. ინფიცირებულთა ძირითადი ნაწილი ასიმპტომურია და რაიმე კლინიკური გამოვლინება არ გააჩნია. მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს კლინიკური მანიფესტაცია. რაც შეეხება გართულებებს, რისკ ჯგუფში შედიან ქრონიკული დაავადებების (არტერიული ჰიპერტენზია, გულის იშემიური დაავადება, შაქრიანი დიაბეტი, ასთმა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება და სხვ.) მქონე პირები. ლეტალობის ძირითადი ნაწილი სწორედ ასეთ პაციენტებზე მოდის. რეანიმაციაში საკმაოდ დიდხანს შეიძლება გაატარონ პაციენტებმა (თვეზე მეტიც კი), შეიძლება მხოლოდ 2 კვირა ან 10 დღე. რაც შეეხება თერაპიას, საშუალოდ 2 კვირაა საკმარისი გამოჯანმრთელებისთვის, თუმცა, გააჩნია შემთხვევებს.

— რას ითხოვენ ყველაზე ხშირად პაციენტები თქვენგან, ექიმებისგან?

— ყველაზე ხშირად პაციენტი ექიმისგან თანადგომას ითხოვს, მითუმეტეს, ამ ვირუსით ინფიცირებული პაციენტები. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ მსოფლიომ ამ ვირუსის შესახებ ცოტა რამ იცის, ექიმმა მაინც უნდა შეძლოს პაციენტის გამხნევება და მასში იმედის ნაპერწკლის გაღვივება, რადგან ხშირად სწორედ იმედი ხდება პაციენტის და ექიმის ბრძოლის მთავარი იარაღი. ზოგიერთი დაავადებული ძალიან ემოციურია და მკურნალობისას ეს ემოცია უშლის ხელს. ზოგი მშვიდია და გაგებით ეკიდება დაავადების სირთულეს. მე, ძირითადად, რეანიმაციაში ვარ, სადაც მართვით სუნთქვაზე გვყავს პაციენტები და ამიტომ მათი ემოციური მდგომარეობის შეფასება რთულია. მსმენია, რომ რამდენიმეს ძალიან ვუყვარვართ და თერაპიული განყოფილებიდან სულ გვკითხულობენ.

— რა შეგრძნება დაგეუფლა, როცა საქართველოს მოსახლეობამ საყოველთაო ტაშით გამოხატა მადლიერება ექიმებისადმი?

— მადლიერების აქცია მედპერსონალის მიმართ მადლიერების გრძნობის გამოხატულებისა და საზოგადოების ერთიანობის სიმბოლოდ იქცა. დავესესხები ცნობილი ადამიანის სიტყვებს: „მადლიერება მაგიაა, ერთ-ერთი ყველაზე ძლევამოსილი ენერგია, რომელიც კი შეიძლება ადამიანმა შეიგრძნოს და რომელსაც შეუძლია შეცვალოს მთელი ცხოვრება, თუ მას სათანადოდ გამოვიყენებთ“. სწორედ ეს ტაში გახდა, გარკვეულწილად, სტიმული იმისა, რამაც ამ რთულ პერიოდში საქმის კეთება შეგვაძლებინა.

მინდა, მოვუწოდო საზოგადოებას, დაიცვას ყველა ის რეკომენდაცია, რასაც გვთავაზობს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, რათა თავიდან ავიცილოთ მდგომარეობის გაუარესება. და კიდევ, გავიმეორებ პროფესორ ლევან რატიანის სიტყვებს: „ისევ მოვა გაზაფხული კორ ვირუსის გარეშე“.

ესაუბრა ნინო კაკულია

დამალობანას თამაში ვირუსთან და ახალი გამოსავლის ძიება

პროგნოზი — მალე დავამარცხებთ ვირუსს — თურმე ზედმეტად ოპტიმისტურია, რადგან ნაკლებად მოსალოდნელია ეს რეალობა ასე მალე დადგეს. რა გველოდება და რისგან ვიცავთ თავს სახლში ჩაკეტვით? რისი იმედი უნდა გვქონდეს და რეალურად რა გადაგვარჩენს? — გვესაუბრება ვირუსოლოგი, თსუ-ის ასოცირებული პროფესორი ნინო გაჩეჩილაძე.

— რაში მდგომარეობს „კოვიდ-19“ ვირუსის უჩვეულობა?

— მიაქცევდით ყურადღებას, რომ როდესაც „კოვიდ-19“-ზე იწყება ლაპარაკი, ყოველთვის წინ ურთავენ სიტყვას — ახალი კორონავირუსული ინფექცია. ვირუსი ნამდვილად ახალია. კორონავირუსები კარგად აღწერილი და ცნობილი ჯგუფია. ისინი ძუძუმწოვრებში იწვევენ ზედა სასუნთქი გზების დაავადებებს, თუმცა ჩლიქოსან პირუტყვში შეიძლება გამოიწვიოს ენტერო ინფექციებიც. ახალი ვირუსი განსაკუთრებული არის იმით, რომ აქამდე ადამიანში ის აღწერილი არ იყო, ადამიანი მას არ დაუსნებოვნებია და, მითუმეტეს, არ ახასიათებდა ადამიანიდან ადამიანზე გადაცემა, რისი საშუალებაც შეიძინა მუტაციის მეშვეობით. ახლა გვაქვს ის სურათი, რაც გვაქვს — 2 მილიონზე მეტი ინფიცირებული ადამიანი მსოფლიოში და გარდაცვლილების საკმაოდ დიდი რიცხვი.

ნინო გაჩეჩილაძე

მუტაცია ვირუსებს ახასიათებთ, ეს ჩვეულებრივი ბიოლოგიური მოვლენაა, მაგრამ ახალი ვირუსი ჯერ შესწავლილი არ არის — არც მისი ქცევა, არც მისი რეპლიკაციური ციკლის თავისებუ-

რებები ბოლომდე არ ვიცით. ვიცით, რომ ის ძალიან კონტაგიოზურია, ვიცით მისი ქცევის ტიპიური სურათი, მაგრამ არ გვაქვს მკურნალობის სრულყოფილი სქემა. ჩვენ ვიცავთ ვირუსული ინფექციის და მისი გართულებების მკურნალობის და პროფილაქტიკის ზოგად პროტოკოლს. თუმცა, როდესაც საქმე ტიპიური შემთხვევებიდან გადახრას ეხება, აქ ზუსტად ვეღარ ვხსნით — რა ხდება. იყო შემთხვევები, როდესაც ერთ სივრცეში ყოფნისას ცოლი დაინფიცირდა და ქმარი — არა, ერთი ექიმი ერთ შემთხვევაში დაინფიცირდა, ხოლო მეორე ექიმი, რომელმაც მთელი დღე გაატარა ინფიცირებულ პაციენტებთან მაშინ, როცა არც იცოდა — ისინი „კოვიდ-19“-ით იყვნენ თუ არა დაინფიცირებული, გადარჩა, არ დაინფიცირდა. ანუ, ამ ვირუსის ყველა ტიპის ქცევა წინასწარ არ ვიცით. მისი კონტაგიოზურობის თითქოსდა ცნობილი ფაქტიც კი ხანდახან კითხვებს იწვევს.

— არის თუ არა „კოვიდ 19“ სეზონური ვირუსი?

— კორონა ვირუსებს, ისევე, როგორც ე.წ. „გაციებების გამომწვევ“ ვირუსებს (ადენო ვირუსი, რესპირატორულ-სინციტიალური ვირუსი, გრიპის ვირუსი და ა.შ.) ახასიათებთ სეზონური ციკლურობა. ისინი სექტემბრის ბოლოს, ოქტომბრის დასაწყისიდან იწყებენ გააქტიურებას დედამიწაზე და გაზაფხულის ბოლოსკენ ნელდება მათი აქტივობა. შემდგომ მათ ენაცვლებათ ენტეროვირუსები — კუჭ-ნაწლავის ინფექციების გამომწვევები. ახალი კორონავირუსული ინფექციაც შეიძლებოდა სეზონურ ვირუსად ჩაგვეთვალა, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ახლად წარმოქმნილი კორონავირუსი როგორ მოიქცევა, იქნება თუ არა ის სეზონზე დამოკიდებული, გამოიწვევს თუ არა დათბობა ან აციება მის დეაქტივაციას, ან პირიქით, უფრო გააქტიურებს მას თუ არა — ეს ჯერ არავინ იცის. ვნახეთ, რომ თბილ ქვეყნებშიც, მიუხედავად მაღალი ტემპერატურისა და მიუხედავად მზის სხივების ინტენსივობისა, მაინც შენარჩუნდა მისი აქტივობა.

— მოკვდება თუ არა ვირუსი ოდესმე?

— ჩვენ შეიძლება ვისწავლოთ ვირუსით გამოწვეული ინფექციური პროცესის მკურნალობა, მოვახდინოთ ვირუსის

დე-აქტივაცია ორგანიზმში, შევიმუშაოთ ვაქცინა და ავცრათ მოსახლეობა, მაგრამ ბუნებაში თავისთავად წარმოქმნილი ვირუსი „გარდაიცვალოს“ — ასეთი რამ არ ხდება. ახალახალი ვირუსების წარმოქმნა აბსოლუტურად ჩვეულებრივი ბიოლოგიური პროცესია, ის მუდმივად მიმდინარეობს და ასეთი ახლად წარმოქმნილი ვირუსები ცირკულირებენ დედამიწაზე. თუ ის გვაინტერესებს — შენელდება თუ არა ამ ვირუსის გავრცელება, ანუ გაივლის თუ არა ეს საშინელი პანდემია? გიპასუხებთ: — დიახ, პანდემია გადაივლის და ეს მოხდება მხოლოდ და მხოლოდ იმის ხარჯზე, რომ ან ჩვენ შევიმუშავებთ მკურნალობის ეფექტურ მექანიზმს, შევქმნით წამალს, რომელიც ყველაზე ეფექტურად შეებრძოლება ამ ვირუსს, ან დაინფიცირდება ისეთი რაოდენობა დედამიწის მოსახლეობის, რომ შეიქმნება ე.წ. „იმუნური ფენა“ და შესაბამისად, შეჩერდება ვირუსის გავრცელება. იმუნური ფენა შეიქმნება ან ბუნებრივად — მოსახლეობის დიდი რაოდენობის ინფიცირების და ინფექციის გადატანის, ან ვაქცინის გამოგონების შემთხვევაში მასიური იმუნიზაციის შედეგად. ეს არის და ეს, რაც შეიძლება ვირუსს მოვუხერხოთ.

გარდა ამისა, ამჟამად ისიც ბოლომდე გარკვეული არ არის — ახალი კორონავირუსი რამდენად მყარ იმუნიტეტს ტოვებს. არის ინფექციური დაავადებები, რომელსაც ერთხელ თუ გადაიტანს ორგანიზმი, შემდეგ მას იმუნიტეტი ამ დაავადების მიმართ მიყვება მთელი ცხოვრება. არის სხვა ტიპის ინფექციური სნეულებები, რომელიც ძლიერ იმუნიტეტს არ ტოვებს და არ არსებობს გარანტია, რომ მეორეჯერ, მესამეჯერ არ მოხდება დაინფიცირება. შეღავათი ისაა, რომ ხელმეორედ ინფიცირების შემთხვევაში დაავადება შედარებით მსუბუქი ფორმით წავა. ახალი კორონავირუსის შემთხვევაში როგორ და რა მოხდება, ჯერ ბოლომდე არ ვიცით. ინფექციაგადატანილ ავადმყოფებს, რასაკვირველია, გამოუმუშავდათ იმუნიტეტი და დღესდღეობით არის ლაპარაკი იმაზე, რომ ასეთი იმუნიტეტგამომუშავებული ხალხის პლაზმა გამოვიყენოთ სამკურნალოდ. თუმცა, ახალ ვირუსთან მიმართებით რამდენად მდგრადი იქნება იმუნიტეტი, არ ვიცით.

გეტყვით იმასაც, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ე.წ. იმუნური ფენის შექმნა მაინც იქნება აუცილებელი — ეს იქნება ინფექციაგადატანილი ხალხის ხარჯზე თუ ვაქცინაციის ხარჯზე, სხვა საქმეა.

— რომელი უფრო ადრე გვექნება თქვენი აზრით, წამალი თუ ვაქცინა?

— ვაქცინის შემუშავების და მერე მისი გამოცდის პროცესი ცოტა უფრო ხანგრძლივია, თუმცა წამლის შემუშავებას და მერე მის გამოცდასაც ნაკლები დრო არ სჭირდება. ამჟამად უკვე არის ლაპარაკი რამდენიმე პრეპარატზე, სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვას იყენებენ, შემდეგ ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და, ფაქტობრივად, ყველა წამალი მიმართულია ვირუსული ციკლის შეწყვეტაზე. არის რამდენიმე წამალი, რომელიც ამას ახერხებს სამ-ოთხ დღეში, ზოგიერთი წამალი — ერთ კვირაში. ვერ გეტყვით რომელი დაასწრებს — წამალი თუ ვაქცინა, მაგრამ მგონია, რომ წამალი უფრო ადრე იქნება, ალბათ, შემუშავებული. ვაქცინას კი სადღაც ერთ წლამდე, მინიმუმ, გამოცდა დასჭირდება.

— დაამარცხა თუ არა ჩინეთმა ვირუსი?

— ძნელი სათქმელია, ძალიან კარგი იქნება, თუ ჩინეთს არ მიუტრიალდა ისევ ეს ვირუსი უკან. ერთი რამ არის გასათვალისწინებელი, როდესაც ვირუსზე ვსაუბრობთ, რაც აბსოლუტურად ჩვეულებრივი ბიოლოგიური პროცესია: ვირუსი, გამოვლილი სხვადასხვა „მასპინძელ“ ორგანიზმებში და, მითუმეტეს, თუ ეს „მასპინძელი“ ორგანიზმები განსხვავდებიან ერთმანეთისგან ეროვნებით, რასით და ა.შ., იძენს ახალ-ახალ თვისებებს. ეს ეპიდემია ოდესღაც დამთავრდება ნამდვილად, მაგრამ როდესაც უკვე ჩაქრობის სტადიაში იქნება (ალაგ-ალაგ დარჩება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში წვრილ-წვრილი კერები), ალბათ, მოიხსნება კარანტინი და როგორც კი ხალხი კვლავ დაიწყებს მოგზაურობებს ერთი ქვეყნიდან მეორეში, დიდი შესაძლებლობაა ინფექციის თავიდან აფეთქების სწორედ ვირუსის ამ „განახლებული ვერსიებით“. მოგისმენიათ, ალბათ, რომ სხვადასხვა შტამი ტრიალებს სხვადასხვა ქვეყანაში. ეს სხვადასხვა შტამები, თან

ნაირნაირ მასპინძელგამოვლილი, უკან როცა დაუბრუნდება მაგალითად ჩინეთს, ვნახოთ — როგორ მოიქცევიან ისინი და მერე ვისაუბროთ — დაამარცხა თუ არა ჩინეთმა ვირუსი. ამჟამად ვხედავთ, რომ სხვადასხვა ქვეყნებში ნამყოფმა თავიანთმა მოქალაქეებმა უკან „ჩაუტანეს“ ჩინეთს ვირუსი და კინაღამ ხელახალი ეპიდემია წამოვიდა. ასე რომ, ვნახოთ.

— სად არის გამოსავალი?

— გამოსავლია სამკურნალო პრეპარატის დროული მიგნება და ვაქცინის შექმნა. ის, რასაც ჩვენ დღეს ვაკეთებთ — თვითიზოლაცია, ნაკლები კონტაქტები და ა.შ., არის გავრცელების პრევენცია, რათა ერთდროულად არ დაავადდეს ძალიან დიდი რაოდენობის ხალხი. ფაქტიურად, ჩვენ რასაც ვაკეთებთ, არის „დამალობანას“ თამაში ვირუსთან. ჩვენ, უბრალოდ, ვწელავთ დროს და ვიმედოვნებთ, რომ რაღაც დროის მერე გვექნება მკურნალობის ეფექტური სქემა, პრეპარატი ან ვაქცინა. რაც ყველაზე მთავარია, ჩვენ ვწელავთ დროს იმისათვის, რომ ერთდროულად ძალიან დიდი რაოდენობით ადამიანების დაინფიცირება ავირიდოთ თავიდან, რომ ჩვენმა ჯანდაცვის სისტემამ ამას გაუძლოს. ყველას ხომ უნდა ჰყავდეს მკურნალი ექიმი — ინფექციონისტი. ღმერთმა არ ქნას, ერთდროულად დაინფიცირდეს იმდენი, რომ პაციენტის ინფექციური პროცესის მართვა ინფექციონისტის მაგივრად მოუხდეს ოტოლარინგოლოგს, ოფთალმოლოგს, დერმატოლოგს და ა.შ. ამიტომ, ჩვენი დღევანდელი სტრატეგია სწორია, ეს არის ერთადერთი სწორი გამოსავალი.

მიკრობული სამყარო (ვირუსები, ბაქტერიები, სოკოები) სწრაფად ცვალებადია. ჩვენ, ადამიანები, ასეთი ტემპით ამ ცვლილებებს ხშირად ვერ მივსდევთ. არასდროს გვეგონოს, რომ მხოლოდ ჩვენ გაგვაჩნია თავდაცვის სისტემა იმუნიტეტის სახით. მიკრობი საკმაოდ მოქნილი და კრეატიულია. ანტიბიოტიკო რეზისტენტობის მოვლენა — ეს არის ძალიან კარგი მაგალითი იმისა, როგორ უპასუხა ჩვენს დიად აღმოჩენას — ანტიბიოტიკს — მიკრობულმა სამყარომ. თითქმის 100 წელია გასული იმ დროიდან, როდესაც პირველი ანტიბიოტიკი შეიქმნა პენიცილინის სახით და გავრცელდა

მსოფლიოში. შემდეგ შეიქმნა სხვა ანტიბიოტიკებიც, ისინი დამუშავდა ბიოტექნოლოგიური გზით, დაემატა სხვადასხვა რადიკალები და მივიღეთ ძალიან ძლიერი პრეპარატები. გვეგონა, რომ დავამარცხეთ ბაქტერიული სამყარო. გავიდა არასრული 100 წელიწადი და შევეჩეხეთ პრობლემას — ბაქტერიების მდგრადობას ამ ძლიერი პრეპარატების მიმართ. მიკრობულ სამყაროს ევოლუციური საზომით, ფაქტობრივად, წამები დასჭირდა იმისათვის, რომ გამოემუშავებინა ძალიან მრავალფეროვანი და ძალიან „ჭკვიანი" მექანიზმები ანტიბიოტიკების გასანეიტრალებლად. ამას მიკრობი ახერხებს იმიტომ, რომ ის გახლავთ ცოცხალი, განვითარებადი და ადაპტირებადი. ფაქტია, რომ დღესდღეობით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მოლოდინი სწორედ ეს არის, რომ, სადღაც, 20-25 წლის შემდეგ ჩვენ შეიძლება ანტიბიოტიკები საერთოდ ვეღარ გამოვიყენოთ, რადგან ისინი შეიძლება აღარ იყვნენ ეფექტური ბაქტერიების წინააღმდეგ. ბიოტექნოლოგიის შესაძლებლობების გათვალისწინებით იმედი არსებობს, რასაკვირველია, მითუმეტეს საქართველოში, სადაც გვაქვს გ. ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტი — ფაგები და ფაგოთერაპია. ანუ, გვაქვს ალერნატივა ფაგების სახით და, რასაკვირველია, არსებობს ბიოტექნოლოგიის პერსექტივაც, რომ მთლად ასე უიმედოდ არ დავრჩებით. თუმცა ის ფაქტი, რომ მიკრობული სამყარო ბევრად უფრო „ხანდაზმულია" ჩვენზე, ჩვენზე ბევრი რამ „უნახავს" და განუცდია დედამიწასთან ერთად, მუდმივად ცვალებადი და განვითარებადია და სავსეა მოულოდნელობებით, მოდუნების საშუალებას ნამდვილად არ იძლევა.

— როგორ აფასებთ საქართველოს რეაგირების ხარისხს „კოვიდ 19"-თან ბრძოლის ამ ეტაპზე?

— ამ ეტაპისთვის გაკეთდა მაქსიმუმი, რაც შესაძლებელი იყო. არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში გავრცელებული ინფორმაციით, არამედ საერთაშორისო პრესიდან და მედიიდანაც ცნობილი გახდა, რომ ძალიან მაღალი შეფასება მიიღო საქართველომ ვირუსის გავრცელების პრევენციის ღონისძი-

ებებთან დაკავშირებით საერთაშორისო სივრციდან. ძალიან სწორი მენეჯმენტი აირჩია ქვეყანამ, მთავრობამ, ჩვენმა ეპიდემიოლოგებმა და ჩვენმა სასახელო ლუგარის ცენტრმა. ნამდვილად ძალიან სწორ და მოზომილ ნაბიჯებს დგამენ.

გალაკტიონი და საქართველოდან სამყაროს გადარჩენის დღევანდელი მისია

„მივისწრაფოდით გლობალიზაციისკენ და აგერ თავს დაგვატყდა ასეთი გლობალური გაჭირვება“ — ამბობს პროფესორი ინესა მერაბიშვილი, რომელიც თვლის, რომ კაცობრიობას მისი არსებობის მანძილზე ასეთი შოკისმომგვრელი საშიშროება არ განუცდია. ბაირონოლოგს და გალაკტიონოლოგს ახალ გამოწვევაზე თავისებურად ნააზრევი პასუხები აქვს... რუსთველის „ვეფხისტყაოსანში“ და გალაკტიონის შემოქმედებაში ინესა მერაბიშვილის მიერ მოძიებული სქემები — როგორ გადავრჩეთ ქართველები და გადავარჩინოთ დედამიწა, რომელსაც, გარკვეულწილად, ტკივილი მივაყენეთ, ეხმაურება პასუხისმგებლობის და სოლიდაროს თემებსაც. სწორედ ამდენადაა საგულისხმო — სახლში დარჩენილ გალაკტიონის პოეტური თარგმანების დისოსტატს როგორ ესახება გამკლავება ახალ გამოცდასთან.

გვესაუბრება თსუ-ის პროფესორი ინესა მერაბიშვილი

— დღევანდელმა ვითარებამ საქართველოში განსაკუთრებით კარგად წარმოაჩინა ის, რომ ჩვენ სოლიდარობის გამომხატველი ერი ვართ და როგორც ვუყურებთ, ყოველ მოქალაქეში პასუხისმგებლობა ძალიან კარგად არის გაცნობიერებული. მე პირადად რაც შემეხება, ვარ სახლში და ვცდილობ, მითითებისამებრ, მინიმალურად გავიდე სახლიდან — ამით უნდა გადავარჩინოთ ჩვენ არა მარტო საკუთარი თავი, არამედ საერთოდ სამყარო, რადგან კაცობრიობას მისი არსებობის

ინესა მერაბიშვილი

მანძილზე ასეთი შოკისმომგვრელი საშიშროება არ განუცდია. აი, რომ მივისწრაფოდით გლობალიზაციისკენ და აგერ თავს დაგვატყდა ასეთი გლობალური გაჭირვება, რომელიც ქვეყნიდან ქვეყანას გადაედება, რის დაძლევასაც, რასაკვირველია, მზაობა და დიდი პასუხისმგებლობა სჭირდება.

უნივერსტეტი გადავიდა ონლაინ სწავლებაზე. მე უკვე გავაგზავნე თითქმის მთელი სემესტრის საკითხავი მასალა, ასევე ჩემი ვიდეო-ლექციები. ბაირონის სკოლაში, რომელიც 25 წელია ჩემი ხელმძღვანელობის ქვეშაა, ვცდილობთ, არ შევწყვიტოთ სწავლება და სკოლა ონლან რეჟიმზე გადავიყვანეთ. ეს ყოველივე როგორც კი მოვაწესრიგე, საკუთარი ბიბლიოთეკით შემოვიფარგლე და ჩემს აკადემიურ საქმიანობას შევუდექი. პირველი წიგნი, რომელიც ხელში ავიღე, გახლდათ „ვეფხისტყაოსანი“. ამ დროს, დამეთანხმებით, მისტიკა გაძლიერებულია და ტექსტის სწორედ იმ მონაკვეთს ჩავავლე თვალი, რომელმაც პასუხი მომცა დღევანდელ მდგომარეობაზე. როდესაც ავთანდილი უცხო მოყმის მოსაძებნად მიეშურება, თინათინს შემდეგი სიტყვებით ემშვიდობება: „ფათერაკი სწორად მოკლავს, ერთი იყოს თუნდა ასი, მარტოობა ვერას მიზამს, მცავს თუ ცისა ძალთა დასი“. მე მგონი, ამით ყველას მოგვცა ნიშანი და, პირველყოვლისა, მე, რომელიც, ძირითადად, შინ ვარ და ვარ მარტო, ვცდილობ არ გავიდე გარეთ, რომ რამე ფათერაკს არ გადავეყარო. მარტოობა და დღეს შინ ყოფნა, დიდი პოეტის არ იყოს, ვერაფერს დაგვაკლებს, თუ ჩვენი რწმენა ძლიერია, რადგან ცისა ძალთა დასი აუცილებლად დაგვიცავს. ეს ჩემი მიგნება ჯერ შვილებს დავუგზავნე, ოჯახის წევრებს, მეგობრებს და შემდეგ ფეისბუქზეც ავტვირთე შოთას სავარაუდო პორტრეტით. ძალიან ბევრი გამომეხმაურა და მგონია, რომ

ასეთი რამის ურთიერთგაზიარება გაგვამაგრებს — ესეც სოლიდარობაა.

მინდა გითხრათ, რომ საქართველო საკმაოდ მოწესრიგებული შეხვდა ვირუსს მოსახლეობის შეგნების თვალსაზრისით და თავად ქვეყნის ხელმძღვანელობის ქმედუნარიანობის თვალსაზრისით. ჯერ ვერც კი გინატრია იმაზე — რა იქნება ვირუსთან საბრძოლველად სწორი ფორმა თუ სტრატეგია და მთავრობას ეს უკვე გაკეთებული აქვს. ასე რომ, მე, პირადად, საქართველომ ძალიან დამაიმედებელი სურათი შემომთავაზა და არც მეპარებოდა ეჭვი, რომ ასე იქნებოდა. გამონაკლისები არის — ზოგი შოკშია, ზოგი დაბნეულია და ამიტომ არის საჭირო კომენდანტის საათი, კარანტინი. ჩვენი პასუხისმგებლობა არა მარტო დღევანდელობას და ამ სოციუმს ეხება, არამედ ჩვენი ვალია მომავალი თაობისადმი დიდი პასუხისმგებლობის გაცნობიერებაც. განათლების სისტემა მთლიანად ონლაინ რეჟიმზე გადაერთო, დაიწყეს სასწავლო ტელეგადაცემები. რა არის ეს, თუ არა ზრუნვა მომავალზე, ხომ? ის, რომ შენ ჩაიკეტები, ამით მხოლოდ საკუთარ თავს ხომ არ უფრთხილდები? შენ არ უნდა იყო ვირუსის გამავრცელებელი. ახალგაზრდობაა გადასარჩენი! მიხარია და აღსანიშნი ფაქტია, რომ მსოფლიომ შეაფასა საქართველოს დამოკიდებულება ამ ვითარებაში და შედეგები. მთავრობის გვერდით გამორჩეულად აღსანიშნავია სამედიცინო სფერო, რადგან მათ გარეშე ერი და ბერი ვერაფერს გახდება. მინდა, მადლობა ვუთხრა მედიკოსების დიდ გუნდს, მაგრამ, თქვენის ნებართვით გამოვარჩევ სამეულს — ამირან გამყრელიძე, პაატა იმნაძე, თენგიზ ცერცვაძე, რადგან ვიცნობ მათ და დიდი ხანია თვალს ვადევნებ მათ საქმიანობას. ვიცნობ, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ სამივე ჩემი თაობის წარმომადგენელია, იმ თაობისა, რომელსაც ცოტა ხნის წინ უთხრეს — განზე გადექით და გზა ახალგაზრდებს დაუთმეთო. მე ვიცი, რომ ამ სამეულმა მრავალი ბრძოლა და პერიპეტია გადაიტანა. მე და ჩემმა კოლეგებმა ეს უნივერსიტეტის მაგალითზე გამოვცადეთ. საბედნიეროდ, ამ გამორჩეულმა მედიკოსებმა არ დათმეს საკუთარი პროფესიონალიზმი, დაგროვილი ცოდნა

და გამოცდილება და ის სამომავლოდ გადაარჩინეს საკუთარ თავში. აი, აქ კიდევ დამატებით იკვეთება პასუხისმგებლობის საკითხი: საზოგადოების წევრს პასუხისმგებლობა გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ ამ საზოგადოების და, განსაკუთრებით, ახალგაზრდობის წინაშე, არამედ საკუთარი თავის წინაშე (ამ უკანასკნელში პროფესიონალიზმსა და დაგროვილ ცოდნას ვგულისხმობ). თუ ღმერთმა ნიჭი მოგამადლა და ვითარებამ შენ პროფესიონალად ჩამოგაყალიბა, ვალდებული ხარ — ეს ყოველივე სამყაროს სიკეთით დაუბრუნო და ისე გადასცე მომავალ თაობას. დღეს ჩვენმა მედიკოსებმა ეს პასუხისმგებლობა პირნათლად შეასრულეს. ამ მოვლენას, ცოტა არ იყოს, იუმორიც დაამშვენებდა: ეს ხომ ის თაობაა, რომელსაც დღეს აფრთხილებენ — ასაკობრივი რისკის გამო შინიდან გარეთ ნუ გამოხვალთო. არა მხოლოდ შინიდან გარეთ გამოდიან, არამედ თავდადებით იბრძვიან ფრონტის წინა ხაზზე. მინდა, ახალგაზრდა თაობას ვუთხრა, რომ თაობათა ცვლა კი არა, თაობათა კავშირი გვჭირდება.

მეოცე საუკუნის ბოლოს დავწერე წიგნი ბაირონზე და პოეზიაზე, რასაც შესავალი დავურთე. დღევანდელმა მდგომარეობამ გამახსენა, რომ ასეთი რამ დამიწერია: „თუ ასაფეთქებლად ყალყზე შემდგარ დედამიწას გადარჩენა უწერია, მომავალში ის აუცილებლად დააფასებს ამ განსაკუთრებულ ღირებულებებს — ამაღლებულს, ზნეობრივს და ასე შემდეგ". მხოლოდ იმ წიგნის დაწერის დროს კი არა, ყოველთვის მქონდა ეს განცდა. ძალიან გათამამდა ადამიანი და ჩვენს დედამიწას ვერ მოვუფრთხილდით. დედამიწა ქართველისთვის დედაა, განსხვავებით სხვა ენებისგან (არა მარტო დედა სამშობლო გვაქვს, არამედ ჩვენია დედა მიწაც). მან ჩვენ თითი დაგვიქნია და როცა შევძლებთ, პირველ რიგში, დედა მიწის და მერე ჩვენი თავის გადარჩენას, შემდეგ, ალბათ, ეს ძალიან მაღალი ღირებულებები უნდა დავაფასოთ. მაშინ ამ მოახლოებულ საშიშროებაზე, ალბათ, ასე არ ვფიქრობდი, როდესაც გალაკტიონზე ლექციებს ვკითხულობდი საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ. მე არ შემეძლო ჩემი სათქმელი არ მეთქვა სამყაროსთვის და, პირველ ყოვლისა, ინგლისუ-

რენოვანი წრეებისათვის. გალაკტიონი შევადარე მსოფლიო მოაზროვნეებს და მათ დამოკიდებულებას. მათ შეიძლება არ იციან — ვინ არის გალაკტიონი, მაგრამ კარგად იცნობენ მეოცე საუკუნის გენიოსებს, როგორიცაა, მაგალითად, პოეზიაში ინგლისელ-ამერიკელი პოეტი — დიდი ელიოტი, სალვადორ დალი ხელოვნებაში, იგივე, პიკასო... მათ იმ ჰარმონიის შექმნა ვერ შეძლეს, რომელიც შექმნა გალაკტიონმა პატარა საქართველოში თავისი შემოქმედებით, რაც დგას ზნეობაზე, სიკეთეზე, რწმენაზე, კეთილშობილებაზე, სიყვარულზე და აუცილებლად მშვიდობაზე. გალაკტიონი ამბობს: „ყველაფერი შეიძლება მოხდეს... მშვიდობის გზა რომ ოდესმე მოკვდეს, არა, ეს არ შეიძლება მოხდეს!“ ამ დროს, ნუ დაგვავიწყდება, რომ ფუტურიზმი ომს ქადაგებდა, რათა ამით „გაეწმინდათ“ კაცობრიობა. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ დადაიზმი, რომელიც საფუძვლად დაედო სიურეალიზმსა და მრავალ სხვა მიმართულებას ხელოვნებაში, ყველაზე სნეულ ფილოსოფიად გამოცხადდა. ამიტომაც იტყვის ტომას ელიოტი, ჩვენ გამოშიგნული ადამიანები ვართო. სალვადორ დალიმ შექმნა არაჩვეულებრივი მედიტაციური წითელი ვარდი სილაჟვარდის ფონზე რამდენიმე ათეული წლის დაგვიანებით გალაკტიონიდან, რომელმაც „სილაჟვარდე, ანუ ვარდი სილაში“ ჯერ კიდევ 1917 წელს გამოაქვეყნა. მიუხედავად სალვადორ დალის გენიალობისა, მან მრავალ ტილოზე გამოშიგნა ადამიანი და ისე მიაწოდა კაცობრიობას, თან თქვა — ესთეტიკა მე არ მჭირდებაო, რაც აბსოლუტურად გამორიცხულია გალაკტიონის შემოქმედებაში. პიკასომ თავისი მშვენიერი კუბებით დაანგრია ადამიანის სახე (ისიც მიმდევარი იყო ახალი თეორიების), ამ დროს კი გალაკტიონის მიერ შექმნილი სამყარო არის მხოლოდ ჰარმონია და ამას გალაკტიონი შემთხვევით აკეთებს? არა! იგი მიზანდასახულია და იცის, რომ მან საქართველოდან უნდა გადაარჩინოს სამყარო. როგორც მოგეხსენებათ, მე გალაკტიონის რჩეული ლექსები ვთარგმნე ინგლისურ ენაზე, რაც ორჯერ გამოიცა ლონდონში. ორჯერვე წიგნის წარდგენა ლონდონში შედგა ბრიტანული აკადემიური და დიპლომატიური წრეების მონაწილეობით. სწორედ

მათი მონდომებითა და ძალისხმევით გალაკტიონის პოეზიის გაცნობა და მასზე საუბარი ევროპის საბჭოში გავაგრძელე. ჩემი მიზანი იყო, გალაკტიონი სწორად მიმეწოდებინა ევროპული საზოგადოებისათვის, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გამებედა და მეთქვა მათთვის, რომ გალაკტიონი ერთადერთი გამორჩეული მოაზროვნეა მეოცე საუკუნისა, რომელიც არ დაემორჩილა ეპოქის კატაკლიზმებს და საკუთარი პოეზიით ჰარმონიული სამყარო გადაგვირჩინა. უფრო მეტიც, მას სწამს, რომ ეს სამყარო გადაარჩენს მსოფლიოს. აი, რას ვკითხულობთ მის ერთ-ერთ ლექსში: „ეკლიან გზაზე დაეცა ბევრი/მხოლოდ მე ერთი გადავრჩი მგზავრი,/რომ გამომევლო ჯერარსმენილი/ქარტეხილები ცეცხლთა ფენისა/და მომეტანა საქართველოში/სიმღერა ქვეყნის გადარჩენისა!“ მას საქართველოში მოაქვს საიმედო სიმღერა არა მარტო ჩვენი ქვეყნის, არამედ მსოფლიოს გადასარჩენად.

შევინარჩუნოთ კაცთმოყვარეობა, არ დავკარგოთ მოწყალებისა და სიყვარულის უნარი, ვაღიაროთ ნიჭი და მშვენიერება და, მითუმეტეს, როდესაც წინ მიგვიძღვის რწმენა, აუცილებლად გადავრჩებით. მაგრამ გადავრჩებით, თუკი ბევრად უკეთ გავუფრთხილდებით და დავაფასებთ ერთმანეთს, ჩვენს სამშობლოს და თავად დედამიწას.

ესაუბრა ნინო კაკულია

რას სთავაზობს „კოვიდ-19“-ის პირობებში სახლში გამოკეტილ პატარებს თუ მოზრდილებს თსუ საბავშვო უნივერსიტეტი?

რა მოხდება, თუკი სამი გოჭი სამ რობოტად იქცევა, რომლებიც კაცობრიობისათვის თავშესაფრებს აშენებენ, ხოლო მგელი ჰაკერი გახდება, რომელსაც რობოტების განზრახვის ჩაშლა უნდა? როგორ შევიყვანთ თანამედროვე გმირებს: ზომბებს, ელფებს, მონსტრებს, რობოტებს, ავატარებს და

მარინე ლომოური

სხვებს ცნობილ ზღაპრებში? — „კოვიდ-19“-ის პირობებში სახლში გამოკეტილ ჩვენს პატარებს ამ ახალ გასართობსა და სააზროვნო „თავსატეხს“ სთავაზობს თსუ საბავშვო უნივერსიტეტი.

მოსწავლეებში ზოგადი განათლების, ფართო თვალსაწიერის განვითარების, მეცნიერებისადმი ინტერესის გაღვივების მიზნით თსუ საბავშვო უნივერსიტეტი არაფორმალურ განათლებას წლებია სთავაზობს ქართული საზოგადოების კონკრეტულ სეგმენტს (სკოლის მოსწავლეები, აბიტურიენტები, სტუდენტები). ახალი კორონავირუსით გამოწვეულ ვითარებაში საბავშვო უნივერსიტეტიც გადაეწყო დისტანციურ საქმიანობაზე და უკვე თვეზე მეტია, მოსწავლეებს, მასწავლებლებსა და მშობლებს უზიარებს ვიდეოებს, სთავაზობს სხვადასხვა აქტივობებს და კონკურსებს.

თსუ საბავშვო უნივერსიტეტმა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფილოლოგიის დოქტორთან, პროფესორ ნინო პოპიაშვილთან ერთად შეიმუშავა და ახორციელებს ლექციების ციკლს — „საუბრები ქართულ ლიტერატურაზე“, სადაც განიხილება მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი ქართული ლიტერატურიდან (ქართული ლიტერატურის პერიოდიზაცია; ქართული ნაციონალური ლიტერატურის კანონი; ქართული ჰაგიოგრაფიის განვითარების, პროზელიტიზმის, იგავ-არაკის, როგორც ჟანრის, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუის“ საკვანძო საკითხები; პოეტური ენისა და პოეტური ლექსიკის თემა და სხვ.).

დოქტორ ნინო პოპიაშვილის ორგანიზებით, თსუ საბავშვო უნივერსიტეტმა ამჯერად დაიწყო კონკურსი დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის. კონკუსის სახელწოდებაა — „ზღაპარი და მისი ტრანსფორმაცია 21-ე საუკუნეში“.

„მხატვრული ლიტერატურა უნივერსალური ფენომენია. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში შექმნილი ლიტერატურული ტექსტები, ზღაპრები, საინტერესო და მრავალმხრივი ინტერპრეტაციის წყაროა დღესაც. როგორია თანამეროვე ზღაპარი? რა ელემენტებს შეიტანს თანამედროვე ვირტუალური სივრცე ზღაპრის ტრანსფორმაციისას? — სწორედ ამაზე გასცემს პასუხს ჩვენი კონკურსის შედეგები. სკოლის მოსწავლეებთან ერთად ჩვენ შევარჩიეთ ოთხი ცნობილი ზღაპარი: „სამი გოჭის ზღაპარი“, „წითელქუდა“, „კომბლე“ და „ნაცარქექია“. კონკურსისთვის გამოვიწვიეთ თბილისის კლასიკური გიმნაზიის I (5) კლასის ხელმძღვანელი თეონა მამუჩიშვილი და თბილისის 133-ე საჯარო სკოლის IV (ე) კლასის ხელმძღვანელი ხათუნა ლოლომაძე, ასევე, ყველა დაინტერესებული მოსწავლე. მოსწავლეებმა უნდა გამოგზავნონ ნახატები, კომიქსები, ვიდეოები, ამბები, სადაც ცნობილი ზღაპრების გმირები თანამედროვე პერსონაჟები არიან. მოსწავლეების მიერ შესრულებული ნამუშევრები უნდა გადმოიგზავნოს ელ.ფოსტაზე — junior@tsu.ge, რის შემდეგაც გამოქვეყნდება საბავშვო უნივერსიტეტის facebook-გვერდზე. კონკურსს უკვე გამოეხმაურნენ საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეები, მათი პედაგოგები და მშობლები. ნაშრომების მიღება კვლავაც გრძელდება. დეტალურად თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ახალი გამოწვევის შესახებ იხილეთ ბმულზე: https://www.youtube.com/watch?v=2ZiOobKKm6c — აცხადებს კონკურსის ორგანიზატორი ნინო პოპიაშვილი.

ონლაინ საგაზაფხულო სკოლა

ახალი ინიციატივების და წამოწყების თობაზე თსუ-ის საბავშვო უნივერსიტეტის ხელმძღვანელი მარინე ლომოური გვესაუბრება:

— ახალმა ვითარებამ ათასგვარი გარკვეული პრობლემები შეგვიქმნა და, მათ შორის, კომუნიკაციის პრობლემა. თუმ-

ცა ჩვენ ადრევე დავიჭირეთ თადარიგი, რადგან ჩვენი გეგმა მარტის თვისთვის (ამ გეგმას ჯერ კიდევ ახალი წლიდან ვამუშავებდით) იყო საგაზაფხულო სკოლის მოწყობა უფროსკლასელებისთვის. ამ მიზნით ვამზადებდით მასალებს, გავწერეთ განრიგი ლექტორებთან ერთად. ამ წინა სამუშაო პერიოდში, თებერვალში დაიწყო სწორედ საუბარი გლობალურ, სერიოზულ ეპიდემიურ მდგომარეობაზე და მაშინვე აშკარა გახდა, რომ ეს ვირუსი საქართველომდეც მოაღწევდა. ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ასეთ პირობებში არ გვაქვს უფლება მოსწავლეები დავაყენოთ რისკის ქვეშ და ამიტომ მაშინვე გადავწყვიტეთ, რომ საგაზაფხულო სკოლის პროექტი დისტანციურ ფორმატში განგვეხორციელებინა.

გარდა ჩვენი ძველი არაფორმალური მიზნებისა და საქმიანობის ფორმატისა, ახალ მოცემულობაში გადავწყვიტეთ — მეტად მიგვექცია ყურადღება იმ სირთულეებისათვის, რის წინაშეც აღმოჩნდნენ მოსწავლეები და მათი მშობლებიც, როდესაც სკოლის მოსწავლეებს დისტანციურად მოუწიათ გაკვეთილების და სკოლის პროგრამის ათვისება. ჩვენ მივმართეთ რამდენიმე ჩვენს მეგობარ პროფესორს, ვისთანაც ვთანამშრომლობთ, რომ დაგვხმარებოდნენ და მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის რაიმე საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიეწოდებინათ. აუცილებლად უნდა ვახსენო ჩვენი ახალგაზრდა პროფესორი ნინო პოპიაშვილი, რომელიც აქტიურად ჩაება ამ საქმეში და ქართული ლიტერატურის თანამედროვე ხედვების შესახებ რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი ლექცია-ჩანაწერი გააკეთა, რაც განვათავსეთ ჩვენს ონლაინ ველებში. მადლობა მინდა ვუთხრა არქიტექტორ ზურაბ ბაქრაძეს, რომელმაც მოსწავლეებისთვის თბილისი, როგორც ურბანული განვითარების მაგალითი, მიმოიხილა. ასევე, საინტერესო ლექციებს ატარებენ გია თორთლაძე და ლიტერატურის შესახებ ლევან ბერძენიშვილი. ჩვენ მომავლისთვის კიდევ უფრო მეტის გაკეთებას ვაპირებთ. ახლა, როდესაც განათლების სამინისტრომ თავის თავზე აიღო ტელევიზიით გაკვეთილების ჩატარება და ამან ორგანიზებული ხასიათი მიიღო, ჩვენც ვეცდებით უკვე ნა-

წილობრივ ფორმალური განათლების ზღვარზე შევთავაზოთ მოსწავლეებს რაიმე საინტერესო. მაგალითად, ჩვენი თანამშრომელი, ქალბატონი აველინა დავითულიანი ამზადებს მათემატიკის კონკურსს უმცროსკლასელებისთვის. ეს ძალიან საინტერესო იქნება.

გარდა ამისა, ახალ გამოწვევებსაც, მაგალითად, მარნეულსა და ბოლნისში სერიოზული ეპიდემიოლოგიური აფეთქებისთანავე, ასე ვუპასუხეთ — ჩვენ დავუკავშირდით ქვემო ქართლის სახალხო დამცველის ბიუროს და მათაც შევთავაზეთ დისტანციური დახმარება. მათ სჭირდებოდათ ფსიქოლოგის კონსულტაციები. მათ ასეთი დახმარება ჩვენ გავუწიეთ. ახლა, ამ ვითარებაში, არა მარტო მოსწავლეებს და მათ მშობლებს, საერთოდ ყველას სჭირდება გარკვეული მხარდაჭერა, რასაც ვცდილობთ, რომ გავაკეთოთ.

თსუ საბავშო უნივერსიტეტმა ამ 10 წლის განმავლობაში გარკვეული ავტორიტეტი, გარკვეული ცნობადობა მოიპოვა. უკვე 10 წელია, რაც ვარსებობთ. ჩვენ უკუკავშირის საშუალებით ვაფასებთ ჩვენი საქმიანობის ეფექტურობას. ყოველთვის ვგრძნობთ, რომ ჩვენ მიერ ნათქვამი სიტყვა, შეთავაზებული სიუჟეტი, გამოსვლა, ლექცია და ა.შ. პოულობს თავის მაყურებელს თუ მსმენელს. ეს მნიშვნელოვანია ბევრი თვალსაზრისით. ყველას აქვს საშუალება გამოთქვას თავისი მოსაზრება, გაგვიზიაროს თავისი შთაბეჭდილება და ხედვა, რასაც სიამოვნებით ვიღებთ და ამ კონტაქტით, მით უფრო დღევანდელ მოცემულობაში, ვაძლიერებთ ურთიერთობებს.

„დისტანციური დესპანი“

ახალ წამოწყებაზე და ახალ დღის წესრიგზე თსუ სტუდენტური სერვისებისა და კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი გიორგი გრიგოლაშვილი გვესაუბრება:

— კარიერული განვითარების მხრივ ჩვენ სტუდენტებს ვთავაზობთ ონლაინ კონსულტაციებს, როგორც კარიერის

გიორგი გრიგოლაშვილი

დაგეგმვის კუთხით, ასევე, შრომის ბაზარზე პირადი პროფესიული ორიენტაციის მხრივ, რაც ასევე მნიშვნელოვანია, რათა მათ სწორად გააკეთონ არჩევანი — რა აირჩიონ? რა დროს და სად სჯობს სტაჟირების გავლა? როგორ განვითარდნენ კარიერულად? უკვე თითქმის 70 სტუდენტზე მეტმა გაიარა ჩვენთან ონლაინ კონსულტაცია და დისტანციურად აქტიურად ჩავერთეთ ამ პროექტში.

დღის წესრიგში გვაქვს სახელმწიფო სტაჟირების პროგრამა, რაც ითვალისწინებდა უნივერსიტეტში სტუდენტის მოსვლას და წერილობითი თანხმობის გაკეთებას. საჯარო სამსახურის ბიუროსთან კონსულტაციის შემდეგ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ თანხმობის მოპოვება სტუდენტებისგან დისტანციურად, ელექტრონულად გაგვეკეთებინა. პროექტში 200-ზე მეტი სტუდენტია რეგისტრირებული. საქმის წარმოებაც მაქსიმალურად გადავიყვანეთ დისტანციურ რეჟიმში. სტუდენტს აღარ მოუწევს ადგილზე ჩვენს თანამშრომლებთან მოსვლა. სტუდენტურ საცხოვრებლებში მათ ყველანაირად ვუწყობთ ხელს, რომ იქ ცხოვრება მეტად შევუმსუბუქოდ.

სამწუხაროდ, არის მიმართულება, რასაც უშუალოდ კონტაქტი სჭირდება და დისტანციურად პროცესს ვერ მართავ. მაგალითად, დამსაქმებლების სტუდენტებთან შეხვედრა, ამ ეტაპზე, გამორიცხულია და, შესაბამისად, დასაქმების ფორუმის ონლაინ შეთავაზებაც სტუდენტებისთვის შეუძლებელია, მით უფრო, ჩვენც არ ვიცით — პოსტ ვირუსული პერიოდის შემდეგ ჩვენი ეკონომიკა როგორ განვითარდება.

ალბათ, შემდეგში უფრო აქტიურად ვიმუშავებთ ამ მიმართულებით. ახლა კი მხოლოდ რამდენიმე სერიოზულ დამსაქმებელთან მიმდინარეობს მოლაპარაკება ონლაინ სტაჟირებების და ონლაინ ვაკანსიების შემოთავაზების კუთხით. პირველ ეტაპზე ეს ეხებოდა კომპიუტერულ აიტი ტექნოლოგიებს, ასევე, ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს. ამის თაობაზე ინფორმაციას ჩვენ ვავრცელებთ ყველა იმ ონლაინ პლატფორმის საშუალებით, რაც თსუ-ს ხელთაა.

ჩვენ გვაქვს ბევრისთვის უკვე კარგად ცნობილი პროექტი — „თსუ დესპანი“, რაც გულისხმობდა არდადეგების პერიოდში სტუდენტის მიერ მშობლიურ სკოლაში წასვლას და მოსწავლეების (აბიტურიენტების) მრავალმხრივ ინფორმირებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების, პროექტების და ა.შ. ირგვლივ. შექმნილ სიტუაციაში ეს პროექტიც დისტანციურად ავამუშავეთ და დავარქვით „დისტანციური დესპანი“. რას გულისმობს ეს? ნებისმიერი ჩვენი სტუდენტი, რომელიც არის რეგიონში და დისტანციურად მონაწილეობს თსუ-ის ყველა საუნივერსიტეტო პროცესში, მათ ვატრენინგებთ დისტანციურად. ამ პროექტში უკვე ჩაერთო 200-ზე მეტი სტუდენტი. რა არის ძირითადი მესიჯი? აბიტურიენტების უმრავლესობას, რომელიც წელს აბარებს უმაღლესში, ნაკლები ინფორმაცია აქვს უნივერსიტეტების, მისი საბაკალავრო პროგრამების შესახებ წინა წლებთან შედარებით. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენ და ყველა სხვა უნივერსიტეტი უნივერსიტეტის ღია კარის დღეებს და აბტურიენტებთან გაცნობით შეხვედრებს ვიწყებდით თებერვლის ბოლოს, მარტიდან. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ღია კარის დღეების მოწყობა არ გამოგვივიდა არც ერთ უნივერსიტეტს. ბევრი უნივერსიტეტი გადავიდა ღია კარის დღეების ონლაინ მოწყობაზე და სწორედ ამის გაგრძელებაა ეს პროექტიც. თსუ-ის სტუდენტები დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს დისტანციურად აწვდიან ამომწურავ ინფორმაციას უნივერსიტეტზე, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე, ასევე — როგორ ხდება ჩვენთან სწავლა? როგორია სტუდენტური ცხოვრება?

კიდევ ერთ დამატებით სერვისს, რასაც აბიტურიენტებს ვთავაზობთ, ეს არის ონლაინ კონსულტაცია. საბავშო უნივერსიტეტის პროექტების კოორდინატორი დემეტრე მოდებაძე აბიტურიენტებს კვირაში რამოდენიმე დღე სთავაზობს ინდივიდუალურ ჩართვას, რა დროსაც უწევს კონსულტაციას — როგორ შეავსონ უნივერსიტეტების, ფაკულტეტების სია? რას უნდა მიაქციონ ყურადღება? რა შეიძლება იყოს პრიორიტეტი? რომელი საგანია ჩასაბარებელი? და ასე შემდეგ. ამ მხრივ ჩვენი კონტაქტი აბიტურიენტებთან კიდევ უფრო მეტად ეფექტური გახდა ონლაინ სივრცეში.

გარდა თსუ-ის ონლაინ პლატფორმებისა, ვიყენებთ ჩვენს ფეისბუქ-გვერდსაც, სადაც მითითებულია ინფორმაცია ყველა იმ საკონტაქტო პირის შესახებ, რომელიც ამ პროექტშია ჩართული. კიდევ ერთხელ მივმართავ ყველა უნივერსიტეტელს — ბაკალავრიატის, მაგისტრატურის თუ დოქტურანტურის სტუდენტს — ამ რთულ მოცემულობაში მოახერხონ თავის გარშემო მყოფ აბიტურიენტებს თუ სკოლის მოსწავლეებს, რომელთაც უშუალო კონტაქტები ახლა შეზღუდული აქვთ და მართლაც აინტერესებთ — რა ხდება უნივერსიტეტში, მიაწოდონ საჭირო ინფორმაცია დისტანციურად.

იმედი მაქვს, რომ ეს მდგომარეობაც მალე გაივლის და რაც კარგი მივიღეთ ამ დისტანციური საქმის წარმოებიდან, როგორც კარგ გამოცდილებას, დავტოვებთ მომავალშიც, მათ შორის, სტუდენტებთან კომუნიკაციის მხრივ. რამაც კიდევ უფრო მეტად დაგვაფიქრა, რომ საჭიროა უშუალო კონტაქტები, ამ მიმართულებასაც კიდევ უფრო ეფექტურს გავხდით მომავალში. მაგალითად, საუბარია საერთო საცხოვრებლების — ლისის და ბაგების საქმიანობის სამეურნეო ნაწილზე. არის საკითხები, როდესაც გვჭიდება უშუალოდ კონტაქტი, თუმცა ამ მდგომარეობას ჩავარდნა არ მოჰყოლია და ჩვენ ვაგრძელებთ საქმიანობას.

მოამზადა ნინო კაკულიამ

განათლებული საზოგადოება — სოფოს სამყარო პატარა სვანეთში

მღერის, წერს ან არჩევს თავისი სოფლის პეიზაჟის ლამაზ კადრებს... ჩვენ მოგიყვებით მეტსახელად „პოეზიაში მოხეტიალე“ 19 წლის სოფიო ქურასბედიანზე, რომელიც სვანეთში, სოფელ ნანარში ცხოვრობს და თავისი სოფელი ქვეყანას ურჩევნია. გული წყდება, რომ ადგილობრივი მკვიდრისგან ნელ-ნელა იცლება ნანარი... თბილისში გაქცეულებს მაღალი ფერდობის წვეროდან იმიტომ არ უქნევს დასამშვიდობებლად ხელს, რომ თვლის — „ქალაქში კარგი განათლება უნდა მიიღო, მაგრამ მერე შენს სახლს უნდა დაუბრუნდე და სადაც, წესით, ყველაზე ბედნიერი ხარ, იქ უნდა მონახო შენი საქმე“. რაღაც უცნაურად ჟღერს (არა?) თანამედროვე, 19 წლის პატარა გოგოსგან პატარა სოფლისადმი ასეთი ერთგულება ინტერნეტიზაციის ეპოქაში...

განათლებას ქალაქში იღებს — ახლობლების რჩევით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩააბარა და დღემდე ბრაზობს საკუთარ თავზე, რომ გრანტის მოპოვება ვერ შეძლო. „უნივერსიტეტმა ძალიან დიდი გამოცდილება მომცა. მასწავლა, თუ რამხელა ძალისხმევა სჭირდება ცხოვრებისეულ სვლებს და რომ თითოეული სწორი ნაბიჯის გასაღები განათლებაშია. მომცა ცოდნა და სხვა თვალით დამანახა სამყარო, რომელიც ჩემი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა — ეს განათლებული საზოგადოების სამყაროა“, — მპასუხობს სოფო ჩემს შეკითხვაზე, რომელიც თავის კუთხურობას იმითაც უსვამს ხაზს, რომ მტკიცეა უნივერსიტეტისადმი ერთგულებაშიც. „მაღიზიანებს ნეგატიური და, ამავდროულად, სარკაზმული დამოკიდებულება, რასაც ზოგჯერ უნივერსიტეტის მიმართ ამჟღავნებენ. ხშირად მათი არგუმენტი საფუძველს მოკლებულია. ადამიანები, რომელთაც ეს ჩვევა ახასიათებთ, ჩემთვის ყოველგვარ თვითშეგნებას მოკლებულნი არიან“, — ამბობს სოფო. მიუხედავად იმისა, რომ სოფელში ინტერნეტთან წვდომა უჭირს, სწავლის პროცესში მაინც აქტიურად ჩაერთო. თავიდან ტექნიკური ხარვეზების

გამო გაუჭირდა დისტანციური ურთიერთობები საყვარელ ლექტორებთან, მაგრამ, როგორც ამბობს, სოციალური ქსელის მეშვეობით თვალს ადევნებდა უნივერსიტეტის მიერ განთავსებულ სიახლეებს, მითითებებს და ამის შედეგად სირთულეც გადალახა. სოფო ქურასბედიანი თსუ-ში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფილოლოგიის მიმართულებით სწავლობს და არ გამორიცხავს, რომ მასწავლებლობა მოუნდეს.

სოფოს დღევანდელი მოცემულობა, რაც პანდემიას უკავშირდება, ძალიან აღელვებს. „თუმცა მთების კალთებში გაბნეული თავისუფლების სურნელი საოცარი იმედით მავსებს“, — მწერს პირად მიმოწერაში პატარა სვანი გოგო, რომელსაც „პოეზიაში მოხეტიალე“ ტყუილად როდი შეარქვა მეგობარმა. ის ხომ ლექსებსაც წერს, რომელსაც მეც მიზიარებს და მეუბნება, რომ წერა და განსაკუთრებით ძველი სვანური ნანას სიმღერა სიხარულს ანიჭებს და ამატებს: „მინდა, სოფელში ფოლკლორი გავაღვივო. არსად ისეთი ბედნიერი არ ვარ, როგორც საკუთარ სოფელში. იმ ახალგაზრდებს, რომლებიც დღეს სახლში არიან ვირუსის გამო გამოკეტილები, მინდა ვუთხრა — გაატარეთ მეტი დრო ოჯახის წევრებთან, მაშინაც კი, როდესაც ეს ვირუსი ჩაივლის. არ მოსწყდეთ არასდროს საკუთარ მიზნებს და ამოცანებს! იბრძოლეთ, თუნდაც ამ ბრძოლას თან ახლდეს მრავალი დაბრკოლება. არავის და არაფრის გამო თქვათ უარი წარმატებულ მომავალზე, რომელსაც მხოლოდ ცოდნით თუ შექმნით. თანაც გულში ადამიანების სიყვარული უნდა გქონდეს, ისე არაფერი გამოვა. სიძულვილით შეპყრობილს ნაკლე-

სოფიო ქურასბედიანი

ბად გაგიმართლებს. მოკლედ, გჯეროდეთ უკეთესი დღის, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების“, — ასეთია სოფოს გზავნილი სვანეთიდან, რასაც მხოლოდ შეფასებითი კომენტარი შეგიძლია დაურთო — მე არ ვიცი ამ სტატიის შექმნისას როგორ გამოიყურება სოფო, მაგრამ ის ვიცი, რომ სილამაზე არსად არ ქრება... ის მოდის ძველი დროიდან დღემდე და ამ პატარა გოგონაში გამოუხეთქავს პატარა, „მისეულ სიბრძნედ“. როგორც ჩანს, სოფო აქტიურია, როგორც მოქალაქე, როგორც საზოგადოების წევრი, რადგან სოციალურ ქსელში გააქტუალურებულ ბევრ, მისთვის საინტერესო თემას ეხმაურება: „დღეს ძალიან აქტუალური გახდა მსჯელობა ამ საკითხზე და მინდა შევეხო: ვფიქრობ, სახელმწიფომაც და ეკლესიამაც უნდა იზრუნოს ხალხის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე. უკეთესი იქნებოდა, ამ პერიოდში ხალხს თავი შეეკავებინა ტაძრებში წასვლისგან, რადგან ამით თავიდან ავიცილებთ ეპიდემიურ აფეთქებას. ზოგიერთი, სამწუხაროდ, ცუდად აღიქვამს ამ ყოველივეს და მიიჩნევს, რომ ეს აკრძალვა რწმენას უპირისპირდება. თუ გულით ვიწამებთ და ვილოცებთ, უფალთან ყოველთვის მივა ეს ლოცვა. ვისურვებდი, ყველა სასულიერო პირმა, მოქალაქემ და სახელმწიფომ ხელი შეუწყოს ვირუსის შეჩერებას, რაც მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის წყალობითაა შესაძლებელი“, — წერს სოფო ფეისბუქში, რასაც აქტიურად იყენებს. სიმღერასთან ერთად სოფო გალობს კიდეც და ის ხმა, რომელიც გალობისას ყურში ესმის, ხშირად უშლის ფიქრის საღერღელს, რაც შემდეგ ლექსებსაც აწერინებს ხოლმე...

სოფელს სოფოსგან

ახლა ჩემს სოფელში, ნანატრ შარაგზებზე,
ისმის საგალობლის ხმები.
ნისლის მეგზურებიც, ალბათ, ჩანან მთებზე,
გლეხი თივას ზიდავს მხრებით.
მსუყე შემოდგომის ჩვეულ სიყვითლეში,
ბალახს აძოვებენ ნახირს,

ლექსებს კითხულობენ ყრმები სიფხიზლეში,
უკან მიჰყვებიან მარხილს.
ახლა, ჩემს სოფელში ნაზი ოხშივარი
საგზლად აეკიდა ტორებს,
მაღლით ეკლესია, მშვიდად მომზირალი,
ცაზე შარავანდედს ტოვებს.
ფერად ჩუქურთმებით მორთულ აივნისკენ
გეზი აუღიათ მტევნებს,
ასეთ სიმწიფეში გზები დაივიწყეს,
შვება აგრძნობინეს ტევრებს.
ახლა, ჩემს სოფელში მთვარეც დაიბადა,
მზისგან მოიპარა სხივი,
რძისფერ გალაქტიკის ზურგზე გაიფანტა,
გვერდი აუარა ტკივილს.
გული მაგრძნობინებს — სევდა მოვარდება,
ქუჩის გასაყართან ვდგავარ,
უკვე მომეჩვია სოფლის მონატრება,
ვყვები ბავშვობიდან ზღაპარს.

მოამზადა ნინო კაკულიამ

ვირუსები არქეოლოგიაში, ქართული მედიცინის დონე შორეულ წარსულში და შიში — არ დავკარგოთ არქეოლოგების ახალი თაობა

„კოვიდ-19“-ის პანდემიამ არქეოლოგებს, ჯერჯერობით, ველზე მუშაობის საშუალება მოუსპო. ყველასთვის ცნობილი ქართველი არქეოლოგი ვახტანგ ლიჩელი ივნისიდან გეგმავს მოსამზადებელ სამუშაოებს და ამჯერად ლაბორატორიული საქმით არის დაკავებული. არქეოლოგი, რომელსაც უდიდესი საველე მუშაობის გამოცდილება აქვს და ფლობს „ჩამარხული საქართველოს“ თაობაზე საინტერესო ინფორმაციას, არ

ვახტანგ ლიჩელი

გამორიცხავს, რომ ვირუსულ ინფექციებს შეეძლოს ვირუსის დნმ-ის კვალის დატოვება, მით უფრო, რომ ამას ასევე ცნობილი არქეოლოგები ვარაუდობენ. რაზე მიგვანიშნებენ სამარხები? რა გამოცდილებას გვძენს ვირუსთან საბრძოლველად არქეოლოგია? მედიცინის დონის რა ხარისხზე შეიძლება საუბარი წარსულის ნაკვალევზე და რა ახალი განსაცდელის დაძლევის წინაშე აღმოჩნდნენ არქეოლოგები? — ამ საკითხებზე გვესაუბრება სწორედ თსუ-ის პროფესორი ვახტანგ ლიჩელი.

შეუძლიათ თუ არა ვირუსულ ინფექციებს ვირუსის დნმ-ის კვალის დატოვება?

— თქვენი პროფესიიდან გამომდინარე, არქეოლოგიური გათხრების და კვლევის შედეგად როდესმე თუ გამოვლენილა წარსულში დღევანდელი პანდემიის მსგავსი ფაქტი? რა ფაქტებზე და ვარაუდებზე შეიძლება ლაპარაკი?

— ისეთ შორეულ წარსულში, რომელსაც მე ვიკვლევ (ძვ.წ. 2-1 ათასწლეულები), საქართველოში პანდემიის ფაქტი არ

დასტურდება. მაგრამ აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ არქეოლოგიური კვლევის ობიექტი, რის შედეგადაც დაავადებების შესახებ შეიძლება საუბარი, არის ადამიანის ძვლოვანი ნაშთები. პრობლემა ის არის, რომ სიკვდილის გამომწვევი მრავალი სენი არანაირ კვალს არ ტოვებს ძვალზე. საზოგადოდ, პალეოპათოლოგია (ძველი დაავადებების შესწავლა) ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მიმდინარეობაა თანამედროვე არქეოლოგიაში, ისევე, როგორც ე.წ. სასამართლო არქეოლოგია, რომელიც მკვლელობის დადგენასა და ინტერპრეტაციაში ეხმარება არქეოლოგებს. ამ სამეცნიერო მიმართულების დახმარებით შესაძლებელია კოლექტიურ სამარხებში ინდივიდების იდენტიფიცირებაც. ასეთი კოლექტიური სამარხები აღმოჩენილია კოლხეთში (ძვ.წ. პირველი ათასწლეულის პირველი ნახევარი) და თითოეულ მათგანში ასეულობით ადამიანია (200, 500 და 1000 ინდივიდიც კი!) დაკრძალული. თუმცა, დაკრძალვის პროცესი აქ, როგორც ჩანს, ხანგრძლივად მიმდინარეობდა და, ალბათ, ეპიდემიაზე ან, მით უფრო, პანდემიაზე საუბარი არ იქნება მართებული. თუმცა, ეს იშვიათი მოვლენაა და საერთაშორისო სტანდარტებისათვის საქართველო ამ შემთხვევაშიც უნიკალური გამოკვლევების ადგილია.

რაც შეეხება ვირუსებს არქეოლოგიაში, ისინი შეიძლება შემორჩეს რბილ ქსოვილში ისეთი ფორმით, რომელიც ამოცნობას ექვემდებარება. ცნობილი არქეოლოგები კოლინ რენფრიუ და პოლ ბამი თვლიან, რომ ამ ვირუსებს პრობლემების შექმნაც კი შეუძლიათ გაუფრთხილებელი არქეოლოგისთვის. დანამდვილებით უცნობია, თუ რამდენ ხანს ძლებენ მიკრობები პასიურად მიწაში. ექსპერტთა უმეტესობა ეჭვობს, რომ მათ რაიმე საფრთხის შექმნა შეუძლიათ ერთი ან ორი საუკუნის შემდეგ, თუმცა არსებობს მოსაზრებები იმის შესახებაც, რომ ჯილეხის სპორებმა სიცოცხლისუნარიანობა შეინარჩუნეს ეგვიპტის პირამიდებში, ხოლო ინფექციური მიკრო-ორგანიზმები, შესაძლოა, კვლავ აგრძელებენ არსებობას არქტიკაში დამარხულ სხეულებში, რომლებიც შემონახულნი არიან მრავალწლიან მზრალ გრუნტში. საფ-

რთხე, რომელიც ჩაბუდებულია გახრწნილ ძვალსა და ქსოვილში, შეიძლება საკმაოდ რეალური იყოს, განსაკუთრებით ჩვენი იმუნური სისტემისათვის, რომლის წინააღმდეგობა გამქრალი ან ამჟამად იშვიათი დაავადებების მიმართ დაკნინებულია. კ. რენფრიუ და პ. ბამი იმაზეც მიუთითებენ, რომ ვირუსულ ინფექციებს შეუძლიათ ვირუსის დნმ-ის კვალის დატოვება. ამიტომ ძველი გენეტიკური მასალის ანალიზი შეიძლება დაგვეხმაროს გარკვეული დაავადებების ისტორიის კვალის მიგნებაში. მაგალითად, ამერიკელმა პათოლოგმა არტურ აუფდერჰაიდემ და მისმა კოლეგებმა პერუს 900 წლიანი მუმიის ფილტვების დაზიანებებიდან გამოყვეს ტუბერკულოზის ბაქტერიის დნმ-ის ფრაგმენტები, რითაც დაამტკიცეს, რომ ეს მიკრობი არ იყო შეტანილი ამერიკის კონტინენტებზე ევროპელი კოლონისტების მიერ.

ასევე, იქ, სადაც რბილი ქსოვილები გადარჩება, ჩვეულებრივ, გარკვეული სახის პარაზიტების პოვნაც შეიძლება. მაგალითად, პარაზიტები თითქმის ყველა მუმიაში აღმოჩნდა. ეგვიპტელებს ჰყავდათ პარაზიტები, რომლებიც იწვევდნენ ამებურ დიზენტერიასა და ბილჰარზიას და ნაწლავებში ბინადრობდნენ. ახალ სამყაროში, კოლუმბამდელ მუმიებს ჰქონდათ შოლტისებრი და მრგვალი ნემატოდური პარაზიტული ჭიების კვერცხები. საფრანგეთში მდებარე არკი-სურ-კურეში, ზედა პალეოლითის გამოქვაბულის დანალექებში, რომელთა ასაკი 25 000-30 000 წელს ითვლის, აღმოაჩინეს ნაწლავების პარაზიტული ჭიების, ასკარიდების (Ascarides) კვერცხების კონცენტრაცია. ასე რომ, პალეო დაავადებათა თემა საკმაოდ ვრცელია და საინტერესო, რაც ცალკე საუბრის თემაა.

აქვე აღვნიშნავ, რომ ეს და კიდევ არაერთი უფრო საინტერესო ინფორმაცია შეგიძლიათ წაიკითხოთ კ. რენფრიუსა და პ. ბამის „არქეოლოგიის სახელმძღვანელოში“, რომელიც ქართულად უკვე არის ნათარგმნი და რომელიც დაკაბადონებული დევს ჩვენი უნივერსიტეტის გამომცემლობაში. იმედი მაქვს, რომ ეს არაჩვეულებრივი წიგნი წელს იხილავს დღის სინათლეს.

გრაკლიანის აღმოჩენის კვალი — წარსულში ქართული მედიცინის განვითარების დონე

— არქეოლოგიური გათხრების შედეგად რაიმე საინტერესო ისტორიული ვარაუდი, ფაქტი თუ არსებობს წარსულში ჩვენი მედიცინის განვითარების საფეხურებზე?

— ძველ საქართველოში მედიცინა, როგორც ჩანს, საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა. კონკრეტულად, გრაკლიან გორაზე დადასტურებულია 3 000 წლის წინანდელი წარმატებული ტრეპანაციის კვალი (ასეთი მრავალი ფაქტია საქართველოში ცნობილი). სავარაუდოდ, ძველი დასტაქარებისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო თავის ქალის შიდა წნევის დარეგულირების ხერხი. არის წარმატებული სტომატოლოგიური ჩარევის მაგალითებიც. სხვადასხვა სახის დაავადებათა შორის ჭარბობს ოსტეოქონდროზი და სიმსივნური დაავადებები. არის პროფესიული დაავადებაც. მაღალია ჩვილთა დაღუპვის პროცენტი. განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ პირველ ტერასაზე გამოვლენილია 2 300 წლის წინანდელი ემბრიონშივე დაღუპული ბავშვების ნაშთებიც. მათი დაღუპვის მიზეზების ზუსტად დადგენა რთულია. ვარაუდობენ, რომ ეს, შესაძლოა, გამოწვეულია თანდაყოლილი დაავადებებით ან ინფექციური პრობლემებით, რამაც რამოდენიმე ფეხმძიმე ქალის მუცლის მოშლა გამოიწვია.

დაიწყებენ თუ არა გათხრებს ზაფხულში?

— როგორ შეხვდით პირადად დღევანდელ პანდემიას და როგორ აპირებთ მუშაობის გაგრძელებას, თუკი დიდხანს გაგრძელდა ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებები?

— პანდემიას ისევე შევხვდი, როგორც, ალბათ, უმეტესობა, თუმცა რამოდენიმე დიდი საერთაშორისო პროექტი გამიუქმდა, უფრო სწორად, პროექტები გადაიდო მომავალი წლისათვის და ეს, ცხადია, დასანანია. ისე, ლექციებს ვატარებ დადგენილი წესის შესაბამისად. დანარჩენი დრო კი ისე

გადის, რომ ვერც ვამჩნევ — აუარებელი ლაბორატორიული საქმე მქონდა გასაკეთებელი და არ ვიცოდი, როდის გამომეძებნა დრო. ნაწილი დავასრულე, მაგრამ ნამდვილად არ ვიცი, ყველაფერს მოვასწრებ თუ არა. ისე კი, გულახდილად რომ გითხრათ, ცხადია, ველისაკენ გამირბის თვალი და ერთი სული მაქვს, როდის გავაგრძლებ გათხრებს.

გამოწვევა — ახალმა თაობამ არ თქვას უარი სპეციალობაზე

— რას ნიშნავს თქვენთვის პასუხისმგებლობა და სოლიდარობა დღევანდელი გამოწვევის ფონზე?

— დღეს ყველა ჩვენთაგანი ერთნაირად ვართ პასუხისმგებელი ერთმანეთის წინაშე, ქვეყნის წინაშე, ჩვენი მომავლის წინაშე. როგორიც არ უნდა იყოს ამ მოვლენის გენეზისი, ის არსებულ სიტუაციას უკვე ვეღარ შეცვლის — მთელი სამყარო ერთი და იგივე ფაქტის წინაშე აღმოჩნდა. ცხადია, ყველა ქვეყანაში მოვლენები განსხვავებულად განვითარდება, მაგრამ პოსტვირუსულ პერიოდშიც სირთულეების ნაწილი, გარკვეული თვალსაზრისით, ანალოგიური იქნება. ჩემს თაობას ბევრი რაიმე აქვს ნანახი და ამიტომ, მიმაჩნია, რომ ჩვენთვის, ქართველებისთვის, კვლავ გადამწყვეტი იქნება კეთილგონიერება, მიმტევებლობა, მოთმინება და თანადგომის სურვილი, რისი აუცილებლობაც კარგა ხანია ისე თვალნათლივ არ წარმოჩენილა, როგორც ეს დღეს ხდება. ლოგიკა მარტივია — იმ ეკონომიკური კრიზისის პირობებში, რაც საყოველთაოდ არის გარდუვალი, ადვილი არ იქნება ახალ ვითარებასთან შეგუება და, ამიტომ, გადარჩენის გზა კარგად გათვლილ, უდრტვინველ შრომაზე და ზემოთ ჩამოთვლილ თვისებებზე გადის.

ეს, შეიძლება ითქვას, რომ რთული, მაგრამ თემიდან ზოგადი გადახვევაა. კონკრეტული რეალობა ჩემთვის ბევრად უფრო დასაფიქრებელია: ის ახალგაზრდები, რომლებსაც წლების მანძილზე ვზრდიდით, კრიზისის პერიოდში, უსახსრობის

გამო, იძულებული გახდებიან მიატოვონ რუდუნებით შერჩეული სპეციალობა. ჩვენ, ჰუმანიტარები, ისედაც დიდი ძალისხმევით ვინარჩუნებდით ნიჭიერ სტუდენტებს იმ პერსპექტივით, რომ მომავალი გარანტირებული ჰქონდათ. ეს რეალობა იყო, რადგან ჩვენი უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების ყველა კურსდამთავრებულს სამსახური აქვს. ახლა კი, ამ ვითარებაში, ჩემთვის მთავარი გამოწვევა ეს არის — როგორ დავუდგე გვერდში იმ თაობას, რომელმაც სულ მოკლე ხანში ქართულ არქეოლოგიას მეცნიერების ღირსეული გვირგვინი უნდა დაადგას? ჩვენ, სტუდენტებთან ერთად, გადავწყვეტთ ამ პრობლემას...

ესაუბრა ნინო კაკულია

საკარანტინე პირობებში გართულებული ფსიქიატრიული პრობლემები და ფსიქიატრის რჩევები

ქართულ საზოგადოებაში ჯერ კიდევ უხერხულ ტონად მიაჩნიათ და თავს იკავებენ — საჭირო დროს მიმართონ ფსიქოლოგებს, ფსიქიატრებს რჩევისთვის, სამკურნალოდ და ა.შ. დღეს, როცა ახალი კორონავირუსის გავრცელების პირობებში მართლაც ბევრს სჭირდება, ალბათ, ფსიქოლოგიური დახმარება და ფსიქიატრის რჩევები, ამის გათვალისწინებით მივმართეთ ფსიქიატრს, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორს, თსუ-ის ვიცე-რექტორს ნინო ოკრიბელაშვილს, რომელიც აქტუალურ კითხვებზე გვპასუხობს.

— თქვენ ყოველთვის საუბრობდით სტიგმაზე, რომელიც ქართულ საზოგადოებაშია ფეხმოკიდებული. როგორ ფიქრობთ, დაძლია საზოგადოებამ სტიგმა თუ კვლავ ძალაშია ეს პობლემა?

— ზოგადად, სტიგმა — ეს არის ადამიანის მხრიდან მეორე ადამიანის მორალური განსჯა ისეთ საკითხებში, რაშიც ის

ნინო ოკრიბელაშვილი

„დამნაშავე“ არ არის. პრაქტიკულად, როცა სტიგმაზე ვსაუბრობთ, განსაკუთრებით მენტალური ჯანმრთელობის მქონე პირთა მისამართით, ეს სტიგმა მომდინარეობს შიშისგან ან დაცინვისგან მათი პრობლემების მიმართ, ამიტომ ადამიანი ამ თითქოსდა „სირცხვილის დაღს“ გაურბის და ცდილობს — საკუთარ თავზე ინფორმაცია არ გაავრცელოს, თავი შეიკავოს ექიმთან ვიზიტისგან და, აქედან გამომდინარე, გარე სამყაროსგან თვითიზოლაციასაც კი მიმართავს. ძალიან ბევრი იმუშავა ფსიქიატრთა საზოგადოებამ იმისთვის, რომ ეს სტიგმა დაგვეძლია. ბევრი იმუშავა საზოგადოებამაც ამ თვალსაზრისით. 2020 წელში ქართული საზოგადოება ბევრად უფრო გახსნილია, ვიდრე ეს იყო 20 წლის წინ. დღეს უფრო ბევრი ადამიანისგან გაიგებთ თამამ განაცხადს იმის შესახებ, რომ იგი იყო ფსიქოლოგთან, ფსიქიატრთან. ცოტა უჭირთ მაინც ფსიქიატრის ხსენება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ წინ წავედით და ეს დამღა, ეს სირცხვილის განცდა, გარკვეულწილად, უკვე დაძლეულია. თუმცაღა, როდესაც საუბარია ახალი კორონავირუსით გამოწვეული დაავადების კონტექსტში სტიგმაზე, მინდა ვთქვა, რომ დიახ, სტიგმასთან

მიმართებით რაღაც პრობლემები უკვე სხვა კონტექსტში გააქტიურდა. დღეს უკვე საუბარია, რომ სტიგმა ეხება არა მხოლოდ მენტალური პრობლემების მქონე ადამიანებს, არამედ მათ, ვინც „კოვიდ 19“-ით დაინფიცირდა. ეს მხოლოდ ქართული გამოცდილება არ არის. ძალიან ბევრი ჩვენი თანამოქალაქე, როგორც ეს უცხოეთშია, შორიდან უვლის იმ ადამიანებს, ვინც კარანტინში იყვნენ ან ვისაც, შესაძლოა, დაავადება ჰქონდეს. უფრო მეტსაც გეტყვით, გარკვეული სოციალური დისტანცირება ისედაც ძალიან კარგია, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ეჭვით უყურებენ მედ-პერსონალსაც. ეს გადასალახი პრობლემაა. ჩვენ არ ვართ გამონაკლისი სამყაროში. ყველა ქვეყანაში, სადაც აღმოჩნდა „კოვიდ 19“-ის შემთხვევები, კარანტინში მყოფი ადამიანები, პაციენტები, მედ-პერსონალი, ისევე, როგორც ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირები, გარკვეულ დისტანცირებას გრძნობენ ოჯახის წევრებისგანაც კი.

— თქვენ მუშაობთ სუიციდის საკითხზე... იმისთვის, რომ თავიდან ავიცილოთ ვირუსის პირობებში გამოკვეთილ ახალ ყოფით თუ სულიერ პრობლემებზე მსგავსი რეაგირების ფაქტები, რა ქმედება და სტრატეგიაა საჭირო?

— ძალიან რთული კითხვაა, რადგან სუიციდსა და ეპიდემიებს შორის კორელაციაზე უფიქრიათ ექსპერტებს, მაგრამ, მინდა გითხრათ, რომ კონკრეტული კორელაციის პოვნა იმ კონტექსტში, რომ ეპიდემიების დროს მატულობს სუიციდის რისკი, ასეთი რამ, ჯერჯერობით, არ არის. თუმცაღა, უცხოელი ექსპერტები და, მათ შორის, ქართველი ექსპერტებიც გამოთქვამენ აზრს იმის შესახებ, რომ პოსტეპიდემიის პერიოდში, გარკვეულწილად, ეკონომიკურ პრობლემებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრისას შეიძლება ადამიანს გაუჩნდეს ცუდი აზრების მოზღვავება. ზოგადად, ეპიდემიების დროს ადამიანების ხანგრძლივი თვითიზოლაციისას, განსაკუთრებით ის ადამიანები, რომლებსაც მანამდეც ჰქონდათ ფსიქიკური ჯანმრთელობის გარკვეული პრობლემები და, მათ შორის, სუიციდური აზრები, შესაძლებელია ერთგვარად აღმოჩდნენ მოწყვლადნი სუიციდური ქმედების მიმართ.

კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს — თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ ეპიდემიები აღრმავებს მარტოობის განცდას და დეპრესიულ მიდრეკილებებს ადამიანებში, შესაძლებელია, რომ სუიციდური აქტივობის მცირედად მატების სურათი მივიღოთ. ეს არის, უბრალოდ, მოსაზრება და არ ეფუძნება რაიმე სტატისტიკურ მონაცემებს. რით ვუშველოთ ამ პრობლემას? უპირველეს ყოვლისა, ცნობილია, რომ სუიციდის უკან რამდენიმე მიზეზი დგას. თუკი ჩვენ ვიტყვით, რომ ესაა მარტოობით გამოწვეული გაუცხოების განცდა, იგივე, გარე სამყაროსთან, საკუთარ თავთან და ასე შემდეგ, გარკვეულწილად, თავად მოქალაქეების ვალია ასეთი პრობლემების მქონე ადამიანების იდენტიფიკაცია შევძლოთ. თუ პაციენტებს, რომლებსაც სუიციდური აქტივობა აღენიშნებოდათ და ისინი იყვნენ ამბოლატორულ აღრიცხვაზე, ალბათ, ფსიქიატრიული სერვისების მიმწოდებლებმა ასეთი ადამიანები უკუკავშირისთვის უნდა გამოიწვიონ და სატელეფონო კონტაქტი დაამყარონ მათთან, რათა თავი მარტო არ იგრძნონ. ვინც მარტოსულად გრძნობს თავს და მსგავსი პრობლემები აქვს, ძალიან დიდი დახმარება შეუძლია გაუწიოს, იგივე, თსუ-ის ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრმა, რომელიც ონლაინ პლატფორმაზე ფუნქციონირებს. ცენტრი აბსოლუტურად უსასყიდლოდ ემსახურება ჩვენს მოქალაქეებს, რომლებსაც აქვთ კითხვები ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით.

სტრატეგია ძალიან ბევრია! და კიდევ — ძალიან ფრთხილად უნდა იყოს მასმედია სუიციდის ფაქტების გაშუქებისას და, გარკვეულწილად, სუიციდის ხელშემწყობი, გამომწვევი ფაქტორები, რაც მიბაძვის ემოციას აღძრავს, უნდა გამოირიცხოს.

— საყოველთაო საკარანტინე პირობებში რამდენად რთულდება ფსიქიატრიული პრობლემები? რა სახის პრობლემებზე შეიძლება საუბარი თქვენი მხრიდან?

— ზოგადად, როდესაც იწყება ასეთი ტიპის დიდი ეპიდემიები, ყველაზე მეტად მატულობს შფოთვითი დარღვევების მქონე ადამიანთა რიცხვი. ეს არის ისეთი დარღვევები, რომელიც ძალიან გავს ბუნებრივად არსებულ სიმპტომატიკას

ადამიანში, მაგრამ გადაჭარბებული, მოცულობითი შფოთვები არღვევს მოქალაქის ნორმალურ აქტივობას. ჯანმრთელი შფოთვაა, როდესაც ქუჩაზე გადასვლისას ვნერვიულობთ, რადგან ჩვენ „უშიშარი, ვითარცა უხორცო“ ვერ ვიქნებით; წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება, პირველივე მანქანის ბორბლებქვეშ აღმოვჩნდეთ. დღესაც, თუ ჩვენ გაცხოველებულად ვადევნებთ თვალყურს ირგვლივ მიმდინარე პროცესებს, ვითვალისწინებთ სპეციალისტების მიერ მოწოდებულ რეკომენდაციებს — როგორ დავიცვათ თავი და გარემო გარკვეული ინფექციებისგან, ესეც არის ჯანმრთელი შფოთვა. მაგრამ, იმ ადამიანებს, რომლებსაც ეპიდემიის დაწყებამდეც ჰქონდათ ფსიქიკური დარღვევა შფოთვითი აშლილობების თვალსაზრისით, უფრო გაუმწვავდებათ ჩვეული მდგომარეობების აღქმა. შფოთვის ახალი საფუძველი როცა ჩნდება, ისინი უფრო ფართო მასშტაბით წარმოაჩენენ თავიანთ განცდებს და სხეულის პასუხი შფოთვაზე უფრო მწვავედ წარმოჩინდება. ეს მდგომარეობა მედიკამენტოზურ ჩარევას მოითხოვს. რაც შეეხება ყველაზე რთულ პრობლემას, რომელსაც ვაწყდებით ფსიქიატრები, ეს არის მძიმე ფსიქიატრიული პათოლოგიების მართვა სახლის პირობებში, ანუ დისტანციური კავშირი, როცა პაციენტი ყოველთვიურად არ მოდის ჩვეულ ვიზიტზე. ამ შემთხვევაში, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახს და მხარდაჭერას (საუბარია იმ ოჯახის წევრებზე, რომლებიც იზოლაციის ან კარანტინის პირობებში იმყოფებიან ასეთი ადამიანები გვერდით). არაფრით არ შეიძლება, ფსიქიატრიული პრობლემების მქონე ადამიანებმა ერთ მშვენიერ დღეს შეწყვიტონ მედიკამენტების მიღება. ვისაც უკვე დიაგნოსტირებული აქვთ ფსიქიატრიული პათოლოგიები, მინდა ვურჩიო, დაუკავშირდნენ მკურნალ ექიმს და თუ საჭიროა დოზირების ცვლილება, მკურნალ ექიმს ექნება შესაძლებლობა — დისტანციურად შეცვალოს მედიკამენტის დოზირება.

მეორე მომენტია კიდევ, ეპიდემიების დროს ხშირად რთულდება ე.წ. აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზი. აკვიატებულ მდგომარეობათა ნევროზის დროს პირველ ადგილზეა

ფიქრები დასნებოვნების და დაბინძურების შესახებ. წარმოიდგინეთ, სოციუმიდან მოდის ინფორმაცია, რომ ასეთმა ადამიანმაც ძალიან ხშირად მიაქციოს პირად ჰიგიენას ყურადღება და ამ დროს იგი ისედაც დიდ ყურადღებას იჩენდა ჰიგიენის მიმართ. ამიტომ, ქმედება გადადის, პრაქტიკულად, უმართავ რიტუალებში. ამ შემთხვევაშიც, ასეთმა ადამიანმა აუცილებელია კონსულტაცია მიიღოს მკურნალი ექიმისგან, შესაძლოა საჭირო გახდეს მედიკამენტების დოზირების ცვლილებაც.

— იმისთვის, რომ ზოგიერთმა არ „გარეკოს“ სახლის პირობებში და ახალი რეალობისგან გამოწვეული პრობლემების გამო, როგორ უნდა მოვიქცეთ?

— ძალიან ბევრი რჩევაა ამ მიმართულებით და კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ძალზე მნიშვნელოვანია ადამიანისთვის — გარკვეული დისტანცირება უზრუნველყოს ნეგატიურ ინფორმაციასთან მიმართებით და მართოს ის ინფორმაციული ნაკადები, რაც მოდის მედიიდან. რას გულისხმობს ეს? დღის განმავლობაში აირჩიოს მისთვის ყველაზე სასურველი ორი ან სამი საინფორმაციო წყარო და დღის განმავლობაში ამ მძიმე ინფორმაციასთან ორჯერ მეტად შეხება არ ჰქონდეს. ესეც გადაივლის, ეპიდემიები რჩება, ომებიც მთავრდება და, საბოლოოდ, ჩვენ, ადამიანები, უნდა დავრჩეთ ახალი გამოცდილებით ამ დედამიწაზე და გავაგრძელოთ ცხოვრება. მინდა, ერთ რამეს გავუსვა ხაზი — ადამიანი ყველაზე ნაკლებად შფოთავს მაშინ, როდესაც დღის წესრიგი აქვს, როცა მან იცი — დღის განმავლობაში რის მერე რა უნდა გააკეთოს. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანია — დღე იყოს გაწერილი, როგორც სასკოლო გრაფიკი, ისე. არ გამოგვრჩეს რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი — ესაა პირად ცხოვრებაზე, პირად ჰიგიენაზე, სახლში ყოფნის მიუხედავად თავის გალამაზებაზე მუდმივად ზრუნვა, რადგან ერთფეროვნება მოსაწყენია. ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია — ყოველი დღე, გარკვეულწილად, შეიძლება იყოს ერთფეროვანიც, მაგრამ, ამავე დროს, დატოვეთ გრაფიკში რაღაც საათები, რომლის დროსაც სხვადასხვა აქტივობებს განვახორციელებთ. მაგა-

ლითად, არ დაგავიწყდეთ მეგობრებთან დარეკვა; აღმოვაჩინოთ და გავააქტიუროთ რაღაც ტალანტი ჩვენში და ვიპოვოთ ისეთი რამ, რაც გვაინტერესებს. ძალიან ბევრ არხზეა ფილმები, გაჩნდა ელექტრონულ წიგნებზე უფასოდ წვდომის შესაძლებლობა. წიგნი თუ არ გვაინტერესებს, ვუსმინოთ მუსიკას. მე მიკვირს კიდეც, როგორ ვცხოვრობდით 20, 30 წლის წინ, როდესაც ინტერნეტ-სამყარო არ არსებობდა. ამ წყაროს შეუძლია მრავალფეროვნების შემოთავაზება და ამაზე დიდი აქცენტი უნდა გავაკეთოთ.

— თქვენ რას საქმიანობთ ამ პერიოდში? სახლში დარჩენამ რა დადებითი და უარყოფითი ემოციები წარმოშვა? როგორია ახალი რუტინა?

— რამდენადაც ძალიან ბევრ რჩევას ვიძლევი სხვების მიმართ, არ ჩათვალოთ, რომ საკუთარ თავსაც არ ვაყენებ გარკვეული რუტინის წინაშე. მინდა გითხრათ, რომ ჩემი კვირა ისევე არის დატვირთული, როგორც იყო ადრე, უბრალოდ, დისკომფორტია, გარეთ რომ ვერ გავდივარ. მიუხედავად ამისა, დადებითად ვუყურებ რაღაცებს. ერთ-ერთი დადებითი მომენტია დისტანციური სწავლება (სინქრონულიც და ასინქრონულიც). ოთხი სხვადასხვა მიმართულებით ვკითხულობ ლექციებს, თითქმის ყოველდღიური ურთიერთობა მაქვს სტუდენტებთან. მათ მაჯისცემასაც ვუყურებ. ვიყიდე რამდენიმე წიგნი, რისთვისაც ჯერ ვერ მოვიცალე, რადგან ბევრმა სამეცნიერო ლიტერატურამ მიიპყრო ჩემი ყურადღება. ვთარგმნი რაღაც მასალებსაც, რაც დაკავშირებულია „კოვიდ-19“-თან და ვცდილობ, რომ ამის შესახებ ჩვენს კოლეგებსაც გავუზიარო.

დღეს საუბარია იმაზე, რომ ოჯახში იმატა ძალადობის რისკმა და მინდა გითხრათ, ერთ-ერთი ყველაზე ნეგატიური, რაც ხდება დღეს ოჯახებში, იქ, სადაც არაჰარმონიული იყო ცხოვრება, არის კონფლიქტების მატება. კარანტინის პირობებში გაიზარდა ალკოჰოლისა და ნიკოტინის მოხმარება. ესეც ხელს უწყობს გამღიზიანებლობის მატებას.

მთავარი, რაც მაჩვენა ამ ეპიდემიამ, ესაა ის, რომ ჩვენ უნდა დავუკვირდეთ, ცოტა რიტმი დავაგდოთ და უფრო სწო-

რად ვიცხოვროთ. ის ფუფუნება, რასაც ჰქვია ვარჯიში (ვერ ვახერხებდი აქამდე), დავიწყე სახლის პირობებში. სულ მეგონა, რომ ამის დრო არ მქონდა. თურმე ამის დრო მქონია.

სახლში დარჩენა აკვიატება არ არის, სახლში დარჩენა — ეს აუცილებლობაა. ჩვენი სახლში გატარებული ერთი საათი, ორი კვირის მერე, დაახლოებით, სამი-ოთხი ადამიანის კეთილდღეობაზე შეიძლება აისახოს. ასე რომ, დავრჩეთ სახლში, ვიმუშაოთ თვითგანვითარებაზე, ვიმუშაოთ საზოგადოების გაკეთილშობილებაზე და მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი — ჩვენი ხვალინდელი დღე რომ უფრო კეთილი, უფრო წარმატებული და უფრო უკეთესი იყოს.

ესაუბრა ნინო კაკულია

საქართველოს სინამდვილეში, ვირუსთან ბრძოლის მხრივ, ოპტიმიზმის საფუძველი გვაძვს

გვესაუბრება თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი რუსუდან ქარსელაძე

— „კოვიდ-19“-ზე ვირუსოლოგებმა გვითხრეს, რომ სახლში დარჩენა კიდევ დიდხანს მოგვიწევს, სანამ იმუნური ფენა არ შეიქმნებაო. იქნებ განგვიმარტოთ — უმრავლესობის დაინფიცირების შემთხვევაშია იმუნური ფენის გაჩენა მხოლოდ შესაძლებელი თუ არსებობს სხვა გამოსავალი ვირუსის დასამარცხებლად?

— ამ მეტად რთული კითხვის პასუხად მოგახსენებთ, რომ ბუნებით ოპტიმისტი ადამიანი ვარ, მაგრამ რეალობას ვერ მოვწყდები და ჯერ კიდევ არასაკმარის, მაგრამ უკვე არსებულ მტკიცებულებებს დავეყრდნობი. გამომდინარე იქიდან, რომ ეს ახალი კორონავირუსი დღემდე შეუცნობადია, საკმარისად არ არის შესწავლილი და არსებული სტატისტიკა არ იძლევა პროგნოზირების საშუალებას, ვირუსოლოგებს და ეპიდემიოლოგებს უნდა დავეთანხმოთ. რასაკვირველია,

რუსუდან ქარსელაძე

წინა წლებში აღწერილი პანდემიების მსგავსი ვირუსული პათოლოგიების რეტროსპექტული ანალიზი — მომავალში იმუნური ფენის გაჩენა, ამასთანავე ვირუსის აგრესიულობის შემცირება და გონივრულ ვადაში ვაქცინის შემუშავება — იძლევა იმის ვარაუდის საშუალებას, რომ დროის რაღაც მონაკვეთის შემდეგ ვირუსს დავამარცხებთ. აქვე აღსანიშნავია, რომ საქართველოს სინამდვილეში ოპტიმიზმის საფუძველი გვაქვს. ამის თქმის უფლებას მაძლევს ადრეულ სტადიაზევე ეპიდემიის აბსოლუტურად სწორი და ოპერატიული მართვა ყველა რგოლში. ამდენად, თქვენს კითხვას რომ ვუპასუხო, ჯერ-ჯერობით, ამ ვირუსის დასამარცხებელი სხვა რეალური გზა არ არსებობს გარდა იმისა, რომ, ჯერ-ჯერობით, კიდევ „დარჩი სახლში“!

— ბავშვებს და პატარებს რატომ ემართებათ ნაკლებად ახალი კორონავირუსი — ამას აქვს თავისი ახსნა?

— ამ კითხვაზე ცალსახა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პასუხი დღეისათვის არ არსებობს. მედიცინაში ნებისმიერ საკითხზე არსებული გადაწყვეტილება/ჩარევა ეფუძნება სხვადასხვა დონის მტკიცებულებებს (Evidence Based Medicine). კერძოდ, A-დონის მტკიცებულებას აქვს უმაღლესი სარწმუნოება და მას განსაკუთრებული, შესაბამისი დიზაინით შესრულებული, განსაზღვრული ეტაპების გავლა

ესაჭიროება, რომ დასკვნა დაიდოს. მას შემდეგ, დონეების მიხედვით, მოჰყვება B, C და D-დონის მტკიცებულება — ეს შეეხება ეტიოლოგიას, პათოგენეზს, პროგნოზს თუ მკურნალობას. ამდენად, დღეს A და B დონის მტკიცებულება, უბრალოდ, ვერ გვექნება, ვინაიდან საქმე გვაქვს ახალ, ჯერ კიდევ შეუცნობ ვირუსთან. C-დონის მტკიცებულება არსებობს ჩინეთის და აშშ-ს დაკვირვებებზე დაფუძნებული, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, მას ვერ გამოვიყენებთ მყარ მტკიცებულებად, თუმცა ეს მონაცემები ძალიან საყურადღებოა. ჩემი, როგორც კლინიცისტის და აკადემიური პერსონალის, პასუხი დღეს იქნება D-დონის მტკიცებულება (ექსპერტის აზრი, ემპირიული დაკვირვების შედეგი).

თუ რატომ აღენიშნებათ ბავშვებს და ჩვილებს ახალი კორონავირუსი შედარებით დაბალი სიხშირით და როცა ემართებათ, გაცილებით მსუბუქად რატომ მიმდინარეობს — ამ კითხვაზე პასუხად ზუსტი მტკიცებულებები არ არსებობს. სავარაუდოდ, ამის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს სავალდებულო ვაქცინაცია ტუბერკულოზის და წითელა-წითურას საწინააღმდეგო. ასევე, ბავშვებს შედარებით ჩამოუყალიბებელი იმუნური სისტემა გააჩნიათ. ამდენად, ჩამოუყალიბებელი და უმწიფარი იმუნური სისტემა უფრო მსუბუქად რეაგირებს, ვიდრე მოზრდილი ადამიანის იმუნური სისტემა.

შემდეგი კითხვაა — ბავშვებს თუ ემართებათ, გაცილებით მსუბუქად რატომ მიმდინარეობს? ამ მიმართულებითაც მონაცემები ჯერ კიდევ მწირი, მაგრამ არსებულის საფუძველზე იგი ახსნადია. კერძოდ, ცნობილია, რომ „COVID-19“ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პათოგენეზური რგოლია (განსაკუთრებით საშუალო და მძიმე პნევმონიით მიმდინარეობისას) ორგანიზმში არსებული ACE-2 რეცეპტორების მიმართ. აღნიშნული რეცეპტორები ფილტვებშია და სწორედ ამ რეცეპტორებს გააჩნიათ სპეციალური მგრძნობელობა კორონავირუსზე. შესაბამისად, მოზრდილებში პნევმონიით გართულება და მისი მძიმე მიმდინარეობა უფრო მკვეთრია, ვინაიდან, ეს რეცეპტორები ნაკლებია ბავშვებში; ამ რეცეპტორების ნაკლებობა განპირობებულია იმითაც, რომ ბავ-

შვებში ფილტვის ქსოვილიც მოცულობაში ნაკლებია; ამასთანავე, ბავშვებს მეტ-ნაკლებად ქრონიკული დაავადებები არ აქვთ. ყოველივე ზემოთ აღნიშნული განაპირობებს ბავშვებში ახალი კორონავირუსის უფრო მსუბუქ მიმდინარეობას. როგორც აღვნიშნე, ჯერ-ჯერობით, ბოლომდე დადასტურებული სხვა რაიმე მტკიცებულება არ არსებობს.

— იმუნიტეტი როგორ გავიძლიეროთ და ეს თუ არის დაინფიცირებისგან თავის დაცვა?

— ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი ასეთია: მას ესაჭიროება ინდივიდუალური მიდგომა და არანაირი იმუნო მოდულატორი თუ სტიმულატორი დაინფიცირებისგან ადამიანს ვერ დაიცავს. ჩემი, როგორც პედიატრის და ალერგოლოგ-იმუნოლოგის, რჩევაა — არამც და არამც არ გამოიყენოთ ექიმის დანიშნულების გარეშე არც ერთი იმუნო-მოდულატორი თუ იმუნო-სტიმულატორი. იმუნიტეტის გასაძლიერებლად რეკომენდირებულია ჯანსაღი კვება და სუფთა ჰაერზე სეირნობა.

— როგორც მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი, დისტანციური რეჟიმის პირობებში რას საქმიანობთ? როგორია თქვენი რუტინა?

— ვერ გეტყვით, რომ თავისუფალი დრო მაქვს. დღის პირველი ნახევარი ყოველდღიურად სრულად დაკავებული ვარ სტუდენტებთან დისტანციური სწავლებით — ლექცია-სემინარებით. კვირაში რამოდენიმე საათი ვმუშაობ, ასევე, დისტანციურად დოქტორანტებთან. გარდა ამისა, კლინიკაში, გარკვეული პერიოდულობით, ვატარებ ალერგიული პაციენტების კონსულტაციას.

— როგორც მედიცინის წარმომადგენელი, რას ეტყვით დამაიმედებელს ჩვენს საზოგადოებას?

— ყველაფერი კარგად იქნება თუ დღის ფრაზად ვაქცევთ:

სამი რამ, რაც არ უნდა დავკარგოთ:

- **სიმშვიდე**
- **იმედი**
- **ღირსება**

გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს!

ესაუბრა ნინო კაკულია

მსოფლიო „ეკონომიკური პანდემია“ და გამოსავალი საქართველოს მაგალითზე

„კოვიდ-19“-ის გლობალური გავრცელებით გამოწვეულმა საფრთხეებმა მსოფლიოში ფართომასშტაბიანი ეკონომიკური კრიზისის მოლოდინები გააჩინა. როგორც ეკონომისტი, თსუ-ის პროფესორი ლადო პაპავა აცხადებს, „კორონავირუსი მალე „ეკონომიკურ პანდემიად“ გარდაიქმნება. არავინ იცის, ეს კრიზისი როდემდე გაგრძელდება, რადგან ეკონომიკა მედიცინის მძევალი გახდა“. რა ეკონომიკური ღონისძიებები უნდა გატარდეს? რა ახალი სტრატეგიაა მოსაფიქრებელი, რომ საქართველოს ეკონომიკას დამანგრეველი ზიანი არ მიადგეს. ამ საკითხებზე თავის ხედვასა და მოსაზრებებს გვიზიარებს თსუ-ის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, ეკონომისტი გიორგი ღაღანიძე.

— რა პროცესები შეიძლება განვითარდეს და სად არის გამოსავალი?

— საქმე იმაში გახლავთ, რომ მსოფლიოს არ ჰქონია ასეთი გამოცდილება, როდესაც ეკონომიკური კრიზისი დაიწყო ვირუსის პრობლემებიდან გამომდინარე. ჩვენ გვქონდა ღორის გრიპის, ქათმის გრიპის გავრცელების გამოცდილება, მაგრამ ის არ გადაზრდილა მსგავსი ტიპის კრიზისებში. ამ შემთხვევაში კითხვა ასე უნდა დავსვათ — სად დაიწყო კრიზისი? ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან ის დაიწყო ჩინეთში და მსოფლიო ფაბრიკად წოდებულმა ჩინეთმა დაიწყო საწარმოების დახურვა. შემდეგ, იმის შიშით, რომ ვირუსი არ გავრცელდეს დასავლეთ ევროპაში, დაიწყეს გარკვეული საკარანტინე ზომების გამოყენება, რამაც, თავის მხრივ, შეამცირა მოთხოვნა სამომხმარებლო პროდუქციაზე. იგივე განმეორდა აშშ-ში. მივიღეთ კრიზისი, რომელიც წარმოიშვა მიწოდების მხრიდან. ადრე კრიზისები წარმოიშვებოდა ხოლმე მოთხოვნის მხრიდან, ანუ მოთხოვნის სიმცირის გამო მცირდებოდა მიწოდება. ახლა მიწოდება აღარ ხდება, რამაც წარმოშვა კრიზისი. დარწმუნებული ვარ, ამის შესწავლა მოხდება. ახლა რა უნდა ვქნათ? ეკონომიკური მეცნიერება, სამ-

წუხაროდ, მოკლებულია ფართომასშტაბიანი ექსპერიმენტების შესაძლებლობას.

2008 წლის კრიზისის დროს განისაზღვრა ე.წ. სპეციალური გადარჩენის გეგმები, როდესაც სახელმწიფოები უზრუნველყოფდნენ დიდი რაოდენობით ფულადი რესურსის აკუმულირებას და ამ ფულადი რესურსების მიმართვას ეკონომიკის ფინანსურ და რეალურ სექტორებში. ეს გახლავთ ის გამოცდილება, რომელიც გვაქვს. შემდეგ იყო 2014 წლის კრიზისი. ეს კრიზისი, ძირითადად, ნავთობმომპოვებელ ქვეყნებს შეეხო, რადგან ნავთობზე ფასების გარკვეული ვარდნა დაფიქსირდა. მაშინაც კრიზისის განსამუხტავად იგივე მექანიზმი გამოიყენეს. დღესაც, რასაც ვუყურებთ, გამოცდილება მეორდება. აშშ-ს კონგრესმა დაამტკიცა ორ ტრილიონიანი გეგმა — ეს რაღაც ასტრონომიული ციფრია. ერთ მოზრდილზე 1200 დოლარი და ბავშვზე 500 დოლარი გამოყვეს პირდაპირი დახმარების სახით. ეს უპრეცედენტო ზომებია, რასაც იღებენ და ამ ღონისძიებებს მიმართავენ იმ ვარდნის შესაჩერებლად, რომელიც მთელს მსოფლიოში დაფიქსირდება.

მარტივად რომ წარმოიდგინოთ, მუშაობის პრინციპი გახლდათ შემდეგი: ყველას ჰქონდა აღებული გარკვეული კრედიტი, ხორციელდებოდა გარკვეული პროდუქციის მომსახურების შექმნა, ეს პროდუქცია, მომსახურება „იყიდებოდა“ და,

გიორგი ღალანიძე

შესაბამისად, კრედიტი იფარებოდა. ეს ყველაფერი გაჩერდა, თქვენ აღარ გაქვთ წყარო, რომ წინა კრედიტები დაფაროთ. ეს მხოლოდ თქვენს ბანკროტობას კი არ ნიშნავს — ეს ნიშნავს, რომ ბანკები ვეღარ იღებენ კრედიტებს. ეს არ გახლავთ ის სტანდარტული ვითარება, როდესაც ერთმა საბანკო კლიენტმა ვერ დაფარა თავისი ვალდებულებები. საუბარია უმრავლესობაზე, რომელთაც ვერ დაფარეს სესხები. ეს უკვე კატასტროფაა საბანკო სექტორისათვის. დღევანდელი მსოფლიო ეკონომიკა შეკრულია საბანკო სექტორის ბაზაზე. რაც ზემოთ აღვნიშნე, იმის დაშვება, ცხადია, არ შეიძლება და, აქედან გამომდინარე, შეიმუშავეს ეს გეგმები, რათა რაღაც ვადით გადავწიოთ სესხის დაფარვის პრობლემა, ხოლო რაღაც პერიოდის შემდეგ გამოჩნდება — მოხერხდება თუ არა კრედიტების დაფარვა.

ნავთობის ფასის ვარდნა გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ მიწოდების მხარე არის გაჩერებული. ანუ, ძირითადი მომხმარებლები — როგორიც არის მსხვილი კორპორაციები, ავიაკომპანიები და ა.შ., მათ აღარ აქვთ მოთხოვნა შესაბამის პროდუქციაზე. ერთი მნიშვნელოვანი მომენტი იყო ხოლმე — როცა კრიზისი იწყებოდა მოთხოვნის მხრივ, ერთ გარკვეულ სექტორში იქმნებოდა კრიზისი. ახლა არის ყველგან, ყველა სექტორში. გაჩერებულია ავიაკომპანიები, ტურისტები აღარ მოძრაობენ, საცალო ვაჭრობა გაჩერდა, ანუ უპრეცედენტო ეკონომიკურ ვითარებასთან გვაქვს საქმე. აქედან გამომდინარე, გარკვეული კონკრეტული ზომები უნდა იქნას შემუშავებული. თუ ჩვენ საქართველოზე ვსაუბრობთ, ჩვენს მდგომარეობას ართულებს კიდევ ის, რომ ჩვენ ძალიან ვართ დამოკიდებული საგარეო სექტორზე. ჩვენ რომ რაღაც ვიმოქმედოთ, დამოკიდებულია იმაზე, რომ ჩვენ ძირითად გასაღების ბაზრებზე უნდა იყოს კარგი მდგომარეობა. ჩვენი ძირითადი გასაღების ბაზრებია ჩვენი მეზობლები — რუსეთი, თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი და ევროკავშირი. ძირითადი გაყიდვის ბაზრები ესენია. გარკვეული ზომით წარმოდგენილია ჩრდილო ამერიკაც, მაგრამ ამათთან შედარებით ნაკლებ როლს თამაშობს. ყველა ამ ბაზრებზე

საშინელი კლებაა. აქედან გამომდინარე, ამ ბაზრებზე ვითარების დასტაბილურებას უნდა დაველოდოთ და ამის შესაბამისად უნდა ვიფიქროთ, ვიზრუნოთ შემდგომ ნაბიჯებზე.

— რა სახის რეკომენდაციები გაქვთ, როგორც ეკონომისტს?

— უნდა შეიქმნას გარკვეული გადარჩენის გეგმა: პირველი — ეს უნდა იყოს საგადასახადო შეღავათები; მეორე — საშუალო და მცირე ზომის საწარმოებისათვის ფინანსური დახმარება; ასევე, კრედიტების გადავადება ბიზნეს სექტორში და ბანკებისთვის დახმარება. უნდა ვიფიქროთ, აგრეთვე, ინდივიდუალებზეც. უამრავ ჩვენს თანამოქალაქეს, ადამიანს, მათ შორის, მეც მაქვს გარკვეული საკრედიტო ვალდებულება და ვარ დამოკიდებული იმაზე, რაც შემოდის თსუ-ში. ჩემი ხელფასიდან ვიხდი ამ საკრედიტო დავალიანებას. ასეა ჩვენი მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი. შესაბამისად, ვერაფერ ახალ რეკომენდაციას ვერ შევიმუშავებთ. ერთადერთი, რაც შეიძლება ითქვას, თვალნათელია, რომ პირველი და ყველაზე მძიმე დარტყმა მიიღო ტურიზზმა და მასთან დაკავშირებულმა სექტორებმა — ესაა სასტუმროები, რესტორნები, საცალო ვაჭრობის ობიექტები... რაღაცნაირად ამათ მხარდაჭერაზე უნდა ვიფიქროთ. თუმცა ეს ობიექტები დამოკიდებული არიან ტურისტებზე. ტურისტების შემოსვლის გარეშე ძალიან რთული იქნება გამოსავლის მოძებნა.

ერთი კარგიც ვთქვათ რაიმე, მხოლოდ ნეგატივზე ნუ ვიქნებით ორიენტირებული. რა აჩვენა ამ კრიზისმა? კრიზისმა აჩვენა, რომ საქართველო თავისი ჯანდაცვის სისტემით და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღების უნარით, მათი აღსრულებით გამორჩეულ მდგომარეობაშია. საქართველომ გაცილებით უფრო სწრაფად და ეფექტიანად იმოქმედა, ვიდრე ჩინეთმა, ვიდრე ძალიან ბევრმა გაცილებით უფრო განვითარებულმა ქვეყანამ. აქედან გამომდინარე, ეს უნდა გახდეს ჩვენი სავიზიტო ბარათი და ჩვენი გარკვეული კონკურენტული უპირატესობა. ჩვენ თამამად შეგვიძლია ვუთხრათ ჩვენს პარტნიორებს დასავლეთ ევროპაში და აშშ-ში, რომ საწარმოო სიმძლავრეები, ჩინეთის მაგივრად, გახსენით საქარ-

თველოში; აქ ბევრად უფრო დაცულად ხართ სამედიცინო თვალსაზრისით (ფიზიკური დაცულობა მეორე მომენტია); აქ სხვა ფაქტორებია მნიშვნელოვანი და, ამდენად, ჩვენ შეგვიძლია ძალიან კარგი ეს ველი შემოგთავაზოთ. ოდესღაც, ეს კრიზისი რომ დასრულდება და როდესაც დაიწყებენ ფიქრს დივერსიფიკაციაზე, ამ მიმართულებით აუცილებლად ამოქმედდება ევროპა, ამერიკა, რადგან, როგორც აღმოჩნდა, ძალიან სახიფათო ყოფილა მთელი მსოფლიოსათვის ის გარემოება, რომ ერთ ქვეყანაში მოიყარა თავი უზარმაზარმა კონცენტრაციამ სამრეწველო წარმოებისა. მსოფლიო ფაბრიკად წოდებულ ჩინეთში ვირუსის პრობლემამ მთელი მსოფლიო ეკონომიკა პრობლემის წინაშე დააყენა. ამიტომ, რაღაც გადანაწილება მოხდება, რასაკვირველია. აბსურდია ვიფიქროთ, რომ ყველაფერი, რაც ჩინეთშია, საქართველოში გადმონაწილდება — ჩვენ ამის რესურსი არ გვაქვს. ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ ერთი ან რამოდენიმე დარგის, რამოდენიმე საწარმოს აქ გადმონაწილების შესაძლებლობაზე. ასე რომ, დამატებითი ზომები იქნება გასატარებელი და თუ ისეთივე ეფექტიანად ვიმოქმედებთ ეკონომიკის მიმართულებით, როგორც იმოქმედეს ჯანდაცვის მესვეურებმა, ამ კრიზისის მერე აშკარად გამოვალთ მოგებულები.

საქართველოში ყოველთვის გამოყოფდნენ სამ სფეროს, სადაც გამორჩეულად კარგი მდგომარეობა გვქონდა — ეს იყო განათლება, ჯანდაცვა, კულტურა. ამ კატასტროფული კრიზისის პირობებში ამ სამივე ფაქტორმა ერთად აჩვენა, რომ ყველაფერი ყოფილა მართალი. ჯანდაცვის სისტემა მუშაობს; განათლების სისტემამ აჩვენა ბრწყინვალე შესაძლებლობა შეგუების და ადაპტირების; კულტურაზე აღარ ვსაუბრობ. ჩვენ ხშირად ვამბობდით, რომ ყოფითი კულტურა გვაკლია. რომ გამოხვალთ ქუჩაში და გაიხედავთ, მგონი, არ გვაკლია — ჩვენი თანამოქალაქეები ძალიან კარგად იცავენ ამ ყოფით კულტურას, უწესებენ თავის თავს შეზღუდვებს, ზედმეტი ხალხი არ შედის სავაჭრო ობიექტებში და დგებიან გარკვეული დისტანცირებით. ამის პოპულარიზაცია უნდა მოხდეს! ნაგავში რომ ხალხი იქექება, იმის ფოტოები კი არ

უნდა დაიდოს, უნდა გავრცელდეს ამ ახალი წესრიგის ფონზე ჩვენი მოქალაქეების პასუხისმგებლიანი მოქმედების ამსახველი ფოტოები, რათა სწორად წარმოჩინდეს ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა და სწორად მოხდეს მისი პოზიციონირება.

ესაუბრა ნინო კაკულია

ახალ თაობას სურს — სარკმლის გახსნისას საჭირო მომენტში სწორ ადგილზე აღმოჩნდეს

„ჩვენი თაობა რაღაც ახალი, გარდამტეხის მომტანი უნდა იყოს ქვეყნის და მთლიანად დედამიწის მომავალში. მსოფლიო მოხმარების განუხრელი ზრდა პლანეტის რესურსებს კატასტროფულად ამცირებს და ახლა, როგორც არასდროს, აუცილებელია, თითოეულ ჩვენგანს ქონდეს განათლების და შეგნების ის დონე, რომელიც არა მარტო ეფექტიანად აზროვნებას, არამედ შესაძლებლობების სარკმლის სწორად გამოყენებაში დაგვეხმარება. ეს სარკმელი შეიძლება ნებისმიერ დღეს გაიხსნას და აუცილებელია — ამ დროს სწორ ადგილას ვიმყოფებოდეთ. ამისათვის საჭიროა საკუთარ და მეგობრების განათლებაზე და შეგნებაზე ვიმუშაოთ და გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებულ თაობად ვიქცეთ. ვიაზროვნოთ „მდგრადად“, ვიზრუნოთ საზოგადოებაზე და გვქონდეს მხოლოდ საკუთარი ცოდნის იმედი!“ — ეს გახლავთ ახალი თაობის წარმომადგენლის, ბექა ბაიაშვილის მოწოდება თანატოლებისადმი. როგორც ჩანს, თაობები იცვლებიან, მაგრამ ისტორია მეორდება და თაობებს ერთი გონი, თვითდამკვიდრების და გადარჩენის ერთი ინსტიქტი აერთიანებს, მიუხედავად ღირებულებების მუდმივი გადაფასებისა.

ბექა ბაიაშვილი თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტია, რომელიც თელავის რაიონის სოფელ ლაფანყურში ცხოვრობს, უნივერსიტეტში კი რუსთავიდან დადის. თვლის, რომ უნივერსიტეტმა ცხოვრების ახალი, მნიშვნელოვანი ეტაპის კარი გაუღო და მის ცნობიერებ-

ბექა ბაიაშვილი

აში ბევრი რამ შეცვალა. „ამ სამი წლის მანძილზე ვხვდები და მეგობრებიც აღნიშნავენ, რომ უკეთესობისკენ შევიცვალე. ამ ახალ ეტაპზე მიღწეულმა შედეგებმა თავდაჯერება შემმატა და დაშვებულმა შეცდომებმა საკმაოდ დიდი გამოცდილება დამიტოვა როგორც პირად, ისე კარიერულ ცხოვრებაში“, — ამბობს მომავალი ეკონომისტი. ბექას ანერვიულებს, როდესაც უნივერსიტეტის სახელს ზოგჯერ ლაფში სვრიან მავანნი და სურს, ამ გამაღიზიანებელ კამპანიას გამოეხმაუროს: „უმეტეს შემთხვევაში, უნივერსიტეტის სახელის შებღალვას სხვა უნივერსიტეტის ფანატიკოსი სტუდენტები და ლექტორები ცდილობენ. მე, პირადად, ძალიან ბევრ პრობლემას ვხედავ საკუთარ უნივერსიტეტში და იმის მაგივრად, რომ უარყოფითად ვისაუბრო, მის მოგვარებას ვცდილობ, თუნდაც, დაუფარავი საუბრით. მგონია, რომ უნაკლო არავინ და არაფერია და გამაღიზიანებელია, როცა აფასებენ იმას, რაშიც არაკომპეტენტურები არიან“, — მიაჩნია ბექას. ამ ეტაპზე ძირითად დროს სწავლას და წერას უთმობს. პარალელურად მდგრადი ეკონომიკის მიმართულებით ახალი პლატფორმის — sustainability.ge-ის წევრი გახდა და სტატიებს აქვეყნებს. აქტიური მომხმარებელია ვიკიპედიის, რომელზეც უმეტესად საბუნებისმეტყველო მიმართულების სტატიებს ტვირთავდა. ახლა ამ საქმეს დიდ დროს ვეღარ უთმობს და, ძირითადად, სტატიებში სხვების შეტანილ ცვლილებებს ამოწმებს. ანაზღაურებით, ამ ეტაპზე, არსად არ მუშაობს. მოხალისეობრივად მდგრადი განვითარების მიმართულებით მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციის, oikos-ის ადგილობრივი წარმომადგენლობის oikos Tbilisi-ის წევრია.

პანდემიის პირობებში ცხოვრების ახალი სტილი ბექასთვის უჩვეულო არ არის. „ზოგადად, ინტროვერტი ადამიანი ვარ. ამიტომ ჩემთვის განსაკუთრებულად არაფერი შეცვლილა და დრო ჩვეულ რიტმში გადის“, — ამბობს ბექა. დისტანციური სწავლის პროცესში ადვილად ჩაერთო, მიუხედავად პრობლემებისა. მისი თქმით, პირველ ეტაპზე კომპიუტერის ეკრანიდან კითხვა უჭირდა, რასაც ნელ-ნელა მიეჩვია. „ხანდახან ინტერნეტის პრობლემა მაქვს, ხან ელექტრო ენერგიის, მაგრამ სიტუაციიდან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ ყველაფერი გადალახვადია“, — აცხადებს მესამე კურსელი ეკონომისტი. ბექა ბაიაშვილი მეგობრების ამჟამინდელ ქცევასაც აკვირდება და ამბობს, რომ ირგვლივ ყველა მისი თანატოლი სოციალური ქსელებით, ინტერნეტ-თამაშებითა და კითხვით იქცევს თავს.

პანდემიით გამოწვეულ დღევანდელ ეკონომიკურ კრიზისზე ბექას, როგორც მომავალ ეკონომისტს, თავისი მოსაზრებები აქვს და ცდილობს — განმარტოს საკუთარი პოზიციების არსი: „დღევანდელი დღე გვაჩვენებს, რომ კაცობრიობის ცნობიერება უახლოეს წლებში რადიკალურად შეიცვლება. 2008 წლის კრიზისის შემდეგ მსგავსი ეკონომიკური კრიზისის წინაშე კაცობრიობა არ დამდგარა. თუ გავიხსენებთ 2008 წელს, საქართველოს სამეწარმეო სფეროს მონაცემებში მაინც იყო წინა წლებთან შედარებით ზრდა, რადგან, ამდენი უარყოფითი ფაქტორის მიუხედავად, წარმოება იმ დონეზე, რა დონეზეც ახლაა, არ შეჩერებულა. ამ ეტაპზე, ფაქტობრივად, შეუძლებელია სიტუაციის სრული სურათის დანახვა, რადგან საჭიროა ჯერ კრიზისის ფორსმაჟორული ეტაპის გადალახვა და შემდეგ გარკვეული პერიოდი, რომ საერთო შედეგები შეჯამდეს. არ გამოვრიცხავ, რომ სიტუაციის გართულების და დროში გახანგრძლივების შემთხვევაში, 2020 წლის კორონავირუსის გამო გამოწვეულმა კრიზისმა დეპრესიის დონემდეც მიაღწიოს. ჩემი პირადი, ყველაზე ოპტიმისტური პროგნოზით, მსოფლიოს მთავრობები არც ისე დიდი ხნის წინანდელი კრიზისების გამოცდილებით შეძლებენ სიტუაციის გარკვეულწილად მართვას და კრიზისი, უბრალოდ,

მსოფლიო კლასიფიკაციით, მნიშვნელოვანი ჩავარდნის დონეს დასჯერდება“, — აცხადებს მომავალი ეკონომისტი.

მისი ჰობია სხვადასხვა მონეტების შეგროვება, რასაც ბავშვობიდან აკეთებს. ამ ეტაპზე რამდენიმე ქვეყნის 60-მდე მონეტა აქვს. ამ გატაცებას მისთვის დამამშვიდებელი ეფექტი აქვს. როგორც ბექა ამბობს, სტატიების გარდა ლექსებსაც წერს. ლექსების წერა 14 წლის ასაკიდან დაუწყია. „გამორჩეულად ის ლექსები მიყვარს, რომელსაც ბოლოს ვწერ... ძველები მავიწყდება ხოლმე და ახლაც, ცოტა ხნის წინ, მარტის დასასრულს დავწერე ლექსი, რომელიც ჩვენი კარჩაკეტილობის პერიოდის ემოციური გამოვლენაა“, — გვიხსნის ბექა და გვთავაზობს თავის ახლად დაწერილ ლექსს წარმოდგენის შესაქმნელად, ზოგადად, ადამიანზე, რომელიც ინტროვერტია, მაგრამ უნივერსიტეტის გაზეთს დიდი სიამოვნებით დათანხმდა — გამოხმაურებოდა.

მარტის სონეტი

მე მარტი მქვია, ხვალ საღამოს გარდავიცვლები,
დღეს რომ გაწვიმდა, ჩემს დაკარგულ სიგიჟეს ვგლოვობ;
აპრილად მოვალ, სხვა ფიქრები არ გამიცნობენ,
იმედი არ მკლავს — იასამნად მაისში გპოვებ.
დრო წამში გავა, საათები გაირბენს მალვით,
სიხარბით, ალბათ, მოვიპარავ შეფარულ მზერას,
პირველ ნაპერწკალს ვუფრთხილდები ჩუმად და კრძალვით,
ფურცლის ხალიჩას შემოვაქსოვ სულ ახალ ფერებს.
თუ შენ ქარივით მომიყვები შორეულ ამბებს,
მე შემოდგომის ფოთლებივით აგყვები ახლოს
და თუკი სახლის გამომიხსნი ჩაკეტილ სარკმლებს,
გპირდები, ვიცი, არ დაგტოვებ ფიქრებთან მარტოს.
მე მარტი მქვია, ხვალ საღამოს გარდავიცვლები,
მაისში გპოვებ, სხვა ფიქრები არ გამიცნობენ.

~ბ.ბ.~

მსოფლიო პანდემია და ფილოსოფიური ძიებანი

გვესაუბრება თსუ-ის პროფესორი ლევან გიგინეიშვილი

— მსოფლიო პანდემია — დღევანდელ ვითარებას თუ მოუძებნეთ ფილოსოფიური ახსნა ადამიანთან მიმართების კონტექსტში?

— ორი წლის წინ ვინმეს რომ ეთქვა ჩემთვის — მოდი დავნაძლევდეთ, ერთ კვირაში დედამიწის ზურგზე ერთი კაფეც არ იქნება, სადაც მეგობრებთან ერთად შეხვალ და ესპრესოს ან ლუდს დალევო — გიჟად ჩავთვლიდი, მაგრამ ეს რეალობა მივიღეთ. ანუ მოხდა რაღაც ისეთი, რაც არა თუ მე, ჩემზე უფროსი თაობის ხალხსაც არ ახსოვს, ალბათ, მეორე მსოფლიო ომის მერე. გრძნობის დონეზე თითქოს მთელი კაცობრიობა რაღაც ერთი ტვირთის მატარებელი გახდა და მეც, ასე თუ ისე, განვიცდი ამ ტვირთს ყველასთან ერთად. რაღაც იძულებით სოლიდარობაში ჩავარდა მთელი დედამიწა. ბევრი რამე ამ ვირუსზე ცნობილი არ არის, უფრო სწორად, ძალიან ცოტაა ცნობილი, ისიც, ზოგჯერ, წინააალმდეგობრივი ინფორმაცია ვრცელდება და ეს ბუნდოვანება ქმნის სივრცეს როგორც პანიკისთვის, ისე ნაადრევი დამშვიდებისთვის და

ლევან გიგინეიშვილი

ეს ორივე უკიდურესობა სახიფათოა. სამწუხაროდ, მსოფლიო მასმედია ობიექტურობას ნაკლებ ეძებს, უფრო ემოციებზე აკეთებს აქცენტს და სტატისტიკას ცალმხრივად გვაწვდის. ცხადი სტატისტიკური კრიტერიუმებია საჭირო, რომ ზუსტი სურათი მივიღოთ და ასეთი სიზუსტის გარეშე ჩვენი როგორც შიშები, ისე დამშვიდებები, არ იქნება რეალობის ადექვატური. ჩემმა ერთმა მეგობარმა, რომელიც ამჟამად ბელგიის პატარა საუნივერსიტეტო ქალაქ ლუვენშია, მითხრა ახლახან: „პრესა წერს, რომ ლუვენში 300 ადამიანი დაიღუპა ახალი კორონავირუსის გამოო. გული გამისკდა, ეს ინფორმაცია რომ წავიკითხე, არადა მოგვიანებით გავიგე, რომ რადგან ლუვენშია დიდი საავადმყოფო, სადაც მძიმე პაციენტები ბელგიიდან მიყავთ, ყველა, ვინც იქ გარდაიცვალა, ლუვენს მიათვალესო". ასეთი რამ ტოტალურად ხდება. ორი დღის წინ ჯანმოს ხელმძღვანელმა დამაპანიკებელი რამ თქვა: „არ ვიცით — ვინც განიკურნა, იმუნიტეტს გამოიმუშავებს თუ ამ ვირუსზე იმუნიტეტი არ მუშავდებაო". გამოდის, მილიარდები შეიძლება ტყუილად დაიხარჯოს ვაქცინაზე, ანუ ათეულ ათასობით ადამიანმა თავი რომ გადადო და თავის თავზე აცდევინებენ პრეპარატებს, ამისთვის ტყუილად ირჯებიან?! ან რაზე დააფუძნა პატივცემულმა ეს დასკვნა? — ამაზე არაფერი უთქვამს. ისევ ასეთი პლურალიზმი აზრების და ამ მასშტაბის დაუდგენელი განმარტებები არსებულ ვირუსზე ქმნის სივრცეს ადამიანების ვნებებით მანიპულაციებისთვის. დეკარტეს დავესესხები ტერმინებს და ვიტყვი, რომ სადაც არ არის რაიმე მოვლენის „ცხადი და ნათელი" ხედვა, იქ სწორი ფსიქოლოგიური და, ასევე, ზნეობრივი პოზიციის დაჭერა ძნელია, თუ შეუძლებელი არა.

ერთი რამ ცხადია: ასეთი გლობალური საფრთხე და განგაში, როგორც ახლობლების, ისე საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, ვფიქრობ, ადამიანის გონებას მიაქცევს ყველაზე მთავარისკენ ცხოვრებაში — აცილებს ფიქრს დროებით და ფუქსავატურ ფასეულობებზე და მეტად აფიქრებს ცხოვრების საზრისზე თუ დანიშნულებაზე. ამ კუთხით უბედურებებისა და განსაცდელების წნეხშიც რაღაც კარგი

და სასარგებლოც ხდება ან შეიძლება მოხდეს ადამიანის ცხოვრების სულიერ-ზნეობრივ მხარეში. ჩემ შემთხვევაში ეს გარკვეული დოზით ასეა.

— რა ფილოსოფიურ აზროვნებას ამჟღავნებს თანამედროვე მსოფლიო და საქართველო პანდემიის პირობებში?

— ვეცდები, ასეთ ბუნდოვან კითხვას ამ კონკრეტული გადასახედიდან შევხედო: ორი საპირისპირო ფილოსოფიურ-ზნეობრივი მიდგომა ვნახე პანდემიის მიმართ. მსოფლიოში ქვეყნების უმრავლესობამ და, მათ შორის, საქართველომაც მკაცრ ზომებს მიმართეს, რათა ინფექცია შეაჩერონ და მართვადი გახადონ. არის მეორე პოზიცია — შვედეთის (და შეიძლება დამატებით თითო-ოროლა სხვა ქვეყნებიც მოვიაზროთ), სადაც ნაკლებ მკაცრი ზომები მიიღეს სოციალური დისტანცირების გაცილებით ნაკლები დოზის გათვალისწინებითაც და ეს პოზიცია შვედეთმა დაიკავა იმ მოტივით, რომ თუ ახალი კორონავირუსით (რომელიც არ არის ძალიან აგრესიული) ბევრი დაინფიცირდება, საზოგადოება ე.წ. „ჯოგურ იმუნიტეტს“ გამოიმუშავებს და ეკონომიკის რადიკალური დამუხრუჭებაც აღარ გახდება საჭირო, რაც ძალიან სავალალო შედეგებს იწვევს. წავიკითხე სტატია, რომელიც ამართლებდა ამ მიდგომას და „დოზირებულ ფაუსტურ“ მიდგომადაც ნათლავდა, ანუ გრძელვადიანი პერსპექტივისა და სამომავლო უკეთესობისთვის აწმყოში რაღაცის მოთმენა, რაღაც მსხვერპლზე და გარკვეულ მორალური ხასიათის კომპრომისზეც წასვლა, მიუხედავად საკმაოდ საინტერესო და, ალბათ, წონიანი არგუმენტებისა, გაუმართლებელი მგონია (ვგულისხმობ შვედეთის მაგალითს) და ასკდება ზნეობრივ იმპერატივს, რადგან აქ მეტაფორულ მსხვერპლზე კი არ არის საუბარი, არამედ კონკრეტული ადამიანების სიცოცხლეზე. მესმის, რომ მკაცრ ზომებს გაჭირვება მოჰყვება უამრავი ადამიანისთვის, განსაკუთრებით, მცირე ბიზნესებისთვის, მაგრამ არათანაზომად კატეგორიებად მიმაჩნია ეს ორი რამ: ჯობია ცოცხალი იყო და გაჭირვებული, ვიდრე მკვდარი და „გაუჭირვებელი“. სხვა საკითხია, რომ ბალანსი და ზღვარი ყველგანაა საჭირო და უსასრულოდ მკაცრი ზომები და ეკონ-

ომიკის გაჩერება შეუძლებელიც იქნება, ზოგადად, ადამიანის სიცოცხლისთვის. ამიტომ, სანამ ვაქცინას გამოიგონებენ და იმედი მაქვს, ეს რამდენიმე თვეში მოხდება, კაცობრიობას მოუწევს ამ ვირუსთან მაქსიმალურად შესაძლებელი სიფრთხილით თანაცხოვრება.

საქართველო, თავისი მიდგომით, დიდად არ განსხვავდება მსოფლიოს ქვეყნების უმეტესობისგან. ძალიან კარგი, რომ ადრე დაიჭირა თადარიგი სახელმწიფომ, ჯანდაცვის სისტემამ და თავიდან ავირიდეთ იტალიის და ესპანეთის კატასტროფული სცენარი. საქართველოს წარმატება ამ მხრივ მთელი მსოფლიოს მასშტაბით გახდა ცნობილი. სულ ახლახან ვნახე — ავსტრიის ჯანდაცვის მინისტრმაც აღნიშნა ეს. საგანგებო რეჟიმის დარღვევები ხდება, რასაც ყოველ დღე აცხადებენ, მაგრამ ამას არ აქვს ულტრა საგანგაშო ხასიათი, რადგან, ძირითადად, მოქალაქეები შეგნებულობას საკმაოდ იჩენენ. ჩემი თვალით ვუყურებ, როგორ იცავს ჩემს უბანში, პეკინსა თუ დოლიძეზე ხალხი წესრიგს აფთიაქებში თუ სასურსათო მაღაზიებში. დარწმუნებული ვარ, ასეთივე სიტუაციაა სხვაგანაც. იმედი მაქვს, რომ ეს საერთო ძალისხმევა ნაყოფს გამოიღებს და საქართველოში კორონავირუსი მალე დამარცხდება, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, ახალ ზელანდიაში. არ ვიცი, ეს პანდემია და თანმხლები განგაში ამაზე ახდენს თუ არა გავლენას, მაგრამ, მგონი, საზოგადოება მოქალაქეობრივად უფრო შეგნებული და სოლიდარული ხდება. ნათესაურ-მეგობრულ დონეზე სოლიდარობა ისედაც არ გვაკლდა, მაგრამ სამოქალაქო შეგნების და თითოეულისგან საკუთარი წილი პასუხისმგებლობის აღების მხრივ ბევრი სირთულე გვაქვს კიდევ გადასალახი და კარგი იქნება, თუ ისეთი მიდგომები, რასაც ახლა ცხადად ვამჩნევ, მარტო კრიზისის დასრულებამდე არ გასტანს. ევროპასთან მიახლოებაც ზუსტად რომ სამოქალაქო თვითშეგნების და სოლიდარობის გაღრმავებით უნდა მოხდეს.

— რამდენად გვსჯის უფალი? როგორია სხვადასხვა წრეებში გავრცელებული ამ კითხვის ფილოსოფიური ახსნა დღევანდელ მოცემულობაში?

— მინიმუმ წინასწარმეტყველი უნდა იყოს კაცი, რომ ამ კითხვას უპასუხოს. ქრისტიანული სწავლების მიხედვით, ღვთის ნების გარეშე ადამიანს „ერთი ღერი თმაც არ დავარდება“ — ეს ბიბლიური მეტაფორა გულისხმობს, რომ არანაირ შემთხვევითობას არ აქვს სამყაროში პიროვნულ ღმერთზე აღმატებული სტატუსი და რომ ღმერთი ყველა შემთხვევითობას მართავს თუ იყენებს ისე, როგორც სურს. ის, თუ რატომ უშვებს მაშინ ღმერთი ასეთ განსაცდელებს როგორც ინდივიდუალურ, ისე უფრო მასშტაბურ დონეზე, ინტერპრეტაციისთვის ძალიან ძნელია. შეიძლება საერთო განსაცდელმა უფრო სოლიდარული გახადოს კაცობრიობა, ნაკლებ ეგოისტური, ბუნების უფრო გამფრთხილებელი, მარადიულსა და წარუვალზე უფრო დაფიქრებული — არ გამოვრიცხავ, რომ ამგვარი განსაცდელის დაშვება განგებისაგან, ნაწილობრივ, მაინც ამით აიხსნებოდეს... მაგრამ ისევ, წინასწარმეტყველი არ ვარ, რომ რამე კონკრეტული მიზეზი ვთქვა და თეოდიციის ურთულეს და ბოლომდე ისედაც შეუცნობელ საკითხს ამ მოკლე საუბარში სათანადოდ შევეხო.

— თემას შევცვლი და გკითხავთ — როგორ ჩაერთეთ დისტანციური სწავლის პროცესში?

— ძალიან ნორმალურად. თავიდან მეხამუშებოდა ცოტა, მაგრამ უკვე შევეჩვიე და დავაგემოვნე კიდეც. ცხადია, უშუალო შეხვედრები სტუდენტებთან და მოსწავლეებთან ჯობს, მაგრამ როცა თანამედროვე ტექნოლოგიები გვაძლევს საშუალებას — პანდემიის დროს არ ჩავაგდოთ სასწავლო სეზონი, არაჩვეულებრივია. და ეს მაშინ, როცა ამ ზაფხულს, პირველად ჩემს ცხოვრებაში, ჩემი საყვარელი უიმბლდონიც არ ტარდება, ტოკიოს ოლიმპიადაც გადაიდო და მთელი მსოფლიო სპორტი გაჩერებულია.

— რას საქმიანობთ სახლში? რა სახის ინფორმაციას ეცნობით ან ამუშავებთ? ახალი დღის წესრიგი როგორია?

— ამ მხრივ არ მაქვს დიდი სირთულე. ისედაც, ძირითადად, სახლში ვმუშაობდი უნივერსიტეტის და სკოლის მერე. ახლა მეტიც კი მაქვს თავისუფალი დრო და ზოგიერთი გადადებული წიგნის წაკითხვის საშუალებაც მომეცა, რაც ძალი-

ან მიხარია. არაჩვეულებრივი იყო ამ ოთხი დღის მანძილზე მანქანებისგან თითქმის დაცლილ თბილისში ველოსიპედით სიარული. ცხადია, ასეთი ფრაგმენტული სიხარულები არ გადაწონის ჩემს სიხარულს იმის თაობაზე — გავიგო, რომ პანდემია მთელ მსოფლიოში დასრულდა.

ესაუბრა ნინო კაკულია

ყოფილა უფრო მძიმე პერიოდებიც და გადაუტანია უნივერსიტეტს...

გვესაუბრება ენათმეცნიერი გიორგი გოგოლაშვილი

— თუ ყოფილა უნივერსიტეტის ისტორიაში ისეთი მძიმე პერიოდი, როგორც ახლაა, ზოგადად? როდის იყო და როგორ შეხვდა მაშინ უნივერსიტეტი სირთულეებს?

— კარებში „კოვიდ 19“ ჩადგა და არ გვიშვებს უნივერსიტეტში. მძიმე ვითარებაა, მაგრამ იმის გათვალისწინება, რომ ეს საყოველთაო უბედურებაა ჩვენს ქვეყანასა თუ მთელ მსოფლიოში, მდგომარეობას ცოტა ამსუბუქებს — გავუძლებთ და ერთად გადავიტანთ, ღვთის ნებით!..

უნივერსიტეტის საუკუნოვან ისტორიას თუ გადავხედავთ, ჩემი აზრით, ყოფილა უფრო მძიმე პერიოდებიც და გადაუტანია უნივერსიტეტს... გავიხსენოთ:

1918 წლის აპრილი იყო. ბათუმში ოსმალები შემოვიდნენ; შეიქმნა საფრთხე, მტერი დედაქალაქშიც შემოვიდოდა... მთავრობამ ახლადგახსნილ უნივერსიტეტს მოუწოდა, შეეწყვიტათ ლექციების კითხვა, დაეკეტათ უნივერსიტეტი... ეს ფაქტობრივ ახლადფეხადგმული უნივერსიტეტის დახურვის ტოლფასი იყო... ხომ წარმოგიდგენიათ, უნივერსიტეტის მესვეურებისათვის რას ნიშნავდა ეს! 1918 წლის 3 აპრილს პროფესორთა საბჭო იღებს გადაწყვეტილებას: „უნივერსიტეტი არ დაიკეტოს და ლექციების კითხვა გაგრძელდეს. იმ სტუდენტებისა და მსმენელებისათვის, რომლებიც ომში

წავლენ, გამოტოვებული ლექციები განმეორებულ იქნეს... საშიშროების მოახლოების დროს პროფესორები უნივერსიტეტის შენობაში უნდა დარჩნენ და ხელი შეუწყონ მის დაცვას“... დადგენილებას ხელს აწერდნენ: პ. მელიქიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, კ. კეკელიძე, ფ. გოგიჩაიშვილი, ა. შანიძე, შ. ნუცუბიძე, გ. ახვლედიანი და ი. ყიფშიძე... დამეთანხმებით, წარმოსადგენადაც კი ძნელია, რას განიცდიდნენ იმჟამად ეს ერისკაცები... გადარჩა უნივერსიტეტი!..

უნივერსიტეტის არსებობის პირველი ათწლეულის ბოლოს ბოლშევიკებმა მიიტანეს იერიში უნივერსიტეტზე. რექტორი ივანე ჯავახიშვილი თედო ღლონტით ჩაანაცვლეს (თ. ღლონტი ხუთიოდე წლით ადრე სტუდენტად არ მიიღეს განათლების ცენზის უქონლობის გამო...); 1930 წელს უნივერსიტეტი დახურეს... საბედნიეროდ, სამი წლის შემდეგ ისევ გაიხსნა, მაგრამ უნივერსიტეტს ჩამოაშორეს ივანე ჯავახიშვილი, გრიგოლ წერეთელი, ვახტანგ კოტეტიშვილი, შალვა ნუცუბიძე, სიმონ ყაუხჩიშვილი... მძიმე პირობები შეუქმნეს აკაკი შანიძეს, გიორგი ახვლედიანს, არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ

გიორგი გოგოლაშვილი

თოფურიას და სხვა მრავალს... გადარჩა უნივერსიტეტი, თუმცა ამ ვითარებამ ძალიან მძიმე კვალი დატოვა...

მესამე უმძიმესი ვითარება უნივერსიტეტში თხუთმეტიოდე წლის წინათ შეიქმნა: 2006 წლის ივნის-ივლისში ლომაია-ხუბუას რეჟიმმა პოლიცია შემოიყვანა და ხელგადაგრეხილი პროფესორები უნივერსიტეტიდან გამორეკეს... ორი თვის განმავლობაში უნივერსიტეტი პოლიციის ალყაში იყო... როგორც ამბობენ, საუნივერსიტეტო ისტორიაში მსგავსი რამ 1939 წელს მოხდა: კრაკოვის უნივერსიტეტიდან ფაშისტებმა გამორეკეს პროფესორები... ჩვენს უნივერსიტეტში ამ ვითარებამ ათასობით პროფესორი შეიწირა...

ღვთის ნებით, დედაუნივერსიტეტს მისმა დამფუძნებლებმა ისეთი მყარი საფუძველი შეუქმნეს, ისეთი მადლი დაადევნეს, ასეთი ძნელბედობები ვერაფერს დააკლებს... პრობლემები კი იქმნება...

— უნივერსიტეტი ამჟამად პანდემიის გამო დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა. როგორ ჩაერთეთ პროცესში?

— დისტანციური მუშაობა შექმნილ ვითარებაში კარგი გამოსავალია... ფაქტობრივ, აკადემიური წელი გადარჩა... მე ენათმეცნიერი ვარ, გრამატიკოსი და, ცხადია, ჩემთვის სააუდიტორიო მუშაობას სხვა მნიშვნელობა აქვს; სტუდენტს თვალებში რომ უყურებ, იგებს შენს საუბარს თუ ვერა და, შესაბამისად, რომ ცდილობ მსჯელობა შეატრიალო, სხვაგვარად ააგო, რომ საკითხის არსი უფრო ნათლად დაანახო, ის სხვაა... მაგრამ, როგორც გიჭირდეს, ისე გილხინდესო…

— გამოთავისუფლებულ დიდ დროს რას უთმობთ? რას საქმიანობთ? რას კითხულობთ? რა სახის ინფორმაციას ეცნობით?

— გამოთავისუფლებული დრო... ილიამ თქვა, საქმეა მარტოკაცის ამხანაგიო... არ ვიქნები ორიგინალური, თუ ვიტყვი, რომ წიგნების სამყაროში მარტოობა ვერ დაჩაგრავს კაცს... ცხადია, ინფორმაციის მოძიება-მიღებას დიდი დრო მიაქვს... ყველაფერი გვაინტერესებს, რაც ამ კორონას ეხება... არაა იოლი ამ ზღვა მასალაში გარკვევა... არადა საჭიროა თვითდამშვიდებისათვის, სხვათა ნუგეშისათვის... სხვათაშორის,

ბევრი სამეცნიერო თუ არასამეცნიერო ლიტერატურა დაგროვდა, რომლის არწაკითხვა ხშირად უხერხულ მდგომარეობაში გვაგდებდა... „სახლში დარჩენა“ კარგია ამ მხრივ... რას ვაკეთებ? — დიდი ხანია მაინტერესებდა კლასიკოსთა პიროვნული ურთიერთობები; ბევრი მასალა დაგროვდა ილიას, აკაკისა და იაკობის ურთიერთობებზე — ლეგენდა თუ სინამდვილე, ტყუილი თუ მართალი... თავი მოვუყარე და ერთ წიგნად ვაქციე... ვფიქრობ, საინტერესო მასალაა... წიგნი სასტამბოდ მზადაა, როგორც იტყვიან... კარგა ხანია, მაგისტრანტებთან ვკითხულობ კურსს — „ენა და მწერალი“. გასულ წელს გამოვეცი სამი მონაკვეთი წიგნაკებად — დავით კლდიაშვილის, მუხრან მაჭავარიანისა და ანა კალანდაძის შესახებ... წლის ბოლოსთვის ვგეგმავდი ვაჟა-ფშაველას შესახებ მეოთხე მონაკვეთის დასრულებას... როგორც ჩანს, კორონავირუსმა დამაჩქარებინა ეს წიგნი... ერთ თვეში, ალბათ, დავასრულებ... იმედია, ყველაფერი კარგად იქნება...

— რა ლიტერატურის გაცნობას გვირჩევდით სახლის პირობებში?

რის წაკითხვას ვურჩევდი? — რომ ვთქვა, „ვეფხისტყაოსნის“ წაკითხვას-თქო, ხუმრობაში ჩამითვლით? არადა, სახუმაროდ საქმე ნამდვილად არ გვაქვს: რუსთაველის საზოგადოებამ კვლევა ჩაატარა — როგორ ვიცნობთ „ვეფხისტყაოსანს“; მძიმე შედეგი აჩვენა ამ კვლევამ... ამიტომ ვამბობ ღიმილით — წაიკითხეთ „ვეფხისტყაოსანი“; თუ დრო მოგრჩეთ, ილია, აკაკი და ვაჟაც მიაყოლეთ... ნამდვილად კარგია... თუმცა ერთი სამწუხარო რეალობაცაა: დღეს მკითხველსა და წიგნს შორის ტელევიზია და ინტერნეტი ჩადგა... არ მიმაჩნია ეს სასიკეთო ფაქტად...

— რა მოგიტანათ დადებითი სახლში გამოკეტვამ? ვირუსის გავრცელებას თუ მოყვა რაიმე პოზიტივი?

— ერთი ძალიან მნიშვნელოვანი შედეგი შექმნილი ვითარებისა: საუბედუროდ ჩვენდა, ამ საუკუნის დასაწყისში ჩვენში პროფესიონალიზმი და გამოცდილება მასხრად აიგდეს... დღევანდელი ხელისუფლების ერთი დიდი დამსახურება ისაა, რომ იგი ამ უჩინარ ბოროტებასთან ბრძოლაში ენდობა, უს-

მენს და უჯერებს პროფესიონალებს, დიდი გამოცდილების მქონე ადამიანებს... აი, ეს გაგვამარჯვებინებს! სხვათაშორის, წინა ხელისუფლების დამარცხებაში პროფესიონალიზმისა და გამოცდილებისადმი მათმა უარყოფითმა დამოკიდებულებამაც შეიტანა წვლილი... დიახ, ერთი პოზიტიური შედეგი ამ ვირუსის გავრცელებისა ესეც არის ჩვენში... არ იქნება ურიგო, თუ ამ გამოცდილებას ჩვენს უნივერსიტეტშიც გავუწევთ ანგარიშს. ვიმეორებ, დადებითი შედეგები პროფესიონალიზმისა და გამოცდილების დაფასებას მოაქვს...

— „კოვიდ-19“-ის პერიოდი და თსუ“ — ამ თემაზე ვაპირებთ ბროშურის გამოცემას. რამდენად საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს ეს პერიოდი მომავალი თაობისთვის ისტორიულად?

— მე ასე წარმომიდგენია: თქვენ მიერ ჩაფიქრებულმა ბროშურამ მომავალ თაობებს უნდა დაანახოს ერთი მთავარი რამ: საუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ჩვენს უნივერსიტეტს ჰქონია ძნელბედობის ჟამი, მაგრამ საერთო ძალისხმევას, თავდადებას გაუმარჯვია... ამგვარმა გამოცემამ რწმენა უნდა შემატოს სტუდენტსაც და ლექტორსაც... დღევანდელი თავდადება სახვალიო მაგალითად უნდა იქცეს!...

— პასუხისმგებლობა და სოლიდარობა — როგორ ეხმაურებით ამ თემას ვირუსით გამოწვეულ რეალობაში?

— სახლში გამოკეტვამ ის დაგვანახა, რომ სხვისი ჭირიც ჩვენი ჭირია; შეგვახსენა, (გაგვათავისებინა) ის აზრი — სახლში უნდა დავრჩეთ არა იმიტომ, რომ ჩვენს თავს გავუფრთხილდეთ, არამედ მოყვასზე ვიფიქროთ, სხვას გავუფრთხილდეთ... დაგვაფიქრა საზოგადოებაზე; მე მგონი ადრე ასე არ ვფიქრობდით სხვაზე: წარმოიდგინეთ, არ ვიცნობთ ადამიანებს და მტკივნეულად განვიცდით ყოველ ახალ დაინფიცირებულს, მითუმეტეს, ყოველ გარდაცვლილს... ბედნიერებად მიგვაჩნია ყოველი ახალი გამოჯანმრთელებული... და არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში... ადრე არ იყო ასე... გაჭირვებამ დაგვაფიქრა ერთმანეთზე, შეგვაყვარა ერთმანეთი... იმედია, ჩაივლის ეს კორონა და ეს სიყვარული შეგვრჩება...

ესაუბრა ნინო კაკულია

ფსიქოლოგების დახმარება პანდემიის დამთავრების შემდეგ უფრო გახდება საჭირო

გვესაუბრება თსუ-ის პროფესორი რევაზ ჯორბენაძე

— პანდემიამ აჩვენა, რომ გამოკვეთილი ფსიქოლოგიური პრობლემების ფონზე საზოგადოება თავს იკავებს — მოითხოვოს საჭირო დახმარება. რა უნდა გააკეთონ ფსიქოლოგებმა იმისთვის, რომ არსებული სტიგმა მოიხსნას?

— „კოვიდ-19“-ის გავრცელებამ მთელი მსოფლიო უჩვეულო მდგომარეობაში ჩააყენა. მთავარი ისაა, რომ ადამიანს არ შესწევს ძალა, ჯერჯერობით მას გაუმკლავდეს, თუმცა ყველა ცდილობს დაუპირისპირდეს უხილავ მტერს, შეჰყურებს მეცნიერებს და ელის წამალს, რომელიც კაცობრიობას გადაარჩენს. ძირითადად მედიკოსები აქტიურობენ. ასეთ დროს, ერთი მხრივ, ადამიანი ფიქრობს ფიზიკურ გადარჩენაზე და საკუთარი საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე, მეორე მხრივ კი – არსებობს სულიერება, რომელსაც ასევე აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება.

პანდემიამ ადამიანთა ცხოვრებისეული ჩვეული რიტმი დაარღვია და ახალ პირობებში ჩააყენა, რასაც ემატება თანამოძმეთა და ახლობელთა გარდაცვალება. ყოველივე ეს მოქმედებს ჩვენზე. ჩვენ, როგორც რეზერვუარი, ვინახავთ ამ სახის სტრესორებს და შეცვლილ გარემოზე შეგუებას ვცდილობთ. ამ ფონზე ზოგიერთს შეუძლია გაუმკლავდეს ასეთ მდგომარეობას, ზოგი სხვადასხვა მეთოდებით ცდილობს თვითდახმარებას, ზოგიც კი ვერ იკავებს თავს და შფოთვის ტყვეობაშია. ტრავმირებულ მდგომარეობას მეტი და მეტი შრე ემატება. საბოლოოდ მივიღებთ იმას, რომ პანდემიის მოხსნის ან ცუდი სცენარის განვითარების შემთხვევაში (მისი გაგრძელების დროს) ადამიანთა უმეტესობა მძიმე სულიერი კრიზისის მსხვერპლი გახდება. ასეთ სიტუაციაში ყველაზე მოწყვლადები იქნებიან „კოვიდ-19“-გადატანილი პირები და მათი ახლობლები; მეორე კატეგორიაში შევლენ ის ადამიანები, რომლებსაც ასაკოვან ადამიანებთან უწევთ ყოველღიური კავშირი; მესამე კატეგორიაა — ვისაც ბავშვე-

რევაზ ჯორბენაძე

ბი ჰყავს ოჯახში (ბავშვთა პრობლემების გამოჩენა); მეოთხე კატეგორიაში გაერთიანდება ის, ვისაც სიახლოვეს ჰყავს ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე და განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები; მეხუთე კატეგორიაში გაერთიანდებიან ის ადამიანები, რომლებმაც უჩვეულო სიმპტომები აღმოაჩინეს საკუთარ თავში; მეექვსე კატეგორიაში შევლენ ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი; მეშვიდე კატეგორიაში კი გაერთიანდებიან ისინი, ვინც საკუთარ პერსპექტივას ვერ დაინახავს ცხოვრებაში და სასოწარკვეთა დაეუფლება (შვიდივე კატეგორიას შეიძლება სხვა ტიპის გართულებებიც დაემატოს). მიმაჩნია, რომ მათ დასახმარებლად ფსიქოლოგები, ფსიქიატრები, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებთან მომუშავეები და სოციალური მუშაკები იმუშავებენ.

საქართველოში დღეისათვის არსებობს საკონსულტაციო ფირმები, ორგანიზაციები და, რამდენადაც ვიცი, ბევრი მათგანი უკვე წარმატებით მუშაობს მოსახლეობასთან. მიმაჩნია, რომ მათი მუშაობა დროულია, მაგრამ ძირითადი საქმე, ვფიქრობ, პანდემიის დამთავრების შემდეგ იქნება განსა-

ხორციელებელი. ამ შემთხვევაში ფსიქოლოგიურმა და ფსიქიატრიულმა კონსულტაციებმა ფართო მასშტაბი უნდა შეიძინოს. კონსულტაციისთვის მზა რეცეპტებს ვერ მივიღებთ, მაგრამ მუშაობა აუცილებლად კომპეტენტურმა ადამიანებმა უნდა წარმართონ. კარგი იქნება, თუ გავრცელდება ინფორმაცია, რომელშიც აღწერილი იქნება მეთოდები, რომელიც თვითრეგულაციასაც შეუწყობს ხელს, რადგან ბევრია ისეთი ადამიანი, რომელსაც ძალუძს გაუმკლავდეს სტრესულ სიტუაციებს. რაც შეეხება სულიერ ტრავმირებას, ჩვენ ვერ ავცდებით მას, მაგრამ დღეისათვის საჭიროა ვისწავლოთ მასთან გამკლავება.

— რამდენადაც ცნობილი ხდება, იკვეთება ოჯახში დაპირისპირების მაგალითები სახლში გამოკეტვის პირობებში. ვინ და როგორ უნდა უშველოს ამ პრობლემას?

— ოჯახში დაპირისპირებები, ძალადობა, შექმნილი პირობების შემთხვევაში მატულობს, რადგან უმეტესობა ჩაკეტილია მცირე მოცულობის სივრცეში. ადამიანის სივრცობრივი ორიენტირება მოითხოვს სხვადასხვა სივრცეებში ყოფნას, რაც ადამიანის ნორმალურ მდგომარეობას წარმოადგენს. შეზღუდული სივრცის პირობებში, ადამიანებს შორის ურთიერთობა იცვლება და, უმეტეს შემთხვევაში, ან დაქვემდებარებული ხდება, ან იწვევს მარტოობის განცდას. პირველ შემთხვევაში, თუ ურთიერთგაგებაა, სიტუაცია კონტროლირებადი ხდება და ერთობლივად მიისწრაფვიან პრობლემის გადასაჭრელად. იმ შემთხვევაში, თუ ვინმე „განტევების ვაცის“ როლშია, ბუნებრივია, მასზეა მიმართული აგრესია. ძალადობის მსხვერპლი ჩაკეტილ სივრცეშია და ასეთ შემთხვევაში მას მოძალადე, როგორც ხაფანგში გაბმულ მსხვერპლს, აღიქვამს. ძალადობის ინტენსივობა ასეთ შემთხვევაში მაღალია. ოჯახში დაპირისპირება ჩვეული ქმედება ხდება. ასეთი სიტუაცია კარანტინის პირობებში ყველაზე მძიმეა. აქ გადარჩენის ერთადერთ საშუალებად უნდა იქცეს ისეთი სახის დახმარება, როდესაც აგრესორის ჩამოშორება მოხდება მსხვერპლიდან. თუ უმძიმესი სიტუაციაა და თუ იზოლაცია ვერ ხერხდება, ეს უნდა გაკეთდეს საკუთარი ძალებით ან

სპეც სამსახურების საშუალებით. ერთია, რომ მსხვერპლი საჭიროებს დახმარებას და ამისთვის სახელმწიფოს მხრიდან შესაბამისი სამსახურები უნდა მუშაობდნენ. რაც შეეხება მარტოობის განცდას, რომელიც შეიძლება ოჯახური ძალადობის ფონზე გაიშალოს, წარმოადგენს ისეთ მდგომარეობას, რომელსაც, შესაძლოა, ვერ გაუძლოს ადამიანმა. სუიციდის საშიშროება ასეთი განცდების დროს მოჭარბებულად არსებობს. ტელევიზიით მეტი ინფორმაციაა გასავრცელებელი, თუ როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, როცა ის ძალადობის მსხვერპლად გრძნობს თავს.

— თქვენ რას საქმიანობთ რუტინის პირობებში?

— ძირითადად ელექტრონული ტექნიკის საშუალებით ვაგრძელებ მუშაობას – ვმონაწილეობ სხვადასხვა შეხვედრაში, ვესწრები ტრენინგებს, მიმოწერა მაქვს თანამშრომლებთან (სხვადასხვა მიმდინარე საკითხზე) და სტუდენტებთნ. მთავარი ისაა, რომ ელექტრონულად ვასწავლი. დანარჩენი პერიოდი ეთმობა ოჯახს. ასეთი პირობები ძალზედ რთული აღმოჩნდა, რადგან ბევრ ახალ საქმეზე პასუხისმგებლობის აღება მომიწია, ვიდრე ჩვეულ პირობებში მქონდა. შრომის გადანაწილების სიტუაცია ნელ-ნელა კონტროლირებადი ხდება. ოჯახში ვახალისებთ ერთმანეთს. მე და ჩემი მეუღლე ვცდილობთ, დავძლიოთ სხვადასხვა სტრესული სიტუაცია





და ბავშვებს გადავატანინოთ შექმნილი პირობებით გამოწვეული ღელვა. რეალურად რუტინა ძნელი გადასატანია ჩემთვის, რადგან ექსტრავერტი ვარ.

— რას ნიშნავს თქვენთვის სოლიდარობა და პასუხისმგებლობა ამ რთულ დროს?

— დავიწყებ პასუხისმგებლობით. პასუხისმგებელი უნდა იყო პირადად იმ მოთხოვნების მიმართ, რომელიც შემოგვთავაზეს ექიმებმა — დავიცვათ საკუთარი თავი და ჩვენს ირგვლივ მყოფნი. ამჟამად ამ მოთხოვნებს ვასრულებ. ვასრულებ პასუხისმგებლობით, მაგრამ ვხედავ, რომ ბევრმა ვერ გააცნობიერა, თუ რა საშიშროებაა ჩვენს ირგვლივ. ის პასუხისმგებლობა, რაც ადრე მქონდა, კვლავ გამაჩნია და ეხება ჩემს ყველა საქმიანობას. სოლიდარობას რაც შეეხება, შესაძლებლობების ფარგლებში ვახორციელებ. სოლიდარული ვარ იმ ადამიანებისა, რომლებსაც უჭირთ, საჭიროებენ დახმარებას და, საერთოდ, იმათ მიმართ, ვინც მსგავს სიტუაციაშია. ეს ეხება არა მარტო ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, არამედ იმათაც, ვინც დაიჩაგრა მთელს მსოფლიოში.

— „კოვიდ-19“-ის პერიოდი და თსუ" — ასეთი ბროშურა რამდენად საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს მომავალი თაობისთვის?

— საინტერესო იქნება. მთავარია კლასტერი არ გაჩნდეს. მასში ასახული უნდა იყოს ყველა თანამშრომლის რუტინა, დაწყებული დამლაგებლიდან, დამთავრებული რექტორის სამუშაო საქმიანობების აღწერით.

ესაუბრა მაია ტორაძე

რას სთავაზობს მოსწავლეებს, აბიტურიენტებს და ზრდასრულებს თსუ-ის უწყვეტი განათლების ცენტრი ახალ რეალობაში

კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ განათლების სისტემა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. სასწავლო აუდიტორიასა და საკლასო ოთახს მიღმა დარჩენილი მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის განათლების მიღების უწყვეტი პროცესის უზრუნველსაყოფად სისტემა დისტანციური სწავლების რეჟიმზე გადავიდა. თუ როგორ ართმევს თავს თსუ უწყვეტი განათლების ცენტრი შექმნილ მდგომარეობას, ამაზე გვესაუბრება თსუ უწყვეტი განათლების ცენტრის ხელმძღვანელი გია მამულაშვილი:

— როგორ მუშაობს ახალ რეალობაში თსუ-ის უწყვეტი განათლების ცენტრი?

— მსოფლიოს ახალმა დღის წესრიგმა თსუ-ის უწყვეტი განათლების ცენტრს ბიძგი მისცა მუშაობის ფორმატი სრულად დისტანციური გაეხადა. საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებას დაემთხვა საერთო სამაგისტრო გამოცდებისათვის მოსამზადებელ კურსებზე მსურველთა რეგისტრაციის პერიოდი და ეს პროცესი მთლიანად დისტანციურად წარვმართეთ. ვეცადეთ, მსურველებისთვის რეგისტრაცია მაქსიმალურად გაგვემარტივებინა. მაგისტრანტებს ხელშეკრულებები ელექტრონულად შევავსებინეთ და ჩვენვე მოვიძიეთ რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტები. ამჟამად ამ კურსებზე სწავლა უკვე დაწყებულია. ონლაინ გაკვეთილების ჩასატარებლად ვიყენებთ სასწავლო პლატფორმა Zoom-ს. მისი მეშვეობით შესაძლებლობა გვაქვს ლაივ რეჟიმში ვიყოთ ჩართული გაკვეთილის მსვლელობაში, ვიმუშაოთ წყვილებში ან ჯგუფში, დავსვათ კითხვები, გვქონდეს კომუნიკაცია მოსწავლეებთან და კოლეგებთან.

გარდა ამისა, დისტანციურად დავასრულეთ საგანგებო მდგომარების გამოცხადებამდე დაწყებული სასერტიფიკატო კურსები სურსათის უვნებლობის მიმართულებით. ამ

ეტაპზე დისტანციურად უკვე ჩატარებულია ტრენერების ტრენინგი დამწყებთათვის, მიმდინარეობს რეგისტრაცია მასწავლებელთა გამოცდისათვის მოსამზადებელ კურსზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

ვემზადებით სხვა კურსების დისტანციურად ჩასატარებლადაც. ჩვენს რეალობაში დისტანციური სწავლება ახალი გამოწვევაა, როგორც მასწავლებლებისა და ტრენერებისათვის, ასევე მსმენელებისთვისაც. ვცდილობთ, ჩვენს ტრენერებს სათანადო მხარდაჭერა აღმოვუჩინოთ ტექნიკურ და მეთოდოლოგიურ საკითხებში და ჩვენი კურსების ნაწილი მაინც გადავაწყოთ დისტანციური სწავლების ფორმატზე, სადაც ამის შესაძლებლობას თავად კურსის სპეციფიკა გვაძლევს.

ონლაინ გრძელდება აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსებიც, რომლებიც, ფაქტობრივად, არც შეგვიჩერებია.

— პანდემიის პირობებში როგორ გესახებათ, ზოგადად, განათლების გადაცემის და მიღების უწყვეტობა?

— საქართველოსნაირი ქვეყნების განათლების სისტემისთვის ეს ვითარება საკმაოდ დიდი გამოწვევაა, სადაც დის-

გია მამულაშვილი

ტანციური სწავლების მიმართულებით არც თუ დიდი გამოცდილება გვაქვს. უფრო მეტიც, ხშირად ტერმინოლოგიის დონეზეც კი ერთმანეთში ვურევთ დისტანციურ, ელექტრონულ, ონლაინ სწავლებას. ყველაფრის დასალაგებლად დრო, კარგად გააზრებული კომპლექსური, სქემატური, მოქნილი მიდგომების შემუშავებაა საჭირო, ასევე, მასწავლებელთა გადამზადება მეთოდოლოგიებში. ფორსმაჟორულ სიტუაციაში აღმოვჩნდით და ახლა სწრაფი რეაგირებაა ერთადერთი გამოსავალი. მიდგომები შეიძლება იყოს დიფერენცირებული სწავლების სხვადასვა ფორმისთვის. ასევე, განსხვავებულია გამოწვევებიც. უშუალოდ ჩვენს ცენტრზე თუ ვისაუბრებთ, აუცილებლად უნდა გამოვყოთ სამიზნე აუდიტორიის სამი სეგმენტი: მოსწავლეები, აბიტურიენტები და ზრდასრულები. სამივე მათგანთან განსხვავებული მიდგომებისა და მეთოდების შემუშავებაა საჭირო მათი ასაკის, სოციალური სტატუსის, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის და ა.შ. გათვალისწინებით.

სკოლის ასაკის მსმენელებთან მუშაობს ჩვენი „საბავშვო უნივერსიტეტი“. საბავშვო უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული აქტივობები უფასოა და ამ ვითარებაში კარგი საშუალებაა მოსწავლეებისათვის დამატებითი სტიმულის მისაცემად, ასევე, მშობლების დასახმარებლად, რომ შინ გამოკეტილი ბავშვები საინტერესო აქტივობებში ჩართონ.

ადრეულ ეტაპზე გატარებული ღონისძიებების შედეგად, ჩვენ მოვახერხეთ და სემესტრის დასაწყისშივე შევთავაზეთ მოსწავლეებს ის პროექტები, რომლებში ჩართვის სურვილსაც ისინი ჯერ კიდევ თებერვლის თვეში აფიქსირებდნენ. პირველი, რაც განვახორციელეთ, იყო „საგაზაფხულო სკოლა" უფროსკლასელთათვის, მოვახერხეთ და სიტუაციის დამძიმებამდე ჩავწერეთ არაერთი ვიდეო ლექცია, რომელიც ჩვენი სოციალური მედიის საშუალებით სრულად ხელმისაწვდომი გახდა ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო აბიტურიენტთათვის შეგვეთავაზებინა დისტანციური კონსულტაცია, რომლითაც არაერთმა მოსწავლემ ისარგებლა და დღესაც სარგებლობს. ინ-

დივიდუალური ჩართვით მათ მიიღეს ინფორმაცია ერთიანი ეროვნული გამოცდების რეგისტრაციის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მისი ფაკულტეტებისა და პროგრამების, სტუდენტური ცხოვრების და იმ რეალობის შესახებ, რომელიც ელით ცხოვრების შემდგომ ეტაპზე. ამ შეთავაზების ვადები განუსაზღვრელია და ნებისმიერ დროს შეუძლია დაინტერესებულმა პირმა ამ სერვისით ისარგებლოს.

ჩვენ წლების განმავლობაში ვატარებდით ყველასთვის კარგად ნაცნობ პროექტს — „თსუ დესპანი". შექმნილმა სიტუაციამ მოგვცა ინსპირაცია — პროექტს ფორმატი შეეცვალა და დღეს პროგრამა „online Envoy" აქტიურ ფაზაშია. 200-ზე მეტი მოხალისე სტუდენტი დესპანი დისტანციურად უზიარებს აბიტურიენტებსა და უფროსკლასელებს მათთვის საჭირო და საინტერესო ინფორმაციას.

თსუ საბავშვო უნივერსიტეტი დაინტერესებულია — ეს პერიოდი ნებისმიერი კლასის მოსწავლისთვის საინტერესო, შემეცნებითი, მრავალფეროვანი და სიახლეებით სავსე იყოს. სწორედ ამიტომ, ჩვენ დავიწყეთ სამი ახალი პროექტი: გამოწვევა-კონკურსი — „ზღაპრის ტრანსფორმაცია", მათემატიკური კონკურსი — „4X4 ამოცანა და კიდევ ცოტა მეტი" და სტატიების კონკურსი — „პლანეტა პანდემიის შემდეგ".

დაბოლოს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს „საბავშვო უნივერსიტეტის" youtobe-გვერდთან დაკავშირებით, სადაც აქტიურად ვტვირთავთ ყველასთვის საინტერესო და გამოსადეგ ვიდეოებს — ეს ეხება როგორც აბიტურიენტებს (თსუ-ის ფაკულტეტების დეტალური მიმოხილვა), ასევე, ნებისმიერი ასაკის მოსწავლეებს. ამ გვერდზე შეხვდებით როგორც საუბრებს ლიტერატურაზე, აგრეთვე, დისტანციურ ტერენინგ-კურსებსაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ თსუ-ის საბავშვო უნივერსიტეტის ამ პროექტებში ჩართულია არა მხოლოდ დედაქალაქის სკოლების მოსწავლეები, არამედ მთელი საქართველოს მოზარდები. გამოვყოფდი ქალაქ ფოთის საჯარო სკოლებთან აქტიურ თანამშრომლობას, რომელსაც მერიასთან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად ვახორციელებთ.

შეიძლება ითქვას, რომ არსებული სამომავლო გამოწვევების გათვალისწინებით, ყველაზე მოტივირებულები აბიტურიენტები და საერთო სამაგისტრო გამოცდისათვის მოსამზადებელი კურსების სტუდენტები არიან. ეს თაობა კი საკმაოდ ადაპტირებულია საინფორმაციო ტექნოლოგიებთან.

შედარებით რთულია და კომპლექსურ მიდგომებს საჭიროებს ზრდასრულთა სეგმენტი. მათთვის დისტანციური სწავლების ფორმების შეთავაზებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მრავალი სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინება. ზრდასრულთა დიდ ნაწილს არ აქვს ონლაინ სწავლებისთვის საჭირო ტექნიკური უნარები. ბევრი მათგანი შინ, მცირეწლოვან შვილებთან ერთად აღმოჩნდა გამოკეტილი და მობილიზება უჭირთ ამ მიმართულებით. ბევრი შეიძლება ფლობს კიდეც ონლაინ სწავლების უნარებს, მაგრამ ოჯახში არ აქვთ საკმარისი ტექნიკა, რომ განათლების მიღება დისტანციურად შეძლონ. ამიტომ, საჭიროების შემთხვევაში, ზრდასრულთათვის მაქსიმალურად მოქნილი ონლაინ გარემოს შექმნაა აუცილებელი შესაბამისი ინსტრუქციებისა და მხარდაჭერის გათვალისწინებით. ცხადია, ამ სეგმენტში იგულისხმება მასწავლებლები, ინსტრუქტორები და ტრენერებიც.

— თსუ-ის უწყვეტი განათლების ცენტრს რა ინიციატივები აქვს სამომავლოდ?

— გარდა იმისა, რომ ჩვენი კურსების ნაწილს დისტანციური სწავლების ფორმატზე გადავაწყობთ და ისე შევთავაზებთ დაინტერესებულ მსმენელებს, ვგეგმავთ ახალი, აქტუალური კურსების შექმნასა და შეთავაზებასაც.

ზრდასრულთათვის სხვადასხვა თემაზე ვამზადებთ მცირე ზომის, საგანმანათლებლო ბლოგის ტიპის ჩანაწერების, პრეზენტაციების, ვიდეოების სერიას, რომელთა ნაწილი ჩვენი არსებული კურსებიდანაც იქნება აღებული და მათზე წვდომა სრულიად უსასყიდლოდაა შესაძლებელი.

ესაუბრა თამარ დადიანი

ეპიდემიურ დაავადებებთან ქცევის წესები ქართულ ეთნოგრაფიულ პრაქტიკაში

გვესაუბრება თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ეთნოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პროფესორი ***ქეთევან ხუციშვილი***

— ბუნებრივია, ყოველ საზოგადოებას აქვს დაავადებებთან შეხების გამოცდილება, შესაბამისად ყალიბდება შეხედულებები ჯანმრთელობისა და ავადმყოფობის არსის, დაავადებების წარმოშობისა და მათგან თავის დაცვის ხერხების შესახებ. ქართულ ეთნოგრაფიულ პრაქტიკაში დასტურდება სხვადასხვა დაავადებების მოვლისა და პრევენციის მრავალფეროვანი პრაქტიკა.

დაავადებათა სახეები ადამიანთა საზოგადოების ფიზიკურ-ფიზიოლოგიური მონაცემების გარდა დამოკიდებულია გეოგრაფიულ გარემოზე, კვების სისტემაზე, კონკრეტულ სოციალურ ჯგუფში არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე და სხვა სოციო-კულტურულ მახასიათებლებზე. ამასთან, დაავადებებთან გამკლავების ფორმებს ისიც განსაზღვრავს, თუ როგორ ესმით ადამიანებს დაავადების არსი

ქეთევან ხუციშვილი

და მისი გაჩენის მიზეზები. უძველესი დროიდან ყალიბდება დაავადებებთან დაკავშირებული ემპირიულ-რაციონალური და მაგიურ-რელიგიური პრაქტიკები. ემპირიულ-რაციონალური მიდგომები ყოფით გამოცდილებას, საცხოვრებელი გარემოსა და ადამიანის ფიზიკური აგებულების ცოდნას ემყარება. მაგიურ-რელიგიური პრაქტიკა კი გულისხმობს დაავადებების გამომწვევი მიზეზების ტრანსცენდენტურ ახსნას და შესაბამისი რიტუალური პრაქტიკის გამოყენებას. ქართულ სინამდვილეში ორივე მიდგომა ერთობლივად გამოიყენებოდა.

ქართული საზოგადოება უძველესი დროიდან იცნობს მკურნალობის სხვადასხვა ხერხებს, არქეოლოგიური აღმოჩენებიც მოწმობს სამედიცინო ცოდნის არსებობას (ბრინჯაოს ხანიდან გვხვდება ტრეპანირებული თავის ქალები, ნაპოვნია სამედიცინო იარაღები და სხვ.), ამას გარდა ცნობები ხალხური სამედიცინო ცოდნის და პრაქტიკის შესახებ გვხვდება ფოლკლორში და წერილობით წყაროებში. XI საუკუნიდან შემორჩენილია ხელნაწერი სამედიცინო წიგნები — კარაბადინები, რომლებიც დიდ ინფორმაციას მოიცავს როგორც სამკურნალო ხერხებისა და საშუალებების, ასევე, ავადმყოფობის არსის შესახებ. ამ მასალის ეთნოგრაფიულ მონაცემებთან შეჯერების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ქართველები იცნობდნენ და აჯგუფებდნენ სხვადასხვა დაავადებებს მათი მახასიათებლების მიხედვით, ასევე, იცნობდნენ ამ დაავადებებთან ბრძოლის მთელ რიგ ხერხებს. დაავადებათა დაჯგუფება უპირატესად ხდებოდა ავადმყოფობის ფორმის, დაავადების თვისებებისა და დაზიანებული სხეულის ნაწილების სახელების მიხედვით. იცნობდნენ გადამდებ (კონტაგიოზურ), მოარულ (ეპიდემიურ), სახად (იმუნიტეტის გამომუშავების უნარის მქონე) და მემკვიდრეობით დაავადებებს. განასხვავებდნენ დაავადებათა გავრცელების ფორმებსაც — „ნაპირალი“ (წვეთოვანი), „პირის ორთქლით“ (ჰაერ-წვეთოვანი) და „ჰაერით“ (ჰაეროვანი). არსებობდა წარმოდგენები დაავადების გამომწვევი ცოცხალი ორგანიზმების („ჭიების“) შესახებაც. შესაბამისად ყალიბდე-

ბოდა მკურნალობის ან დაავადების თავიდან აცილების მიდგომები.

ხალხური სამედიცინო ცოდნა და პრაქტიკა საფუძვლიანად არის შესწავლილი ქართულ ეთნოლოგიაში, კვლევები ამ მიმართულებით დღესაც მიმდინარეობს. აღსანიშნავია ქალბატონ ნინო მინდაძის და მისი მოწაფეების წვლილი ხალხური მედიცინის კვლევის საქმეში. არსებობს ფუნდამენტური ნაშრომები და კონკრეტული საკითხებისადმი მიძღვნილი კვლევები, რომელთა ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ბევრი ტრადიციული პრაქტიკა საკმაოდ პრაგმატული საფუძვლის მქონე იყო და დღესაც ეპიდემიებისა თუ ცალკეული დაავადებების პრევენცია-მკურნალობის სტრატეგია-ტაქტიკის ნაწილია.

დაავადებების, განსაკუთრებით ინფექციური დაავადებების გავრცელების, ეპიდემიების საფრთხეები ყოველთვის არსებობდა, მითუმეტეს, სხვადასხვა ეპოქაში ჰიგიენის არსის განსხვავებულად აღქმისა და შესაბამისი ჩვევებისა თუ სტერეოტიპების არსებობის პირობებში. გამონაკლისი არც საქართველო იყო. პერიოდულად ვრცელდებოდა ეპიდემიები (ისეთი დაავადებებისა, როგორიცაა ტიფი, დეზინტერია, ციმბირის წყლული, ყვავილი, ქოლერა, შავი ჭირი). დიდი მასშტაბის ეპიდემიების თავიდან აცილების მიზნით, პირველყოვლისა, მიმართავდნენ ავადმყოფის იზოლირების წესს (იზოლირებას ახდენდნენ ან საკუთარ სახლშივე ან სახლის გარეთ). შუა საუკუნეების ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში არის რეკომენდაციები, რომ გადამდები დაავადების მქონე ავადმყოფის სიახლოვეს არ გაჩერდნენ; არ დაიძინონ იმავე ოთაში, სადაც მოთავსებულია ავადმყოფი; არ მიიღონ საკვები ავადმყოფთან ერთად; არც საერთო ჭურჭელი გამოიყენონ. იცოდნენ ავადმყოფის სახლის ნარ-ეკლით მორთვა — ავადმყოფობა გარეთ არ გავიდესო. თუ დაავადება უბანში ან სოფელში იყო გავრცელებული, ამ ტერიტორიას ხნულით გამოყოფდნენ, რათა გამვლელები მორიდებოდნენ. იცოდნენ ავადმყოფის გახიზვნაც. ხევსურეთში დასტურდება წესი განსაკუთრებით მძიმე გადამდები დაავადების შემთხვევაში

ავადმყოფისთვის სპეციალური ქოხის აგებისა სოფლის გარეთ. იზოლირებულ ავადმყოფს საკვებსა და სასმელს ისე აწვდიდნენ, რომ ქოხში არ შევიდოდნენ, ხოლო თუ ავადმყოფი ზედმეტად იყო დაუძლურებული და დამხმარე სჭირდებოდა, მაშინ ოჯახის წევრ ან ნათესავ მოხუცს მიუჩენდნენ მომვლელად. ეპიდემიების დროს იზოლირების წესს მკაცრად იცავდნენ, ხოლო წესის დამრღვევს აჯარიმებდნენ ან განსაკუთრებულ შემთვევაში აიძულებდნენ სოფლიდან წასულიყო, ხშირად ოჯახიანად. გავრცელებული იყო გახიზვნის წესიც. დაავადების გავრცელებისთანავე იცოდნენ სახლ-კარის დატოვება და მთელი ოჯახის აყრა-გახიზვნა. „ხიზვნა“, სულხან საბა ორბელიანის მიხედვით, მტერთან ერთად „სენთა დარიდებასაც“ ნიშნავს. დადასტურებულია ფაქტები, როდესაც მთელი სოფელიც აყრილა და გადახვეწილა, წინანდელი საცხოვრებელი კი გადაუწვავთ.

დაავადების გავრცელების აღსაკვეთად პრაგმატული ხერხების — იზოლირება/დისტანცირების გარდა საქართველოში ცნობილი იყო სხვა წესებიც. პირველყოვლისა აღსანიშნავია, რომ არსებობდა ვარიოლიზაციის — აცრის წესი სახადების თავიდან ასაცილებლად. ამის თაობაზე ინფორმაცია დასტურდება უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებშიც.

ზემოთ ჩამოთვლილ ხერხებთან ერთად დაავადებათა პრევენციას ემსახურებოდა კვების რაციონის ბალანსირება, სოციალურ ურთიერთობათა ნორმირება და ხალხური ჰიგიენის ტრადიციების დაცვა. ყურადღება ექცეოდა სასმელ წყალს, დადგენილი იყო დაბანის წესები. ბანაობისას იყენებდნენ ბუნებრივ საშუალებებს (მიწა, მცენარეები), ასევე, ამ საშუალებებისგან სპეციალურად მომზადებულ ნაყენებს. ამზადებდნენ, ასევე, საპონს ნაცრისა და ცხოველური ცხიმების შერევით და მას სამკურნალო დანიშნულება ჰქონდა. ავადმყოფთან ურთიერთობისას იყენებდნენ ნიორსა და ნიორზე დამზადებულ წამლებს (ნივრის ბაქტერიოციდული თვისებები დღეს დადასტურებულია). ამ პრაგმატულ მიდგომებს თან ერთვოდა მაგიურ-რიტუალური პრაქტიკაც. მაგალითად, ბატონების ეპიდემიების დროს იცოდნენ საღმრთო-საკვირაოს

რიტუალის შესრულება რიტუალური მსხვერპლშეწირვითა და ლოცვით. ყოველივე ეს ცხადად აჩვენებს, რომ ქართველებს საკმაოდ განვითარებული სამედიცინო პრაქტიკა და ცოდნა ჰქონდათ და წარმატებით იყენებდნენ დაავადებათა მკურნალობისა და პრევენციისათვის.

ანტიკური ეპოქის ეპიდემიის მწარე გამოცდილება ათენში და „კოვიდ-19“-ის მითოლოგიზების მოლოდინი

ისტორია მეორდება, ეპიდემიების სახელწოდებები იცვლება, ფაქტები შედარებითია და დღევანდელობასთან პარალელების გავლება ხერხდება. ანტიკურ ეპოქაში გაჩენილი მძიმე სენის გამო საბერძნეთს, კლასიკური ხანის ათენს დიდი განსაცდელი დაატყდა თავს და როგორც ანტიკური პერიოდის უბადლო მცოდნე, მკვლევარი რისმაგ გორდეზიანი ამბობს, უძველესი პერიოდის მაგალითის მოყვანა დასტურია იმისა, თუ რამდენად მსგავსი შეიძლება იყოს ვითარება სხვადასხვა ეპოქაში სასტიკი ეპიდემიის გავრცელების დროს.

რას გვეუბნება ისტორია „კოვიდ-19“-ის მსგავსი პანდემიების გავრცელების თაობაზე, რომელიც ადამიანთა აზროვნებას და ქცევას ცვლიდა? საბერძნეთის მაგალითის მიხედვით ისტორიკოს თუკიდიდესის მიერ საინტერესოდ აღწერილ ფაქტებზე და წარსული განსაცდელის დღევანდელობასთან კავშირზე გვესაუბრება თსუ-ის პროფესორი, აკადემიკოსი რისმაგ გორდეზიანი.

— მომავალი თაობისათვის „კოვიდ-19“ დარჩება კაცობრიობისთვის თავს დატეხილი საერთო განსაცდელის, საკუთარი გამოცდილებით გადატანილი უბედურების ისეთ ნიმუშად, რომელიც მითოლოგიზებას დაექვემდებარება და ადამიანთა მახსოვრობაში ბიბლიური წარღვნის მსგავს უბედურებას დაემსგავსება. ადამიანთა ამჟამინდელ და მომავალ თაობებს ეს პანდემია უფრო მწვავედ დააყენებს არჩევანის წინაშე —

რისმაგ გორდეზიანი

რა უფრო მნიშვნელოვანია: ნაციონალური თუ ტრანსნაციონალური იდენტობა. ამ ეტაპზე საერთო განსაცდელთან ჭიდილში ნაციონალური სახელმწიფოები ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე ბევრად უფრო ეფექტურები აღმოჩნდნენ.

ანტიკურ ეპოქაში ამგვარი განსაცდელი კლასიკური ხანის (ძვ. წელთაღრიცხვის მე-5 საუკუნის 30-იანი წლებში) ათენში გავრცელებულმა ჭირმა გადაატანინა საბერძნეთს, რაც ბრწყინვალედ აღწერა ისტორიკოსმა თუკიდიდესმა თავისი ისტორიის მეორე წიგნში. ათენში გავრცელებული ჭირის ეპიზოდი ტოლს არ უდებს საუკეთესო რომანების ნარატივს. თუკიდიდესი წერს: „ამ დაავადების (ჭირი) რაობას ენა ვერ აღწერს. მან ყველა დაჯაბნა. იმდენად მძიმე იყო, ადამიანური ბუნება ვერ უმკლავდებოდა; მისი უცნაურობა იქიდანაც ჩანდა, რომ არც ლეშისმჭამელი ფრინველები და ოთხფეხები ეკარებოდნენ დაუმარხავად მიტოვებულ ცხედრებს (ასეთი კი ბევრი იყო), ხოლო თუ პირს დააკარებდნენ, იხოცებოდნენ. ყველაზე მეტად კი ძაღლებზე აისახა სენის შედეგები, რადგანაც ისინი ადამიანებთან ერთად ცხოვრობდნენ. ასეთი გახლდათ დაავადების საერთო სახე. კერძო შემთხვევათა განმასხვავებელ თავისებურებებს საგანგებოდ არ შევეხე. ადამიანები იმხანად სხვა ჩვეულებრივი სენით არ ავადობდნენ. თუ მაინც შეეყრებოდათ რაიმე, ისიც ჭირით მთავრდებოდა. იხოცებოდნენ მზრუნველობამოკლებულნიც და საგულდაგულოდ მოვლილნიც. შეიძლება ითქვას, ერთი რაიმე წამალიც არ არსებობდა, შვება რომ მიეცა სნეულთათვის: რაც ერთს ადგებოდა, მეორეს ვნებდა. სენს ვერც ძლიერი ორგანიზმი უმკლავდებოდა და ვერც სუსტი. არც ცხოვრების პირობებს ჰქონდა მნიშვნელობა. ჭირი ყველას განურ-

ჩევლად ემართებოდა. ყველაზე შემაძრწუნებელი მთელ ამ უბედურებაში სასოწარკვეთა იყო, რაც მაშინვე ეუფლებოდა ადამიანს, როგორც კი თავს შეუძლოდ იგრძნობდა (იმედ-დაკარგულნი ბედს მიენდობოდნენ და სენს აღარ უძალიან-დებოდნენ). გარდა ამისა, შემაძრწუნებელი იყო ისიც, რომ მოვლისას სენი ერთიდან მეორეზე გადადიოდა და სნებაშეყ-რილნიცა და მათგან დასნებოვნებულნიც ცხვრებივით იხოც-ებოდნენ. სიკვდილიანობას ძირითადად სწორედ ის იწვევდა, რომ სენი გადამდები იყო. იმას, ვინც სენის გადადების შიშით სხვას არ ეკარებოდა, მარტოობაში უწევდა სულის დალევა. ასე უპატრონობით ბევრი ოჯახი ამოწყდა. მაგრამ იხოცებ-ოდნენ ისინიც, ვისაც სინდისი შეაწუხებდა და თავს არ იზოგ-ავდა, რომ მეგობარი მოენახულებინა, მეგობარი, რომელიც უკვე გარდაცვლილთა გლოვით გულდამძიმებულ და უბედ-ურებისაგან ილაჯგაწყვეტილ ოჯახის წევრებს უკვე მოეძ-ულებინათ. მომეტებულად თანაუგრძნობდნენ ავადმყოფებს და სულთმობრძავებს სენმოხდილნი, რომლებმაც უკვე გა-დაიტანეს ეს უბედურება. ისინი თამამად იყვნენ, რადგან სე-ნი მეორედ არავის შეყრია და არავინ მოუკლავს. ათენელთა უბედურებას ისიც დაემატა, რომ ქალაქს მინდვრებიდანაც (სოფლებიდანაც) მოაწყდა ხალხი, მეტადრე უცხოელები (ჩა-მოსახლებულნი). მათ სახლ-კარი არ გააჩნდათ და ზაფხულ-ში საშინლად დახუთულ ქოხმახებში იყვნენ შეხიზნულნი. ერთიმეორეზე ახორხლილი სულთმობრძავნი უთავბოლოდ ეყარნენ და იქვე იხოცებოდნენ, ან კიდევ ქუჩებში და ჭების ირგვლივ ცოცხალ-მკვდრები დაფორთხავდნენ წყურვილით გატანჯულნი. გვამებით სავსე იყო წმინდა ადგილებიც, სა-დაც კარვები ჰქონდათ გაშლილი. ჟამიანობით გატეხილმა და განადგურებულმა ადამიანებმა, რომლებმაც აღარ იცოდნენ რა ელოდებოდათ, დაკარგეს კრძალვა როგორც ღვთიური, ისე ადამიანური კანონების წინაშე. მიცვალებულთა გაპატი-ოსნების ადრინდელი ადათ-წესები შეირყვნა: ყველა ისე მარ-ხავდა თავის მიცვალებულს, როგორც შეეძლო. გაუთავებ-ელი სიკვდილიანობის გამო ბევრს დაკრძალვის საშუალებაც არ ჰქონდა და სამარცხვინოდ იქცეოდა: ერთნი როგორც კი

სხვებისთვის გაჩაღებულ ცეცხლს დაიგულებდნენ, თავიანთი მიცვალებულის გვამს დებდნენ და წვავდნენ, მეორენი კი დაიწვებოდა თუ არა სხვისი მკვდარი, თავიანთი მიცვალებულის ცხედარს (ნეშთს) ზემოდან აგდებდნენ და გარბოდნენ.

მოარული სენის გაჩენისთანავე ხალხმა სახელმწიფოს კანონებზე სხვა მხრივაც აიღო ხელი. ადვილად ბედავდნენ იმას, რასაც წინათ მალვით ჩადიოდნენ, თავაშვებულობისთვის რომ არ დაეძრახათ. მათ თვალწინ ხდებოდა მდიდართა ბედის უკუღმა ტრიალი, რომლებიც მოულოდნელად კვდებოდნენ და მათი ქონება უპოვართ რჩებოდათ. ცხოვრებაცა და სიმდიდრეც წარმავალი ჩანდა და ყველას სურდა ხორციელ დატკბობას დაწაფებოდა. აღარავის უნდოდა თავის გაწირვა მშვენიერი მიზნებისთვის. ვინ უწყოდა, რომ მიზნების მიღწევამდე სული არ ამოხდებოდა. ამიტომ მშვენივრად და სასარგებლოდ ის მიაჩნდათ, რაც იმ წამს მიანიჭებდა ტკბობას ან ის, რაც ამ ტკბობის მიღწევაში დაეხმარებოდა. აღარც ღვთის შიში ჰქონდათ და აღარც ადამიანური კანონებისა. ხედავდნენ, რომ განურჩევლად ყველანი იღუპებოდნენ, ამიტომ ღმერთის პატივისცემა თუ უპატივცემულობა უმნიშვნელო რამედ ეჩვენებოდათ. არავის ჰქონდა იმდენ ხანს სიცოცხლის იმედი, რომ ჩადენილი დანაშაულისთვის სამართალში მიეცემოდა, ვინაიდან ბედს მათთვის უფრო მძიმე განაჩენი გამოეტანა და აღსასრულის მოსვლამდე, ცხადია, სიცოცხლით ტკბობა ეწადათ“. ისტორიკოს თუკიდიდესის ეს ეპიზოდი მითითებული მაქვს ჩემს წიგნში — „ბერძნული ლიტერატურა (ელინური ეპოქის პოეზია და პროზა)“.

ეს ეპიზოდი მოგვყავს იმის დასტურად, თუ რამდენად მსგავსი შეიძლება იყოს ვითარება სხვადასხვა ეპოქაში სასტიკი ეპიდემიის გავრცელების დროს.

მოამზადა ნინო კაკულიამ

ქეთევან ჭკუასელი: პანდემიის დროს შეღავათის გაწევა ყველაფერში შეიძლება, გარდა ცოდნისა

გვესაუბრება თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი ქეთევან ჭკუასელი:

— პანდემიის გამო საგანმანათლებლო სისტემა მთლიანად გადავიდა ელექტრონულ სწავლებაზე. როგორ შეაფასებდით ამ პროცესს, რა შეგიძლიათ თქვათ თითქმის ნახევარი სემესტრის გასვლის შემდეგ – რამდენად არის დისტანციური სწავლება შედეგზე ორიენტირებული?

— უნდა გითხრათ, რომ მოლოდინი ბევრად უარესი მქონდა და შედეგი ბევრად უკეთესია. როდესაც პირველი ლექცია ჩავატარე ე.წ. ზუმით, თითქოს, რაღაც გაუცხოების გრძნობა მქონდა, ვნერვიულობდი, რომ ყველამ ვერ გაიგო, ვერ ავუხსენი ყველაფერი, მაგრამ ახლა სტუდენტებიც შეეჩვივნენ და ჩვენც შევეჩვით ამ სიტუაციას. კეთილი ნების შემთხვევაში, თუ სტუდენტი შემოვა ონლაინ ლექციაზე, რა თქმა უნდა, სწავლება შედეგიანი არის, იმაზე მეტად შედეგიანია, ვიდრე გვეგონა. ჩვეულებრივი სწავლის დროსაც, თუ სტუდენტს უნდა, ყველაფერს აკეთებს და ზუმითაც ასეა, თუ უნდა მოსმენა, შემოვა, მოისმენს და ისწავლის.

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ეს მეთოდი უნაკლოა. მას, რა თქმა უნდა, ახლავს ერთგვარი უხერხულობაც — პირველ რიგში ის, რომ სხვაა, როცა აუდიტორიას უშუალოდ ესაუბრები და უხსნი და სხვა — როცა არ გაქვს ცოცხალი კომუნიკაცია. ეს უხერხულობა ნაწილობრივ იფარება, თუ ლექციის დროს ყველას ჩართული აქვს თვალი/კამერა, რომ აქტივობაში ჩაერთოს. ხშირად კი ამას ყველა ვერ ახერხებს, რადგან ყველაფერი დამოკიდებულია ინტერნეტზე და იმ ტექნიკაზე, რომელსაც სტუდენტი იყენებს. მეორე მხრივ, ლექტორიც გარკვეულ უხერხულობას განიცდის, რადგან, როდესაც

აუდიტორიას ესაუბრები, ლექცია სრულყოფილად მიმდინარეობს, აქ კი, თუ ვერ გრძნობ — როგორ მოგყვება მსმენელი და ვერ ხედავ — ვის ესაუბრები, გარკვეული სირთულე იქმნება. საბედნიეროდ, ნებისმიერი ლექციის დროს არის 4-5 სტუდენტი, რომელიც მუდმივად არის ჩართული და ეს იძლევა გარკვეულ სტიმულს.

— როგორ ტარდება ლექციები და აქვს თუ არა ონლაინ სწავლებას თავისი დადებითი მხარე?

— რა თქმა უნდა, აქვს. ლექცია ჩვეულებრივად ტარდება, თავისი შესავლით და ძირითადი ნაწილით. პროგრამაში, რომელსაც ვიყენებთ (zoom) შეგვიძლია ჩავრთოთ სლაიდები და სხვა მასალა. ონლაინ სწავლებამ დამანახა, რომ ბეჭდური სალექციო მასალის მიწოდება ძალიან კარგია და სწორიცაა.

მცირეოდენი სირთულე ახლავს მუდლში დავალებების ატვირთვას. ზოგადად, სირთულეა დავალებები, რადგან, იგივე ტექნოლოგიური რესურსის გამო შენ ვერ აძლევ, მაგალითად, 10- გვერდიან დავალებას, რადგან ზოგი სტუდენტი ტელეფონში წერს და ვცდილობთ, რომ არ მივცეთ ისეთი და-

ქეთევან ჭკუასელი

ვალება, რომელიც დიდი ტექსტის აკრეფას საჭიროებს. ჯერ არ ჩაგვიტარებია შუალედური. ვფიქრობ, როგორ ჩავატარო.

რა თქმა უნდა, ეს პროცესი არანაირად არ შეედრება ცოცხალ პროცესს – არც ერთი პარამეტრით, მაგრამ სასწავლო პროცესი ჩაიშალაო — ამას ვერაფრით ვიტყვით. ყველა მასწავლებელი მობილიზებულია და ვერც ერთი სტუდენტი ვერ დაიჩივლებს, რომ ლექცია არ ჩაუტარდა ან ნაკლები ხარისხით ჩაუტარდა. პროცესი არანაირად არ არის ჩაშლილი. უბრალოდ, სასურველია, რომ უშუალო კონტაქტი გვქონდეს.

— ხშირად იყო საუბარი იმაზე, რომ ლექტორთა ნაწილი ვერ შეძლებდა ონლაინ სწავლებას არასაკმარისი კომპიუტერული უნარ–ჩვევების გამო. როგორ შეაფასებდით სწავლების ამ ფორმას – შეძლეს თუ არა ლექტორებმა დაბრკოლებების გადალახვა?

— თუ ვინმეს უნდა გასჭირვებოდა, ჩემი ასაკიდან გამომდინარე, მე უნდა გამჭირვებოდა. თუმცა, ეს ისეთი მარტივი პროგრამაა, პრობლემა არავის შექმნია. პირიქით, კარგი საშუალებაა, რომ შენს ლექციას იწერ. ეს დიდი შეღავათია ლექტორისთვის, რადგან მერე უსმენ და ხვდები — რა ხარვეზები გქონდა. ამას გარდა, თუ ამ ლექციებს ჩაიწერ, ეს ნიშნავს, რომ უნივერსიტეტს აქვს რესურსი, ანუ აწყობილი აქვს კურსი თავისი მასალებით, სლაიდებით, გახმოვანებული და ვიზუალური მასალებით. ეს თუ თავიდან ბოლომდე კარგად წაიყვანე, ჩათვალე, რომ კურსი გამართულია და შემდეგ უნივერსიტეტი ამას გამოიყენებს. ეჭვი მეპარება, რომ წელს ვინმემ შეძლოს ონლაინ კურსების ჩამოყალიბება, რადგან, როდესაც დავიწყეთ, არეულები ვიყავით, მაგრამ მომავალ წელს ამის გამოყენება შეიძლება.

— როგორ ფიქრობთ, რა ფორმით უნდა ჩატარდეს გამოცდები?

— ჩვენ გამოგვიგზავნეს შეფასების პრინციპები. ეს ერთგვარი ექსპერიმენტია. ყველას გვეგონა, რომ ივნისში გამოვიდოდით უნივერსიტეტში და ზეპირ გამოცდას მაინც ჩავატარებდით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს არ ხერხდება. ამიტომ, ჯერ კიდევ ვფიქრობ საგამოცდო ფორმატზე. ზეპირ

გამოცდას ნამდვილად ჩავატარებ ზუმ–ის დახმარებით, მაგრამ მაფიქრებს წერითი გამოცდა, რადგან იქაც 20 ქულა უნდა მოგროვდეს. ტექსტის ატვირთვა მუდლზე ცოტათი რთულია, მაგრამ ესეც დაძლევადია. საგამოცდო პერიოდამდე დრო არის. ვფიქრობ, მანამდე ეს პრობლემაც გადაიჭრება.

აქვე იმასაც დავამატებ, რომ ლექტორის შრომა გაორმაგდა. ონლაინ სწავლებას ძალიან დიდი დრო მიაქვს. ლექციის მომზადება სხვადასხვა ფორმატში, დავალებების შექმნა, მისი ატვირთვა და გასწორება უზარმაზარ ენერგიას მოითხოვს და, ფაქტობრივად, კომპიუტერს მივეჯაჭვეთ. ეს პროცესი არც სტუდენტისთვისაა იოლი – მისთვისაც ახალი ამბავია. ამასთან ერთად, დავალების გასწორებაც სხვაგვარად ხდება – უნდა აუხსნა და დაუსაბუთო სტუდენტს, რა ქულა რატომ დაიწერა. ეს ყველაფერი არაა ადვილი, მაგრამ პედაგოგიკა არის ზუსტად ის, თუ როგორ მიუდგები სწავლის პროცესს, როგორ შეადგენ დავალებებს, როგორ დააწერინებ თემას, როგორ გააააქტიურებ სტუდენტს. ამას სჭირდება პედაგოგიური მიდგომები და ვფიქრობ, ამასაც დავძლევთ.

დასანანი რჩება ის, რომ სემესტრი ისე სრულდება, სტუდენტი არ გიცნობს. მასწავლებლობის ხიბლი კი ისაა, რომ შენ კომუნიკაცია გაქვს ცოცხალ აუდიტორიასთან. აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს: როგორ მიხვალ, როგორ მიესალმები. შენი გავლენები შემდგომ მათ გადააქვთ და იმათი – შენ გადმოგაქვს. ცნობილია, რომ, როცა ვასწავლით, თავადაც ვსწავლობთ. ეს პროცესია, სამწუხაროდ, შესუსტებული.

— საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტს – „ტელესკოლას“ თუ ეცნობით და რა შეფასებას მისცემთ სწავლების ამგვარ ფორმას?

— „ტელესკოლა“ რომ ჩაირთო, დავინტერესდი და თითქმის ყველა საგნის გაკვეთილს ვუყურე. არაფერი მეთქმის, მასწავლებლები ნამდვილად კარგად არიან შერჩეული და უმრავლესობა საკმაოდ მაღალი დონისაა. ჩანს, რომ ისინიც პასუხისმგებლობით უდგებიან საქმეს. არის ერთი ძალიან თვალშისაცემი ხარვეზი – დრო: 15 წუთი. ძალიან თანავუგ-

რძნობ იმ მასწავლებლებს, ვისაც 15 წუთში უწევს ახალი თემის ახსნა. ეს არ არის მარტივი და მიკვირს, როგორ ახერხებენ. დრო რომ იყოს განაწილებული ასაკობრივი პრინციპით, ვთქვათ, დაწყებით კლასებში 15-20 წუთი, ხოლო მაღალ კლასებსი 30-40 წუთი, სწავლება, რა თქმა უნდა, უფრო გამართული იქნებოდა.

„ტელესკოლას" მე სულ გავაგრძელებდი, რადგან ეს არის მასობრივი განათლების ხელშეწყობა. ძალიან რთულია, სკოლას მოსთხოვო ის ხარისხი, როგორიც საჭიროა. ეს ძვირია. ევროპის ქვეყნებში ბევრს აქვს საშინაო სკოლა, არსებობს მასობრივი განათლების სხვადასხვა მეთოდი, მაგრამ ტელესკოლა, მათ შორის, ყველაზე კარგია. ეს კომპლექსური პროცესია და გარემოდან რაც უფრო მეტ ინფორმაციას მიიღებ, მით მეტად იღებ შედეგს.

— დაბოლოს, მოახლოვდა ერთიანი ეროვნული გამოცდები. ფიქრობთ თუ არა, რომ წელს აბიტურიენტებს გარკვეული შეღავათები უნდა გაეწიოთ?

— ვფიქრობ, შეღავათის გაწევა ყველაფერში შეიძლება, გარდა ცოდნისა. თუ გამოცდები ჩატარდება, შეღავათი აქ სრულიად უადგილოა. რა თქმა უნდა, აბიტურიენტებს ახლა უჭირთ, თუმცა ბევრი აღმოჩნდა უკეთეს მდგომარეობაშიც – დრო არ ეხარჯება და ონლაინ სწავლობს. მე მყავს ნაცნობები, რომლებსაც აქვთ რეპეტიტორობის პრაქტიკა და მათთან ჩვეულებრივად მიდის სწავლის პროცესი, ხანდახან დავალებებსაც ერთად აკეთებენ ჩართვის დროს. ამდენად, მეცადინეობა შესაძლებელია და ახლა მეტი დროცაა ამისთვის, თუმცა აქაც არის ერთი წინააღმდეგობა – თუ ოჯახში ოთხი წევრია და ყველას სჭირდება კომპიუტერი, მათ ხელი ეშლებათ სწავლაშიც და მუშაობაშიც. ეს პრობლემა მარტო ჩვენთან არ დგას, ყველა ქვეყანაშია. ამიტომ, ვფიქრობ, გამოცდები შეიძლება გადაიტანონ და სხვა დროს ჩაატარონ, მაგრამ არამც და არამც არ ვარ მომხრე, ცოდნის თვალსაზრისით, შეღავათის გაწევისა.

ესაუბრა მაია ტორაძე

ᲤᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲣᲚᲢᲐᲪᲘᲐ — ᲠᲝᲒᲝᲠ ᲓᲐᲕᲣᲒᲔᲒᲛᲝᲗ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲔᲢᲘᲚ ᲒᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 30 მარტიდან პირველადი ფსიქოლოგიური დახმარების ცხელი ხაზი მოქმედებს. თუმცა, მოქალაქეების მხრიდან მიმართვიანობა დიდი არ არის. მიმართვიანობის გაზრდას ფსიქოლოგები პანდემიის შემდეგ ელოდებიან. მანამდე კი პროფესორი თამარ გაგოშიძე საზოგადოებას რადიკალურად შეცვლილ ცხოვრების წესთან გასამკლავებლად რეკომენდაციებს სთავაზობს.

პირველადი ფსიქოლოგიური დახმარების ცხელი ხაზი ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის ფარგლებში ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ თამარ გაგოშიძის ინიციატივით შეიქმნა. მომსახურების მიღება 16 წელს ზემოთ მოქალაქეებს პროგრამა Skype-ის მეშვეობით TSU-CENTER-თან დაკავშირებისას შეუძლიათ. პირველად ფსიქოლოგიურ დახმარებას თსუ-ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებული პრაქტიკოსი ფსიქოლოგები უზრუნველყოფენ.

„ფსიქოლოგიური კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის ცხელ ხაზზე 12 ფსიქოლოგი მორიგეობს 10:00-დან 18:00 საათამდე. დაკავშირება სკაიპით ხორციელდება. ამ პერიოდში მომართვიანობა არ არის დიდი. კვირაში 10 პირზე მეტი არ გვიკავშირდება. ჩვენი ცხელი ხაზის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს წითელი ჯვრის მიერ ორგანიზებულ ონლაინ შეხვედრაში, სადაც მსგავსი პირველადი ფსიქოლოგიური დახმარების წარმომადგენლები იყვნენ ჩართულნი. საინტერესოა, რომ დიდი მიმართვიანობა არსად არ არის. ეს შეიძლება იმის გამოა, რომ მოქალაქეები არასათანადოდ არიან ინფორმირებული მსგავსი უფასო სერვისების შესახებ და არაა საკმარისი რეკლამა და ინფორმაციის გავრცელება. ასევე, შესაძლოა თვითიზოლაციის და ძლიერ შეცვლილი ცხოვრების წესის პირობებში ადამიანები თვითონ ცდილო-

თამარ გაგოშიძე

ბენ ძალების მოკრებას და სტრესთან გამკლავებას, ისინი უჩვეულო სიტუაციასთან შეგუების პრაქტიკულ პროცესში არიან. ვფიქრობ, რომ პანდემიის გადავლის შემდეგ მომართვიანობა მკვეთრად გაიზრდება, რადგან შემდეგ პერიოდში სულ სხვა საზრუნავი იქნება, ადამიანებს სტრესის გადატანის შემდგომ უფრო აწუხებთ სხვადასხვა ფსიქოლოგიური პრობლემები", — აღნიშნავს თამარ გაგოშიძე.

მანამდე კი, პანდემიის პირობებში, რადიკალურად შეცვლილ ცხოვრების წესთან გასამკლავებლად თამარ გაგოშიძე საზოგადოებას რამდენიმე მნიშვნელოვან რეკომენდაციას აწვდის, მათ შორის, დღის განრიგის შედგენისა და მისი დაცვის აუცილებლობაზე მიუთითებს.

„რაც შეეხება ოჯახებს, რომლებიც თვითიზოლაციაში არიან, ნამდვილად არ არის ადვილი ერთ სივრცეში გქონდეს სამსახური, სკოლა, საბავშვო ბაღი და სახლი. ყველა სახლშია, ზოგჯერ არ ყოფნით ადგილი, კომპიუტერი. ადამიანებს ხშირად პირადი სივრცე აღარ აქვთ, ბავშვები გარეთ ვერ თამაშობენ და კიდევ უფრო მიეჯაჭვნენ კომპიუტერს. ხშირად ადამიანები ღიზიანდებიან და ბრაზდებიან ამ მდგომარეობაში, რაც ბუნებრივია, როდესაც მოულოდნელად მკვეთრად გეცვლება ცხოვრების წესი. ხშირად ადამიანები საკუთარ თავ-

საც კი გაურბიან, არათუ ოჯახის წევრებს, ახლა კი ყველას ერთად უწევს ყოფნა. ამ პირობებში ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯია დღის და სივრცის დაგეგმვა, არ აქვს მნიშვნელობა როგორი სიდიდისაა სივრცე. ბავშვებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია დღის გეგმა და განრიგი, მათ წინასწარ იციან — რა რის შემდეგ უნდა გააკეთონ. განრიგის დაცვა ბევრად აადვილებს ოჯახში კომუნიკაციას და ზოგავს ენერგიას, ნაკლები გაუგებრობა და გაღიზიანებაა, რადგან ყველასთვის მოსალოდნელი და პროგნოზირებადი ქმედებები ხდება სახლში. ბავშვებმა იციან — ვისი ჯერია კომპიუტერზე, რამდენი ხანი უნდა ითამაშონ, როდის მიეხმარონ დედას, ყველას უნდა ჰქონდეს თავისი მცირე პასუხისმგებლობა სახლის საქმეში, თვითმოვლაში, მცირეწლოვან, 3 წლის ბავშვებსაც კი. სრულფასოვანი ძილი სტრესის პირობებში ძალიან მნიშვნელოვანია და დღის მყარი განრიგი ხელს უწყობს დროული დაძინება-გაღვიძების რეჟიმს. გამოყავით სახლში პირობითი სივრცეები: „სამსახური“, „სკოლა“, „სათამაშო მოედანი“... თუნდაც, ერთ ოთახში უნდა არსებობდეს პირობითი ადგილი, სადაც დედა მუშაობს და ადგილი, სადაც ბავშვი თამაშობს. რადგან ბავშვები ვერ ხარჯავენ ენერგიას სახლში ყოფნის გამო და უფროსებიც უძრავად არიან, ძალიან სასარგებლოა ერთობლივი ვარჯიშის, ფიზიკური თამაშის დროის განსაზღვრა. ამ დროს ძნელია იფიქროთ მოწესრიგებულ ოთახზე და ამიტომ ჯობს — არ იფიქროთ; ჯობს სიხარულით ივარჯიშოთ, იცეკვოთ, ითამაშოთ რაიმე ფიზიკური თამაში, რის შესაძლებლობასაც საცხოვრებელი სივრცე იძლევა. ასეთი ვარჯიშის შემდეგ კი, როგორც წესი, ყველამ ერთად უნდა მიალაგოს სახლი. ასეთი მოძრავი თამაში თუ ვარჯიში ძალიან სასარგებლოა უფროსებისთვისაც და ბავშვებისთვისაც, იხარჯება ენერგია, მატულობს ტონუსი, ივსებიან დადებითი ემოციებით. ჩვენ ფიზიკურ იზოლაციაში ვართ, რაც არ ნიშნავს სოციალურ იზოლაციას. ეს გულისხმობს ოჯახის წევრებთან კომუნიკაციას, რასაც ხშირად გადაჩვეული ვართ, ანუ იმით დაინტერესებას — რას გრძნობენ და რას ფიქრობენ ისინი. აუცილებელია დისტანციური საშუალებ-

ებით როგორც მოზრდილების, ისე ბავშვების კომუნიკაცია მეგობრებთან და ახლობლებთან“, — აცხადებს ფსიქოლოგი.

პანდემია, იზოლაცია, ჩაკეტილ სივრცეში ყოფნა — ამ დამამძიმებელი გარემოებების შესამსუბუქებლად ფსიქოლოგი მშობლებს პანდემიის შესახებ გავრცელებული ახალი ინფორმაციის ზომიერ მოსმენას და ბავშვებთან სწორ კომუნიკაციას ურჩევს.

„ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მედიასაშუალებების შეზღუდვას. არაა საჭირო მუდმივად კორონავირუსზე ინფორმაციის და დებატების მოსმენა. საკმარისია დღეში ერთხელ მშრალი ინფორმაციის გაგება. ბავშვებს მარტივად და გასაგები ენით აუხსენით — რატომაა მნიშვნელოვანი იზოლაცია და პირადი ჰიგიენა, განსაკუთრებით ხელების დაბანა. არაა საჭირო ბავშვებმა დეტალებში იცოდნენ კორონავირუსით გამოწვეული მძიმე ფაქტები, სრულიად საკმარისია მათ გაიგონ — რატომ ვიქცევით ასე და რატომ შეგვეცვალა ცხოვრების წესი, რატომ ვერ გავლენ სათამაშოდ. ამ დროს მათი დაშინება ცუდი სტრატეგიაა და ბავშვები კიდევ უფრო გაღიზიანებული და შეშინებული ხდებიან.

მშობლები თვლიან, რომ დღის წესრიგის დაწესება, სახლში სივრცეების გამოყოფა და წესების შემოღება ძალიან რთული და მიუღწეველია. ასე ნამდვილად არ არის, თუ ბავშვებთან ერთად მოვამზადებთ ამ წესებს და გარკვეული იქნება მოქმედების დროც და ადგილიც, თან წავახალისებთ ამ წესების დაცვისკენ. საერთოდ, ბავშვები, ხშირ შემთხვევაში, თვითონვე ცდილობენ დაიცვან და მიყვნენ ამ წესებს.

გამოყავით მცირე დრო, სულ ნახევარი საათი ერთობლივი სამაგიდო თამაშისთვის, რაც ბავშვებისთვის სიხარულის და უსაფრთხოების განცდის მომგვრელია. ამავე დროს, ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ სახლში მხოლოდ მათთან ვერ ითამაშებთ და ამაში გეხმარებათ თანმიმდევრული, ყველასათვის გასაგები დღის წესრიგი“, — აღნიშნავს პროფესორი თამარ გაგოშიძე.

მოამზადა ნატო ობოლაძემ

როგორ აგრძელებენ სწავლას პანდემიამდე გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ წასული სტუდენტები

„covid-19“-ის გავრცელების გლობალურმა საფრთხემ მსოფლიოში დღის წესრიგი შეცვალა, მათ შორის, სტუდენტებისთვისაც როგორც საქართველოში, ასევე, მის ფარგლებს გარეთ. საზღვარგარეთ სასწავლებლად წასული ქართველი სტუდენტების ნაწილი ქვეყანაში დაბრუნდა, ნაწილი კი საზღვარგარეთ დარჩა. ქართველ სტუდენტებს, რომლებიც უცხოეთში დარჩნენ და დახმარება ესაჭიროებათ, შეუძლიათ მიმართონ „დიასპორების ალიანსს საქართველოსთვის“.

პანდემიის გავრცელების შემდეგ თუ რა ბედი ეწიათ თსუ-ის სტუდენტებს, რომლებიც გაცვლითი პროგრამით იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ, ამის შესახებ გვესაუბრება თსუ-ის საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თეა გერგედავა.

— ამ ახალ რეალობაში რა არჩევანი გააკეთეს ქართველმა სტუდენტებმა, რომლებიც გაცვლითი სასწავლო პროგრამებით საზღვარგარეთის უნივერსიტეტებში იმყოფებოდნენ?

— ქართველი სტუდენტების უმრავლესობა დარჩა საზღვარგარეთ და მობილობას აგრძელებს ადგილსამყოფელ უნივერსიტეტში. მცირე ნაწილი კი, რომელიც მარტის განმავლობაში დაბრუნდა საქართველოში, სწავლას თსუ-ში აგრძელებს ან მიმღებ უცხოურ უნივერსიტეტში გადის სასწავლო პროგრამას ელექტრონულად.

— რა კომუნიკაცია გაქვთ გაცვლით პროგრამაში მონაწილე სტუდენტებთან, რომლებიც არ ან ვერ ჩამოვიდნენ საქართველოში, რა პრობლემების წინაშე დადგნენ ისინი და როგორ ეხმარება თსუ ასეთ სტუდენტებს?

— თსუ-ის ყველა საერთაშორისო გაცვლითი სტუდენტი, რომელიც მიმდინარე სემესტრში უნდა ჩამოსულიყო თბილისში, ჩამოვიდა პანდემიის გამოცხადებამდე.

— როგორ ფიქრობთ, პანდემიის გამო ხომ არ არის მოსალოდნელი საზღვარგარეთ სწავლის მსურველთა რიცხვი

შემცირდეს?

თეა გერგედავა

— ჩემი აზრით, პანდემია არ იქონიებს მნიშვნელოვან გავლენას ჩვენი სტუდენტების მოტივაციაზე ისწავლონ საზღვარგარეთ გაცვლითი პროგრამების ფარგლებში. 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის მობილობებისთვის კონკურსი უკვე გამოცხადებულია სწავლების სამივე საფეხურზე მყოფი სტუდენტებისთვის და აპლიკანტთა მხრიდან აქტიურობა მაღალია.

— ახალ რეალობაში როგორ მუშაობთ და რა გამოწვევების წინაშე დადექით?

— მივყვებით მთავრობის რეგულაციებსა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ ცვლილებებს; სტუდენტებთან, ისევე როგორც თსუ-ის სხვადასხვა რგოლთან და დეპარტამენტის შიგნით თანამშრომლებს შორის კომუნიკაციისთვის ვიყენებთ ჩვენს ხელთ არსებულ ელექტრონულ საშუალებებს. მაგალითად, 2020 წლის 27 აპრილს გაცვლითი პროგრამების საინფორმაციო შეხვედრა გავმართეთ Facebook Live-ის მეშვეობით; შეხვედრა ერთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, 100-ზე მეტი შეკითხვა დაისვა პოტენციური აპლიკანტების მხრიდან და Live-ის მაყურებელთა რაოდენობამ 2700-ს გადააჭარბა.

ესაუბრა თამარ დადიანი

ᲐᲮᲐᲚ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘᲓᲐᲜ 5 ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲓᲐ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელმა საბჭომ გამარჯვებულები გამოავლინა. წარმოდგენილი სამეცნიერო და კულტურულ/სპორტული/საგანმანათლებლო პროექტებიდან 5 პროექტი დაფინანსდება: „ლიტერატურულ-ანალიტიკური ესეების კონკურსი — „პიგმალიონი"; „უხუცესთა გაერთიანებები პანკისში, როგორც მოქალაქეთა ჩართულობის არაფორმალური-ტრადიციული მექანიზმები"; „ღვიძლის ექსპერიმენტული ექსპლანტაციის პირობებში ორგანიზმში აჰეპატური ფაზით გამოწვეული დარღვევებისგან დაცვა ცხოველებში ბიკავალური სწრაფი შუნტით"; „ვარძიის ახალგაზრდა არქეოლოგთა მე-12 საერთაშორისო კონფერენცია" და „საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია-Act for sustainability". პროექტების დაფინანსების საკითხის განსახილველად საბჭო წელიწადში 3-ჯერ იკრიბება.

„სტუდენტური პროექტების კონკურსის მეორე ეტაპი 15 აპრილს დასრულდა და უკვე გამოქვეყნდა გამარჯვებული პროექტები. პროექტების რაოდენობა მცირე იყო, წარმოდგენილი იყო სულ 8 პროექტი და დაფინანსდა 5 პროექტი. ალბათ იმიტომ, რომ საგანგებო ვითარებაა და ახალი კორონავირუსით დაინფიცირების პრევენციის მიზნით მცირე იყო სტუდენტების აქტიურობა. ყველა დაფინანსებული პროექტი მაღალ დონეზე იყო შესრულებული, რაც ძალიან სასიამოვნოა. ძირითადად იყო სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროექტები. გარდა ამისა, ჩანს, რომ საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდეგაც იქნება გარკვეული შეზღუდვები, რის გამოც რთულია წინასწარ დაგეგმო პროექტის სამუშაოები, რასაც ზოგჯერ ბევრი ადამიანის შეკრება, აქტიური კომუნიკაცია, დიდ მანძილებზე გადაადგილება სჭირდება. ალბათ, ამიტომ შეიკავეს თავი სტუდენტებმა. შემდეგი ეტაპი შემოდგომაზე გვექნება, 1 ოქტომბრამდე იქნება პრო-

ექტების მიღება“, — განაცხადა სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა თამარ გაგოშიძემ.

ახალი ვირუსის გამოცდილება დაასუსტებს თუ გააძლიერებს ამერიკას მომავალში?

„ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ყველაზე საშინელი თავდასხმა განვიცადეთ. მართლაც ყველაზე საშინელი თავდასხმაა. გაცილებით უარესია, ვიდრე პერლ-ჰარბორზე თავდასხმა. გაცილებით უარესია, ვიდრე მსოფლიო სავაჭრო ცენტრზე თავდასხმა“, — ასე შეაფასა აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა აშშ-ში კორონავირუსის გავრცელება. როგორც პრეზიდენტი ამბობს, აშშ შეეცდება შეისწავლოს — თუ როგორ გავრცელდა ვირუსი და ეჭვქვეშ აყენებს ჩინეთის მიერ იმ პოზიციების უარყოფას, რომ შეიძლება ჩინეთმა შეცდომა დაუშვა, რის შედეგადაც ვირუსი „შეცდომით“ გავრცელდა. ის პეკინსა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას მთელი დანარჩენი მსოფლიოს შეცდომაში შეყვანაში ადანაშაულებს.

ამერიკის პოზიციას იზიარებს ავსტრალიის პრემიერ-მინისტრიც სკოტ მორისონი და აცხადებს, რომ მსოფლიომ ზუსტად უნდა იცოდეს — რა მოხდა, რათა მსგავსი რამ, რასაც უდიდესი ადამიანური დანაკარგი და ეკონომიკური პრობლემები მოჰყვება, აღარასდროს განმეორდეს.

ოფიციალური პეკინი ამგვარ გამოძიებას ჩინეთის წინააღმდეგ ამერიკის მიერ მართული პროპაგანდის ნაწილად მიიჩნევს. კრიტიკოსები კი აცხადებენ, რომ თეთრი სახლი ცდილობს ყურადღება ჩინეთზე გადაიტანოს და ამით ის კრიტიკა გადაფაროს, რომ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია პანდემიას სათანადოდ ვერ გაუმკლავდა.

საინტერესოა, ამ თემებზე რას ფიქრობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვასილ კაჭარავა.

ვასილ კაჭარავა

— შეერთებულ შტატებში კორონავირუსით ინფიცირების შემთხვევები ერთ მილიონს გადაცდა, ქვეყანაში თვენახევარზე მეტია, რაც საგანგებო მდგომარეობა მოქმედებს... როგორ მოგწონთ ამერიკის დღევანდელი პოზიციები და ბრძოლის სტრატეგია ვირუსთან?

— ძნელი სათქმელია. როგორც ვხედავათ მსხვერპლი საკმაოდ სოლიდურია (7 მაისისთვის გარდაცვლილია 74 000 ადამიანი) განსაკუთრებით ნიუ-იორკის მსგავს დიდ მეგაპოლისებში, სადაც ხალხი მჭიდროდაა დასახლებული. თუმცა, ისიც ცნობილია, რომ ამერიკელთა დიდი ნაწილი საკუთარ სახლებში ცხოვრობს, რომლებიც ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულია, მაგრამ საყიდლებზე სიარული ხომ ყველას უწევს...

ამერიკისგან, როგორც მსოფლიოს ლიდერი სახელმწიფოსგან, ვირუსთან ბრძოლის უფრო ეფექტიან ნაბიჯებს ველოდით, მაგრამ ამ უზარმაზარ ქვეყანაში — საკმაოდ განსხვავებული შტატებითა და სამედიცინო მომსახურების დონით, სადაც მილიონობით ხალხი ცხოვრობს, ალბათ, არ იყო ადვილი ერთიანი და სისტემური ზომების მიღება და გატარება. მსოფლიოს სხვა, ყველაზე წარმატებულ და განვითარებულ ქვეყნებსაც უმძიმესი შედეგები ჰქონდათ. მაგრამ იყო გამონაკლისიც, იგივე გერმანიის და საქართველოს სახით, მაშინ,

როცა ჩვენი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის შესაძლებლობანი, სამწუხაროდ, მნიშვნელოვნად ჩამორჩება იგივე გერმანიის ჯანდაცვის სისტემის შესაძლებლობებს. ეს მნიშვნელოვანი წარმატება ქართველი ექიმების დამსახურებაა, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდი!

— როგორ ფიქრობთ, ამ პანდემიის ფონზე ხომ არ ჩამოიშლება ამერიკის ძლევამოსილების მითი... ყველაზე მძიმე სცენარის მიხედვით, აშშ-ში კორონავირუსის შედეგად შეიძლება მილიონზე მეტი ადამიანი გარდაიცვალოს. შეძლებს თუ არა ამერიკის მოქმედი პრეზიდენტი მოსახლეობის დარწმუნებას, რომ კორონავირუსი ვერ შეცვლის ამერიკის მომავალს?!

— ჯერ-ჯერობით საუბრობენ მხოლოდ 100 000-მდე გარდაცვლილზე... სამწუხაროდ, ამერიკა ნელ-ნელა მიდის ამ მაჩვენებლისკენ, მაგრამ მილიონი გარდაცვლილი, იმედია, ნამდვილად არ იქნება. თუმცა პანდემიასთან ბრძოლაში ამერიკა, ამ ეტაპზე, რაიმე განსაკუთრებულ წარმატებებს ვერ აღწევს, მაგრამ აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი რომ ცდილობს და არავითარ სახელმწიფო ხარჯებს არ ერიდება, ისიც ფაქტია... რაც დემოკრატების მიერ კონტროლირებადმა წარმომადგენელთა პალატამ მოითხოვა ვირუსთან საბრძოლველად, ტრამპმა იმაზე მეტი გაიღო. ამერიკამ 1950 წლის ფედერალური კანონიც კი აამოქმედა, რომელიც კორეის ომის საპასუხოდ შემუშავდა, როგორც სამოქალაქო თავდაცვისა და საომარი მობილიზაციის ვრცელი ძალისხმევის ნაწილი ცივი ომის პირობებში. კანონი ამერიკულ ბიზნესს ავალდებულებს — სახელმწიფოსთვის საჭირო პროდუქციის მომზადებას, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებას სამედიცინო ნიღბების, სასუნთქი აპარატების და სხვა სამედიცინო ინვენტარის წარმოების დაჩქარების შესაძლებლობას მისცემს.

„ჩვენ ვაპირებთ დავამარცხოთ უხილავი მტერი“, — განაცხადა ტრამპმა და აღნიშნა, რომ განვითარებულმა კრიზისმა იგი, ფაქტობრივად, „საომარი პერიოდის პრეზიდენტად“ აქცია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატების უმრავლესობამ უკვე დაიწყო შეზღუდვების

მოხსნა. ალბათ, აქვთ კიდეც ამის საფუძველი. ის, რომ პანდემიის შედეგად ამერიკის ძლევამოსილება და ეკონომიკა ჩამოიშლება, ნაკლებად სავარაუდოა. ამერიკა კვლავ ამერიკად დარჩება! თუმცა, რასაკვირველია, პრეზიდენტ ტრამპს, რომელსაც სულ რამდენიმე თვის წინ თითქმის აბსოლუტურად გარანტირებული ჰქონდა საპრეზიდენტო რბოლაში გამარჯვება, ეპიდემიამ სერიოზული პრობლემები შეუქმნა. ახლა აშშ-ის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ჯო ბაიდენი უსწრებს პოპულარობით, რომელიც ამ პერიოდში ძირითადად ჩუმადაა, რადგან მის საქმეს ვირუსი აკეთებს, რომელიც სპობს სამუშაო ადგილებს. ამერიკაში უკვე 26 მილიონამდე ადამიანმა დაკარგა სამუშაო ადგილი, მაშინ, როდესაც სულ რამდენიმე თვის წინ ამერიკას ისტორიაში ყველაზე დაბალი უმუშევრების დონე ჰქონდა. ბუნებრივია, ეს პანდემიის ბრალია, მაგრამ მავანი ქვეყნის პირველ პირსაც დააბრალებს, მითუმეტეს, ამით ისარგებლებს ტრამპის მოძულე მედია. პრეზიდენტის ზოგჯერაც ზედმეტად ემოციური გამოსვლებიც არ აღმოჩნდა მისთვის სასარგებლო. თუმცა ვნახოთ, თუ ვითარება გამოსწორდება, ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ტრამპი დაკარგულ პოზიციებს დაიბრუნებს. მით უმეტეს, რომ დღესაც იგი პოპულარობით კვლავ უსწრებს დემოკრატების მიერ კონტროლირებად კონგრესს, უფრო სწორად, მის წარმომადგენელთა პალატას.

პანდემიის, ისევე, როგორც ბევრი სხვა მძიმე კრიზისის შემდეგ, ამერიკა კიდევ უფრო ძლიერი და გავლენიანი გახდება, რადგან ამერიკელებმა კარგად იციან წარსულის გაკვეთილების გათვალისწინება და მის საფუძველზე ქვეყნის გაძლიერება. აშშ-ის კონკურენტები კი, რუსეთისა და ჩინეთის სახით, სავარაუდოდ, უფრო დასუსტდებიან, განსაკუთრებით ეკონომიკის სფეროში.

— რამდენად რეალურია ამერიკის ჩინეთთან მწვავე დაპირისპირების პროგნოზი პანდემიის გამო?

— რასაკვირველია, ტრამპი და მისი სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო ცდილობენ ამ პანდემიის დაწყება ჩინეთს დააბრალონ და, ალბათ, არც თუ უსაფუძვლოდ. ჩინეთს მართლაც

მოუწევს პასუხისგებლობის ნაწილის მაინც აღება საკუთარ თავზე.

არ მგონია, ამ ორ ქვეყანას შორის რაიმე სერიოზული და ფუნდამენტური დაპირისპირება განვითარდეს — ეს უფრო პროპაგანდისტული ომია. თუმცა, თუ ამერიკამ ამ ომში გაიმარჯვა, დიდ მოგებასაც ნახავს. მაგრამ ფუნდამენტური და, მით უმეტეს, სამხედრო კონფლიქტი, ვფიქრობ, რომ არაა მოსალოდნელი. ეკონომიკურად ძალიან გადაჯაჭვულნი არიან ერთმანეთზე და ეს არც ერთი მხარისთვის არ მოიტანს სიკეთეს. თუმცა, რასაკვირველია, ამერიკის მსხვილი კომპანიების ჩინეთის ბაზრიდან გასვლა, რათა შემცირდეს ამერიკული ბიზნესის ჩინურ საწარმოებზე დამოკიდებულება, პრობლემა იქნება ჩინეთისთვის. მაგრამ, აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩინეთს უკვე ისეთი კოლოსალური ფინანსური რეზერვები აქვს დაგროვილი, რომ ინვესტიციების პრობლემა ნაკლებად ექნება. ტექნოლოგიებიც საკმაოდ მიითვისა უკვე და საკუთარსაც წარმატებულად ამუშავებს.

—თქვენი აზრით, როგორ შეიცვლება მსოფლიო კორონავირუსის შემდეგ?

— ამაზე სრულფასოვნად რომ გიპასუხოთ, ალბათ, ნობელის პრემიასაც მივიღებ... ცნობილმა ფრანგმა მწერალმა უელბეკმა თქვა ახლახანს: „მსოფლიო, ალბათ, ისეთივე იქნება, მაგრამ ცოტა უფრო ცუდი“. ნუ, ძნელია გამოჩენილ მწერალს ეკამათო, მაგრამ მგონია, რომ მსოფლიო გაცილებით უკეთესი გახდება! ამ პანდემიამ ბევრი რამ გვასწავლა, უფრო ორგანიზებულნი და რაციონალურები გაგვხადა. მრავალი ახალი, დისტანციური მართვის ტექნოლოგიები შემოგვთავაზა, რომელიც სრულიად ახალ შესაძლებლობებს გაგვიხსნის. ასე რომ, მე უფრო ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. მთავარია, ვირუსის სამკურნალო წამალი და პრევენციის საშუალება შევქმნათ დროზე და ყველაფერი კარგად და გაცილებით უკეთ იქნება! თუმცა, იმ დაღუპულ ადამიანებს, ბუნებრივია, ვერავინ დაგვიბრუნებს...

ესაუბრა თამარ დადიანი

პარიზის პასტერის ინსტიტუტის მთელი პოტენციალი მიმართულია „კოვიდ-19“-თან საბრძოლო არსენალის შექმნაზე

გვესაუბრება პასტერის ინსტიტუტის (პარიზი, საფრანგეთი) პროფესორი, ცნობილი ქართველი მეცნიერი, ბიოლოგიის მეციერებათა დოქტორი, ვირუსოლოგი და აკადემია ევროპეას თბილისის რეგიონული ცენტრის დირექტორი
დავით ფრანგიშვილი

— პარიზის პასტერის ინსტიტუტი ცნობილია, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამედიცინო მიკრობიოლოგიის ცენტრი. საინტერესოა ინსტიტუტის ჩართულობის ხარისხი დღევანდელ პანდემიასთან ბრძოლაში...

— მართალი ბრძანდებით, ჩვენი ინსტიტუტი უკვე 130 წელია ინფექციურ დაავადებებთან ბრძოლის წინა ხაზზეა. ამ ბრძოლას დასაბამი მისცა ლუი პასტერის მიერ ვაქცინის – დასუსტებული ვირუსის — გამოყენებამ ცოფით დასნეულებული პაციენტების მკურნალობაში. ვაქცინაცია წლების მანძილზე ვირუსებთან ბრძოლის ყველაზე მძლავრი იარაღია და პასტერის ინტიტუტს ახალი ვაქცინების შექმნის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს. რა თქმა უნდა, ახალი კორონავირუსის გამოჩენის დღიდან ინსტიტუტის მთელი პოტენციალი მიმართულია მასთან საბრძოლო არსენალის შექმნაზე — იქნება ეს ვაქცინა, წამალი თუ სწრაფი ტესტი. ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით, პასტერის ინსტიტუტი სერიოზული რწმუნებულობების გარეშე, სანამ უტყუარ შედეგებს არ მიიღებს, ხმამაღალ განცხადებებს წარმატების შესახებ არ აკეთებს. ნებისმიერ შემთხვევაში, დიდი დრო გავა, სანამ პრევენციული ვაქცინა შეიქმნება და ავადმყოფებისთვის ხელმისაწვდომი გახდება. მანამდე, ალბათ, მედიკამენტოზური მკურნალობის საშუალებები გამოინახება.

— როგორც ვირუსების მრავალფეროვნების და მათი ევოლუციის ექსპერტმა, რა შეგიძლიათ გვითხრათ ახალი კორონავირუსის წარმოშობის შესახებ?

დავით ფრანგიშვილი

— არსებული მონაცემების მიხედვით, ახალი კორონავირუსის „SARS-CoV2“-ის შეღწევა ადამიანების პოპულაციაში მოხდა ერთჯერადად დაუდგენელი ძუძუმწოვრიდან და ამას ადამიანებს შორის ჯაჭვური გავრცელება მოჰყვა. ასეთი შემთხვევები – ვირუსული ზოონოზი — ბუნებაში ცნობილია, თუმცა მათი გამომწვევი მიზეზები სრულიად გაუგებარია და მისტიურ სფეროს განეკუთვნება. შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ეს პროცესი — ვირუსებსა და მათ მასპინძელ ორგანიზმებს შორის წონასწორობის დარღვევა, გლობალურ ეკოლოგიურ ცვლილებებთან არის დაკავშირებული. ასე რომ, დღევანდელი კატასტროფის ერთი მიზეზი ბუნებასთან ჩვენი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაც არის.

მინდა აღვნიშნო, რომ სამეცნიერო საზოგადოებამ, რამდენიმე ოდიოზური მეცნიერის გამოკლებით, ერთხმად უარყო ახალი ვირუსის ხელოვნურად შექმნის შესაძლებლობა. ბევრია არგუმენტი შეთქმულების თეორიის წინააღგმდეგ და მათ გახილვას არ შევუდგები.

— თქვენ ბრძანდებით საქართველოს მიკრობიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი. საინტერესოა, როგორ აფასებთ საქართველოს რეაგირების ხარისხს დღევანდელი პანდემიის პირობებში?

— ეპიდემიოლოგიური ვითარების შეფასებისთვის სრულიად საკმარისია გადაიხედოს სტატისტიკური მონაცემები, რომელთა მიხედვით კორონავირუსთან ბრძოლაში საქართველო ერთ-ერთი ყველაზე წარმატებულია ევროპულ ქვეყნებს შორის. ეს წარმატება შემთხვევითი არ არის და მას ისტორიული კავშირი აქვს ჩვენს უნივერსიტეტთანაც. 1919 წელს უნივერსიტეტმა გადაწყვიტა ჩამოეყალიბებინა მიკრობიოლოგიის და ზოგადი ჰიგიენის კათედრები და ამ საქმისთვის მოიწვია ხარკოვში მოღვაწე გამოჩენილი მიკრობიოლოგი სიმონ ამირეჯიბი. ახალგაზრდა პროფესორი თავდაუზოგავად შეუდგა ჩვენში განათლებისა და კვლევის ახალი მიმართულებების განვითარებას, რაც ნათლად ასახულია მიკრობიოლოგიის კათედრის ანგარიშში 1921 წელს გაწეული სამუშაოს შესახებ. ამ დოკუმენტს შემთხვევით წავაწყდი საქართველოს სახელმწიფო არქივში და ვისურვებდი, რომ დაიბეჭდოს უნივერსიტეტის გაზეთში, როგორც პროფესიული თავდადების და კოლეგიალობის სანიმუშო მაგალითი. სიმონ ამირეჯიბმა ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ვაქცინებისა და შრატების წარმოებას, წყალსადენების სანიტარიის და თვითგაწმენდის საკითხების შესწავლას, სამუშაო ადგილებზე სანჰიგიენური პირობების დაცვას. ასე რომ, ქართველი ეპიდემიოლოგების და ინფექციონისტების დღევანდელი წარმატება დიდ ტრადიციაზე არის დამყარებული, რომელიც საუკუნის მანძილზე მსოფლიო სტანდარტების დონეზე რჩებოდა. ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას და პატივისცემას ვუცხადებ ქართველ ექიმებს და ყველა იმ პირს, ვინც თავდაუზოგავად ებრძვის კორონავირუსის ეპიდემიას.

— რას ფიქრობთ, რა გაკვეთილი შეიძლება მიიღოს კაცობრიობამ მიმდინარე პანდემიიდან და რა შედეგები შეიძლება მოიტანოს მიღებულმა გამოცდილებამ?

— ჩვენ ჯერ კიდევ „COVID-19“ პანდემიის გავრცელების პერიოდში ვართ და სრულად ვერ შევაფასებთ ვერც ადამიანური მსხვერპლის მასშტაბს და ვერც პანდემიის ეკონომიკურ და სოციალურ შედეგებს. ერთი გაკვეთილი, რაც უკვე

მივიღეთ, ის არის, რომ ბევრად უფრო ფაქიზად უნდა მოვექცეთ ბუნებას, რადგან ცვლადი ეკოლოგიური პირობები, ბუნებრივი ბალანსის დარღვევა დიდი ალბათობით ბიძგს აძლევს სახეობათაშორისო ვირუსულ ინფექციებს და ახალი ვირუსების გავრცელებას ადამიანის პოპულაციაში. ისიც ცხადად გამოჩნდა, რომ აუცილებელია შეიქმნას ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ისეთი სტრუქტურა, რომელიც მისი სახელის ღირსი იქნება და რომ არ შეიძლება ველოდოთ პანდემიასთან ბრძოლის მართვას მსოფლიო მასშტაბით იმ ორგანიზაციისგან, რომლის დაფინანსება ბევრად არ აღემატება დიდი ევროპული საუნივერსიტეტო საავადმყოფოს ბიუჯეტს. აშკარაა, რომ ჯანმრთელობის დაცვაში მწირი ინვესტიციისთვის საზოგადოებას ძალიან მაღალი ფასის გადახდა უხდება: მოქალაქეების სიცოცხლის დასაცავად საზოგადოებრივ ჯანდაცვასა და პრევენციულ მედიცინაში არანაკლები, თუ არა უფრო მეტი, თანხებია ჩასადები, ვიდრე სამხედრო თავდაცვის ბიუჯეტში.

დაბოლოს, მინდა გავუსვა ხაზი, რომ მიმდინარე პანდემიასთან ბრძოლაში თითოეული ადამიანის სიცოცხლე ყველაზე მაღალ ფასეულობად წარმოჩინდა. ვფიქრობ, ისტორიული მოვლენის მოწმენი ვართ და კაცობრიობის ისტორიაში პირველად ხდება, რომ ყველა სახელმწიფო სოლიდარულად, სრული ეკონომიკური კატასტროფის ხარჯზე, პოლიტიკური დივიდენდების მოუპოვებლად, თითოეული მოქალაქის სიცოცხლეს აბსოლუტურ პრიორიტეტს ანიჭებს. დიდი იმედი მაქვს, რომ ასეთი „ალტრუიზმის“ რაღაც ნაწილი მომავალშიც დარჩება და მატერიალური ფასეულობებისთვის გადამეტებულად მნიშვნელობის მინიჭების ეპოქა დიდიხანი აღარ დაბრუნდება.

ესაუბრა ნინო კაკულია

ᲗᲡᲣ ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ — „ᲖᲚᲐᲞᲠᲘᲡ ᲢᲠᲐᲜᲡᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ“ ᲐᲮᲐᲚ ᲒᲛᲘᲠᲔᲑᲡ ᲒᲕᲐᲪᲜᲝᲑᲡ

თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ახალ პროექტს — „ზღაპრის ტრანსფორმაცია“ თითქმის მთელი საქართველოს საჯარო სკოლების დაწყებითი კლასების მოსწავლეები გამოეხმაურნენ. პროექტი ორი კვირის წინ თბილისის კლასიკურ გიმნაზიასთან და თბილისის 133-ე საჯარო სკოლასთან თანამშრომლობით დაიწყო. შედეგად, ამ დროისთვის, უკვე ორი ქართული და ორი უცხოური ზღაპრის არაერთი თანამედროვე ინტერპრეტაცია არსებობს, ავტორები კი I, II, III და IV კლასის მოსწავლეები არიან. ინტერპრეტაციები წერილობითი, ჩანახატების, კომიქსებისა თუ ვიდეოების სახით თსუ საბავშვო უნივერსიტეტის facebook-გვერდზე პერმანენტულად იტვირთება.

„თსუ საბავშვო უნივერსიტეტის სამიზნე აუდიტორია უმეტესად უფროსი კლასის მოსწავლეები არიან. თუმცა, ამჯერად, დაწყებითი კლასების მოსწავლეები გამოვიწვიეთ, რადგან მათ პანდემიის გამო, ფიზიკური იზოლაციის პირობებში, სხვადასხვა აქტივობებში ჩართვის ნაკლები საშუალება აქვთ. ბავშვებს ოთხი ზღაპრის თანამედროვე ინტერპრეტაციის გამოგონება შევთავაზეთ, ესენია: „სამი გოჭი“, „წითელქუდა“, „კომბლე“ და „ნაცარქექია“. მათ უნდა მოეთხროთ, როგორები იქნებოდნენ ამ ზღაპრის გმირები XXI საუკუნეში. თავდაპირველად თბილისის პირველი კლასიკური გიმნაზიის პედაგოგთან თეონა მამუჩიშვილთან, თბილისის 133-ე საჯარო სკოლის პედაგოგთან ხათუნა ლოლომაძესთან და ფოთის 1-ელ და მე-12 საჯარო სკოლებთან

ნინო პოპიაშვილი

მარიამ ძაცოევი (ზღაპრის ტრანსფორმაცია)

22 АПРЕЛЯ 2020 Г. · ДОСТУПНО ВСЕМ

მარიამ ძაცოევი

დამრიგებელი: ხათუნა ლოლომაძე

133-ე სკოლის 4-ე კლასი

"მშენებელი სამი გოჭი და ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენელი მგელი"

პროექტში მონაწილე

დავიწყეთ თანამშრომლობა. ამ დროისთვის უკვე ძალიან ბევრი სკოლის მოსწავლე გამოგვეხმაურა და ძალიან საინტერესო მასალები მივიღეთ. მაგალითად, გვაქვს ვიდეოები, სადაც ბავშვები თავად თამაშობენ ზღაპრის გმირების როლებს ან გვიყვებიან ზღაპრის ინტერპრეტირებულ ვერსიას; გვაქვს კომიქსები, ჩანახატები; ზოგან სამი გოჭი სამი რობოტია, მგელი კი ჰაკერი და რობოტებისთვის კოდების წართმევას ცდილობს; წითელქუდა ექიმია და მგელს „COVID-19"-ისგან კურნავს; კომბლე გამომძიებლად მოგვევლინა, რომელიც დაკარგულ მეგობრებს ეძებს; ნაცარქექია ინტერნეტქექიაა და ა.შ. სიკეთე ბოლოს ყველგან იმარჯვებს, შესაბამისად, ზღაპრის მთავარი მორალი დაცულია. ჩვენს ფაცებოოკ-გვერდზე არ აგვიტვირთავს ის ვიდეოები, სადაც უფროსებიც ჩანან, რადგან მთავარი მოთხოვნა გახლდათ, რომ ასახული ყოფილიყო ბავშვების დამოუკიდებელი აქტივობები.

საბავშვო უნივერსიტეტის დირექციასთან, ქალბატონ მარინე ლომოურთან და დემეტრე მოდებაძესთან ერთად გადავწყვიტეთ, რომ 1 ივნისს საუკეთესო ათეულს გამოვავლენთ, რომლებსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისგან საჩუქრები გადაეცემათ", — განაცხადა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, თსუ საბავშვო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული მიმართულების კოორდინატორმა ნინო პოპიაშვილმა.

თსუ საბავშვო უნივერსიტეტი მომდევნო ეტაპზე ახალ პროექტს — „შექმენი შენი იგავ-არაკი" V-VIII კლასების

მოსწავლეებისთვის დაიწყებს. კონკურსის დაწყების თარიღი მოსწავლეებს თსუ საბავშვო უნივერსიტეტის facebook-გვერდის საშუალებით ეცნობებათ.

მოამზადა ნატო ობოლაძემ

გლობალიზაცია და პანდემიის ეკონომიკური პრობლემები

თსუ-ის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ რამაზ აბესაძის ექსპერტული ხედვა და რჩევები

პანდემიის ეკონომიკური პრობლემები წარმოიშვება მსოფლიოში ინფექციურ დაავადებათა მასიური გავრცელების დროს მთავრობების მიერ ადამიანთა უსაფრთხოების მიზნით გატარებულ აკრძალვით ღონისძიებათა განხორციელების გამო. სამეურნეო საქმიანობათა შეზღუდვები ეკონომიკაში იწვევს საბაზრო მექანიზმების შეზღუდვას, საწარმოთა ფუნქციონირების ნაწილობრივ ან სრულ შეწყვეტას, რომელსაც მოსდევს ეკონომიკური ვარდნა, საზოგადოების დიდი ნაწილის კეთილდღეობისა და კომფორტის გაუარესება. პანდემია უარყოფითი ბუნებრივი მოვლენაა და შეიძლება გლობალურ ბუნებრივ კატასტროფებს შევადაროთ. ეკონომიკაზე პანდემიის გავლენას ეკონომიკის პანდემიური შოკი შეიძლება ვუწოდოთ. პანდემია ეკონომიკაზე უშუალოდ არ მოქმედებს. მისი ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა შეწყდება მაშინვე, როდესაც იგი გავლენას ვერ მოახდენს ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე. ამიტომ პანდემიური ეკონომიკური შოკის მთლიანად მოხსნა დამოკიდებულია ვირუსის მოქმედების ხასიათზე (ეპიდემია ჩაცხრება თავისით თუ არა) ან მედიცინაზე (გამოგონებული იქნება თუ არა ვაქცინა, ან

რამაზ აბესაძე

წამალი ვირუსის წინააღმდეგ). შესაძლებელია ითქვას, რომ დღევანდელი ეკონომიკა მედიცინის მძევალია (ვ. პაპავა, ვ. ჭარაია, ეკონომიკური კრიზისი და საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა), მაგრამ მედიკოსებს ამაში ბრალი არ მიუძღვით, ვინაიდან ახალი კორონავირუსის შესწავლას, წამლის ან ვაქცინის მიგნებას დრო სჭირდება. პირიქით, სწორედ მედიკოსთა რეკომენდაციების საფუძველზე ხერხდება პანდემიის უარყოფითი შედეგების შემცირება, ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადარჩენა.

დღევანდელი პანდემიური შოკის თავისებურება არის ის, რომ უარყოფითი ეკონომიკური შედეგები გამოწვეულია მთავრობის მიერ მიღებული დიდმასშტაბიანი შეზღუდვებით ეკონომიკური საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში. ეკონომიკური შოკების დროს ყურადღება მახვილდება მათი გამომწვევი მიზეზების დადგენასა და მათ აღმოფხვრაზე. პანდემიური შოკის მიზეზი სახეზეა და მთავრობების მიერ მართულია. მთავრობას შეუძლია გაზარდოს ან შეამციროს შოკის მოქმედება, აკრძალვების გაზრდისა და შემცირების ან ანტიკრიზისული პროგრამების განხორციელების გზით. ეს შოკი გამოწვეულია არა ეკონომიკის რომელიმე სფეროში წარმოქმნილი კრიზისის შედეგად, არამედ მას აქვს სის-

ტემური ხასიათი, ვინაიდან, აკრძალვების გამო მეტნაკლები სიდიდით ზარალდება ეკონომიკის ყველა სფერო. ეკონომიკის დანაკარგები დიდია, ვინაიდან დღევანდელი ეკონომიკის მასშტაბები უზარმაზარია და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები ძალზე მჭიდრო. დღეს უკვე სახეზეა გლობალური ეკონომიკური რეცესია: უმუშევრობის ზრდა, მცირე და საშუალო ბიზნესების გაკოტრება, ტურიზმისა და ავიაციის სექტორის ჩამოშლა, ნავთობზე ფასების კატასტროფული ვარდნა, რეკორდული ვარდნა საფონდო ბაზარზე და ა.შ.

რასაკვირველია, პანდემიური შოკის მართვა განსხვავდება ეკონომიკურისაგან. მისი მოხნა დამოკიდებულია არა მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ ღონისძიებებზე, არამედ ვირუსის გავრცელების ვადებზე, მასშტაბებსა და აგრესიულობაზე. ასევე, მაგალითად, თუ ფინანსური კრიზისის დროს, უპირველესყოვლისა, გადასარჩენი იყო მსხვილი ბანკები, დღეს, უმთავრესად, გადასარჩენია მიკრო, მცირე და საშუალო სიდიდის საწარმოები: მცირე მაღაზიები, სასტუმროები, რესტორნები, სწრაფი კვება, სილამაზის სალონები, ატელიები, ბარები, კაფეები, ტურისტული კომპანიები და ა. შ. თითქმის შემოსავლების გარეშე დარჩნენ თვითდასაქმებულები, შემოქმედებითი და ბევრი სხვა სფეროს წარმომადგენლები. პანდემიის დროს იზრდება ეკონომიკის იმ სფეროების მნიშვნელობა და მასშტაბები, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებულნი ადამიანთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობასთან (სურსათით უზუნველყოფა, მედიცინა, სააფთიაქო სისტემა, სატვირთო გადაზიდვები, ონლაინ ვაჭრობა, ონლაინ სწავლება, დისტანციური სამსახური და სხვ.). პანდემიამ გვიჩვენა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია როგორც სამედიცინო სისტემის, ისე სოფლის მეურნეობის განვითარება, პირველის, როგორც სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ხოლო მეორის, როგორც სურსათით უზრუნველყოფის სფერო.

მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკური რეცესია გამოწვეულია პანდემიით, დღეისათვის უკვე ჩამოყალიბდა წმინდა ეკონომიკური ხასიათის ნეგატიური პროცესები (უმუშევრობა, სიღარიბის ზრდა, ინფლაცია, ვალუტის გაუფასურება,

ეროვნული ადამიანისეული კაპიტალის, დანაზოგების, შიგა და უცხოური ინვესტიციების, საზღვარგარეთიდან ფულადი გზავნილების შემცირება და სხვ.), რომელიც ვრცელდება მთელ ეკონომიკაზე და შესაძლებელია, პანდემიური შოკი ღრმა ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდოს, რომლის დაძლევა პანდემიის მოხსნის შემდეგაც ბევრ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული. მდგომარეობას ართულებს ის, რომ აღნიშნული შოკი გლობალური ხასიათისაა.

თანამედროვე პანდემიის პირობებში მთავრობას უწევს ოქროს შუალედის მოძებნა ადამიანის ჯანმრთელობას, მის სიცოცხლესა და ეკონომიკურ ვარდნას შორის, თუმცა პირველი უმთავრესია. ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, როგორც უმაღლეს ღირებულებას, რასაკვირველია, უპირატესობა უნდა მიენიჭოს, მაგრამ უკიდურესი გადახრა როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს, გამოიწვევს როგორც ადამიანთა, ისე ეკონომიკის ძლიერ დაზარალებას. მაგალითად, თუ მთავრობა უგულებელყოფს ადამიანთა უსაფრთხოებას და თვითდინებაზე მიუშვებს პროცესებს, კატასტროფულად გაიზრდება დაავადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობა, რაც ასევე კატასტროფულ გავლენას მოახდენს ეკონომიკაზე ეროვნული ადამიანისეული კაპიტალის შემცირებისა და დაავადებულთა მკურნალობის ხარჯების დიდი მასშტაბების გამო. თუ მთავრობა ძლიერ შეზღუდავს ეკონომიკურ საქმიანობას, მოიშლება ეკონომიკური სისტემა, გაიზრდება უმუშევრობა, შემცირდება შემოსავლები, დაიწყება შიმშილი, დაიძაბება სოციალური გარემო და ამით შესაძლებელია გაიზარდოს სიკვდილიანობა, რომ არაფერი ვთქვათ კეთილდღეობის გაუარესებაზე. მაშასადამე, მთავრობა იძულებულია წავიდეს გარკვეულ დათმობაზე როგორც ადამიანთა უსაფრთხოების, ისე ეკონომიკის საწინააღმდეგოდ და ამით მიიღოს პანდემიიდან თავის დაღწევის ყველაზე უკეთესი შედეგი.

გლობალიზაციას არაერთი დადებითი მხარე აქვს, მაგრამ მას აქვს ასევე ნეგატიური მხარეც. მაგალითად, რომელიმე ქვეყანაში წარმოშობილი უარყოფითი პროცესი შესაძლებელია მთელ მსოფლიოში სწრაფად გავრცელდეს. დღეს სწორედ

ჩინეთში წარმოშობილი ეპიდემიის მსოფლიოში გავრცელებას აქვს ადგილი. ადამიანთა მსხვერპლი იმდენად დიდია და საფრთხე იმდენად საშიში, რომ იგი პანდემიად გამოცხადდა.

პანდემია გლობალური პრობლემაა, მაგრამ იგი არ არის უშუალოდ გლობალიზაციის შედეგი. იგი აჩქარებს ინფექციის გავრცელებას, მაგრამ პანდემია, უფრო მეტად, თვით ინფექციის თავისებურებაა. იგი მსოფლიოში ვრცელდებოდა მაშინაც, როდესაც არათუ გლობალიზაციის, არამედ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დონეც კი უმნიშვნელო იყო. მაგალითად, „შავი ჭირის“ (ჟამის), „შავი სიკვდილის“, „ქოლერის“, „ესპანური გრიპის“ და სხვ პამდემიები, რომელთაც ადამიანთა დიდი მსხვერპლი და ღრმა ეკონომიკური კრიზისები მოჰყვა. გლობალიზაციის გაღრმავებასთან ერთად, მედიცინის განვითარების შედეგად, პანდემიათა უარყოფითი შედეგები მცირდება. ამაზე მეტყველებს „ღორის გრიპის“, „ატიპური“ და „ფრინველის გრიპის“ პანდემიები.

დღევანდელი პანდემიის დროსაც ადამიანთა დაავადების მასშტაბები და მსხვერპლი ჯერჯერობით მცირეა (თუმცა ერთი ადამიანის დაკარგვაც კი ტრაგედიაა), თუმცა კორონავირუსი უფრო სწრაფად ვრცელდება და თუ სასწრაფო ზომები არ იქნებოდა მიღებული, შესაძლებელია ადამიანური მსხვერპლი უფრო დიდი ყოფილიყო. ასევე, აღსანიშნავია ის, რომ კორონავირუსს შედარებით ნაკლები აგრესიულობა ახასიათებს. ასევე, მიღწევები მედიცინაში და მსოფლიოში ჯანდაცვის სისტემათა განვითარების დონე დაავადებულთა განკურნების გაცილებით მეტ შესაძლებლობებს იძლევა, ვიდრე წარსულში (განსაკუთრებით შავი ჭირის, ქოლერისა და სპიდის დროს).

მიუხედავად პანდემიების მდიდარი გამოცდილებისა, მსოფლიო მაინც ძალზე მოუმზადებელი შეხვდა კორონავირუსის პანდემიას არა სამედიცინო, არამედ მის წინააღმდეგ გლობალური ბრძოლის თვალსაზრისით. ბიოლოგიური კატასტროფის საფრთხის დასაძლევად 85 ტრილიონიანი მშპ-ს მქონე მსოფლიომ საჭირო სახსრები ვერ გამონახა (ნ. ჭითანავა, განსაცდელმა გააზრებული ნაბიჯების გადადგმა უნდა შეგ-

ვაძლებინოს. 2020). ეს გამოწვეულია იმით, რომ ეკონომიკის გლობალიზაციის დონე წინ უსწრებს პოლიტიკური გლობალიზაციის დონეს. პოლიტიკური მზაობის შემთხვევაში, ეკონომიკური გლობალიზაციის დონე დღეისათვის საშუალებას იძლევა — ასეთი სახის ინფექციების დროს მსოფლიომ იმოქმედოს მყისიერად; საერთო ძალებით წარმოშობის კერა-შივე მოსპოს იგი ან ძლიერ შეზღუდოს მისი გავრცელების არიალი და მასშტაბები; არ დაუშვას ეპიდემიის პანდემიად ჩამოყალიბება. დღევანდელი ვითარება კი გვიჩვენებს, რომ ცალკეული ქვეყნები იყვნენ მაყურებლთა როლში ან დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. არადა, პანდემიის აღმოფხვრა შეუძლებელია ძალების გაერთიანების გარეშე. თუ ინფექციის კერა რომელიმე ქვეყანაში დარჩება, არსებობს მისი თავიდან გავრცელების საშიშროება სხვა ქვეყნებში.

ქვეყნების დღევანდელმა თვითიზოლაციამ გააჩინა გარკვეული ანტიგლობალისტური შეხედულებები, არადა, აუცილებელია პირიქით მოქმედება. საჭიროა შეიქმნას საერთაშორისო ორგანიზაცია ყველა ქვეყნის მონაწილეობით (ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციასთან ერთად), რომელიც მოახდენს სწრაფ რეაგირებას ეპიდემიებზე, განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს მსოფლიო მასშტაბით და ხელს შეუშლის მის გავრცელებას სხვა ქვეყნებში. ამის უზრუნველსაყოფად უნდა არსებობდეს შესაბამისი ფონდიც. მსოფლიო მზად უნდა იყოს ახალი ინფექციებისაგან თავდასაცავად.

არსებობს მოსაზრებები, რომ კორონავირუსის პანდემიის შემდეგ შემცირდება გლობალიზაციის დონე, ქვეყნები აირჩევენ პროტექციონისტულ პოლიტიკას, თვითკმარობის პოლიტიკას, რაც შეუძლებლად მიგვაჩნია, ვინაიდან ეს შეამცირებს გლობალური პრობლემების (ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, სიღარიბის დაძლევის, ომისა და მშვიდობის, ბუნებრივი რესურსების ამოწურვის, სასურსათო, კლიმატის ცვლილების, ეკოლოგიური, კოსმოსისა და ოკეანეების ათვისების პრობლემა და სხვა) გადაჭრის შესაძლებლობებს, ყველა ქვეყანაში ეკონომიკის შეკვეცას, შემოსავლების შემცირებას, დანახარჯების შემცირებას სამეცნიერო კვლევებ-

ზე, ინოვაციებზე და, საბოლოო ანგარიშით, შეაფერხებს ეკონომიკურ განვითარებას მთელ მსოფლიოში. რაც შეეხება ექსპორტის ზრდისა და იმპორტჩანაცვლებადი დარგების განვითარების ხელშეწყობას, ეს დღესაც დღის წესრიგშია.

გლობალიზაციის პროცესი ობიექტური რეალობაა და ის აუცილებლად გაგრძელდება, მაგრამ კორექტივების შეტანა მასში აუცილებელია. საჭიროა ჯანდაცვის გაძლიერება, მისი ორგანიზაციის ახალი ფორმების შემუშავება და დანერგვა. ასევე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სავალუტო კურსის პრობლემას, უნდა განხორციელდეს სავალუტო კურსის საერთაშორისო რეგულირება, ვინაიდან ცალკეული ქვეყნისათვის სტაბილური სავალუტო კურსის შენარჩუნება თითქმის შეუძლებელია, მასზე მოქმედი საერთაშორისო, ბევრ შემთხვევაში, სუბიექტური და სტიქიური ფაქტორის გამო. სავალუტო კურსი გამოხატავს საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ფასს, მაგრამ იგი დგინდება არა მხოლოდ სასაქონლო (როგორც ეს ხდება ქვეყნის შიგნით), არამედ სავალუტო ბაზრებზეც, ამიტომ მასზე გავლენას ახდენს სპეკულაციური მოქმედებები, საფინანსო ბუშტები, დემპინგი, მთავრობათა არაეკონომიკური ჩარევები და სხვა, რომელთა მოქმედება არ ეფუძნება კანონიერ საქმიანობას. არადა, თითოეული ასეთი ნეგატიური პროცესი ცალკეული ქვეყნისათვის შესაძლებელია ტრაგედიად იქცეს.

თანამედროვე პანდემიის პირობებში მოსალოდნელია მოვლენათა განვითარების ორი სცენარი – მოკლევადიანი და გრძელვადიანი. პირველი სცენარის შემთხვევაში ეპიდემია თავისთავად ჩაცხრება მთელ მსოფლიოში ან გამოგონებული იქნება ვაქცინა და დაავადების სამკურნალო წამალი. პირველ შემთხვევაში ეკონომიკის აღდგენა შესაძლებელი იქნება მოკლე დროში, ვინაიდან სახელმწიფო და კერძო დანაზოგები, სამუშაო ადგილები და ადამიანისეული კაპიტალი ძირითადად შენარჩუნებული იქნება. მეორე შემთხვევაში აუცილებელი გახდება ეკონომიკური საქმიანობის გაძლიერება პანდემიის პირობებში. წინააღმდეგ შემთხვევაში როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დანაზოგები ამოიწურება, სამუშაო

ადგილები და ადამიანისეული კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი გაჩანაგდება, დაისადგურებს სიღარიბე, შიმშილი და ა.შ. ასეთ შემთხვევაში საჭირო გახდება სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი და გარედან მოზიდული სახსრების მიმართვა სამუშაო ადგილების აღსადგენად. სახელმწიფომ და კერძო სექტორმა დანახარჯები უნდა გასწიონ ადამიანთა დაინფიცირების თავიდან ასაცილებლად, ძირითადად, შესაბამისი ტექნიკური საშუალებების (სამუშაო ძალის ეკიპირება, ავტომატიზაციის ამაღლება, რობოტიზაცია, დისტანციური სწავლება და საქმიანობა, დასაქმებულთა ტრასპორტირება, სამუშაო ადგილების დეზინფექცია და ა.შ.) გამოყენებისათვის, ისე, როგორც ეს ხდება გარეგანი ეფეტების (ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიები) აღმოსაფხვრელად. ასევე, გაიზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები დაავადებულთა სამკურნალოდ. იმედია, ამ სცენარით მოვლენები არ განვითარდება.

პანდემიის დროს სახელმწიფოს როლი აქტიურდება. სწორედ მის ხელში გადადის როგორც ადამიანთა უსაფრთხოების, ისე ეკონომიკური საქმიანობის შენარჩუნების ძირითადი ბერკეტები. სახელმწიფოს გარეშე შეუძლებელი იქნება პანდემიასთან ბრძოლა და მისი შედეგების აღმოფხვრა ეკონომიკასა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. ასეთ ექსტრემალურ პირობებში თითქოს უფრო ეფექტიანია სახელმწიფო საკუთრების არსებობა. მაგალითად, სახელმწიფოს საკუთრების პირობებში უფრო ოპერატიულად და შეფერხებების გარეშე განხორციელდება ჯანდაცვის ღონისძიებები, სახელმწიფო საწარმოში დასაქმებულები უხელფასოდ არ დარჩებიან, შენარჩუნებული იქნება სამუშაო ადგილები, უფრო სწრაფად მოხერხდება პანდემიის პირობებში ეკონომიკური საქმიანობის გაგრძელებისათვის მომზადება და სხვ. ამის გათვალისწინება შესაძლებელია მომავალში, სახელმწიფო საკუთრების ხვედრითი წილის გაზრდის მიმართულებით, მაგრამ არსებულ საწარმოთა ნაციონალიზაცია მიუღებელია, ვინაიდან მოხდება საბაზრო მექანიზმების მოშლა და წარმოიშვება სოციალური დაძაბულობა.

კორონავირუსის პანდემიასა და მის ეკონომიკურ შედეგებთან დაკავშირებით ჩვენ ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ პანდემიასთან ბრძოლისა და პოსტპანდემიურ პერიოდში გასატარებელი ღონისძიებები (ე. მექვაბიშვილი, ინტერვიუ გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“). საკმაოდ ხანგრძლივი პანდემიური შოკი თანდათან ემსგავსება წმინდა ეკონომიკურ კრიზისს და პანდემიის დამთავრების შემდეგ შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ისეთი ინსტრუმენტები კრიზისიდან გამოსვლისა, როგორიც გამოიყენებოდა დიდი დეპრესიის, მეორე მსოფლიო ომისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური ვარდნისა და 2009-2010 წლების მსოფლიო ფინანსური კრიზისების დაძლევის დროს, რომელიც მოიცავს ფისკალურ, მონეტარულ, ინსტიტუციურ და სხვა ინსტრუმენტთა ერთობლიობას, რომლებიც იწვევენ წარმოების სტიმულირებას, უმუშევრობის შემცირებას და საბოლოოდ მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის მიღწევას. მოკლევადიანი პანდემიური ეკონომიკური შოკიდან გამოსვლას კი გაცილებით მცირე დრო და დანახარჯები დასჭირდება და ბევრ შემთხვევაში კერძო სექტორი, ძირითადად, თავისთავად აღიდგენს პანდემიამდე არსებულ მდგომარეობას, თუმცა სახელმწიფოს აქტიური დახმარებაც აუცილებელი იქნება, განსაკუთრებით იმ სფეროებისადმი, რომლებმაც დიდი დანაკლისი განიცადეს.

უნდა ითქვას, რომ საქართველოში, ძირითადად, დროულად მოხერხდა სათანადო ზომების განხორციელება ვირუსის გავრცელების წინააღმდეგ, რის შედეგადაც შენელდა ინფექციის გავრცელების პროცესი და მიღწეულ იქნა სხვა ქვეყნებთან შედარებით ადამიანთა მსვერპლის ძალზე დაბალი მაჩვენებელი, შენარჩუნდა ადამიანის საარსებო პირობებისა და ქვეყნის ფუნქციონირებისათვის საჭირო ეკონომიკური საქმიანობის გარკვეული დონე. საერთაშორისო დახმარებების მობილიზებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ხერხდება დახმარებების გაწევა როგორც მოსახლეობის, ისე ბიზნესისათვის. თუმცა, ალბათ, საჭიროა დახმარების გავრცელება იმ თვითდასაქმებულებზეც, რომლებიც არ იყვნენ

დარეგისტრირებულნი, არ შეუძლიათ შესაბამისი დამადასტურებელი საბუთების წარმოდგენა, მაგრამ მძიმე ეკონომიკურ პირობებში იმყოფებიან.

უკვე მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე (მაგალითად, დაავადებულთა განკურნების მაღალი შანსი, ეპიდემიის მასშტაბების შემცირება, ჩვევების ჩამოყალიბება მოსახლეობაში ვირუსისაგან თავდასაცავად, სოციალური დისტანცირება, ონლაინ საქმიანობა და სხვ.), აუცილებელია მკაცრი შეზღუდვების მოხსნა, რომ არ მივიდეთ ეკონომიკურ კოლაფსამდე და სოციალური დაძაბულობის უკიდურეს გამწვავებამდე. კარგია, რომ საქართველოში ეს პროცესი უკვე დაიწყო. შესაბამისი ვაქცინის ან წამლის აღმოჩენამდე ქვეყანამ უნდა მოახერხოს პანდემიის (ეპიდემიის) პირობებში ცხოვრება. გასათვალისწინებელია არა მხოლოდ შიდა პრობლემები, არამედ სხვა ქვეყნებში არსებული მდგომარეობა, რათა ინფექციის ხელახალი გავრცელება არ მოხდეს.

მომავალში, როგორც მთელ მსოფლიოში, ისე საქართველოში, კორონავირუსული პანდემიის გამოცდილებიდან გამომდინარე, ყურადღება უნდა გამახვილდეს მედიცინის, ბიოტექნოლოგიებისა და ჯანდაცვის სისტემების, სოფლის ეკონომიკის, ციფრული ეკონომიკისა და ხელოვნური ინტელექტის განვითარებაზე. ფართოდ უნდა დაინერგოს ონლაინ სწავლება, ონლაინ ვაჭრობა და დისტანციური საქმიანობა, რაც, გარდა ადამიანთა უსაფრთხოებისა, გამოიწვევს რესურსების მნიშვნელოვან ეკონომიასა და დროის დანაზოგს.

თანამედროვე ეტაპზე ადამიანთა კეთილდღეობის ამაღლება სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდება პროგრესულ თვისებრივ ცვლილებებზე ეკონომიკაში (ეკონომიკურ განვითარებაზე). ამდენად, მომავალში საქართველოში გენერალური მიმართულება უნდა გახდეს ეკონომიკის ინოვაციური განვითარება. ქვეყნის ინოვაციურმა სისტემამ უნდა შეძლოს ინოვაციების გენერირება ან იმპორტი. თავდაპირველად უპირატესობა უნდა მიენიჭოს ინოვაციების იმპორტს, ხოლო შემდეგ საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული ინოვაციების განხორციელებას (თუ გვინდა ქვეყნის კონკურენტუნარიან-

ობა ამაღლდეს). ამ პროცესში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მეცნიერებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ეკონომიკური განვითარების პროცესს საფუძველი გამოეცლება და შედეგი ვერ მიიღწევა. სწორედ ინოვაციების განხორციელების შედეგად, კაცობრიობის ერთიანი მოქმედებით, შეიძლება გადაიჭრას დღეისათვის მსოფლიოში არსებული სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი გლობალური პრობლემები, მათ შორის, ის გლობალური პრობლემაც, რომელსაც პანდემია ჰქვია.

კვლევაში ასახული დისტანციური სწავლის შედეგები თსუ-ში

სტატია მოამზადა ნინო კაკულიამ

წლევანდელი წელი აკადემიურად წლად არ გამოცხადდა. განათლების სისტემამ მალევე აუღო ალღო „კოვიდ-19“ ვირუსით გამოწვეულ რეალობაში დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის პროცესს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც მობილიზებულად გადაერთო დისტანციური სწავლის რეჟიმზე, რაც თსუ-ის ყველა ფაკულტეტმა წარმატებით



დაძლია. ხარვეზებსა და გარკვეული სახის პრობლემებზე, რა თქმა უნდა, იყო საუბარი, მაგრამ სწავლება/სწავლის პროცესი შედგა.

კონკრეტულად, თუ როგორ წარიმართა სწავლების პროცესი დისტანციურად, ამის თაობაზე გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციამ კვლევა ჩაატარა. გამოიკითხა თსუ-ის ყველა ფაკულტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საფეხურების 540 სტუდენტი, რომელთაც ფოსტაზე გაგზავნილი ელექტრონული ანკეტა შეავსეს. ელექტრონული ანკეტა თითქმის ყველა სტუდენტს დაეგზავნა, მაგრამ მათგან მხოლოდ 540 სტუდენტმა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) გვიპასუხა კითხვაზე — როგორ აგრძელებ სწავლას დისტანციურად (ჩაერთე პროცესში უპრობლემოდ თუ გაგიჭირდა პროცესში ჩართვა)?

კვლევის შედეგების თანახმად, გამოკითხული 540 სტუდენტიდან 374 (69 %) სტუდენტი ამბობს, რომ პროცესში ჩაერთო უპრობლემოდ, 127 (24 %) სტუდენტი აცხადებს, რომ გაუჭირდა პროცესში ჩართვა, 23 (4 %) სტუდენტი ამბობს, რომ ჩაერთო დისტანციური სწავლის პროცესში, მაგრამ იყო ხარვეზები და მხოლოდ 3 (1 %) სტუდენტი აცხადებს, რომ საერთოდ ვერ გადაეწყო ახალ რეჟიმზე. გამოკითხულთაგან 13-მა (2 %) სტუდენტმა თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან.



კვლევის შედეგები ფაკულტეტების მიხედვით

ანკეტური მონაცემების დამუშავების შემდეგ კვლევის შედეგები თსუ-ის ფაკულტეტების მიხედვითაც გრაფიკულად ავსახეთ. ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტიდან გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 110-მა სტუდენტმა, რომელთაგან 74 (69 %) აცხადებს, რომ დისტანციური სწავლის პროცესში ჩაერთო უპრობლემოდ, 30 (28 %) ამბობს, რომ გაუჭირდა პროცესში ჩართვა, 3 (3 %) კი მიუთითებს ხარვეზებზე პროცესში ჩართვისას (3 სტუდენტმა თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან).

მედიცინის ფაკულტეტიდან გამოკითხვას გამოეხმაურა მხოლოდ 5 სტუდენტი, რომელთაგან 5-ივე სტუდენტმა აღნიშნა, რომ პროცესში ჩაერთო უპრობლემოდ.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტიდან გამოიკითხა 116 სტუდენტი, რომელთაგან 78 სტუდენტმა (69 %) განაცხადა, რომ ჩაერთო პროცესში უპრობლემოდ, 26 (23 %) სტუდენტმა თქვა, რომ გაუჭირდა პროცესში ჩართვა, 8 (7 %) სტუდენტი ამბობს, რომ ჩაერთო პროცესებში, მაგრამ იყო ხარვეზები და მხოლოდ 1(1 %) სტუდენტი აღნიშნავს, რომ ვერ ჩაერთო პროცესში (3 სტუდენტმა თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან).

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოიკითხა 46 სტუდენტი. აქედან 35 (76 %) სტუდენტმა გვიპასუხა, რომ დისტანციური სწავლის პროცესში ჩაერთო უპრობლემოდ, ხოლო 11 (24 %) სტუდენტმა აღნიშნა, რომ გაუჭირდა პროცესში ჩართვა.

იურიდიული ფაკულტეტიდან ელექტრონული ანკეტა შეავსო 76 სტუდენტმა. აქედან 48 (64,9 %) სტუდენტი აცხადებს, რომ დისტანციური სწავლის პროცესში ჩაერთო უპრობლემოდ, 21 (28,4 %) სტუდენტი ამბობს, რომ გაუჭირდა პროცესში ჩართვა, 4 (5,4 %) სტუდენტის თქმით, დაფიქსირდა ხარვეზები პროცესში ჩართვისას და მხოლოდ 1 (1,3 %) სტუდენტი ვერ ჩაერთო პროცესში (2 სტუდენტმა თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან).

რუსუდან სეთურიძე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 100 სტუდენტმა. აქედან 76 (77 %) სტუდენტი ამბობს, რომ დისტანციური სწავლის პროცესში ჩაერთო უპრობლემოდ, 17 (17 %) სტუდენტი აცხადებს, რომ გაუჭირდა პროცესში ჩართვა, 5 (5 %) სტუდენტი მიუთითებს ხარვეზებზე პროცესში ჩართვის დროს და მხოლოდ 1 (1 %) სტუდენტი ამბობს, რომ ვერ ჩაერთო პროცესში (1 სტუდენტმა თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან).

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტიდან ჩვენს კითხვარს უპასუხა 89 სტუდენტმა. აქედან 61 (71,8 %) სტუდენტმა თქვა, რომ დისტანციური სწავლის პროცესში ჩაერთო უპრობლემოდ, 21 (24,7 %) სტუდენტმა განაცხადა, რომ გაუჭირდა პროცესში ჩართვა, 3 (3,5 %) სტუდენტი კი ამბობს, რომ ჩაერთო პროცესში, მაგრამ დაფიქსირდა ხარვეზები (4 სტუდენტმა თავი შეიკავა პასუხის გაცემისგან).

მთელ ამ პროცესში (ვებ-გვერდზე ელექტრონული ანკეტის დაფორმატება, Excel-სა და SPSS-ში მონაცემების დამუშავება და ასევე კვლევის შედეგების გრაფიკულად ასახვა) რედაქციას უშურველი დახმარება გაუწია თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკასა და ბიზნესში ინფორმაციული ტექნოლოგიების კათედრის ასოცირებულმა პროფესორმა, ეკონომიკის აკადემიურმა დოქტორმა, მეცნიერების, ინჟინერინგისა და ტექნოლოგიების მსოფლიო აკადემიის სამეცნიერო და სარედაქციო კომიტეტისა და ბიზნესის სისტემების ლაბორატორიის საერთაშორისო სამეცნიერო ბორდის წევრმა რუსუდან სეთურიძემ.

კვლევაში ასახული განწყობები

გამოკითხულ რესპონდენტთაგან ზოგიერთმა სტუდენტმა თავის პასუხს ახსნა-განმარტებებიც დაურთო, სადაც ჩანს მათი ემოციური დამოკიდებულება დისტანციური სწავლის რეჟიმზე გადართვასთან დაკავშირებით. ჩვენ საინტერესოდ ჩავთვალეთ სტუდენტური განწყობების ასახვა ჩვენი კვლევის ანალიტიკურ ნაწილში. წარმოგიდგენთ სტუდენტთა არაერთგვაროვან შეფასებებს პროცესთან მიმართებით:

- ბუნებრივია, რომ თავიდან სრულიად გაურკვევლობაში ვიყავი, მაგრამ საბოლოოდ ჩავერთე პროცესში ლექტორებთან კონტაქტითა და მასალაზე წვდომით. საბოლოოდ, ვსწავლობ მათ მიერ მოცემულ დავალებებს, იმის მიუხედავად, რომ რთულია მათი ნახვისა და მოსმენის გარეშე აღვიქვა მასალა „ონლაინ“ სწავლებით.
- დისტანციური სწავლის პროცესში ძალიან კარგად და მოხერხებულად ჩავერთე. სოფლის მთებში ყოფნის მიუხედავად, აქტიურად ვიღებ განათლებას და ვამეცადინებ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მყოფ ჩემს მოსწავლეებს, პარალელურად ხელი მოვკიდე სოფლის მეურნეობას, ვტკბები ბუნებით და იდეალური გარემო მაქვს მეცადინეობისა და კითხვისათვის.
- სიმართლე გითხრათ, თავიდანვე სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი და არ მეგონა — თუ გამომივიდოდა რაიმე, მაგრამ რომ დავინახე ლექტორებისა და სემინარისტების მოტივაცია და ჩართულობა, მეც გადმომედო და დღეს აქტიურად ვმონაწილეობ ონლაინ სწავლების პროცესში. მინდა გითხრათ, რომ მეტად კომფორტულია, ვიდრე მეგონა.
- აქტიურად ჩავერთე პროცესში, მაგრამ არსებობს მაინც რაღაც მუდმივი დაბნეულობის შეგრძნებაც და დაძაბულობაც, რომ შემთხვევით რაიმე არ გამომრჩეს, პატარა ნიუანსმა ხელი არ შემიშალოს დაგეგმილ აქტივობაში. შეიძლება ითქვას, კომფორტული და მოსახერხებელიც არის რაღაც მხრივ.

- პროცესში უპრობლემოდ ჩავერთე. დისტანციურ სწავლებაზე გადასვლისთანავე ლექტორებმა საოცრად დიდი მონდომება და ოპერატიულობა გამოიჩინეს. მალევე დაგვიკავშირდნენ და სწავლის დაწყება დათქმულ დროს მოახერხეს. დღესაც აქტიურად გვიტარდება ლექცია-სემინარები და თამამად ვართ ჩართულნი სტუდენტები.
- გამიჭირდა და მირჩევნია, რომ წელი აკადემიურად გამოცხადდეს, თუ კიდევ გადაიდება სწავლა შექმნილი სიტუაციის გამო.
- მაინც ვიტყვი, რომ გამიჭირდა, რადგან ჩემთვის ადამიანურ ურთიერთობებს ვერასდროს ჩაანაცვლებს ვირტუალური ურთიერთობები. რთულია, როცა კარგად ვერ ხედავ ადამიანის თვალებს, რაც კომუნიკაციის წარმართვისთვის აუცილებელი პირობაა, ასევე არ შეგიძლია იგრძნო მისი ენერგეტიკა, რომელიც პირადად ჩემთვის ასევე აუცილებელია კარგი კომუნიკაციის არსებობისთვის. თუმცა უნდა ვეცადოთ და არსებულ ვითარებას მოვერგოთ.
- მიმდინარე მოვლენების ფონზე დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა დროული, სასარგებლო და გონივრული გადაწყვეტილებაა. თუმცაღა, ამ აზრთან შეხვედრა თავისებურად მაინც მოულოდნელი იყო ჩემთვის, მაგრამ უმოკლეს ხანებში, პირველივე კვირაში, მე თავს სრულ მზადყოფნაში ვგრძნობდი, ნელ-ნელა კი იმდენად გავითავისე, თითქოს, ონლაინ სწავლებას აქამდეც მივსდევდით და ახალი არაფერი ყოფილა. ამაში კი Zoom-ის დახვეწილმა პროგრამამ და ლექტორების ოპერატიულობამ ძალიან შემიწყო ხელი. ახლა ლექციების მსვლელობაში გაცილებით მეტი სტუდენტია ჩართული. მომწონს ასეთი განწყობა და მეტ სტიმულს მაძლევს.
- პროცესში მაქსიმალურად აქტიურად ვარ ჩართული. ბევრი ხარვეზია და რთულია ლექტორებთან ახლო კომუნიკაციის გარეშე ყველაფრის გააზრება, მაგრამ ვცდილობ.
- ჯერ ვერ ჩავერთე და ძალიან უინტერესოდ და მოუხერხებლად მეჩვენება ეს ყველაფერი.
- რა თქმა უნდა, მარტივი არ არის ვირტუალური ურთი-

ერთობა ლექტორებთან, ყოველთვის ცოცხალ კავშირს ვანიჭებ უპირატესობას, თუმცა ეს ახალი გამოწვევაა და მიუხედავად პატარა შეფერხებებისა, ყველაფერი მაინც კარგად მიდის.

- რთულია და მოტივაციასაც აგდებს, თუმცა ვცდილობ, რომ პასუხისმგებლობა არ დავკარგო.
- სწავლის დისტანციურ პსროცესში ჩართვა ჩემთვის არ აღმოჩნდა რთული, თუმცა ამ ყველაფერმა მაინც გამოიწვია ჩემში დაბნეულობა, რადგან აქამდე არასდროს მქონია ასეთი შემთხვევა. გარდა ამისა, ხშირად ინტერნეტის პრობლემაა, რადგან ახლა ხალხი ინტენსიურად მოიხმარს მას. ამას ისიც ემატება, რომ იზოლირების გამო ვერ ვახერხებ მეგობრებთან თუ თანაკურსელებთან შეხვედრას და ერთმანეთში იდეების გაზიარებას, სირთულეების ერთად გადალახვას, რაც, დამეთანხმებით, დისტანციურად ძალიან ძნელია.
- უმჯობესი იქნებოდა ლექციებსა და სემინარებზე უნივერსიტეტში დასწრება და ლექტორებთან პირდაპირ კომუნიკაცია, თუმცა დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით დროს არ ვკარგავთ. პრობლემების გარეშე მიმდინარეობს დისტანციური სწავლება, საინტერესოც კია ამ ფორმატით კომუნიკაცია. თუმცა, მაინც იმედს ვიტოვებ, რომ მალე შევხვდებით აუდიტორიებში.
- ძალიან რთულია დისტანციური სწავლა პირადად ჩემთვის. მიუხედავად იმისა, რომ კარგი ინტერნეტი მაქვს, პროგრამა ძალიან ჭედავს, ბევრი ხარვეზი აქვს და გვიჭირს სტუდენტების უმრავლესობას. ფაქტობრივად შემიძლია ვთქვა, რომ ჯერჯერობით ვერ ჩავერთე პროცესში.
- უპრობლემოდ ჩავერთე დისტანციური სწავლების პროცესში, ერთადერთი დისკომფორტი ის არის, რომ მუშაობა მიწევს ეკრანთან და არა ფურცელთან, თუმცა დაუძლეველი არ არის. ლექციების დისტანციურად ჩატარება, გარკვეულწილად, კომფორტულიც კი აღმოჩნდა.
- ჩავერთე უპრობლემოდ, ჩემზე მეტი პრობლემა ლექტორებს ჰქონდათ, მაგრამ მთავარი მორალია და ონლაინ

გაკვეთილებით ვერაფრის სწავლას შევძლებ საფუძვლიანად.

- ჩართვით მარტივად ჩავერთე, მაგრამ პროცესი არ არის ნაყოფიერი და გამართული.
- ჩემდა გასაკვირად, უპრობლემოდ ჩავერთე ონლაინ სწვლების პროცესში. იქიდან გამომდინარე, რომ სოფელში ვარ და აქ სუსტი ინტერნეტ-კავშირია, მეშინოდა, მაგრამ, ჯერ-ჯერობით, ყველაფერი კარგად მიდის, ყველა საგნის ლექცია-სემინარს დავესწარი უკვე.
- ცოტა მიჭირს, რადგან ზოგჯერ მავიწყდება, რომ გასაგზავნი მაქვს დავალებები და მაქვს სამუშაო კონკრეტულ საგნებში, მაგრამ იმასაც ვიაზრებ, რაც ხდება ქვეყანაში და ყველანაირად ვუჭერ მხარს დისტანციურ სწავლებას. მეც განრიგი გავაკეთე და ვფიქრობ, უფრო სტაბილურად ვიმეცადინებ და რუტინად ვაქცევ ამ ყველაფერს. ამასთანავე, სმენადაქვეითებული ვარ და ზუმში გაგონება ჩემთვის გამოწვევაა, მაგრამ მოსმენას მაინც ვახერხებ.

ეკა ენუქიძე: სასწავლო პროცესი გამართულად მიმდინარეობს

უმრავლესობას სასწავლო პროცესში ჩართვისას პრობლემები არ შექმნია — ამბობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ეკა ენუქიძე. „ფაკულტეტებმა შეიმუშავეს და აკადემიურმა საბჭომ დაადგინა ელექტრონული სწავლების წესი. ყველა ფაკულტეტმა შეიტანა ცვლილებები სტუდენტის შეფასების სისტემაში. ძირითადად, სწავლება ხორციელდება პროგრამა Zoom-ის მეშვეობით. ლექციები ტარდება შეუფერხებლად. სტუდენტებისგან მაქვს ინფორმაცია, რომ უმრავლესობას სასწავლო პროცესში ჩართვისას პრობლემები არ შექმნია. თუმცა,

იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც სტუდენტი სოფელში იყო წასული და ინტერნეტის არასაკმარისი სიხშირის გამო ლექციაზე დასწრებას ვერ ახერხებდა. მსგავსი ტექნიკური ხასიათის ხარვეზი დაფიქსირდა, თუმცა, სხვა მხრივ სასწავლო პროცესი გამართულად მიმდინარეობს. შეფასების წესში თითოეულმა ფაკულტეტმა, დარგობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიტანა ცვლილებები (ფაკულტეტების დეკანები უფრო დაწვრილებით გასცემენ ამ კითხვას პასუხს). ფინალურ გამოცდებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება ჯერ არ მიღებულა. ეს დამოკიდებულია ქვეყანაში ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაზე. თსუ-ში არის რიგი საკითხებისა, რაზეც გადაწყვეტილება ეტაპობრივად მიიღება“, — განაცხადა ეკა ენუქიძემ.

* * *

— როგორ მუშაობს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი დისტანციურად?

— დისტანციურ რეჟიმში ჩვეულებრივად ვმუშაობთ. მას შემდეგ, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ელექტრონული საქმის წარმოება დაფუძნდა, განცხადებები კანცელარიის ელ-ფოსტაზე მიიღება/ტარდება, შემდეგ შემოდის ჩვენთან და თანამშრომლებს შორის ნაწილდება. მუშაობისას არანაირი შეფერხება არ გვაქვს. როდესაც სტუდენტს სჭირდება ცნობის დამოწმება ცოცხალი ხელმოწერით (ეს იმ შემთხვევაში, თუ საზღვარგარეთ სჭირდება წარსადგენად და ეპიდემიის პერიოდში ასეთი რამდენიმე ათეული შემთხვევა გვქონდა), მივდივარ უნივერსიტეტში და ცნობას ხელს ვაწერ. ჩვენი დეპარტამენტის დებულებით განსაზღვრულ ყველა ფუნქციას შეუფერხებლად ვახორციელებთ.

ესაუბრა ნატო ობოლაძე

დისტანციური სწავლების შედეგები ბოლოს გამოჩნდება

გვესაუბრება თსუ-ის ემერიტუსი პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი დამანა მელიქიშვილი

— როგორ ფიქრობთ, დისტანციურ სწავლებაზე გადასული განათლების სისტემა რამდენად არის შედეგზე ორიენტირებული და როგორ შეაფასებდით სწავლების ხარისხს?

— ნათქვამია, „ზოგი ჭირი მარგებელიაო“. კარანტინის აუცილებლობამ გვაჩვენა საკმაოდ ფართო შესაძლებლობანი დისტანციური სწავლების სფეროში. რა თქმა უნდა, ეს ვერ შეცვლის საუნივერსიტეტო თუ სასკოლო სივრცესა და უშუალო ურთიერთობას აუდიტორიაში, მაგრამ არა მხოლოდ ექსტრემალური საჭიროების შემთხვევაში, არამედ ჩვეულებრივაც ძალიან კარგი საშუალებაა მსმენელების ფართო აუდიტორიასთან კომუნიკაციისათვის.

ვფიქრობ, რომ თსუ-ში, კერძოდ კი, ქართული ენის ინსტიტუტში ეს სიახლე საკმაოდ სწრაფად დაინერგა და სწავლების პროცესი კარგადაა ორგანიზებული. ლექცია-სემინარები შეუფერხებლად მიმდინარეობს და სახალისოცაა.

დამანა მელიქიშვილი

რაც შეეხება შედეგებს, ეს ბოლოს გამოჩნდება (როგორც იტყვიან, „წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო“). მცირე რაოდენობის ჯგუფებში კარგი შედეგებია მოსალოდნელი, რასაც ვერ ვიტყვი დიდი რაოდენობის ჯგუფებზე.

— თუ ეცნობით საზოგადოებრივი მაუწყებლის საგანმანათლებლო პროექტს – „ტელესკოლა“? რამდენადაა ეფექტური მასობრივი სწავლების ეს ფორმა და როგორ შეაფასებდით მას?

— რაც შეეხება საზოგადოებრივი მაუწყებლის საგანმანათლებლო ტელეპროექტს, მე თვალს ვადევნებ მას და უნდა გითხრათ, რომ შესანიშნავი პროექტია (განსაკუთრებით დაწყებითი კლასებისა და მეტად საჭირო — არაქართულენოვანი მოსწავლეებისთვის). უნდა აღინიშნოს, რომ საკვირველად სწრაფად და ხარისხიანად (თვალსაჩინოებებით და სხვ.) მოახერხეს ორგანიზატორებმა თუ პედაგოგებმა გაკვეთილების დაგეგმვა და წარმართვა.

— თავად როგორ ჩაერთეთ დისტანციური სწავლის პროცესში?

— ამ ეტაპზე პატარა ჯგუფი მყავს. მეც და ჩემი სტუდენტებიც მონდომებით და წარმატებით ჩავერთეთ ამ პროცესში.

— როგორია თქვენი დღის წესრიგი – ახერხებთ თუ არა, დისტანციური სწავლების პარალელურად, სამეცნიერო მუშაობასაც?

ამ სემესტრში დიდი დატვირთვა არ მაქვს და შესანიშნავად ვათავსებ ლექციებს მეცნიერულ მუშაობასთან (მით უფრო, რომ სასიარულო არ მაქვს და ჩემს დიდ ოჯახთან ერთად (20 კაციანი „კლასტერი“) მშვენიერ დროს ვატარებ თიანეთის ჯანმრთელ ჰაერზე (აპრილში ორჯერ დიდი თოვლიც კი მოვიდა და ბავშვებმა დიდად იხალისეს).

— როგორ შეაფასებთ საზოგადოების პასუხისმგებლობისა და სოლიდარობის დონეს დღევანდელ პირობებში, როცა სწორედ ამაზეა დამოკიდებული — რამდენად ჩქარა დავუბრუნდებით ცხოვრების ჩვეულ რიტმს?

— პირველ რიგში, მინდა დიდი აღფრთოვანება და პატივისცემა გამოვხატო ჩვენი ქართველი ექიმების მიმართ, რომლებმაც თავიანთი არაჩვეულებრივად მაღალი დონის პროფესიონალიზმით, თავდადებით, მოქალაქეობრივი შეგნებითა და ჰუმანიზმით დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს ერში. ხოლო თვითონ ერმა კი, რამდენადაც ეს ქართველ საზოგადოებას ძალუძს, ჯერჯერობით გაუძლო მისთვის ესოდენ უჩვეულო „თვითიზოლაციის“ რეჟიმს და ცდილობს — ანგარიში გაუწიოს სახელმწიფოს მიერ დაწესებულ სამართლიან მოთხოვნებსა და გონივრულ რჩევა-რეკომენდაციებს.

იმედი მაქვს, რომ ეს პატარა განსაცდელი დაგვეხმარება და, ღვთის შეწევნითა და ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით, მალე დავუბრუნდებით ცხოვრების ჩვეულ რიტმს.

ესაუბრა ნინო კაკულია

ასეთ პირობებშიც შესაძლებელი ყოფილა აქტიურობა

გვესაუბრება თსუ-ის სენატის თავმჯდომარე,
მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი
ვლადიმერ (მამუკა) მარგველაშვილი

— როგორც ეს პანდემია, მსგავსი საშიშროება რომ არ დაგვატყდეს მომავალში თავზე ანტიბიოტიკების „გაფუჭების“ მხრივ — მოერიოს ბაქტერიებს, რა ღონისძიებები ტარდება? გრძელდება თუ არა ამ მხრივ გამოსავლის ძიების პროცესი?

— მე მხოლოდ ჩემი სფეროდან გამომდინარე გიპასუხებთ ამ შეკითხვაზე. სტომატოლოგიური საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ 2019 წლის სექტემბერში სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაციის 106-ე კონგრესზე წილად მხვდა პატივი, წარმედგინა საერთაშორისო კვლევის შედეგების ანალიზი სტომატოლოგიურ პრაქტიკაში ანტიბიოტიკების

ვლადიმერ მარგველაშვილი

რაციონალური გამოყენების შესახებ. აღნიშნული კვლევა ჩატარდა 4 ქვეყანაში: ალბანეთი, საქართველო, მაროკო და თურქეთი. კვლევამ აჩვენა ამ ქვეყნების სტომატოლოგთა მაღალი ცოდნა და პასუხისმგებლობა ანტიბიოტიკების რაციონალურ გამოყენებასთან დაკავშირებით თავიანთ პაციენტებში. თუმცა, გამოიკვეთა მეტი ინფორმაციის და გზამკვლევების საჭიროების აუცილებლობა ამ მიმართულებით. აღნიშნული კვლევის შედეგები უახლოეს მომავალში სამეცნიერო სტატიის სახით გამოქვეყნდება მაღალრეიტინგულ ჟურნალში — „International Journal Of Atimicrobial Agents“.

— არსებულ რეალობაში როგორ მუშაობთ სტომატოლოგები?

— მე, როგორც პრაქტიკოსი სტომატოლოგი და პედაგოგი თითქმის 4 ათეული წლის გამოცდილებით, ხაზგასმით აღვნიშნავ ქართველი სტომატოლოგების მაღალ მოქალაქეობრივ და პროფესიონალურ პასუხისმგებლობას „კოვიდ-19“-ის პანდემიის პირობებში. სტომატოლოგიურმა კლინიკებმა შეწყვიტეს გეგმიური პაციენტების მიღება და გადავიდნენ მხოლოდ გადაუდებელი დახმარების გაწევაზე უსაფრთხოების სპეციალური ნორმების დაცვით. სტომატოლოგები მკაცრად იცავენ და მომავალშიც დაიცავენ სტომატოლოგთა

მსოფლიო ფედერაციის (FDI) სპეციალურ რეკომენდაციებს პანდემიის პირობებში სტომატოლოგიურ მომსახურებასთან დაკავშირებით. ამის ნათელი დადასტურებაა, რომ არც ერთ სტომატოლოგიურ კლინიკაში მედპერსონალის ან პაციენტის „კოვიდ-19“-ით დაინფიცირების ფაქტი არ არის დაფიქსირებული.

— როგორ მოგწონთ პანდემიის პირობებში ბრძოლის სტრატეგია ჩვენი მედიცინის მუშაკების მხრიდან?

— თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართველი მედიცინის მუშაკები ფრონტის წინა ხაზზე სრული თავდადებით იბრძვიან და ამტკიცებენ თავიანთ უმაღლეს პროფესიონალიზმს. მათი თავდაუზოგავი შრომის შედეგები სრულიად აშკარაა: საქართველო მსოფლიოს იმ მოწინავე ქვეყნების რიცხვშია, რომლებიც წარმატებით ებრძვიან და უმკლავდებიან პანდემიას. ალბათ, შორს არ არის ის დრო, როდესაც ჩვენ ყველა ერთად სიხარულით მივულოცავთ ერთმანეთს საშინელ პანდემიაზე გამარჯვებას!

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო ყველა იმ მედიცინის მუშაკს, რომელთა შორის ჩემი ბევრი მეგობარიცაა, რომლებიც თავგანწირულად იბრძვიან ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის! აქვე უპრიანია გავიხსენოთ სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაციის ერთ-ერთი ძირითადი დევიზი: „არ არსებობს ჯანმრთელობა პირის ღრუს ჯანმრთელობის გარეშე!“

— როგორ გესახებათ თსუ-ის სენატის მუშაობა და რას საქმიანობს სენატი ამჟამად?

— სენატი, ისევე, როგორც მთელი უნივერსიტეტი, აგრძელებს აქტიურ მუშაობას პანდემიის პირობების მიუხედავად. მარტის ბოლოს ჩვენ ჩავატარეთ ონლაინ სხდომა, რომელშიც სენატის თითქმის ყველა წევრმა მიიღო აქტიური მონაწილეობა. მაღალი იყო სენატის წევრთა ჩართულობა დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვაში. ონლაინ სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო ჩვენი უნივერსიტეტისათვის. ამჟამად სენატის სამდივნოში შემოსულია რამდენიმე საკითხი, რომ-

ლებზეც ჩვენ ვმუშაობთ და ვიმედოვნებთ — ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გაუქმების შემდეგ ცხოვრების და მუშაობის ჩვეულ, აქტიურ რეჟიმს დავუბრუნდებით.

— რას საქმიანობთ სახლში — ახალი დღის წესრიგი როგორია?

— ჩემთვის, როგორც ყველა ჩემი კოლეგისთვის, სახლში „ჯდომა“ მეტად უჩვეულოა. ჩვენ მიჩვეული ვართ აქტიურ ცხოვრებას და მუშაობას. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ასეთ პირობებშიც შესაძლებელი ყოფილა აქტიურობა.

23 მარტიდან დავიწყე ლექციების კითხვა Zoom-ის მეშვეობით, რაშიც დიდი დახმარება გაგვიწია თსუ-ის ადმინისტრაციამ და მედიცინის ფაკულტეტის დეკანატმა. ყველას გულწრფელი მადლობა მინდა გადავუხადო თავდადებისა და გაწეული შრომისათვის!

მინდა, აღვნიშნო ჩვენი სტუდენტების დიდი აქტიურობა და მაღალი ჩართულობა ონლაინ ლექციებსა და სემინარულ მეცადინეობებში. მათი და ჩვენი პედაგოგების მონდომების და პროფესიონალიზმის დამსახურება იყო ის შედეგები, რომელიც სტუდენტებმა აჩვენეს გამოცდებზე.

პირადად მე შესაძლებლობა მომეცა აქტიურად ჩავრთულიყავი საერთაშორისო ვებინარებში, რომლებსაც ატარებდნენ ისეთი პრესტიჟული ორგანიზაციები, როგორიცაა ამერიკის და ევროპის ესთეტიური სტომატოლოგიის აკადემიები, სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაცია და სხვ. ასევე, ძალიან აქტიურობენ ჩვენი, ქართული პროფესიული სტომატოლოგიური ორგანიზაციები, რომლებიც ატარებენ უფასო, მეტად საინტერესო ვებინარებს. ამ კუთხით ძალიან აქტიურობს საერთაშორისო სტომატოლოგიური განათლების აკადემია — IDEA, რომლის ეთერში 30-მდე მეტად საინტერესო საგანმანათლებლო ლექცია ჩატარდა 6000-მდე მსმენელისთვის. ლექტორებად მიწვეულები იყვნენ როგორც უცხოელი, ასევე ქართველი ცნობილი პროფესორები და პრაქტიკოსი ექიმები. მედიცინის ფაკულტეტის ინიციატივით სტომატოლოგიური მიმართულების სტუდენტებისთვის ჩატარდა უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი ლექცია, რომელსაც უძღვებოდა ჩვენი უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, მედიცინის მეცნიერებათა

დოქტორი (იტალია), ბოსტონის (აშშ) ტაფტის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი მარიამ მარგველაშვილი.

ამჟამად საქართველოს იმპლანტოლოგთა ასოციაციასთან (რომელიც სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაციის წევრია) და საერთაშორისო სტომატოლოგიური განათლების აკადემიასთან ერთად ვამზადებთ საერთაშორისო ვებ კონფერენციას, რომელშიც სპიკერებად მოწვეულნი არიან პროფესორები აშშ-დან, ისრაელიდან და უკრაინიდან, მათ შორის, სტომატოლოგთა მსოფლიო ფედერაციის პრეზიდენტი, დოქტორი გერჰარდ სიიბერგერი.

სახლში ყოფნის პერიოდს აქტიურად ვიყენებ სტუდენტებისთვის ახალ სახელმძღვანელოზე სამუშაოდ. ასევე, პარალელურად, ჩემმა ერთ-ერთმა დოქტორანტმა დაასრულა სადოქტორო პროგრამა და ვამზადებ საჯარო დაცვისათვის. ვემზადები ახალი დოქტორანტების მისაღებად, რისთვისაც ახალი პროექტების წარდგენას ვგეგმავ უახლოეს მომავალში.

ასე რომ, ვცდილობ დრო უქმად არ დაიკარგოს და მაქსიმალურად ინტენსიურად გამოვიყენო მიღებული შესაძლებლობები.

ესაუბრა ნინო კაკულია

დაიგეგმა ონლაინ ტრენინგები აკადემიური პერსონალისთვის დისტანციური სწავლების პროცესში წამოჭრილ აქტუალურ თემებზე

*გვესაუბრება თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **ირმა გრძელიძე***

— როგორ მიმდინარეობს თსუ–ში დისტანციური სწავლის პროცესი?

— ტექნოლოგიების ცვლილება საზოგადოების განვითარებას აჩქარებს, თუმცა დღეს საგანმანათლებლო სივრცეში ცვლილებები მოიტანა არა მხოლოდ განახლებულმა ტექნოლოგიებმა, არამედ საზოგადოებაში არსებულმა რეალობამ,

რომელმაც ახალი ამოცანები დასახა უმაღლესი სასწავლებლების წინაშე. იმ თემებმა, რაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყოველდღიურობაა, ისევე განიცადა ადაპტირება, როგორც საგანმანათლებლო სისტემის ყველა სხვა ამოცანამ და პრობლემამ.

საგანგებო ვითარების პირობებში უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ შეიმუშავა და ორგანიზება გაუწია არაერთ ღონისძიებას რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულებით, კერძოდ: საინფორმაციო ტექნოლოგიების, საინფორმაციო-კომუნიკაციური, სასწავლო პროცესების მართვის, ხარისხის უზრუნველყოფის, ინტერნაციონალიზაციისა და სტუდენტთა მხარდაჭერის კუთხით. მომზადდა სახელმძღვანელო ელექტრონული სწავლების თემებზე, სადაც განმარტებული იყო ყველა ის ტერმინი, ცნება თუ ინსტრუმენტი, რაც არსებითია ელექტრონული სწავლების პროცესის ხარისხიანი წარმართვისათვის. სახელმძღვანელო დოკუმენტებში წარმოდგენილი მასალები შემუშავდა საერთაშორისო გამოცდილებებსა და სახელმძღვანელო დოკუმენტებზე, მათ შორის, ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ასოციაციის (ENQA) მიერ 2018 წელს შემუშავებული ელექტრონული სწავლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით.

ორკვირიანი არდადეგების განმავლობაში დამუშავდა და შეიქმნა ყველა იმ ელექტრონული პორტალისა თუ პლატფორმის ტუტორიალი, რომელიც რეკომენდებული იყო ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების საუნივერსიტეტო წესის თანახმად. ზემოხსენებული დოკუმენტი დამტკიცდა 2020 წლის 25 მარტს (რექტორის ბრძ. N67/01-01). მოსამზადებელ პერიოდში გამოვლინდა სასწავლო პროცესის მართვის დარგობრივი თავისებურებები და შემუშავდა ელექტრონული სწავლების კონცეფციები, რომლებიც განიხილა და დაამტკიცა უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ (დადგენილება N31/2020, 06.04.2020), როგორც ერთგვარი სამოქმედო დოკუმენტი სასწავლო პროცესის დისტანციურად წარმართვისათვის.

ირმა გრძელიძე

საგაზაფხულო სემესტრის დასაწყისისთვის სასწავლო პროცესში გააქტიურდა სამივე სასწავლო საფეხურის 2 770 სასწავლო კურსი 17 952 მსმენელით. სატესტო რეჟიმში 16 მარტიდან სასწავლო პროცესი დაიწყო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლაში სინქრონული კომუნიკაციის ფორმით, ხოლო ერთი კვირის შემდეგ, 23 მარტიდან, თავდაპირველად ასინქრონულად, შემდგომში კი სინქრონულად სწავლის პროცესს შეუერთდა შვიდივე ფაკულტეტი. ძირითადად, სასწავლო პროცესში გააქტიურებულია ასინქრონული სწავლებისათვის ელექტრონული პლატფორმა Zoom. რაც შეეხება მედიცინის ფაკულტეტს, სადაც დარგის სპეციფიკა სწავლების პროცესში ჩართულ პირთაგან, გარკვეულწილად, განსხვავებულ მიდგომას მოითხოვს, შეჯერდნენ, რომ სასწავლო პროცესი გამართულიყო ელექტრონული პლატფორმების Class room და Meet დახმარებით.

საფაკულტეტო შუალედური ანგარიშების მიხედვით, გაზაფხულზე გამოცხადებული სასწავლო კურსების უმრავლესობა მიმდინარეობს სინქრონულ საკომუნიკაციო რეჟიმში, ხოლო ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, ისევე, როგორც მედიცინის ფაკულტეტებზე, საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელთა მიერ მიღებულია გა-

დაწყვეტილება, რომ ლაბორატორიული, პრაქტიკული და კლინიკური კურსების გარკვეული კომპონენტები განხორციელდეს სასწავლო პროცესის საუნივერსიტეტო სივრცეში გადატანის შემდგომ. წინამდებარე გადაწყვეტილებას წინ უძღოდა დარგის სპეციალისტების მიერ საგანგებო გეგმის შემუშავება.

საფაკულტეტო სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტისა და ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფის მიერ, სასწავლო პროცესების ანალიზის საფუძველზე, ნაწილობრივ დასრულებულია ინფორმაციის შეგროვება. ცალკეული სასწავლო დისციპლინების წამყვანი პედაგოგების მიერ ყველა ფაკულტეტზე შემუშავდა, აგრეთვე, ინდივიდუალური ინტენსიური სასწავლო კურსები იმ სტუდენტთათვის, რომელთაც დისტანციური სწავლების პროცესში შეფერხება დაუფიქსირდათ ტექნოლოგიური და ტექნიკური შეფერხების გამო, რაც სტუდენტთა საერთო რაოდენობის 35%-ს წარმოადგენს. შუალედური ანგარიშებიდან გაირკვა, რომ სასწავლო პროცესის ფრაგმენტული ხარვეზების შემთხვევაში, კურსის პედაგოგი ინდივიდუალური კონსულტაციების ფარგლებში ატარებს დამატებით ონლაინ შეხვედრას სტუდენტთან (თუ ხარვეზი გამოწვეულია ქსელური ჩართვის პრობლემით).

სასწავლო პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაზაა შეფასების პროცესი, რომლის მართებულ განსაზღვრაზე უშუალოდაა დამოკიდებული საგანმანათლებლო პროგრამით დასახული მიზნების მიღწევა. რთულია შეფასების სისტემის ცალსახა განსაზღვრა ისეთი მრავალდარგოვანი და რთული ინსტიტუციისათვის, როგორიცაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თუმცა, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების აქტიური კონსულტაციებისა და რეკომენდაციების მიხედვით, ფაკულტეტების ადმინისტრაციამ უმოკლეს ვადებში, არსებული სიტუაციის ზუსტად გადაფასების საფუძველზე და დარგების სპეციფიკის გათვალისწინებით, შეფასების რამდენიმე ვერსია განიხილა.

ამ ეტაპზე სასწავლო პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად განიხილება საგამოცდო პროცესების ფორმირება, შეფასების სისტემის განსაზღვრა ფაკულტეტების სპეციფიკიდან გამომდინარე და სათანადო ფორმირება. წინამდებარე თემის განხილვა მიმდინარეობს ყველა სასწავლო ერთეულის ადმინისტრაციის აქტიური ჩართულობით.

— ელექტრონულ სწავლებაზე გადასვლის პროცესში ხომ არ იკვეთება პრობლემები და რა სახის პრობლემებია?

— დისტანციური სწავლის დაწყებიდან მალე, 4 აპრილს, დაიყო და 6 დღის განმავლობაში საუნივერსიტეტო სივრცეში მიმდინარეობდა სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა.

სტუდენტთა ონლაინ კითხვარი განთავსდა ელექტრონული მართვის სისტემაში (LMS), რომელზეც წვდომა ჰქონდა სასწავლო კურსზე რეგისტრირებულ ყველა სტუდენტს. გამოპასუხების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში (სულ 2 488 სტუდენტმა უპასუხა).

გამოკითხვების შედეგად შეჯერდა ელექტრონული სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმირებულობის დონე, ეფექტურობა და ხარისხი, დასწრება, ლექტორთა მიერ სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის დონე. გამოკითხვებმა აჩვენა, რომ სტუდენტთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოცემული პერიოდისთვის, საკმაოდ მაღალია. სტუდენტების მხრიდან ელექტრონული კომუნიკაციის უპირატესობა დასახელდა ასევე ინდივიდუალური კონსულტაციების წარმართვის პროცესში. მათი მოსაზრებით, არაეფექტურია შეფასება დასწრებაში და მნიშვნელოვანია, თუ ეს წილი გადავიდოდა სასწავლო პროცესში სტუდენტის აქტივობის შეფასების წილში.

აკადემიური პერსონალის გამოკითხვებმა აჩვენა, რომ დისტანციური სწავლების პროცესში გამოვლინდა სტუდენტების აქტივობის მაღალი მაჩვენებელი და მოტივაცია სასწავლო პროცესის მიმართ. მიუხედავად უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის დიდი ნაწილის აქტიური ჩართულობისა მიმდი-

ნარე ადაპტაციის პროცესში და მათთდამი უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან გამოჩნელი დიდი მხარდაჭერისა, აკადემიურმა პერსონალმა გამოთქვა მზაობა, თანამედროვე ელექტრონულ პლატფორმებზე მუშაობისათვის დამატებითი უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, ტრენინგებში მონაწილეობაზე. მათ ასევე ხაზი გაუსვეს მომავალში სასწავლო ლიტერატურის გაციფრულების მნიშვნელობას. მათ მიერ, ასევე, კარგ პრაქტიკად დასახელდა ელექტრონული პლატფორმების საშუალებით ინდივიდუალური კონსულტაციების ჩატარება, რაც შეიძლება დამკვიდრდეს სასწავლო პროცესის აუდიტორიებში გადატანის შემდგომაც.

როგორც სტუდენტების, ისე აკადემიური პერსონალის თვალთახედვით, შეფასებული დისტანციური სწავლების გასაუმჯობესებელ მხარედ უნდა დასახელდეს სასწავლო პროცესში ტექნოლოგიებსა და ელექტრონულ მოწყობილობებზე დაბალი წვდომა. ორივე მხარე, რიგ შემთხვევებში (და ეს მეტწილად ეხება ლაბორატორიულ, პრაქტიკულ და კლინიკური ტიპის სასწავლო კურსებს), ძირითადად მაინც, უპირატესობას ანიჭებს ინტერაქციას სასწავლო პროცესში, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში გაცილებით მაღალია უკუგების კავშირი, რაც კიდევ უფრო მაღლა სწევს სწავლის შედეგების მაჩვენებელს.

ის, რომ, მსგავსი გამოკითხვების ანალიზის შემდგომ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტივობებს ხშირად გეგმავს, დისტანციური აკადემიური კომუნიკაციის შემთხვევაშიც არ კარგავს თავის მნიშვნელობას. ჩვენთვის აკადემიური პერსონალის გამოკითხვა იყო ბიძგი იმისათვის, რომ გაზაფხულის სემესტრში გვეწარმოებინა აქტიური მოლაპარაკება ჩვენს კოლეგებთან, უმაღლესი განათლების გამოცდილ უცხოელ და ქართველ ექსპერტებთან და დაგვეგეგმა აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების არაერთი მხარდამჭერი ღონისძიება.

7 მაისიდან თვის ბოლომდე უნივერსტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დაგეგმილი აქვს (17) თემატური ონლაინ ტრენინგი აკადემიურ პერსონალთან დის-

ტანციური სწავლების პროცესში წამოჭრილ აქტუალურ თემებსა და საკითხებზე, მათ შორისაა: დავალების შექმნა MOODLE-ის პლატფორმაზე, ტესტების შექმნა MOODLE-ის პლატფორმაზე, ტესტის შექმნის მეთოდოლოგია, სტუდენტთა შეფასების მეთოდები, შეფასების რუბრიკების შექმნა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება თვითშეფასების ანგარიშის მომზადება (სულ 17 ტრენინგი, მათგან 13 ტრენინგს ჩაატარებს ქართველი, ხოლო 4 შეხვედრას — 2 უცხოელი ტრენერი). შეხვედრებში გათვალისწინებულია საშუალოდ 800-მდე პირის გადამზადება.

გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე თემები მომდინარეობს საკუთრივ აკადემიური პერსონალის ინტერესებიდან, უკვე დღეს, ფაქტობრივად, ცალკეული ვებინარების ჯგუფები შევსებულია და ვფიქრობთ, შემდეგ თვეში, ინტერესებიდან გამომდინარე, გამეორდეს ყველაზე აქტუალური თემა და საკითხები იმ პირთათვის, ვინც ვერ მოასწრო პირველ ნაკადში ტრენინგზე დარეგისტრირება.

— რას საქმიანობთ ახალი რუტინის პირობებში?

— ჩვენი სამსახური, თავისი კომპეტენციის თემატიკის ფარგლებში, საგანგებო ვითარების დადგომისთანავე აქტიურად იყო ჩართული ახალ აქტივობებში. ამას გარდა, რიგ შემთხვევაში გვიწევდა ცალკეული საკითხებისა და თემების კოორდინირება სრულიად საუნივერსიტეტო საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და მხარდაჭერით. ჩვენ მუდმივად ვცდილობდით, არ ამოვვარდნილიყავით საერთო დღის წესრიგიდან და, შესაბამისად, ერთი დღითაც არ შეგვიწყვეტია იმ ძირითადი საკითხების და თემების განხილვა, რაც ჩვენი სფეროს მუდმივი ყოველდღიურობაა.

საგანმანათლებლო სივრცე მუდმივი ცვლილებების რეჟიმშია, ვინაიდან თავად განათლებაა ის სფერო, რომლის განვითარება შეუსვენებლივ მიმდინარეობს. ჩვენს ყოველდღიურობაში თუნდაც წამიერი მოდუნება ნიშნავს განვითარების პროცესის წყვეტას. შესაბამისად, დისტანციური კომუნიკა-

ციის პროცესში უკანასკნელი ორი თვის მანძილზე ჩვენი სამსახურის მიერ:

შესწავლილ იქნა ჩვენი ევროპელი პარტნიორი უნივერსიტეტების გამოცდილება, არაერთი საერთაშორისო დოკუმენტი და ელექტრონული სწავლების თემებთან დაკავშირებული რეგულაცია და შემუშავდა:

- ელექტრონული სწავლების რეგულაციები;
- ელექტრონული სწავლების საფაკულტეტო კონცეფციები (შემუშავების პროცესს კოორდინაციას უწევდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური);
- ტუტორიალები და გზამკვლევები;

დაიგეგმა და განხორციელდა სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის პირველი ეტაპის გამოკითხვები, რომლთა ანალიზის საფუძველზე განისაზღვრა ახალი ამოცანები;

განისაზღვრა და ტრენინგების ციკლის სახით შეთავაზებულ იქნა პროფესიული განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები (პირველი ციკლი მოიცავს 17 ტრენინგს მაისის თვეში);

მიმდინარეობს აქტიური კომუნიკაცია საერთაშორისო ფონდებთან და საზოგადოებებთან, კერძოდ:

- თბილისის ფრანკოფონიის სააგენტოს საუნივერსიტეტო ბიუროსთან (Agence universitaire de la Francophonie — AUF) მიზნობრივად შერჩეული საგნმანათლებლო პროგრამების შეფასების და ინსტიტუციური განვითარების ცალკეული თემების მხარდაჭერის მიზნით;
- გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (Deutsche Akademische Austauschdienst — DAAD) თბილისის ბიუროსთან პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად;
- ფოლკსვაგენის (VolkswagenStiftung) ფონდთან პერსონალის პროფესიული განვითარების მხარდასაჭერად;
- ბრიტანეთის საბჭოსთან (British Council) საერთაშორისო პროექტის „უმაღლესი განათლება დასაქმებისთვის“ ფარგლებში;

- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასთან (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit — GIZ) ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით.

სულ უფრო ინტენსიურია თანამშრომლობა ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციასთან, რომლის თემატური ჯგუფის — შრომის ბაზრისა და დასაქმებადობის უნარების მოთხოვნების დაკმაყოფილება (EUA Thematic Peer Group — Meeting Skills and Employability Demands) — მუშაობაში აქტიურად ვიღებთ მონაწილეობას. უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს სამ სამუშაო შეხვედრაში. თემატური ჯგუფის მუშაობა გაგრძელდება 2020 წლის ოქტომბრამდე. წარმატებული აღმოჩნდა უნივერსიტეტის ჩართულობა, ასევე, ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის მრგვალი მაგიდის მუშაობაში, კერძოდ, სტუდენტების მეწარმეობა: სწავლა ზეგავლენის მოხდენისთვის (Student Entrepreneurship: Learning for Impact), რომლის შეხვედრა 2020 წლის ივნისში იგეგმება;

დასრულდა მუშაობა სტრატეგიის მონიტორინგის დოკუმენტზე, რომელიც განხილულ იქნა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომაზე;

მიმდინარეობს უნივერსიტეტის საერთაშორისო რანჟირებებში მონაწილეობის ანალიზი სტრატეგიაში ცვლილებების შეტანის მიზნით;

დასრულდა მუშაობა და შემუშავდა ინსტიტუციური ეფექტიანობის სისტემა და ინდიკატორები, რომელიც საფუძვლად დაედება შემდგომში სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას, რაზეც ამ ეტაპზე ხორციელდება მოსამზადებელი სამუშაოები;

ინტენსიურად ხორციელდება დაგეგმილი სამუშაოები აკადემიური კეთილსინდისიერების (INTEGRITY) პროექტის ფარგლებში გაწერილი პროექტის დასკვით ფაზაში:

- შემუშავდა აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც უახლოეს მომავალში გადაეცემა აკადემიურ საბჭოს განსახილველად;

- ელექტრონული სწავლების პორტალზე განთავსდა პლაგიატის პრევენციის სარეკლამო რგოლი;
- საფაკულტეტო აკადემიური პერსონალის მიერ მზადდება ვიდეორგოლები;
- დაიგეგმა დამატებითი ტრენინგები სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისათვის;

15 აპრილს მოწვეულ იქნა ხარისხის თემატური ჯგუფის (დაფუძნებული რექტორთა კონფერენციის მიერ) მესამე შეხვედრა დისტაციური სწავლების თემების განსახილველად. მსჯელობა გაიმართა შეფასების სისტემის ტრანსფორმირების თემებზე, რაც მნიშვნელოვანი ფაზაა ხარისხიანი და გამართული სასწავლო პროცესის სისტემის ჩამოყალიბებისათვის. ამდენად, წინამდებარე თემეზე მსჯელობა გასცდა საუნივერსიტეტო სივრცეს და დებატები გადავიტანეთ ხარისხის თემატური ჯგუფის დისტანციური შეხვედრის დღის წესრიგში, სადაც მონაწილეობას იღებდა 40 სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 48 წარმომადგენელი; მაისის თვის მეორე ნახევარში დაგეგმილია ხარისხის თემატური ჯგუფის მეოთხე შეხვედრა, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს ესტონეთის ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს წარმომადგენელი და რუმინელი ექსპერტი, სადაც განიხილება კლასტერული აკრედიტაციის საკითხები;

გეგმიურად წარიმართა მედიცინის ფაკულტეტის ორი საგანმანათლებლო პროგრამის (სამაგისტრო „საზოგადოებრივი ჯანდაცვა“ და სადოქტორო „საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ეპიდემიოლოგია“ საგანმანათლებლო პროგრამები) დაგეგმილი რეაკრედიტაციისა და ერთი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის („ფილოლოგია“) მონიტორინგის პროცესი;

გეგმიურ სააკრედიტაციო მომზადებას გადის 50-მდე საგანმანათლებლო პროგრამა, ეტაპობრივად დაიგეგმა წინამდებარე პროცესის ცალკეული ფაზები;

მიმდინარეობს სამუშაოები უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) საგანმანათლებლო პროგრა-

მების საერთაშორისო სააგენტოში სააკრედიტაციოდ წარ-სადგენად;

შეივსო, განახლდა და ახალი თემებით, განხორციელებული არაერთი აქტივობით გამრავალფეროვნდა ხარისხის სამსა-ხურის ვებ-გვერდი საუნივერსიტეტო ელექტრონულ სივ-რცეში. მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა ვებ-გვერდის ინგლისურ თარგმანზე;

— როგორ ფიქრობთ, როგორი მიღება ექნება უნივერსი-ტეტს ახალი სასწავლო წლიდან — თქვენი პროგნოზი და არ-გუმენტი..

— უნივერსიტეტში ახალი სტუდენტური ნაკადის მიღებას-თან დაკავშირებული საკითხების პროგნოზირების შედეგად ჯერ კიდევ გასულ სემესტრში უნივერსიტეტის ადმინის-ტრაციამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ-განათლების განვითარების ეროვნულ ცენტრში წარედგინა სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის განაცხადი, რომლის მიხედვით და-გეგმილია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ზრდა 4 920 ერთეულით, რაც დადასტურდა 2020 წლის 14 თებერვლის ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით.

2020-2021 სასწავლო წელს უნივერსიტეტი გეგმავს მიიღოს საბაკალავრო საფეხურზე 5 712 სტუდენტი. განათლების სა-ინფორმაციო მართვის სისტემების ბაზაში პირველადი არჩე-ვანის ფარგლებში საერთო ვაკანტურ ადგილზე ფარგლებში დარეგისტრირებულია 10 000-მდე აბიტურიენტი. ასევე, ვით-ვალისწინებთ რა საგანმანათლებლო პროგრამების მრავალ-ფეროვან არჩევანს სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე, ასევე ახალ უცხოენოვან, საერთაშორისო თანამშრომლობა-ზე დაფუძნებულ აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგ-რამებს, სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარე დაგეგ-მილ თუ რიგგარეშე მობილობას, გვაქვს მოლოდინი, რომ წელს უნივერსიტეტმა უნდა მიღოს სტუდენტთა წინასწარ განსაზღვრული რაოდენობა.

მოამზადა მაია ტორაძემ

როგორ დატანჯა მარო მაყაშვილი „ისპანკა“-დ წოდებულმა სატკივარმა

გვესაუბრება თსუ-ის ასოცირებული პროფესორი, ისტორიკოსი ***დიმიტრი შველიძე***

— თუ გაიხსენებთ რაიმე ისტორიულ კარგ ფაქტს — პასუხისმგებლობის და სოლიდარობის ფაქტზეა საუბარი ასეთ მძიმე პერიოდებში (ომი, პანდემია)...

— მე, როგორც ისტორიკოსი, პირველი მსოფლიო ომის ბოლო წელს გავრცელებულ ხოლერას გავიხსენებ, რომელიც „ისპანკას“ სახელითაა ცნობილი. მან 50 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მაშინ შემოიღეს პირველად, სხვათა შორის, პირბადეების ხმარება. ცხადია, „ისპანკამ“ საქართველოშიც შემოაღწია. მარო მაყაშვილი წერდა თავის დღიურში: 1918 წლის 30 ენკენისთვეს — „ქეთოსთან წავედი და ავად დამიხვდა. მასაც შეხვდა ახალმოდური ავადმყოფობა — „ისპანკა“. (ეს ჯერ ნახევრად იუმორი). რამდენიმე დღის შემდეგ შეეცვალა დღიური ავტორს და ოქტომბრის 9-ში წერდა: „დღეს მესამე დღეა, რაც ავდექი. 3 კვირა ლოგინში ვიწექი. ამ ახალმა ავადმყოფობამ ჩემზედაც სინჯა თავისი ძალა. ერთხელ 10 დღე ვიწექი, მოვრჩი, ავდექი. მეორედ კიდევ გავცივდი და უფრო საშინელი რამ დამემართა. მთელ ჩემს სხეულს დაუარა ამ „ისპანკად“ წოდებულმა სატკივარმა. სიცხე დიდი მქონდა, 40 გრადუსზე მეტი. ძალიან და ძალიან დავიტანჯე. ორი დღე სულ გაუნძრევლად ვიწექი, რადგანაც ყველა ძვლები მტკიოდა. ეპიდემიაა თბილისში. ერთი სახლი არ არის, რომ ავადმყოფი არ იყოს იქ. თუ გაცივდა ადამიანი და ფილტვების ანთებაზე გადავიდეს, ძალიან ძნელია. ამ მოკლე ხანში ძალიან ბევრი მოკვდა. გაფრთხილება უნდა. ჩვენთან: მე, დედა და კატუნა ვიწექით. დედაკაცი არა გვყავდა. მამა სამსახურში არ დადიოდა და გვივლიდა. სადილსაც ის აკეთებდა, მაგრამ ვაი იმ სადილს, სუფის მაგივრათ რაღაც ფაფას აკეთებდა“. მიუხედავად უზარმაზარი მსხვერპლისა, ვერ ვიტყვით, რომ ქვეყნებმა ან კაცობრიობამ გადატანილი

საშინელებისაგან რაიმე დასკვნა გააკეთა სამომავლოდ ან მორიგი ომის, ან მორიგი სახადის თავიდან ასაცილებლად, ან კიდევ იმისათვის, რომ ადამიანები, ხალხები თუ სახელმწიფოები უფრო ჰუმანურები და შემწყნარებლები გამხდარიყვნენ. მეორე მსოფლიო ომი ამის თქმის საშუალებას არ გვაძლევს. ერთი სიტყვით, დღევანდელი მსოფლიო, წინა საუკუნის დასაწყისთან შედარებით, უკეთესი არ გამხდარა, მიუხედავად იმისა, რომ შექმნილია და ფუნქციონირებს ათასგვარი ადამიანის უფლებების, ქალთა უფლებების, ეროვნულ უმცირესობათა და სხვა დამცველი ორგანიზაციები. დღეს არანაკლებად მძვინვარებს ან ძლიერია ხალხთა, რელიგიათა თუ რასათა შორის შეუწყნარებლობა და რაც მთავარია — ინტერესთა წინააღმდეგობა. თუ რაიმე სახის სოლიდარობა ან შემწყნარებლობა არსებობს, ის ზედაპირული ან მოჩვენებითია და მას, კიდევ კარგი, რომ კანონმდებლობები აწესრიგებს, მეტნაკლებად.

— როგორ შეაფასებდით დღევანდელ ვითარებას — რა ანალიზი, ფაქტები, მოვლენები შევა ისტორიაში და რამდენად საინტერესო იქნება ეს პერიოდი მომავალი ისტორიკოსებისთვის?

დიმიტრი შველიძე

— საეკლესიო პირები და წრეები ახლანდელ პანდემიას კონკრეტულად აფასებენ: კაცობრიობის არაზნეობრივმა ცხოვრებამ გამოიწვია განგების რისხვა და ადამიანებს მოუვლინა პანდემია, რათა ისინი გონს მოეგონ და დაუბრუნდნენ რწმენას. სხვა შეფასებები ჩვეულებრივად განსხვავდება ერთმანეთისგან და ხშირად წინააღმდეგობრივია. ისტორიკოსებისთვის, პოლიტოლოგებისთვის, საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლებისთვის პანდემია იმითაა საინტერესო, რომ „კოვიდ-19“, მისი გავრცელება, მასშტაბები და გავლენა კაცობრიობაზე ყველა ადრე არსებული პამდემია-ეპიდემიისაგან განსხვავდება. სხვა ეპიდემიებს, ძირითადად, ჯანმრთელობის სისტემით სფეროში აქცევდნენ და თუ შეიძლება ითქვას — გაგრძელება არ ჰქონდათ. კოვიდს აქვს გაგრძელებადი პერსპექტივა და მან შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს საზოგადოებაზე, მსოფლიოზე, კაცობრიობის შემდგომ ბედზე. ამიტომ ამგვარი გლობალური პერსპექტივა (ისტორიკოსების, პოლიტოლოგების, ფსიქოლოგების და ა.შ.) ბევრი მეცნიერის ყურადღების, ინტერესის, კვლევის მიღმა ვერ დარჩება. რით არის საინტერესო და მნიშვნელოვანი „კოვიდ-19“-ის რეალობა და რაში მდგომარეობს მისი ხვალინდელი მნიშვნელობა? უფრო სწორად, როგორ გვესმის ეს ყველაფერი ჩვენ? კოვიდს აქვს, უფრო სწორად, კოვიდის შედეგებს შესაძლოა ჰქონდეს ორგვარი მომავალი: პირველია მოკლევადიანი და მეორე — ხანგრძლივი. მოკლევადიანი პერიოდი გაგრძელდება, ალბათ, უახლოესი 1-2 წლის მანძილზე. ამ ხნის განმავლობაში გაგრძელდება ის წესები, რაც ხელისუფლებებმა სხვადასხვა აკრძალვების სახით შემოიღეს კარანტინის პირობებში: პირბადეების ხმარება, სოციალური დისტანციის დაცვა ხალხმრავალ ადგილებში და ა.შ. დისტანცირება გავრცელდება არა მარტო ცალკეულ ადამიანთა რეალობაში, არამედ ის გავრცელდება სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებზეც — შემცირდება საერთაშორისო მიმოსვლები, სერიოზულად დაიკლებს ადამიანთა მიმოსვლა მსოფლიოში და ტურიზმი მინიმუმამდე დავა. ეს მოხდება განსაკუთრებით შორს მყოფ

ქვეყნებს შორის და შედარებით ნაკლები მასშტაბისა იქნება მეზობელ ქვეყნებს შორის. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი დამოკიდებული იქნება პანდემიური შეტევების გამეორების შესაძლებლობაზე. დაიკლებს ქვეყნებს შორის საქონელგაცვლა, ვაჭრობა, ეკონომიკური ურთიერთობები. შესაბამისად, განუვითარებელი ქვეყნები იძულებულნი იქნებიან საკუთარი ეკონომიკების შექმნაზე იზრუნონ, ვისაც რა და როგორ შეუძლია. ჩვენისთანა სამათხოვროდ ხელგაწვდილი ქვეყნებისთვის ეს დრო ან საბოლოოდ დამღუპველ-დამანგრეველი იქნება, ან პირიქით, საკუთარი სოფლის მეურნეობის, მრეწველობის აღდგენის და განვითარების მასტიმულირებელი. შესაძლოა რიგი ქვეყნები დაუბრუნდნენ პროტექციონიზმის ძველ პოლიტიკას, რათა სულ ცოტა, უცხოეთიდან შემოსულ საქონელს თავი აარიდონ (მაგ., ჩინეთიდან, როგორც არასანდო პარტნიორიდან). რაღაც ამის მაგვარი პროცესები იქნება ერთ ხანს, სანამ საბოლოოდ არ ამოიძირკვება პანდემიის საშიშროება. მომავალში საგულვებელია ელექტრონული სწავლების და, საერთოდ, ურთიერთობების მასშტაბების ბევრად გაფართოება; უნდა განვითარდეს, დაიხვეწოს შესაბამისი ტექნოლოგიები; მის ხარჯზე შემცირდეს სამეცნიერო თუ სხვა მიზნის მივლინებები და ა.შ. უახლოესი მომავალი წლები შეამცირებს გლობალურ პროცესებს და ძირითადი ორიენტაცია გაკეთდება ლოკალური და რეგიონალური პროცესების ტენდენციით, აქედან გამომდინარე, მრავალფეროვანი რეალიებით.

პანდემია იდეოლოგიებზე და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მსოფლმხედველობრივ სისტემებზეც აისახება ალბათ. ლიბერალიზმის პოზიციები დასუსტდება და გაიზრდება ნაციონალიზმის, განსაკუთრებით — პატარა, მცირერიცხოვანი ერების თავდაცვითი ნაციონალიზმის გავლენა და შესაბამისი განწყობები. სხვა არაერთ მოსალოდნელ ტენდენციაზეც შეიძლება მსგავსი მოსალოდნელობების აღნიშვნა და დაახლოებითი პროგნოზირება. რაც შეეხება გრძელვადიან ორიენტაციებს, ალბათ, უფრო მოსალოდნელია, რომ პანდემიური საფრთხეების გადავლის შემდეგ მსოფლიო კვლავ

დაუბრუნდება ძველ ტენდენციებს და რიტმს; ყველაფერი ძველებურად გაგრძელდება. ის, თუ რა მოხდება მომავალში, ამის შესახებ დიდი ფანტასტიკური ლიტერატურა არსებობს: რეი ბრედბერის, არტურ კლარკის, აიეკ აზიმოვის, ჰარისონის, სტანისლავ ლემის და სხვა... არის უამრავი ფილმიც და, ალბათ, ბევრი რამ მართლაც ისე იქნება, რასაც ისინი წერენ და წარმოიდგენენ. შეიძლება არც ისე ოპტიმისტურად გამოიყურებოდეს, მაგრამ მეჩვენება, რომ კაცობრიობა ველარ მართავს თავს; ის სტიქიურად ვითარდება — ტექნიკის განვითარების კვალდაკვალ.

— „კოვიდ-19“-ის პერიოდი და თსუ — ასეთი წიგნი, რომელსაც ვაკეთებთ, რამდენად საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს მომავალი თაობისთვის ისტორიულად?

— ერთმა ძველმა მოაზროვნემ, რომლის გვარს ვერ ვიხსენებ, თქვა — კარგი იქნება, თუ ვულკანებს მისი ამოფრქვევის პროცესში შეისწავლიანო. რა თქმა უნდა, ასეთი წიგნის შექმნა ნამდვილად საინტერესო იქნება, რადგან მასში აღწერილი იქნება: დამოკიდებულება, განცდა, ქცევა, დასკვნები, აღქმა, ცვალებადი რეალობა და სრულიად ახალი გამოწვევები იმ ადამიანებისა, რომლებსაც პანდემიის პირობებში მოუხდათ და დღესაც უხდებათ თანაცხოვრება. ასეთი წიგნი იქნება და შეასრულებს ისტორიული წყაროს, თავისებური დოკუმენტური მასალის მნიშვნელობას სამომავლოდ. ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილდება უნივერსიტეტის გარემოზე, სწავლების შეცვლილ პირობებზე, მის მომავალზე. ასეთია კითხვარის მიდგომა და ეს მნიშვნელოვანია, რადგან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისებური სარკეა, რომელიც ირეკლავს მთელი განათლების სისტემის რეალობას ჩვენს ქვეყანაში.

— როგორ ჩაერთეთ დისტანციური სწავლის პროცესში?

— ისეთი განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. დამჭირდა ჩემი ვაჟიშვილების კონსულტაციები და ამით ამოიწურა ხელშემშლელი პრობლემები. ამგვარი მუშაობის მთავარი თავისებურება ისაა, რომ მთლიანად ხარ დამოკიდებული ტექნიკაზე.

— რას საქმიანობთ სახლში — ახალი დღის წესრიგი როგორია?

— პაატა ნაცვლიშვილი მეუბნებოდა — სახლში ყოფნის დროს, ახლა აღმოვაჩინე, თურმე რამდენი საქმე მქონია გასაკეთებელიო. ჰუმანიტარული საქმიანობის კაცი მეტ დროს ატარებს სახლში, მაგიდასთან, კომპიუტერთან კითხვისა და წერის პროცესში. პანდემიამ გვაიძულა, რომ სახლში ვმჯდარიყავით და მეტი დრო გაგვეტარებინა საკითხავად და საწერად. სულ ეს იყო და არის.

ესაუბრა ნინო კაკულია

ჩვენს უცხოენოვან თანამოქალაქეებს ჯერ კიდევ აქვთ სახელმწიფო ენის სათანადო დონეზე ფლობის პრობლემა

*როგორ უმკლავდება ახალ რეალობაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უცხოენოვანი სტუდენტების სწავლების პროცესის უწყვეტობის საკითხს? — ამის შესახებ გვესაუბრება თსუ „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის“ ხელმძღვანელი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი **კახა გაბუნია***

— როგორ მიმდინარეობს არაქართულენოვანი სტუდენტების სწავლების პროცესი და რა ინფორმაციას მოგვაწვდით ამასთან დაკავშირებით?

— არაქართულენოვანი სტუდენტების ქართულ ენაში მოსამზადებლად ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში 2 პროგრამა ფუნქციონირებს: ერთი მხრივ, საქართველოში სასწავლებლად ჩამოსულ უცხოელ სტუდენტებს ემსახურება „ენების ცენტრი“; მეორე მხრივ, უკვე მეათე წელია, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის ამოქმედდა „ქართულ ენაში მომზადების

საგანმანათლებლო პროგრამა“, რომელიც მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებს (აზერბაიჯანელ, სომეხ, ოს და აფხაზ სტუდენტებს) იღებს და ერთი წლის განმავლობაში მათი ენობრივი კომპეტენციების ამაღლება-გაუმჯობესებაზე მუშაობს. ამ ორ პროგრამას მიღების წესიც რადიკალურად განსხვავებული აქვს: „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში“ ერთიანი ეროვნული გამოცდებისას ზოგად უნარებში მინიმალური კომპეტენციების დადასტურების შედეგად იღებენ; სახელმწიფო ვალდებულებას იღებს, საშეღავათო პოლიტიკის ფარგლებში, ამ ერთი წლის განმავლობაში არაქართულენოვანი სტუდენტების ენობრივი კომპეტენციები განავითაროს, აამაღლოს იმ დონემდე, რომ მათ შეძლონ სახელმწიფო ენაზე (ქართულ ენაზე) საბაკალავრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელება: ლექციების მოსმენა, საკუთარი მოსაზრებების ფორმირება, დავალებების შესრულება და ა.შ. სრულიად განსხვავებულია უცხოელ სტუდენტთა მიღების წესი და სწავლების ფორმატი. უცხოელ სტუდენტთა სწავლა-სწავლების პროცესს საშეღავათო

კახა გაბუნია

სისტემასთან არანაირი შეხება არ აქვს და ამ ორი პროგრამის მიზნებისა და დანიშნულების გაიგივება არ შეიძლება...

მე ვხელმძღვანელობ „ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას“ და ამ პროგრამის შესახებ შემიძლია კომპეტენტური პასუხების გაცემა... რასაკვირველია, ერთი საგაზეთო ინტერვიუს ფარგლებში შეუძლებელია არსებულ მიღწევებსა და პრობლემებზე სრულფასოვანი ინფორმაცია მივაწოდოთ მკითხველს, თუმცა, ვეცდები, ორიოდე სიტყვით ამ პროგრამის მნიშვნელობას გავუსვა ხაზი.

მოვიხმობ სტატისტიკას: 2005-დან 2010 წლამდე საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში ჩააბარა მხოლოდ 100-მდე (!) არაქართულენოვანმა აბიტურიენტმა. 2010 წელს — როდესაც პირველად გამოცხადდა საშეღავათე პირობებით არაქართულენოვან სტუდენტთა მიღება — 310-მა აბიტურიენტმა გადალახა ბარიერი და მოეწყო სასურველ უნივერსიტეტში. დღესდღეობით არაქართულენოვან აბიტურიენტთა რაოდენობა გახუთმაგებულია და 1500-მდე სომეხი, აზერბაიჯანელი, აფხაზი და ოსი სტუდენტი იღებს საქართველოს 18 უმაღლეს სასწავლებელში (18 სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ქართულ ენაში მომზადების სახელმწიფო პროგრამა) განათლებას!

აქვე სიამაყით მინდა გაუწყოთ, რომ თსუ უპირობო ლიდერია ამ სტუდენტთა არჩევანის მიხედვით: ჩამბარებელთა სრული რაოდენობიდან 50 პროცენტზე მეტი არაქართულენოვანი სტუდენტი პირველ არჩევანს აკეთებს სწორედ ჩვენს უნივერსიტეტზე!

რაც შეეხება სწავლების ხარისხს... მოდით, შევთანხმდეთ, რომ განვლილი 10 წლის განმავლობაში შეცდომაც ბევრი დაგვიშვია, მრავალი ხარვეზიც გვქონია, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში თსუ-ის ადმინისტრაციის მხარდაჭერით აქტიურად ვმუშაობთ ყველა მიმართულებით პროგრესის მისაღწევად: ეს ეხება სასწავლო კურსის შინაარსსაც და მატერიალურ-ტექნიკურ მხარესაც. აღვნიშნავ, რომ 2019 წლის დეკემბერში პროგრამამ გაიარა ხელახალი აკრედიტაცია და, პრაქტიკულად, უპრეცედენტო ფაქტი დაფიქსირდა ხა-

რისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში: პროგრამამ ისე მიიღო აკრედიტაცია, კომისიას ერთი რეკომენდაციაც კი არ ჰქონია!

— რამდენად ეფექტურად ჩაერთეთ დისტანციური სწავლების პროცესში?

— პირადად მე, ჯერ კიდევ 2007 წლიდან, შეხება მქონდა დისტანციურ სწავლებასთან — კერძოდ, აქტიურად ვლობირებდი (მაშინ თავად ვმუშაობდი განათლების სამინისტროში) საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელსაც სურდა საქართველოს განათლების სისტემაში დისტანციური სწავლების პილოტირება/დანერგვა... სამწუხაროდ, მაშინ ეს ვერ მოხერხდა. თუკი შეიძლება კორონავირუსის პანდემიის დადებით შედეგებზე ვისაუბროთ (ეს ხუმრობით, რასაკვირველია!) — ესაა სწავლების ახალი ფორმების, სტრატეგიების, თანამედროვე ტექნოლოგიების დაუფლების სიკეთე... დიახ, ასეულობით და ათასეულობით მასწავლებელი, ლექტორი, პროფესორი პირველად გაესაუბრა დისტანციურად თავის მოსწავლეს, სტუდენტს... ეს აუცილებელი კომპონენტია თანამედროვე ცხოვრებისა... თუმცა, ნუ მოვიტყუებთ თავს: დისტანციური სწავლება სრულად ვერ ჩაანაცვლებს კონტაქტურ (ტრადიციულ) სწავლებას! ჩვენ უნდა ვიპოვოთ, მოვიძიოთ „ოქროს შუალედი“ — არც უახლესი ტექნოლოგიების ხიბლში გადავცვივდეთ და არც ტრადიციული მიდგომების განუმეორებლობა ვირწმუნოთ, უნდა შევეცადოთ — ყველა მიდგომიდან მივიღოთ და განვავითაროთ კარგი, ეფექტური, შედეგიანი... არ არის ეს გადაუჭრელი ამოცანა და გონიერი თავი აუცილებლად იპოვის გამოსავალს...

— თქვენი აზრით, რამდენად უზრუნველყო სახელმწიფომ პანდემიის პირობებში არაქართულენოვანი მოსახლეობის ინფორმირება?

— სახელმწიფოს წინაშე „კოვიდ-19“-ის პანდემიამ მართლაც უდიდესი გამოწვევები დააყენა და ეს შეეხო ყველა სფეროს... განათლების სისტემამ განსაკუთრებით მძიმე დარტყმა მიიღო: სრულიად უჩვეულო ფორმატში (უნდა ვაღიაროთ, რომ დისტანციური სწავლების თემას ნამდვილად არ ექცეოდა სა-

თანადო ყურადღება წინა წლებში) სწავლა-სწავლების პროცესზე გადასვლამ, შეიძლება ითქვას, კითხვის ნიშნის ქვეშაც კი დააყენა მიმდინარე სემესტრის აკადემიურ სემესტრად გამოცხადება-არგამოცხადების საკითხი... ამ გამოწვევას მეტ-ნაკლებად გაეცა პასუხი... იდეალურისგან, რასაკვირველია, შორს დგას, მაგრამ ის, რაც მოახერხეს ლექტორებმა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სკოლების ადმინისტრაციებმა — გმირობის ტოლფასია! თუმცა, ბუნებრივია, საწყის ეტაპზე, გაურკვევლობაში მყოფმა სისტემამ გარკვეული შეცდომები დაუშვა. თქვენ სწორად დასვით კითხვა: სახელმწიფომ პირველ ეტაპზე დააგვიანა. თუმცა, ხაზს ვუსვამ — ეს ნამდვილად ობიექტური მიზეზით იყო გამოწვეული და ყველა ღონე იხმარა დაშვებული ხარვეზის გამოსასწორებლად. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ისევ და ისევ ამოტივტივდა ათწლეულების განმავლობაში გადაუჭრელი პრობლემა: ჩვენს უცხოენოვან თანამოქალაქეებს ჯერ კიდევ აქვთ სახელმწიფო ენის სათანადო დონეზე ფლობის პრობლემა... სამწუხაროდ, ეს პრობლემა კიდევ არაერთხელ იჩენს თავს, თუკი სახელმწიფო რადიკალურ რეფორმებს არ მიმართავს და ამ მტკივნეული საკითხის გადასაჭრელად სერიოზულ ნაბიჯებს არ გადადგამს...

— როგორ მოგწონთ საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტი — „ტელე-სკოლა“?

— ბატონ ვასილ მაღლაფერიძეს სტუდენტობიდან ვიცნობ და ყოველთვის პატივს ვცემდი მის უნარს — ერთი შეხედვით, გამოუვალ სიტუაციაში გამოძებნოს გამოსავალი. „ტელე-სკოლის“ პროექტი არსებულ სიტუაციაში უძლიერესი სვლა იყო... რასაკვირველია, მრავალი რამ დასახვეწია, გამიგია კრიტიკაც ამა თუ იმ კონკრეტული გაკვეთილის თუ პედაგოგის მიმართ, მაგრამ ვერავინ უარყოფს ფაქტს: ეს არის უნიკალური იდეა, რომლის ხორცშესხმას და სრულყოფას, დარწმუნებული ვარ, ნაბიჯ-ნაბიჯ განახორციელებს საგანმანათლებლო არხის მენეჯმენტი... ერთია ოღონდ — კარგად დაწყებულ საქმეს კარგი გაგრძელებაც სჭირდება... ეს არ უნდა დარჩეს მხოლოდ, ასე ვთქვათ, „პანდემიურ პროექტად“

და თავისი ადგილი უნდა დაიმკვიდროს საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში.

— რას საქმიანობთ სახლში, როგორია თქვენი ახალი დღის წესრიგი?

— არ ვიქნები, ალბათ, ორიგინალური, თუკი ვიტყვი, რომ ძალიან დამღლელია ერთფეროვნება... ისიც მინდა გითხრათ, რომ პირადად მე გამიორმაგდა სამუშაო... ელექტრონულ სწავლებას თავისი სირთულეები აქვს. დიდი დრო მიაქვს დავალებების ატვირთვას, სტუდენტთა მიერ შესრულებული ნაშრომების ჩამოტვირთვას, მათ გასწორებას, სალექციო მასალის ელექტრონულად მომზადებას და ა.შ. ერთი კია: დრო სასწაული სისწრაფით გარბის! კარგია ეს თუ ცუდი — განსაჯოს ჩვენი გაზეთის მკითხველმა...

ესაუბრა თამარ დადიანი

არაორგანიზებული ერი ვერასდროს შექმნის სახელმწიფოს, კულტურას, თავის ლოკალურ ცივილიზაციას

გვესაუბრება თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ისტორიის დოქტორი ***ჯაბა სამუშია***

— როგორია თბილისი პანდემიის პირობებში — ისტორიას როგორი დარჩება საქართველოს დედაქალაქი?

— კორონავირუსის გავრცელებამ საზოგადოებას აჩვენა, რა მძიმეა პანდემიასთან ბრძოლა. ძლიერ, სუპერ სახელმწიფოებს უჭირთ ამ პრობლემასთან გამკლავება. მთავარი ამ მომენტში თვითორგანიზებულობა და რეკომენდაციების დაცვაა. რა თქმა უნდა, ძნელი სანახავია დაცარიელებული ქუჩები, გაჩერებული აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობა, მაგრამ ასეთ კრიტიკულ ვითარებაში ერთ-ერთი დაცვის საშუალება სწორედ სოციალური დისტანციაა. რამდენადაც

არ უნდა გაგიკვირდეთ, იგივე მოთხოვნები იყო პანდემიების დროს საუკუნეების წინაც.

1346-1348 წლებში საქართველოში შავი ჭირის ეპიდემია მძვინვარებდა. ჩვენი ქვეყანა, მართლაც, პანდემიის ცენტრში აღმოჩნდა. მაშინაც სწორედ საზოგადოების ორგანიზებულობით მოხერხდა მსხვერპლი მინიმუმი ყოფილიყო. სვანეთში სეტის, ლაღამისა და ლაჰილის თემებისთვის შედგენილი საბუთებიდან იკვეთება, რომ ჟამიანობა ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსულა. თემს ერთობით გადაუწყვეტია, რომ მკაცრი ღონისძიებისთვის მიემართა და ჩრდილო კავკასიაში გადასვლა ან იქიდან გადმოსვლა აეკრძალა. დამრღვევისთვის ჯარიმას აწესებდნენ 200 თეთრის ოდენობით.

თვითიზოლაცია – თანამედროვე ტერმინი კი არის, მაგრამ შინაარსობრივად რასაც ვგულისხმობთ, იგივეს აკეთებდნენ შუა საუკუნეებშიც. მაგალითად, გავიხსენოთ „დეკამერონი," რომელიც 1350-1353 წწ. იწერებოდა, სწორედ მაშინ, როცა იტალიასა და, ზოგადად, ევროპაში მძვინვარებდა „შავი სიკვდილი". ბოკაჩოს გმირები ფლორენციიდან გარბიან შავი ჭირის გამო და ქალაქგარეთ ვილაში ემალებიან მომაკვდინებელ სენს. რეალურად ეს არის თვითიზოლაცია.

ჯაბა სამუშია

XIX საუკუნის დასაწყისში თბილისში ასევე გავრცელებული იყო „შავი ჭირის“ ეპიდემია. მხოლოდ ხელისუფლების სწორი მოქმედების წყალობით მოხერხდა სხვადასხვა კერების სწრაფი ჩაქრობა. ეს პატარა ისტორიული ექსკურსი იმიტომ მოვიტანეთ, რომ ვაჩვენოთ, როდესაც მოსახლეობა გაგებით ეკიდება შეზღუდვებს, ფიქრობს საკუთარ და სხვათა ჯანმრთელობაზე, პანდემია ადვილი დასამარცხებელია. ბევრი საქართველოშიც და მის გარეთაც ქილიკობდა ჩვენი ხელისუფლების მიერ მიღებულ ცალკეულ გადაწყვეტილებაზე, მაგრამ შედეგმა აჩვენა, რომ ქართული საზოგადოება გაუმკლავდა ამ გამოწვევას.

— დღევანდელი გადასახედიდან, რამდენად გაითავისა ქართულმა საზოგადოებამ სოლიდარობის და პასუხისმგებლობის მნიშვნელობა?

— ბევრს ეგონა, რომ დღევანდელ ქართველობას კრიტიკულ სიტუაციაში ზერელე დამოკიდებულება ექნებოდა პრობლემისადმი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ორგანიზებულობა, სოლიდარობა, კანონისა და დადგენილი წესების დაცვა, სხვა დაწინაურებული ქვეყნების მსგავსად, ჩვენც შეგვიძლია. სულ მახსენდება მთაში დაცული ერთი გადმოცემა. შატილიდან 4 კილომეტრში მდ. არდოთისა და არგუნის შესართავთან, მაღალ კლდეზე მდებარეობს მკვდარი ქალაქი – ანატორი. ძველი თქმულებით, როდესაც პირიქითა ხევსურეთში მძვინვარებდა ეპიდემია, გარდაცვლილთათვის საგანგებოდ აუგიათ აკლდამები. გადმოცემით, ანატორის აკლდამების სიახლოვეს ცალკე იყო ნაგებობა, სადაც შავი ჭირისგან დაავადებულნი თავისი ფეხით მიდიოდნენ, ჯანმრთელ მოსახლეობას რომ განრიდებოდნენ. ეს საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მაგალითია.

როგორც ვხედავთ, ის, რაც დღეს ხდება, მაღალი თვითშეგნების გამოვლენაა და ამ ყველაფრის ფესვები ჩვენს ისტორიაშია. არაორგანიზებული ერი ვერასდროს შექმნის სახელმწიფოს, კულტურას, სოციალურ სისტემას – მოკლედ, თავის ლოკალურ ცივილიზაციას. ჩვენ კი ეს ყოველივე ათასწლეულის წინ ჩამოვაყალიბეთ. XIX-XX საუკუნეებში სახელმწი-

ფოებრიობის დაკარგვამ შეგვიცვალა წესი და ნირი, დღეს კი ქართველობა თავის ძველ სახეს იბრუნებს — მაღალი სახელმწიფოებრივი კულტურის ერისას.

— სამეცნიერო ფონდში როგორ საქმიანობთ ამ ახალ რეალობაში? რა პრიორიტეტები იკვეთება?

— რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ჩვეული რეჟიმით აგრძელებს საქმიანობას. თანამედროვე ტექნოლოგიები გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ინტერნეტის, სოციალური ქსელის მეშვეობით, დისტანციურად ვაწარმოოთ საქმიანობა. მარტო მაისში ფონდმა განახორციელა ათზე მეტი ღონისძიება, რომელიც მეცნიერების პოპულარიზაციას ემსახურებოდა. მათ შორის ორი იყო სამეცნიერო კონფერენცია. რა თქმა უნდა, პანდემიით გამოწვეული რელობა გვაიძულებს გეგმების კორექტირებას, მაგრამ ეს დროებითია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა, რომელიც დღევანდელობის გამოძახილია და დიდ ყურადღებას ითხოვს, არის ის, თუ რა გამოწვევის წინაშე აღმოჩნდება საზოგადოება პოსტპანდემიურ პერიოდში. სამეცნიერო მრგვალი მაგიდა, რომელიც რუსთაველის ფონდმა ჩაატარა, მიზნად ისახავდა სხვადასხვა სამეცნიერო დარგის (მედიკოსების, ბიოლოგების, იურისტების, ეკონომისტების, სოციოლოგების, ფსიქოლოგების, პედაგოგიკის, მედიის და სხვა) სპეციალისტების ჩართულობით იმ ძირითადი მიმართულებების და თემების განსაზღვრას, რომელზეც საჭიროა დროულად დავიწყოთ მუშაობა, რათა ჩვენმა საზოგადოებამ მოკლე დროში დაძლიოს პოსტპანდემიური სირთულეები.

— რას საქმიანობთ სახლში — თქვენი ახალი დღის წესრიგი როგორია?

— ყველაფერს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე. ამ იძულებითმა შეზღუდვებმა ბევრი დრო გააჩინა სამეცნიერო პროექტებისთვის. თქვენ იცით, რომ დავით III დიდი კურაპალატის შესახებ საქართველოში ცალკე მონოგრაფია არ არსებობდა. ორთვიანი „კარანტინის“ პერიოდში შევძელი დამესრულებინა წიგნი დავით კურაპალატზე. ვნახოთ, როგორ მიიღებს მკითხველი ახალ გამოცემას. არის რამდენიმე

საინტერესო პროექტი, რომელზეც ფიქრის დრო ნამდვილად გვქონდა „სახლში ყოფნის“ პერიოდში. სავარაუდოდ, ახლო მომავალში ქართული საზოგადოება მიიღებს კიდევ ერთ, ახალ მასშტაბურ პროექტს.

ესაუბრა მაია ტორაძე

თსუ-ის კანცლერის პასუხები აქტუალურ კითხვებზე

როგორია თსუ-ის დასუფთავების სამსახურის „COVID-19“-ით ინფიცირებული თანამშრომლის მდგომარეობა? როგორ ჩატარდება ფინალური გამოცდები? რა ინფრასტრუქტურული, ადმინისტრაციული სიახლეებია? — კითხვებს თსუ-ის კანცლერი ლაშა საღინაძე პასუხობს.

— უნივერსიტეტის სივრცეში დაფიქსირებული კორონავირუსის ერთი შემთხვევის გამო რა შეიცვალა და უსაფრთხოების რა დამატებითი ზომები გატარდა?

ლაშა სალინაძე

— სამწუხაროდ, ჩვენი დასუფთავების სამსახურის თანამშრომელს დაუდასტურდა „COVID-19“ ინფექცია. მისი მდგომარეობა გაუმჯობესებულია, რაც ძალიან გვახარებს. რაც შეეხება კონტაქტში მყოფ პირებს, ისინი გადავიდნენ თვითიზოლაციაში, ჩაუტარდათ PCR ტესტირება და ყველა შედეგი უარყოფითია. შესაბამისად, გავრცელების ალბათობა აღარ არსებობს. საგულისხმოა ისიც, რომ დაინფიცირების წყარო თსუ არ ყოფილა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უსაფრთხოების ყველა ზომა დაცულია: გაკრულია შესაბამისი მანიშნებლები, ყველა აკადემიური კორპუსის შესასვლელში მიმდინარეობს თერმოსკრინინგი, დამონტაჟებულია დეზობარიერები და სადეზინფექციო ხსნარისთვის განკუთვნილი დისპანსერები, შესაბამისად, შენობაში შესვლისას ხელების დამუშავება შესაძლებლია, სავალდებულოა პირბადის ტარება. უკვე 2 თვეზე მეტია, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები შესაბამისი ხსნარის გამოყენებით ამუშავებენ ზედაპირებს, აღჭურვილნი არიან ხელთათმანებითა და პირბადეებით. თსუ-ში „COVID-19“ ინფექციის დაფიქსირების

შემდეგ მაღლივი კორპუსის შენობაში სრული სადეზინფექციო სამუშაოები დამატებით ჩატარდა.

— როგორ წარიმართება ფინალური საგამოცდო პროცესი?

— მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ გამოცდები დისტანციურად ჩატარდეს. შესაძლოა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, შესაბამისი ფაკულტეტის გადაწყვეტილებით, რამდენიმე მიმართულებაზე სტუდენტების მოსვლა საჭირო გახდეს, თუმცა ვცდილობთ, რომ ამის საჭიროება არ დადგეს. აღნიშნულ შემთხვევაში, შესაბამისი გამოცდები ყველა რეკომენდაციის დაცვით ჩატარდება. ვითვალისწინებთ იმ სტუდენტების ინტერესებსაც, ვისაც დისტანციურად ჩაბარების შესაძლებლობა არ აქვს ინტერნეტისა თუ კომპიუტერული ტექნიკის არქონის გამო.

— რა სიახლეებია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინფრასტრუქტურული და ადმინისტრაციული თვალსაზრისით?

— თსუ-ის მეორე კორპუსის სრული რეაბილიტაცია გრძელდება, პანდემიის მიუხედავად პროცესი არც ერთი დღე არ შეჩერებულა. უდიდესი ალბათობით, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები სექტემბრიდან სწავლას ისევ მეორე კორ-

პუსში გააგრძელებენ. ასევე, გარემონტდა X (მაღლივი) კორპუსის სამი სართული, ხოლო რეაბილიტირებულ ფოიეში, საქართველოს ბანკის მხარდაჭერით, სტუდენტური სივრცის მოწყობა მიმდინარეობს. უახლოეს პერიოდში XI კორპუსის რიგი სარეაბილიტაციო სამუშაობი დაიწყება: გარემონტდება ფოიე, აუდიტორიები, იგეგმება ლიფტების მონტაჟიც.

სექტემბრიდან დაგეგმილია ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ანაზღაურების მოწესრიგება და იმედს ვიქონიებ, არანაირი დაბრკოლება არ შეგვექმნება.

— აღდგება თუ არა სექტემბრიდან სწავლა აუდიტორიებში?

— მოლოდინი გვაქვს, რომ აღდგება. ამ ეტაპზე ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაცია ამის შესაძლებლობას იძლევა. ვიმედოვნებ, ყველა გავითავისებთ და შევასრულებთ შესაბამისი უწყებების მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და ეპიდემიოლოგიური სიტუაცია არ გაუარესდება.

მაია ჩიღვინაძე: უმჯობესია გამოცდები საგამოცდო სივრცეებში ელექტრონულად ჩატარდეს

მოახლოვდა ფინალური გამოცდების დრო. ამ დროს უნივერსიტეტში უკვე საგამოცდო ციებ-ცხელება იწყებოდა, თსუ-ის საგამოცდო ცენტრი საორგანიზაციო საქმეებით იყო დაკავებული, სტუდენტები კი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დარბაზებში იკავებდნენ ადგილს გამოცდის ჩასაბარებლად.

წელს პანდემიამ ყველაფერი შეცვალა. ონლაინ სწავლების რთული ეტაპის წარმატებით გავლის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კიდევ ერთ გამოწვევას უნდა უპასუხოს — იმისთვის, რომ სემესტრი ნაყოფიერად დასრულდეს და დისტანციური სწავლების შედეგები თვალსაჩინო იყოს, სემესტრის შემაჯამებელი გამოცდები და საბაკალავრო თუ სამაგისტრო ნაშრომების დაცვები დისტანციურ ფორმატში უნდა ჩატარდეს, რაც ადვილი არაა. ამ ეტაპზე,

ფაკულტეტების და საგნების სპეციფიკის გათვალისწინებით, შედგა შემაჯამებელი ტესტები და საგამოცდო ბილეთები ზეპირი გამოცდისთვის, შემუშავდა სემესტრული და საბაკალავრო თუ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები. სულ ცოტა ხანში უჩვეულო სემესტრი დასრულდება და შესაძლებელი იქნება შეჯამდეს — რამდენად წარმატებით გაართვა თავი დისტანციურ სწავლებას სტუდენტმა და პროფესორმა.

ამ პირობებში განსხვავებულ რეჟიმში მოუწია მუშაობა თსუ-ის საგამოცდო ცენტრს. რა საქმიანობას ეწევა იგი და როგორ ჩაერთო საუნივერსიტეტო ცხოვრებაში? — გვესაუბრება ცენტრის ხელმძღვანელი მაია ჩიღვინაძე:

— რა დატვირთვით მუშაობდა საგამოცდო ცენტრი ონლაინ სწავლების პირობებში?

— საგამოცდო ცენტრი ამ ეტაპზე სრული დატვირთვით ვერ მუშაობს, თანამშრომლების ძირითადი ვალდებულებაა — შემოსულ შეკითხვებზე წერილობითი პასუხები გასცენ სტუდენტებს და იმუშაონ წინა სემესტრში ჩატარებული ფინალური გამოცდების სტატისტიკაზე.

— რა ფორმით ტარდება უნივერსიტეტში სემესტრული გამოცდები და რა ფუნქციები აკისრია ამ ეტაპზე საგამოცდო ცენტრს?

— სემესტრის განმავლობაში მიმდინარეობდა აქტიური მოლაპარაკება პრორექტორთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და აიტი დეპარტამენტთან, რომ გამოცდები ჩაგვეტარებინა დისტანციურად, Moodle-ის პროგრამის გამოყენებით. ამ პროგრამის გამოყენების შემთხვევაში, საგამოცდო ცენტრი შეძლებდა აქტიურად ჩართულიყო ძირითადი გამოცდების პროცესში და დახმარება გაეწია ფაკულტეტებისათვის, მაგრამ ფაკულტეტებთან გავლილი კონსულტაციის შემდეგ მათ ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ამ ეტაპზე გამოცდები ჩატარდეს დისტანციურად, პედაგოგების მიერ შუალედური გამოცდების დროს უკვე გამოცდილი პროგრამების გამოყენებით.

— როგორ ფიქრობთ, რამდენად ობიექტური და, ცოდნის შეფასების მხრივ, ყოვლისმომცველი იქნება დისტანციურად ჩატარებული გამოცდები?

— სავარაუდოდ, დისტანციური გამოცდების ჩატარებისას სათანადო ხარისხი ვერ იქნება მიღწეული, მაგრამ დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, მთავარი ამოცანაა თავიდან ავიცილოთ აკადემიური სემესტრის ჩავარდნა და, რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე, უმჯობესია ამ პირობებს დავთანხმდეთ. გამოცდების დამთავრების შემდეგ სტატისტიკაზე იმუშავებს საგამოცდო ცენტრი. სტატისტიკა კი უფრო ნათელ სურათს გვიჩვენებს.

— თქვენი აზრით, სწავლების და გამოცდების ჩატარების ამ ფორმიდან რა შეიძლება, როგორც გამოცდილება, გადმოტანილ იქნეს სააუდიტორიო მეცადინეობის და სწავლების პირობებში?

— საგამოცდო ცენტრს მიაჩნია, რომ მომავალში გამოცდების ჩატარება უმჯობესია საგამოცდო სივრცეებში ელექტრონულად, კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით (ბუნებრივია, თუ საამისოდ იქნება შესაბამისი ფინანსური/ტექნიკური მხარდაჭერა). რაც შეეხება ონლაინ მეცადინე-

ობის და გამოცდების ეფექტიანობას, ვფიქრობ, პროფესორ-მასწავლებლები, გამოცდილებიდან გამომდინარე, შეაჯამებენ — რამდენად შედეგიანად წარიმართა და დასრულდა სემესტრი.

მოამზადა მაია ტორაძემ

ახალი გარემოება უნივერსიტეტში და პანდემიის კვალი

ახალი სასწავლო წელი 14 სექტემბერს უნივერსიტეტში დისტანციური სწავლის ფორმატით დაიწყება. სასწავლო პროცესი 1 ოქტომბრიდან, სავარაუდოდ, ჩვეულ რეჟიმში — აუდიტორიებში განახლდება, თუმცა ყველაფერი დამოკიდებული იქნება ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაზე ქვეყანაში.

რა წესების დაცვაა საჭირო პანდემიის პირობებში?

რა სიახლე დახვდებათ სტუდენტებს უნივერსიტეტში?

რა ახალ შეღავათებს აწესებს ადმინისტრაცია?

რა პირობა შეასრულა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ

და როგორია ახალი გარემო დაწესებულებაში, სადაც პანდემიამ თავისი კვალი დატოვა?

კითხვებს გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ სტუმარი — თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ლაშა საღინაძე პასუხობს, რომელიც აცხადებს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მზადაა — ახალი სასწავლო წელი ღირსეულად დაიწყოს, მიუხედავად პანდემიით გამოწვეული სირთულეებისა.

გვესაუბრება ლაშა საღინაძე

— რა სიახლეებით ხვდება თსუ ახალ სასწავლო წელს? როგორ დაიწყება სწავლა? რა წესების დაცვაა გათვალისწინებული პანდემიის პირობებში?

— პირველ რიგში, აღსანიშნავია ის სიახლე, რომ წელს 5082 პირველკურსელი გახდა თსუ-ის სტუდენტი. ამ კუთხით პირველები ვართ საქართველოში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გრანტის მქონე სტუდენტების 35 პროცენტი მოხვდა თსუ-ში. შედარებისთვის ვიტყვი, რომ მეორე ადგილზე მყოფ უნივერსიტეტში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 9 პროცენტია, ანუ ყოველი მესამე სტუდენტი და ცოტა უფრო მეტიც კი გრანტის მქონე სტუდენტი გვყავს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი და სასიხარულო სიახლეა.

გარდა ამისა, სასიხარულო ინფორმაციაა ისიც, რომ თსუ-ის ორმა პროგრამამ — ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია და კომპიუტერული მეცნიერებები — საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ABET-ის მიერ მონიჭებული აკრედიტაციით თსუ-ის კურსდამთავრებულები მიიღებენ საერთაშორისო აღიარების მქონე დიპლომს, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში. გარდა მომავალი კურსდამთავრებულებისა, თსუ კომპიუტერული მეცნიერების პროგრამის 2017, 2018, 2019 და 2020 წლის, ხოლო ელექტრული და ელექტრონული ინჟინერიის პროგრამის 2018, 2019, 2020 წლის კურსდამთავრებულთა დიპლომებიც საერთაშორისო აღიარების მქონეა.

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რეაბილიტირებული მეორე კორპუსის ნახევარი ფლიგელის რემონტს 15 სექტემრისთვის დავასრულებთ, რის შემდგომაც დაგვჭირდება გარკვეული დრო აუდიტორიების ავეჯით, მერხებითა და მაგიდებით მოსაწყობად. ოქტომბრის დასაწყისიდან ჩვენ შევძლებთ, რომ მეორე კორპუსში მივიღოთ როგორც იურიდიული ფაკულტეტის, ისე იმ ფაკულტეტის სტუდენტებიც, რომელთაც მეორე კორპუსში ჰქონდათ სასწავლო მეცადინეობები. ეს ძალიან სასიხარულო ინფორმაციაა როგორც სტუდენტებისთვის, ისე პროფესორ-მასწავლებლებისთვის და ადმინისტრაციისთვისაც. აღნიშნული სამუშაოები უფრო ადრე რომ არ დასრულდა, ამაზე გავლენა პანდემიურმა პროცესებმა, გარკვეულწილად, იქონია. რა შედეგიც გვაქვს ამ ეტაპზე, დიდ მიღწევად შეიძლება ჩავთვალოთ. სამშენებლო კომპანიამაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ დროულად დამთავრებულიყო სარეაბილიტაციო სამუშაოები. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ეს კორპუსი 25 000 კვ.მ. ფართობისაა, არის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, რომლის რემონტსაც, შესაბამისად, სპეციფიური სამუშაოები დასჭირდა.

სწავლას 14 სექტემბერს ვიწყებთ დისტანციურ ფორმატში. 1 ოქტომბრიდან გარკვეული ლექციების ნაწილი და, ასევე, სემინარები აუდიტორიებში ჩატარდება. რა თქმა უნდა, ცალკეული ფაკულტეტები შეადგენენ თავის გრაფიკს, მაგრამ, ალბათ, ყველა მიმართულებაზე პრინციპი და პროპორცია ერთი იქნება. მთავარია პირნათლად შევასრულოთ ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციები, რაც გულისხმობს სტუდენტებს შორის გარკვეული დისტანციის დაცვას, ანუ დიდ კონტიგენტიანი სტუდენტებისგან დაკომპლექტებულ ჯგუფებს ლექციები აუდიტორიებში ვერ ჩაუტარდებათ. 100, 200, 300 სტუდენტისგან შემდგარი ჯგუფები ლექციებს დისტანციურ ფორმატში მოისმენენ. გადავწყვიტეთ, რომ საგამოცდო პროცესი ჩვეულებრივ რეჟიმში გაგრძელდეს და არა დისტანციურად. შემდგომ უკვე ყველაფერი დამოკიდებული იქნება ეპიდემიოლოგიურ სიტუაციაზე და იმ რეკომენდა-

ციებზე, რომელსაც ჯანდაცვის სტრუქტურები გასცემენ. ჩვენთან ყველა სტუდენტის უსაფრთხოება მაქსიმალურად იქნება დაცული (თერმოსკრინინგის განხორციელებიდან დაწყებული სადეზინფექციო საშუალებების გამოყენების შესაძლებლობით დამთავრებული). ამ ყველაფერს ჩვენ უზრუნველვყოფთ. ყველა მერხზე ე.წ. სტიკერები იქნება დაკრული და მოვნიშნავთ იმ ადგილებს, სადაც სტუდენტებს განთავსება შეეძლებათ, რათა შესაბამისი დისტანცია იქნეს დაცული.

სიახლეა ისიც, რომ მაღლივი კორპუსის სამი სართული (მეათე, მეთერთმეტე და მეთორმეტე) სრულად რეაბილიტირებულია. მომავალი წლისთვის რეაბილიტაციის პროცესს შემდეგ სართულებზეც გავაგრძელებთ. ძალიან სასიხარულო ფაქტია ის, რომ მაღლივი კორპუსის ფოიეში, საქართველოს ბანკთან თანამშრომლობით, ჩვენ შევძელით და ბრწყინვალე სტუდენტური სივრცე მოვაწყვეთ, სადაც ნებისმიერ სტუდენტს თუ აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობა აქვს ლექციებს შორის შესვენების დროს ან საგამოცდო პროცესისთვის მომზადების პერიოდში დაისვენოს მყუდრო გარემოში. სტუდენტური სივრცეების კეთილმოწყობის პროცესს ყველა კორპუსში გავაგრძელებთ. ჩვენი პირობაა — 2021 წლის ბოლომდე ყველა სასწავლო კორპუსში თანამედროვე ტიპის სტუდენტური სივრცეები გაჩნდეს.

— სტუდენტები ხშირად ითხოვენ კვების ობიექტების ფუნქციონირებას სასწავლო კორპუსებში ან მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ მხრივ რა ვითარებაა?

— ამ პერიოდში კვების ობიექტების თემა ცოტა პრობლემურია. იცით, რომ პირველი კორპუსის ეზოში ფუნქციონირებს და პოპულარობით სარგებლობს ჩაის სახლი. პანდემიის დრო ჩაის სახლის გარე სივრცეც მოეწყო. რაც შეეხება კვების ობიექტებს მაღლივ კორპუსსა და ბიოლოგების კორპუსში, კვების ეს ობიექტები დეკემბერ-იანვრის თვეებში გავხსენით, შემდგომ დაემთხვა არდადეგების პერიოდი და სწავლის დაწყების დრო რომ მოვიდა, პანდემიის გამო უკვე ყველაფერი დაიკეტა. იმ კომპანიას, რომელიც გვემსახურებოდა, გარკვეული პრობლემები შეექმნა, თუმცა ჩვენ ვცდილობთ, რომ

ახალი სასწავლო წლიდან კვების ობიექტებმაც იფუნქციონიროს იმ რეკომენდაციების დაცვით, რაც არსებობს ქვეყანაში. დანარჩენ კორპუსებშიც გარკვეული ტიპის სამუშაოებს ვახორციელებთ. ახლაც გვაქვს გარკვეული ტენდერები, რაზეც მომავალში უფრო ვრცლად მოგახსენებთ.

— სწავლის გადასახადის ეტაპობრივი გადახდის რა სქემას სთავაზობთ სტუდენტებს?

— შეღავათიანი პირობები სწავლის გადასახადის დაფარვის კუთხით ჩვენთან აქამდეც მოქმედებდა. პანდემიური პროცესებიდან გამომდინარე, ჩვენ კიდევ უფრო გავაფართოვეთ ეს არეალი. მოქმედებს საშეღავათო პერიოდი ყველა სტუდენტისათვის. ერთადერთი გამონაკლისია პირველსემესტრელი, რომელსაც უწევს სემესტრის საფასურის გადახდა, დანარჩენ შემთხვევაში ნებისმიერ სემესტრელ სტუდენტს შესაძლებლობა აქვს მოგვმართოს განცხადებით და სწავლისთვის გადასახდელი თანხის დაფარვის გრაფიკს ისე შევუდგენთ, როგორც მას სურს. უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ჩვენ ბიუჯეტიდან, წლიურად, 600 000 ლარი გვაქვს გათვალისწინებული წარჩინებული სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსების კუთხით, ანუ წარჩინებულ მოქმედ სტუდენტებს ვუფარავთ სწავლის საფასურს. ისიც მნიშვნელოვანია, რომ ბიუჯეტში მილიონზე მეტი გვაქვს გათვალისწინებული სტიპენდიებისთვის წარჩინებული სტუდენტების დასაფინანსებლად. ასევე, გვაქვს სტუდენტური პროექტები, რომლის ბიუჯეტი 800 000 ლარამდეა. ნებისმიერი საფეხურის სტუდენტს თუ სტუდენტურ ჯგუფს შეუძლია შემოიტანოს პროექტი და მიიღოს დაფინანსება. საერთო საცხოვრებლებშიც გადასახადებზე საშეღავათო გრაფიკი დავაწესეთ. პანდემიის დაწყებისთანავე საერთო საცხოვრებლის მკვიდრ გარკვეულ კატეგორიას (ვინც სამსახური დაკარგა, სოციალურად დაუცველებს, ობლებს და ასე შემდეგ) მაისის თვიდან სექტემბრამდე გადასახადი საერთოდ მოვუხსენით, ზოგს კი შევუმცირეთ, მათ მხოლოდ 30%-ის გადახდა უწევთ. ეს საშეღავათო პერიოდი სექტემბრიდანაც გაგრძელდება, რადგან

ვხედავთ, რომ სტუდენტებს გარკვეული პრობლემები ჯერ კიდევ აქვთ.

— ემატება თუ არა ხელფასი ადმინისტრაციულ პერსონალს, როგორც ეს იყო დაანონსებული?

— იმის მიუხედავად, რომ „კოვიდ-19“-მა გარკვეული სირთულეები მოიტანა და ეს ყველაფერი აისახა უნივერსიტეტზეც (სტუდენტების გარკვეულ ნაწილს სწავლის საფასურის გადახდის პრობლემა შეექმნა, რამაც უნივერსიტეტის შემოსავლები შეამცირა), ჩვენ ჩვენს დაპირებას მაინც ვასრულეთ და სექტემბრის თვიდან ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალს გარკვეული ოდენობით ანაზღაურებას ვუზრდით. ჩვენ ვაფართოვებთ სპეციალისტების კატეგორიების ჩამონათვალს კარიერული ზრდის უზრუნველსაყოფად. მომავალშიც, ნებისმიერი შესაძლებლობის შემთხვევისთანავე, როგორც ადმინისტრაციულ, ასევე აკადემიურ პერსონალს გავუუმჯობესებთ პირობებს.

— შემუშავდა თუ არა ადმინისტრაციული პერსონალისთვის ახალი სამუშაო გრაფიკი პანდემიის პირობებში?

— ჩვენ ვმოქმედებდით საქართველოს მთავრობის დადგენილებით, რომლის მიხედვითაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოქმედებდა დისტანციური მუშაობის რეჟიმი. ეს დადგენილება მოქმედებს 2019-2020 წლის სასწავლო წლის ბოლომდე, ჩვენს შემთხვევაში 14 სექტემბრამდე. 14 სექტემბრიდან რეჟიმი შეიძლება შეიცვალოს. ჩვენ ველოდებით ახალ დამატებით რეკომენდაციებს, თუმცა ხაზგასასმელია, რომ 14 სექტემბრიდან, როცა უკვე სწავლას ვიწყებთ, ადმინისტრაციული პერსონალის გარკვეული რაოდენობა უნივერსიტეტში, რა თქმა უნდა, ფიზიკურად იქნება, რადგან სტუდენტებიც და პროფესორებიც ივლიან. თუმცა, შევეცდებით, გარკვეული მორიგეობა დავაწესოთ — ზოგს დისტანციურად მოუწევს მუშაობა, ზოგი კი დადგენილ დღეებში ჩვეულებრივად ივლის სამსახურში.

15.09.2020

მოამზადა ნინო კაკულიამ

კულტურული და სპორტული წარმატებები პანდემიის პირობებში

პანდემიით გამოწვეულმა ახალმა რეალობამ კულტურისა და სპორტის განვითარება გამოწვევების წინაშე დააყენა, რადგან მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანამ სხვადასხვა ტიპის შეზღუდვა დააწესა ადამიანთა თავყრილობების აღსაკვეთად. ამ ფაქტმა მეტად დააზარალა სხვადასხვა სფერო და, მათ შორის, ხელი შეუშალა კულტურული და სპორტული ღონისძიებების განხორციელებას. ბევრმა პროფესიონალურმა და სამოყვარულო ლიგამ ყველა კონტინენტსა და სპორტულ მიმართულებაში გადადო ან შეაჩერა სეზონები, რათა თავიდან აეცილებინა დიდი რაოდენობით ხალხის შეკრება. ასეთ დროს მნიშვნელოვანი გახდა სპორტისა და კულტურის სექტორზე პანდემიის უარყოფითი ეფექტის გავლენის შემცირება.

შექმნილმა სიტუაციამ, რა თქმა უნდა, გავლენა იქონია უნივერსიტეტებში სტუდენტების სპორტულ და კულტურულ ცხოვრებაზეც.

თუ რა გამოწვევების წინაშე დააყენა პანდემიამ თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის საქმიანობა, ამის შესახებ გვესაუბრება დეპარტამენტის ხელმძღვანელი **ირაკლი ხარჯავანიძე.**

— ბატონო ირაკლი, რა კვალი დაატყო თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის საქმიანობას პანდემიამ?

— კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი, პანდემიის პერიოდში, რეგულაციის ნორმების დაცვით ახორციელებდა თავის საქმიანობას. თუმცა, ვირუსით დაინფიცირების შემთხვევების მატებამ, გარკვეული თვალსაზრისით, ჩვენი საქმიანობის შეფერხება განაპირობა. კერძოდ, გაუქმდა კულტურის დეპარტამენტში დაგეგმილი ღონისძიებები, გადაიდო სპორტული შეჯიბრებები, ვარჯიშები და ა.შ.

— როგორ გაგრძელდა ამ პერიოდში თსუ-ის სპორტულ-კულტურული ცხოვრება, რა გამოწვევების წინაშე დადექით?

— მთავარი გამოწვევა, რაც კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს ჰქონდა, გახლდათ დაგეგმილი ღონიძიებების

ირაკლი ხარჯავანიძე

გაუქმება. სპორტული მიმართულების მხრივ გადაიდო დაგეგმილი თამაშები და შეჯიბრებები. პანდემიის გამო შეწყდა სტუდენტების მიღება თსუ-ის სპორტულ და შემოქმედებით ჯგუფებში (სტუდენტური თეატრი „სხვენი“, თსუ-ის სტუდენტური „კაპელა“ და ა.შ.).

— პანდემიის ფონზე განვითარებული მოვლენების მიუხედავად, რა წარმატებებს მიაღწიეთ სპორტისა და კულტურის მიმართულებით?

— თსუ-ის სპორტისა და კულტურის განყოფილება ცდილობდა აქტიურად განეხორციელებინა მისი საქმიანობა პანდემიის ფონზე. კერძოდ, ამ პერიოდში გარკვეულ წარმატებებს მივაღწიეთ: თსუ-ის ფუტსალის გუნდმა მოიპოვა გამარჯვება ფუტსალის უმაღლეს ლიგაში, რის შედეგადაც გავიდა ევროპის ჩემპიონთა ლიგაზე. კულტურის დეპარტამენტიც აქტიურად იყო ჩართული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოპულარიზაციის საქმეში. თსუ-ის სტუდენტური „კაპელა“ და ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „უნივერსიტეტი“ ხშირად იყო მიწვეული სხვადასხვა ტელევიზიებში.

— სამომავლოდ რა ღონისძიებებს გეგმავთ?

— თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის საქმიანობა ორიენტირებულია სტუდენტების მრავალფეროვანი სპორტულ-კულტურული ცხოვრების განვითარების მიმართულებით. დაგეგმილი გვაქვს სხვადასხვა კულტურული ღონიძიებების გახორციელება: ახალი სპექტაკლის დადგმა, ჩვენი უნიკალური გუნდების მონაწილეობით კონცერტების გამართვა და სხვა. უახლოეს მომავალში იგეგმება სტუდენტების მიღება კალათბურთის, ფრენბურთის, ფუტსალის გუნდებსა თუ შემოქმედებით სექციებში: ფოლკლორული ცეკვების ანსამბლი „უნივერსიტეტი“, „თსუ გორდელა“, უნივერსიტეტის სტუდენტური კაპელა თუ სხვა...

ასევე, აღსანიშნია ის, რომ უნივერსიტეტის სპორტული კლუბები აქტიურად ემზადებიან სხვადასხვა ჩემპიონატზე წარმატებით ასპარეზობისათვის. თსუ-ის კალათბურთის კლუბი ემზადება საქართველოს კალათბურთის სუპერლიგისათვის. გუნდი ძლიერდება ლეგიონერი მოთამაშეებით და გეგმავს ამბიციური და ფიზიკურად ძლიერი თამაშის ჩვენებას. ხაზგასმით აღვნიშნავთ ფუტსალის გუნდის უდიდეს წარმატებას, რაც გამოიხატება ევროპის ფუტსალის ჩემპიონთა ლიგაზე ასპარეზობაში, რომელიც, სამწუხაროდ, შეფერხებულია მსოფლიოში არსებული ეპიდვითარების გამო. თუმცა, ჩემპიონატის განახლებისთანავე გუნდი სრულად ჩაერთვება შეჯიბრებაში და დაიცავს არა მარტო უნივერსიტეტის, არამედ მთლიანად ქვეყნის სახელს.

მიუხედავად ყველაფრისა, ძირითადად, მაინც დამოკიდებული ვართ ქვეყანაში არსებულ კოვიდსიტუაციის გამოსწორებაზე, რადგან ზემოთ ჩამოთვლილ ქმედებებს სჭირდება გარკვეული სივრცე, კონკრეტული მოქმედების არეალი თუ თავისუფლება, რის საშულებასაც ეპიდვითარება, ამ ეტაპზე, არ იძლევა. ვიმედოვნებთ, რომ ახლო მომავალში გამოსწორდება არსებული სიტუაცია და შევძლებთ — სტუდენტებს ისევ მივაწოდოთ ხარისხიანი პროდუქტი კულტურული დასვენების, განვითარების თუ სპორტული აქტივობების სახით.

მოამზადა თამარ დადიანმა

უნივერსიტეტელი თენგიზ ცერცვაძე და პაატა იმნაძე 2020–ის საპატიო თბილისელებად დასახელდნენ

უნივერსიტეტელების ახალი წოდება — საპატიო თბილისელობა — წელს თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის ორ ცნობილ პროფესორს ერგო. მსოფლიო პანდემიის პირობებში საქართველოში მავნე სენთან გამკლავების ორივე სტრატეგი — ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ცენტრის გენერალური დირექტორი თენგიზ ცერცვაძე და დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე (მეცნიერების დარგში) პაატა იმნაძე „თბილისობის“ დღესასწაულზე, კლასიკოს მწერალ გურამ დოჩანაშვილთან და პანდემიასთან ბრძოლაში გამორჩეულ შვიდ ექიმთან ერთად, საპატიო თბილისელებად დასახელდნენ. საკუთარი პროფესორების ესოდენ დაფასება, რომლებიც გამოარჩიეს თავიანთი დამოკიდებულებით საქმისა და საზოგადოებისადმი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვისაც მეტად საამაყოა.

რა განცდაა, როცა დედაქალაქის საპატიო წევრი ხდები? რამდენად გათავისებული აქვთ, რომ ყველა ახალი წოდების მინიჭება არა მხოლოდ პიროვნების ბიოგრაფიის გამდიდრე-

თენგიზ ცერცვაძე

ბაა, არამედ იმ დაწესებულებისაც, რომელსაც წარმოადგენ? რა დამოკიდებულებით გამოირჩევიან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, როგორც ქართული იდეისა და თბილისის სიმბოლოსადმი, თავად გვესაუბრებიან:

თენგიზ ცერცვაძე: უნივერსიტეტელობა განსაკუთრებული სტატუსია

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვისაც დიდი პატივია, რომ მისი პროფესორები საპატიო თბილისელებად აირჩიეს. რა განცდაა თბილისელობა და უნივერსიტეტელობა ერთად?

— თბილისელობას სულაც არ განიჭებს მხოლოდ ის ფაქტი, რომ შენ თბილისში დაიბადე. ეს, უბრალოდ, ცხოვრების წესია და, ამავე დროს, დიდი პასუხისმგებლობა და მოვალეობაა.

ძნელია, ერთი ან რამდენიმე წინადადებით ზუსტად განვსაზღვრო — რას ნიშნავს ჩემთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ეს არის დიდი ოჯახი. ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი ამ უნივერსიტეტთან ასოცირდება, საუკეთესო მეგობრებით და უახლოესი ადამიანებით. უნივერსიტეტელობა — ეს არის განსაკურებული სტატუსი, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გაგყვება ადამიანს. იგი დიდი პატივია, სადაც უნდა იყო და რასაც უნდა აკეთებდე. არასოდეს დავტოვებ უნივერსიტეტს, რადგან აქ შევიგრძენი იმ დიდი ადამიანების სული, რომლებიც წლების განმავლობაში აშენებდნენ უნივერსიტეტს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობა დიდ პრესტიჟთან ერთად, უდიდესი პასუხისმგებლობაცაა. უნივერსიტეტი ქართველი ერისთვის, ტრადიციულად, ცოდნის ტაძარი იყო, აქ მუშაობდნენ ლეგენდარული ადამიანები, რომელთა ღვაწლი ფასდაუდებელია. მინდა, რომ ჩვენს შემდეგაც ასეთად დარჩეს და შთამომავლობამ სათანადოდ შეაფასოს ჩვენი მოღვაწეობა.

— როგორ შეაფასებდით უნივერსიტეტის დღევანდელობას? თქვენი აზრით, როგორ გაართვა მან თავი თანამედროვე მოთხოვნებს და პანდემიის პირობებში ონლაინ სწავლებაზე გადასვლის პროცესს?

— ბოლო წლებში უნივერსიტეტში ნამდვილად შეიმჩნევა პოზიტიური ძვრები და ტენდენციები ყველა მიმართულებით. ვფიქრობ, უნივერსიტეტი სწორი მიმართულებით ვითარდება და უფრო ხელშესახები შედეგის მიღწევას მეტი დრო სჭირდება. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს განსხვავებული საჭიროებების სტუდენტზე ორიენტირებული და უწყვეტი განათლების შესაძლებლობებს.

დღეს პროფესორ-მასწავლებლებს გვიწევს ფიქრი იმაზე, თუ როგორ ვიცხოვროთ პანდემიის პირობებში, როგორ წარვმართოთ სასწავლო პროცესი და სამეცნიერო კვლევები. ყველა გაერთიანებული ვართ და ვცდილობთ, ერთად დავძლიოთ პანდემიით გამოწვეული სირთულეები. ვფიქრობ, ონლაინ სწავლებაზე გადასვლით უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო პროცესის ხარისხი არ დაქვეითებულა, თუმცა იმ მიმართულებებში, რომლებიც მოითხოვს სტუდენტების მონაწილეობას პრაქტიკულ საქმიანობებში, იქმნება გარკვეული უხერხულობები. ჩვენ, პროფესორ-მასწავლებლები კი ყველაფერს ვაკეთებთ სტუდენტებისთვის საჭირო განათლების მიცემის თვალსაზრისით.

— რას უსურვებთ უნივერსიტეტს?

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უმაღლეს განათლებაში არის ლიდერი საქართველოში და დარწმუნებუ-

პაატა იმნაძე

ლი ვარ, მომავალში კვლავაც გააძლიერებს თავის ლიდერულ პოზიციას, როგორც განათლებისა და კვლევის საერთაშორისოდ აღიარებული კერა ქვეყანასა და რეგიონში. განათლება, ზოგადად, არის ერის წინსვლისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობა და ჩვენი მოვალეობაა, შესაძლებლობების ფარგლებში, ხელი შევუწყოთ და სრულვყოთ ეს პროცესი.

მინდა, ჩვენი დედა-უნივერსიტეტი იყოს ყველაზე წარმატებული და მსურს, იგი გახდეს ერთ-ერთი რეიტინგული ევროპაში. ვფიქრობ, უნივერსიტეტს აქვს საამისო რესურსი.

პაატა იმნაძე: ჩემთვის უნივერსიტეტელობა ყველაზე საპატიო წოდებაა

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოს და თბილისის სიმბოლოა. რა არის ის თქვენთვის? რა განცდა გეუფლებათ იმის გამო, რომ უნივერსიტეტელი ბრძანდებით?

— ჩემთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტია, პირველ რიგში, უნივერსიტეტი. ყველა სხვა უნივერსიტეტი კი, მათ შორის ისიც, რომელიც მე დავამთავრე — სამედიცინო უნივერსიტეტი, სრული სახელწოდებით უნდა მოიხსენიო ხოლმე. უნივერსიტეტელობა კი ყველაზე საპატიო წოდებაა.

— როგორ შეაფასებდით უნივერსიტეტის დღევანდელობას? თქვენი აზრით, როგორ გაართვა მან თავი თანამედროვე მოთხოვნებს და პანდემიის პირობებში ონლაინ სწავლებაზე გადასვლის პროცესს?

— მიხარია, რომ საერთაშორისო რეიტინგებში უნივერსიტეტი ყოველწლიურად იუმჯობესებს ადგილს. იმედი მაქვს, მოვესწრები რეიტინგებში მის პირველ ასეულში დასახელებასაც. ონლაინ სწავლებაზე გადასვლა სამედიცინო დარგში ადვილი არ არის, მაგრამ, ვფიქრობ, ყველა სირთულეს დავძლევთ.

— რას უსურვებთ უნივერსიტეტს?

— რეიტინგებში ყოველწლიურ წინსვლას, სამეცნიერო კვლევების კიდევ უფრო განვითარებას და სტუდენტების უფრო მეტ ჩართულობას მეცნიერებაში.

მოამზადა **მაია ტორაძემ**

მოვა დრო და გაგვიხსენებთ

კრებული, რომელზეც უნივერსიტეტის გაზეთის რედაქციამ იმუშავა, იმ პერიოდის ისტორიას ასახავს, როდესაც საქართველოში ახალი კორონავირუსია („კოვიდ-19“) გავრცელებული.

დღეის მონაცემებით, საქართველოში კორონავირუსის 28 431 შემთხვევაა დადასტურებული, გამოჯანმრთელებულია 10 767 ადამიანი, გარდაცლილია 201 პაციენტი. უმაღლეს სასწავლებლებში სწავლა კვლავ დისტანციურ ფორმატში მიმდინარეობს.

ამ ვითარებაში ჩვენი კრებულის გამოცემა, ვფიქრობ, საინტერესო იქნება მომავლის ადამიანებისთვის, ვინც წარსულს ჩაჰკირკიტებს და მსოფლიო პანდემიისას საქართველოს და, მათ შორის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიას, საინტერესო ამბებს, პოზიციებს მოიკითხავს. ისევე, როგორც ჩვენს კრებულშია საუბარი საუკუნის წინ გავრცელებულ „ისპანკასა“ და „შავ ჭირზე“, რომელ სნეულებებთანაც დაკავშირებულია ისტორიული ამბები, ასე გაიხსენებენ მომავალშიც ამ პერიოდს, ამ

დროის ადამიანებს და მათ ემოციებს, დამოკიდებულებებს, მსჯელობებს... ამ მიზანს უკავშირდება სწორედ ჩვენი კრებულის გამოცემის იდეაც...

ჩვენ გესაუბრებით ალბათ უკვე წარსულიდან... წინ ამ სენის დაძლევის იმედია — ველოდებით ვაქცინის შექმნას და ვირუსის დამარცხებას.

„იარეთ ჩვენთან ერთად!“ — ეს უნივერსიტეტის მთავარი მესიჯია და მჯერა, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საუკუნეებს გაუძლებს და კვლავაც გაიმდიდრებს თავის ისტორიას...

ნინო კაკულია
თსუ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორი

25 ოქტომბერი, 2020 წელი

გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“
რედაქცია, 2020